

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
რომანული ფილოლოგია

ნინო ჭრიკიშვილი

**სტაბილურობა და ვარიაციულობა ესპანური ენის
ფონოტაქტიკურ სისტემაში**

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი **ციური ახვლედიანი**



თბილისის
უნივერსიტეტის
ბაიოცენტრის
გამომცემლობა

2012

სარჩევი

შესავალი.....	3
I თავი - ესპანური ენის თანხმომავანთჯგუფების შესწავლის ისტორიიდან.....	8
II თავი - ესპანური ენის განვითარების ეტაპები. კასტილიური ენის ევოლუციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ენობრივი წყაროები.....	11
III თავი - ლათინური ენის კონსონანტური სისტემა (თავკიდური, შუა და ბოლოკიდური კონსონანტური კომპლექსები).....	32
IV თავი - ეტიმონში არსებული კონსონანტური კომპლექსები და მათი დახასიათება ისტორიული ევოლუციის მანძილზე.....	46
§1. ორელემენტური კონსონანტური კომპლექსები.....	47
§2. სამელემენტური კონსონანტური კომპლექსები.....	110
§3. ოთხელემენტური კონსონანტური კომპლექსები.....	120
§4. ხუთელემენტური კონსონანტური კომპლექსები.....	124
V თავი - კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია სტაბილურობისა და ვარიაციულობის მიხედვით.....	125
§1. ორელემენტური კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია.....	125
§2. სამელემენტური კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია.....	138
§3. ოთხელემენტური კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია.....	142
§4. ხუთელემენტური კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია.....	143
დასკვნა.....	144
ლიტერატურა.....	151
დანართი.....	156

შესავალი

ყველა ენას აქვს სიტყვათა ფორმირებისა და ფონემათა გადაბმის საკუთარი წესები, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ არ შეიძლება ნებისმიერი სახის კომბინაციამ მოგვცეს სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი ერთეული. სწორედ ფონემათა შეერთებების განმსაზღვრელ წესებს ადგენს ფონოტაქტიკა,¹ რომელიც ენათმეცნიერების, კერძოდ კი – ფონეტიკის ერთ-ერთი დარგია.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სტაბილურობა და ვარიაციულობა ესპანური ენის ფონოტაქტიკურ სისტემაში იმ მიზნით, რათა დადგინდეს, თუ რომელი კონსონანტური კომპლექსები არის ესპანური ენისათვის სტაბილური და რომელი თანხმოვანთჯგუფები ექვემდებარებიან ვარირებას ესპანური ენის ევოლუციის პროცესში.

უამრავი განსხვავებული თანამიმდევრობის კონსონანტური კომპლექსი არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ენას ერთი და იგივე თანხმოვანთჯგუფები უნდა ახასიათებდეს. მაგალითად, ინგლისური ენისათვის საესეებით მისაღები sp-, st-, sk- კომპლექსები აკრძალულ კომბინაციებს წარმოადგენენ ესპანურ ენისათვის თავკიდურ პოზიციაში.

ფონოტაქტიკა არ ჯერდება საკითხის მხოლოდ სინქრონიულ პლანში კვლევას და ფონემათა მისაღები ან მიუღებელი კომბინაციების დადგენას. იგი, იმავდროულად, იკვლევს სხვადასხვა პოზიციის მქონე კონსონანტური კომპლექსების ევოლუციას ამა თუ იმ ენის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

სწორედ კონსონანტური კომპლექსების დიაქრონიული კვლევა ადგენს ყველაზე სტაბილურ და ვარირებად თანხმოვანთჯგუფებს და ცდილობს ახსნა მოუძებნოს თითოეული მათგანის სტაბილურობასა და ვარიაციულობას; ასევე, ადგენს, რომელი ფონეტიკური ცვლილებებით არის განპირობებული მათი ვარირება. ბუნებრივია, ფონოტაქტიკა არ ზღუდავს კონსონანტურ კომბინაციებს ვოკაბულაში მათი მდებარეობის მიხედვით და მათ შეისწავლის როგორც თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში.

ესპანური ენის კონსონანტურ კომპლექსებზე არაერთი ნაშრომი დაწერილა. თუმცა, მკვლევარები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ

¹ ფონოტაქტიკა ბერძნულ კომპოზიტს (phono ბგერა' + tact კონტაქტი) წამოადგენს და ითარგმნება როგორც ბგერათა კონტაქტი (ესპ. sonidos en contacto).

ყველაზე ხშირად გამოყენებადი კომბინაციების თავისებურებებზე და მათ კლასიფიკაციას ახდენდნენ კონსონანტების მხოლოდ რამდენიმე თანამიმდევრობით. ანტონიო კილის მორალესი თავკიდურ კომბინაციებში მხოლოდ fl, kl და pl კომპლექსებს განიხილავს, ხოლო სიტყვის შუა პოზიციით დაინტერესებულია შემდეგი კომბინაციებით: კონსონანტი + r, კონსონანტი + l, r + კონსონანტი, l + კონსონანტი და ნაზალი + კონსონანტი.¹ ბევრად უფრო მცირეა მისი ინფორმაცია სამელემენტური კომპლექსებსა და დერივაციის დონეზე წარმოქმნილ კომბინაციებზე. თანხმოდანთჯგუფებს იკვლევდა მენენდეს პიდალიც და ისიც, თითქმის ანალოგიურ კომბინაციებზე ამახვილებდა ყურადღებას.²

რამდენიმე რომანული ენის (ფრანგული, იტალიური და ესპანური) შუა კონსონანტურ კომპლექსებზე ფუნდამენტური კვლევა აქვს ჩატარებული ციური ახვლედიანს. ნაშრომში სახელწოდებით "სტაბილურობა და ვარირება რომანულ თანხმოდანთჯგუფებში"³ თავმოყრილია უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა და წარმოდგენილია ეტიმოლოგიურ მონაცემთა მეცნიერული ანალიზი. ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია რომანული ენების ფონოტაქტიკის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი, ეხება შუა კონსონანტურ კომპლექსებს.

ნაშრომის აქტუალურობა: იქიდან გამომდინარე, რომ ლინგვისტები ძირითადად შუა კონსონანტური კომპლექსების გარკვეულ ჯგუფებს განიხილავენ, საჭიროდ მივიჩნით კვლევა ჩაგვეტარებინა როგორც ბინარულ, ასევე პოლიკონსონანტურ კომპლექსებზე პოზიციისდა განურჩევლად და გამოგვეკვლია არა მარტო თავკიდური, ბოლოკიდური და სიტყვაში შუა პოზიციის მქონე კომბინაციები, არამედ ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც გარკვეული ცვლილებების ხარჯზე დერივაციის, ჩვენს შემთხვევაში ესპანური ენის დონეზე, დაფიქსირდა.

კვლევის მიზანი: განხორციელებული კვლევის მიზანია, რომ დადგინდეს:

ა) ესპანური ენისათვის მისაღები და მიუღებელი ბინარული და პოლიკონსონანტური კომპლექსები; ბ) ყველაზე მდგრადი და ცვალებადი როგორც ბინარული, ასევე პოლიკონსონანტური კომპლექსების

¹ Antonio Quilis Morales: "Fonética histórica y fonología diacrónica", Madrid, 2005

² Ramón Menéndez Pidal: "Manual de gramática histórica española", Madrid, 1977

³ ციური გვენცაძე-ახვლედიანი: "სტაბილურობა და ვარირება რომანულ თანხმოდანთჯგუფებში", თბილისი, 2009

ჩამონათვალი და აიხსნას მათი სტაბილურობა-ვარიაციულობის გამომწვევი მიზეზები; გ) დერივატის დონეზე წარმოქმნილი თანხმოვანთჯგუფების ჩამონათვალი და განისაზღვროს, რომელ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ მოვლენებს უკავშირდება ეტიმონში არარსებული კომბინაციების ესპანური ენის დონეზე მიღება; ასევე, დადგინდეს ხდებოდა თუ არა კონსონანტურ კომპლექსებთან დაკავშირებული ცვლილებები ან საერთოდაც, მათი წარმოქმნა იმ ენის დონეზე, რომლის გაგლითაც მკვიდრდებოდა ესა თუ ის სიტყვა კასტილიურ ენაში; დ) რა სიხშირით გვხვდება ერთი და იგივე კონსონანტური კომპლექსი სხვადასხვა პოზიციაში და აქვს თუ არა კავშირი კომპლექსის პოზიციას სიტყვაში მის სტაბილურობა-ვარიაციულობასთან.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: კომბინაციების შემადგენელი კონსონანტების და სიტყვაში მათი პოზიციური მრავალფეროვნების გარდა, სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს ვარიაციების ერთ-ერთი ახალი სახეობა, რომელიც აკუსტიკური ეკვივალენტობის სახელს ატარებს და რომელიც, როგორც ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ესპანური ენის ფონოტაქტიკაში.

კვლევის მეთოდოლოგია: მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-შედარებით და სტატისტიკურ მეთოდებზე ორიენტირებულ დიაქრონიულ კვლევას, რომელიც ჩავატარეთ ეტიმოლოგიური¹ და ლათინურ-ესპანური ლექსიკონების² მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე გამოვიყენეთ, ესპანეთის სამეფო აკადემიის – RAE-ს ონლაინ ლექსიკონი,³ რომელიც იმის გარდა, რომ არის ესპანური ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვაწვდის მნიშვნელოვან ეტიმოლოგიურ ცნობებს. კვლევის ჩატარებამდე კი გავეცანით აღნიშნული თემის გარშემო განხორციელებულ კვლევათა შედეგებს. ნაშრომში გამოყენებული გვაქვს როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: წინამდებარე ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგად გამოვაკლინეთ კასტილიური (ესპანური) ენისათვის მისაღები და მიუღებელი კონსონანტური კომპლექსები, ასევე ყველაზე სტაბილური და

¹ Joan Coromines: "Breve diccionario etimológico de la lengua española", Gredos, Madrid, 2008

² Santiago Segura Manguña: "Nuevo diccionario etimológico Latín-Español y de las voces derivadas", Bilbao, 2010

³ <http://rae.es/rae.html>

ვარირებადი თანხმომავანთჯგუფები და განვსაზღვრეთ რომელ ფონეტიკურ მოვლენას უკავშირდება ამა თუ იმ კომბინაციის ცვალებადობა. პრაქტიკული ღირებულება კი განისაზღვრება იმით, რომ: ა) ჩვენი კვლევა ხელს შეუწყობს ესპანური ენის ისტორიული ფონეტიკისა და დიაქრონიული ფონოტაქტიკის უფრო ღრმა შესწავლას ჩვენს ქვეყანაში; ბ) ჩვენს მიერ მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ესპანური ენის თეორიული კურსების სწავლების პროცესში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა განისაზღვრა 150 ნაბეჭდი გვერდით და წარმოდგენილია შესავლით, ხუთი თავით და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია, რომელიც 101 ერთეულს მოიცავს და დანართი, რომელიც ჩატარებული კვლევის შედეგებს ცხრილის სახით წარმოგვიდგენს.

შესავალში განსაზღვრულია კვლევის ძირითადი მიზნები და ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ასევე, აღნიშნულია თემის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე.

I თავში აღვნიშნეთ თუ რომელი ლინგვისტები იკვლევდნენ ესპანური ენის ფონოტაქტიკურ სისტემას და რომელ კომბინაციებზე ამახვილებდნენ ისინი ყურადღებას.

II თავში მოკლედ მიმოვიხილეთ ესპანური ენის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპები და ვნახეთ, თუ რომელმა ენებმა მოახდინა ესპანურ ენაზე გავლენა როგორც ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ასევე ლექსიკური თვალსაზრისით. იმავდროულად, შევეხეთ ისტორიულ ფაქტებსაც, რადგან ჩავთვალეთ, რომ ეს უფრო თვალსაჩინოს გახდიდა ამა თუ იმ გარეშე ენის პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელების გამომწვევ მიზეზებს.

III თავში დავახასიათეთ ლათინური ენის კონსონანტური სისტემა და ვნახეთ, თუ რომელი კონსონანტური კომპლექსები იყო მისაღები ამ უძველესი ენისათვის მისი ისტორიის ადრეულ პერიოდში. ასევე ვნახეთ, თუ რომელი თანხმომავანთჯგუფები დაექვემდებარა ვარირებას არქაული ლათინურის დონეზე და რომელი კომპლექსები გამოირჩიოდა სტაბილურობის მაღალი ხარისხით.

IV თავი მთლიანად კონსონანტური კომპლექსების დიაქრონიულ კვლევას დავუთმეთ. უახლესი ეტიმოლოგიური ლექსიკონების მონაცემებზე დაყრდნობით, განვიხილეთ სხვადასხვა თანხმომავანთჯგუფები როგორც თავკიდურ

და ბოლოკიდურ, ასევე სიტყვის შუა პოზიციაში. ყურადღება გაგამახვილეთ ისეთ კომბინაციებზეც, რომლებიც არ არსებობდა ეტიმონის, მაგრამ მივიღეთ დერივატი ენის - ესპანურის დონეზე.

V თავში მოვახდინეთ მეოთხე თავში განხილული კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია. თანხმოვანთკომბინაციები, სტაბილურობა და ვარირების მიხედვით, ოთხ ჯგუფად გადავანაწილეთ. ვარირებადი კომბინაციები კი დავყავით ქვეჯგუფებად, რასაც საფუძვლად დაედო მათი კლასიფიკაცია ფონეტიკური ცვლილებების მიხედვით.

კონსონანტური კომპლექსების დიაქრონიული კვლევის შედეგად მიღებული შედეგები ჩამოვაყალიბეთ ნაშრომის ბოლოს დასკვნის სახით.

I თავი

ესპანური ენის ფონოტაქტიკის შესწავლის ისტორიიდან

ესპანური ენის ფონოტაქტიკური სისტემის კვლევა არაერთი ენამეცნიერისათვის წარმოადგენდა აქტუალურ თემას. ამ მხრივ, აღსანიშნავია ცნობილი ესპანელი ლინგვისტების – რამონ მენენდეს პიდალის, ანტონიო კილის მორალესის და გარსია დე დიეგოს ნაშრომები.

თანხმოვანთჯგუფების კვლევას, ჩამოთვლილი ენათმეცნიერებიდან, ყველაზე დიდი ყურადღება დაუთმო რამონ მენენდეს პიდალმა, რომელმაც აღწერა როგორც თავკიდური პოზიციის მატარებელი კომპლექსები, ასევე სიტყვის შუაში მდებარე კომბინაციები. მენენდეს პიდალის "ესპანური ენის ისტორიული გრამატიკის სახელმძღვანელოში"¹ აღწერილ თავკიდურ ბინარულ კონსონანტურ კომპლექსებში ძირითადად ვხვდებით ოკლუზივს + r თანამიმდევრობებს. რაც შეეხება ორელემენტიან შუა კონსონანტურ კომპლექსებს, მენენდეს პიდალმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ კომბინაციებზე: r + კონსონანტი, l + კონსონანტი, m ან n + კონსონანტი. მან აღწერა ორმაგი თანხმოვანების ევოლუციაც სიტყვის შუაში და გამოყო ბილაბიალურების (-pp-, -bb-), დენტალურების (-tt-, -dd-) და ველარულების (-kk-) გემინაციები.

მენენდეს პიდალმა განიხილა სამელემენტიანი შუა კონსონანტური კომპლექსებიც. ყველაზე ხშირად გამოყენებულ პოლიკონსონანტურ კომბინაციებად მან მიიჩნია: კონსონანტი + fl, კონსონანტი + kl და კონსონანტი + pl თანამიმდევრობები.

თანხმოვანთა ისტორიულ ფონეტიკას იკვლევდა ანტონიო კილის მორალესი "ისტორიულ ფონეტიკასა და დიაქრონიულ ფონოლოგიაში"². სხვადასხვა პოზიციაში არსებული და ცალკე მდგომი თანხმოვნების აღწერის შემდეგ, იგი შეეხო კონსონანტურ კომპლექსებსაც და მათი კლასიფიკაცია მოახდინა შემდეგი თანამიმდევრობით: fl-, kl-, pl- (თავკიდური პოზიციით), კონსონანტი + r, კონსონანტი + l, r + კონსონანტი, l + კონსონანტი (სიტყვის შუაში).

¹ Ramón Menéndez Pidal: "Manual de gramática histórica española", Madrid, 1977.

² Antonio Quilis Morales: "Fonética histórica y fonología diacrónica", Madrid, 2005

შუა კონსონანტურ კომპლექსებს იკვლევდა ვისენტე გარსია დე დიეგოც და ისიც ანალოგიურ კომბინაციებს აღწერდა. "ესპანური ენის ისტორიულ გრამატიკაში"¹ იგი შემდეგ ძირითად ტიპებზე ამახვილებს ყურადღებას: კონსონანტი + r, კონსონანტი + l.

არაესპანელი ლინგვისტებიდან, ესპანური ენის ფონოტაქტიკური სისტემით დაინტერესდნენ პოლ ლოიდი და რაღუ პენი. პოლ ლოიდმა ნაშრომში "ლათინურიდან ესპანურამდე"² აღწერა ფრიკატივების და ოკლუზივების შემცველი კომბინაციები და წარმოგვიდგინა მათ მიერ განვლილი ევოლუციის გზა. თავკიდურ პოზიციაში კი დაინტერესდა s + p, t, k კომბინაციებით.

რაც შეეხება რაღუ პენს და მის ნაშრომს სახელად "ესპანური ენის ისტორია"³, მან ყურადღება გაამახვილა იმ ფონეტიკურ ცვლილებებზე, რაც ესპანურ ენას მისი ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე ახასიათებდა და აღწერა დერივატი ანუ ესპანური ენის დონეზე წარმოქმნილი ბინარული შუა კონსონანტური კომპლექსები, რომელთაც secondary consonant groups' (ესპანურ თარგმანში - grupos consonánticos secundarios') უწოდა. რაღუ პენის მიერ შესწავლილი ყველა ბინარული თანხმოვანთჯგუფი წარმოქმნილია e და i ხმოვნების სინკოპის შედეგად.

ქართველი ენათმეცნიერებიდან, რომანული ენების ფონოტაქტიკას იკვლევდა ციური ახვლედიანი. მისი ფუნდამენტური კვლევა "სტაბილურობა და ვარირება რომანულ თანხმოვანთჯგუფებში"⁴ მოიცავს უმდიდრეს ფაქტობრივ მასალას და გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს ესპანური ენის ეტიმოლოგიის შესახებ. ციური ახვლედიანის მიერ ჩატარებული რომანული ენების ფონოტაქტიკური სისტემის დიაქრონიული კვლევა წარმოგვიდგენს სიტყვის შუა პოზიციაში მეოფ როგორც ბინარულ, ასევე პოლიკონსონანტურ თანხმოვანთჯგუფებს. ნაშრომში წარმოდგენილია შუა კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია ლათინური ენის დონეზეც.

¹ Vicente García de Diego: "Gramática histórica española, Madrid, 1970

² Paul Lloyd: "From Latin to Spanish", vol. I "Historical Phonology and Morphology of the Spanish Language ", 1987.

³ Palph Penny-ის "A history of the Spanih language" (1991,2002 Cambridge University Press) ინგლისურიდან ესპანურად თარგმნილია ხოსე იგნასიო პერეს პასკუალის და მარია ეუხენია პერეს პასკუალის მიერ. ნაშრომის ესპანური ვერსია ატარებს შემდეგ სახელს: "Gramática histórica del Español" და შესრულებულია 2006 წელს.

⁴ ციური გვენცაძე-ახვლედიანი: "სტაბილურობა და ვარირება რომანულ თანხმოვანთჯგუფებში", თბილისი, 2009

ენათმეცნიერები იკვლევდნენ ესპანური ენის ფუძე-ენის, ანუ ლათინურის კონსონანტურ ფონოტაქტიკასაც. სწორედ მათ შორის არის ხოსე მოლინა ივენესი, რომელმაც "ლათინური ენის ფონოტიკის, ფონოლოგიის და მორფოლოგიის შესავალში"¹ აღწერა თავად ლათინური ენის დონეზე დაფიქსირებული ფონეტიკური ცვლილებები და მოახდინა ლათინური ენისათვის დამახასიათებელი კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია როგორც თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში.

¹ José Molina Yévenes: "Iniciación a la fonética, fonología y morfología latinas", Barcelona, 1993

II თავი

ესპანური ენის განვითარების ეტაპები. კასტილიური ენის ევოლუციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ენობრივი წყაროები

ესპანური ენა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენაა დღევანდელ მსოფლიოში. იგი ოფიციალური ენაა ესპანეთის, ლათინური ამერიკის ქვეყნების (არგენტინა, ბოლივია, ვენესუელა, გვატემალა, ჰონდურასი, დომინიკის რესპუბლიკა, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, პერუ, პუერტო-რიკო, ელ სალვადორი, ურუგვაი, ჩილე, ეკვადორი), ეკვატორული გვინეის და ანდორის (ფრანგულთან და კატალანურთან ერთად). ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ ფილიპინების, საბერძნეთის და აფრიკის ტერიტორიების ებრაელებით დასახლებულ ზოგ რეგიონშიც.

ესპანურს ხშირად კასტილიური ენის სახელით მოიხსენიებენ, რაც უკავშირდება ისტორიულ ფაქტორებს. პირენეის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კასტილიის სამეფოს პოლიტიკურმა სიძლიერემ (მოგვიანებით კი, ესპანეთის სამეფოების მის გარშემო გაერთიანებამ) განაპირობა, რომ კასტილიაში გავრცელებულმა ენამ უპირატესობა მოიპოვა მეზობელ ენებზე და მიიღო ესპანური ენის სახელი.

ესპანური იგივე კასტილიური ენა, ისევე როგორც დანარჩენი რომანული ენები, ხალხური ლათინურიდან მომდინარეობს. პირენეის ნახევარკუნძულზე გაბატონებულმა ლათინურმა, რომელიც რომის იმპერიის სხვადასხვა რეგიონებიდან წამოსული ვაჭრების, ჩინოვნიკებისა და ლეგიონერების მიერ გავრცელდა ესპანეთში, დროთა განმავლობაში განიცადა სხვადასხვა (მათ შორის პრერომანული და არაბული) ენების გავლენა და იმდენად დაშორდა ლათინურს, რომ ახალ ენას ჩაუყარა საფუძველი.

როგორც ვხედავთ, მრავალფეროვანია ესპანური ენის წყაროების ჩამონათვალი. იმის გარდა, რომ აღნიშნულ თავში მიმოვიხილათ თუ რა გავლენა მოახდინა სხვადასხვა ენებმა ესპანური ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ სტრუქტურაზე, ყურადღებას გავამახვილებთ ისტორიულ მოვლენებზეც, რადგანც ვთვლით, რომ ამ გზით უფრო ნათელი გახდება, თუ რომელი ისტორიული ფაქტორებით იყო

განპირობებული ამ ენების გავრცელება და შემდეგ, მათი გავლენა პირენეის ნახევარკუნძულზე გაბატონებულ ლათინურზე.

ესპანეთში დასახლებული სხვადასხვა ხალხების და მათი ენების ლინგვისტურ გავლენას ესპანურ ენაზე განვსაზღვრავთ ქრონოლოგიურად.

პირენეის ნახევარკუნძული უძველესი დროიდან წარმოადგენდა სხვადასხვა ტომებით დასახლებულ ტერიტორიას. ჯერ კიდევ, ძვ. წელთაღრიცხვით I ათასწლეულამდე, სახლობდა ნახევარკუნძულზე ტარტესთა ტომი, რომელთა წარმომავლობაც დღემდე არ არის დაზუსტებული. თუმცა, XX საუკუნის ცნობილმა გერმანელმა ფილოლოგმა და ისტორიკოსმა ადოლფ შულტენმა მათი წარმოშობის საინტერესო თეორიას ჩაუყარა საფუძველი. შულტენის მიხედვით, ტარტესები არიან კუნძულ კრეტადან წამოსული ტომების შთამომავლები, რომლებიც დღევანდელი ანდალუსიის ტერიტორიაზე დასახლდნენ და შექმნეს ევროპის ერთ-ერთი პირველი ცივილიზაცია, რომელიც იყო იმ ეპოქის მოწინავე კულტურის მატარებელი.¹

პირველი ისტორიული წყარო ტარტესების შესახებ ეკუთვნის ჰეროდოტეს. იგი ცნობებს გვაწვდის ტარტესთა უკანასკნელ მეფე არგანტონიოსა და ტარტესთა ქვეყანაში სანაოსნო მიზნებით მისულ ფოკეელებზე,² რომელთაც არგანტონიომ გარკვეული თანხა გადაუხადა მისი ქალაქის გარშემო თავდაცვითი ნაგებობის ასაშენებლად, რაც ტარტესთა მეფეს მცირე აზიელი სპარსელებისაგან თავდასაცავად სჭირდებოდა. ჰეროდოტე ასევე წერს, რომ არგანტონიო იცოცხლა 120 წელი და აქედან 80 წელი იმეფა (630-550).³

ჰეროდოტეს არ ეთანხმება რომელიც ისტორიკოსი და ფილოსოფოსი პლინიუს უფროსი, რომელიც თვლის, რომ არგანტონიომ იმეფა 150 წელი.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც არგანტონიო ქვეყანას სამასი წელი მართავდა, რაც აშკარად გაზვიადებულია ერთი მეფის მეფობის ხანასთან დაკავშირებით. თუმცა, შესაძლოა, არგანტონიო სულაც არ ყოფილიყო

¹ Adolf Schulten: "Tartessos", *Renacimiento*, Sevilla, 2006. აღნიშნული გამოცემა წარმოადგენს 1924 წელს, ესპანეთში გამოქვეყნებული ნაშრომის ასლს (თარგმანი ესპანურ ენაზე შესრულებულია მანუელ გარსია მორენტის მიერ).

² ფოკეელები იყვნენ პირველი ბერძნები, რომელთა სახელსაც უკავშირდება პირველი ხანგრძლივი ზღვაოსნობა და ადრიატიკის ზღვის აღმოჩენა.

³ ცნობები ჰეროდოტესა და არგანტონიოს შესახებ ავიღეთ Álvaro Riaño Sanchez de la Poza-ს ნაშრომიდან სახელწოდებით: "Heródote y Argantonio – Un testimonio sobre la forma de poder de Tartessos", სადაც ავტორს ნათარგმნი და გამოყენებული აქვს რამდენიმე ციტირება "Herodoti Historiae"-ის I ტომიდან, ოქსფორდი, 1927წ.

ერთი კონკრეტული მეფის სახელი და რომ ამ წლების განმავლობაში ერთი და იგივე სახელის მატარებელ რამდენიმე მეფეს ემეფა. შესაძლოა, არგანტონიო ყოფილიყო სამეფო დინასტიის დასახელებაც.

ტარტესების შესახებ ვკითხულობთ ბიბლიაშიც. მასში აღწერილია, თუ როგორ ამყარებდნენ სავაჭრო ურთიერთობებს ისრაელის მეფე სოლომონი და ერთ-ერთი უძველესი ფინიკიური სავაჭრო ქალაქის - ტვიროსის მეფე ჰირამ I ტარსის (იგივე ტარტესების) სახელით ცნობილ ხალხთან, რომელთა სამეფოც სიმდიდრით გამორჩეული იყო [Corral, 2008:67].

ტარტესების სახელი ფიგურირებს მითოლოგიაშიც. სწორედ ტარტესების მითოლოგიურ მეფეს წარმოადგენს გერიონი, რომლის ხარების მოპარვაც ჰერაკლესათვის მიცემული თორმეტიდან ერთ-ერთი დავალება იყო [Corral, 2008:67].

ტარტესების ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა და მიწის დამუშავება წარმოადგენდა. ასევე, ისინი იყვნენ ბრინჯაოს და ვერცხლის პირველი მომპოვებლები ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. ტარტესებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ნახევარკუნძულზე სავაჭრო მიზნებით მისულ ბერძნებთან და ფინიკიელებთან. ოქრო-ვერცხლის სანაცვლოდ, ტარტესები მათგან ღებულობდნენ სხვადასხვა სამკაულებს, იარაღს, კერამიკულ ნაკეთობებს და ქსოვილებს. ამის პარალელურად, ხდებოდა რელიგიური და კულტურული ასპექტების გაცვლა-გამოცვლაც. სწორედ მათ სახელს უკავშირდება ნახევარკუნძულზე პირველი ანბანის და პირველი მონეტის შეტანა. პირენეის ნახევარკუნძულზე მისული ბერძნები და ფინიკიელები მალე აღარ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სავაჭრო ექსპედიციებით და წიაღისეულის თავად მოპოვების მიზნით, დაიწყეს კოლონიების დაარსება, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილია: გადირი (კადისი), მალაკა (მალაგა) და ემპორიონი (ამპურიასი).

მიუხედავად იმისა, რომ ტარტესების შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ბუნდოვანი, ხოსე ლუის კორალი დაზუსტებით ამბობს, რომ X-VI სს-ში პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მართლაც არსებობდა სამეფო, რომლის ძალაუფლებაც ვრცელდებოდა უელვადან კართაგენამდე, რომლის მაცხოვრებლებიც მოიპოვებდნენ დიდი რაოდენობით ოქრო-ვერცხლს და რომლებსაც ბერძნებთან და ფინიკიელებთან სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ.¹

¹ José Luis Corral: "Una historia de España", Edhasa, Barcelona, 2008

ძვ. წ-ის VI საუკუნეში იწყება ტარტესთა სამეფოს დეკადანსი, რაც კართაგენელების სახელს უკავშირდება, რომლებიც სწორედ ამ პერიოდში იწყებდნენ დიდი სავაჭრო იმპერიის შენებას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთის ნაპირებთან.

ტარტესებს ჰქონდათ საკუთარი ენა. მათი ენის შესახებ არცთუ ისე ბევრი რამ არის ცნობილი. თუმცა, ვიცით, რომ ტარტესები სემისილაბურ დამწერლობას იყენებდნენ (ანუ ცალკეული ნიშნებით გამოხატავდნენ არა მხოლოდ ბგერებს, არამედ მარცვლებსაც), რომელსაც საფუძვლად ფინიკიური და ბერძნული დამწერლობა ედო. ტარტესთა დამწერლობის აღნიშნული თვისება კარგად ჩანს მარიანო ტორეს ორტესის მიერ გამოყენებულ, ოღონდ იურგენ უნტერმანის მიერ შედგენილ ცხრილში.¹ ამავე ცხრილიდან ვიგებთ, რომ ტარტესებს ჰქონდათ 5 ხმოვანი: a, e, i, o, u, რაც ბერძნულის გავლენას ტარტესთა ანბანზე კიდევ უფრო აშკარას ხდის, რადგან, როგორც ვიცით, ფინიკიელებს არ ჰქონდათ ხმოვნები.

ექსტრემადურასა და ანდალუსიაში აღმოჩენილ (ძვ. წ. VIII-ით დათარიღებულ) საფლავის ქვებსა და კერამიკულ ნაკეთობებზე შესრულებულ წარწერებს² კიდევ ერთი მახასიათებელი აქვთ და ეს არის ხმოვანთა რედუბლიკაცია (მაგ: keenii). თუმცა, ჯერ არ არის დადგენილი ორმაგ ხმოვნებს მათი სწორად წარმოთქმიდან გამომდინარე წერდნენ, თუ ამ ფაქტს სხვა ახსნა აქვს.

ტარტესების გარდა, პირენეის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ სხვა ხალხებიც, რომელთაც ბერძნები იბერებს უწოდებდნენ. ხოსე ლუის კორალის მიხედვით, ისინი ძვ.წ-ის VII საუკუნეში უკვე ცხოვრობდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე და იკავებდნენ მის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ იბერები არ წამოადგენდნენ ერთ ეთნოსს და რომ ბერძნები ამ სახელით მოიხსენიებდნენ პირენეის ნახევარკუნძულის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ ტომებს. აი, ასე გამოიყურება ბერძენი გეოგრაფის პტოლემეაოსი მიერ შედგენილი, პირენეის ნახევარკუნძულზე

¹ Mariano Torres Ortiz: "Tartessos", Madrid, 2002, გვ. 327

² აღსანიშნავია, რომ ტარტესები მიერ (მარჯვნიდან მარცხნივ) შესრულებულ წარწერებში სიტყვები გადაბმულად, ერთმანეთისაგან დაუშორებლად არის ჩაწერილი.

დასახლებულ, იბერთა სახელით ცნობილ ტომთა სია (იქვეა მითითებული მათ მიერ დაკავებული ქალაქებიც):¹

- ილერგეტები – ლერიდასა და უესკაში;
- აუსეტანები – ხერონაში;
- ლაიეტანები – ბარსელონაში;
- ედეტანები – საგუნტოში (მდებარეობს ვალენსიის რეგიონში);
- კონტესტანები – ალიკანტესა და მურსიაში;
- ბასტეტანები – ალბასეტესა და გრანადაში;
- ტურდულები – კორდობასა და კადისში;
- ტურდეტანები – სევილიასა და კარმონაში.²
- კარპეტანები – ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში (ალკალასა და ტოლედოში).

ამ ჩამონათვალს ხოსე ლუის კორალი უმატებს კიდევ ერთ ტომს - სდეტანებს, რომლებიც სახლობდნენ სალდუბას სახელით ცნობილ ქალაქში (დღევანდელი სარაგოსა).

გეოგრაფიული მდებარეობის განურჩევლად, იბერები დაკავებულნი იყვნენ მესაქონლეობით და სოფლის მეურნეობით. თუმცა, ბუნებრივია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხალხებიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებთან დასახლებულებს განვითარების უფრო მაღალი დონე ექნებოდათ. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ესპანეთის ტომები ცხოვრების არქაულ სტილს ინარჩუნებდნენ.

იბერებს ჰქონდათ საკუთარი ენაც და იგი გავრცელებული იყო ნახევარკუნძულის თითქმის მთელ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. სწორედ იბერების ენაზეა შესრულებული ქალაქ ამპურიაში აღმოჩენილი რამდენიმე სავაჭრო დოკუმენტი, რაც ადასტურებს ამ ენის სავაჭრო მნიშვნელობას. ალიკანტეში, ტერუელსა და ბარსელონაში აღმოჩენილი წარწერები შესრულებულია როგორც საფლავის ქვებზე, ასევე სხვადასხვა სახის ნაკეთობებზე. იბერების ენაზე შესრულებული წარწერები თარიღდება ქრ. შ-მდე V-IV საუკუნეებით.

¹ სიის სრული ვერსია იხ. José Luis Corral: "Una historia de España", Barcelona, 2008, გვ. 76-77.

² სწორედ ტურდეტანებს მოიხსენიებენ ხშირად ტარტესების შთამომავლებად.

ტარტესების მსგავსად, იბერებიც სემისილაბურ დამწერლობას იყენებდნენ, რომელსაც საფუძვლად ბერძნული და ფინიკიური დამწერლობები ედო. იბერთა დამწერლობის სემისილაბურობა ასევე კარგად ჩანს იურგენ უნტერმანის მიერ შედგენილ, ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებულ ცხრილში. სწორედ ამავე ცხრილიდან ვიგებთ, რომ იბერებიც ხუთ სტანდარტულ ხმოვანს იყენებდნენ.

იბერიზაცია არ შეეხო ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც ბასკური კულტურა გავრცელდა. საიდუმლოებით არის მოცული ბასკების წარმოშობა. დანამდვილებით არც მათი ენის წარმომავლობა არის ცნობილი. თუმცა, გვაქვს რამდენიმე ვერსია. მათ შორის საკმაოდ გავრცელებულია ჰიპოთეზა ბასკების იბერიული და კავკასიური წარმომავლობის შესახებ.

პირველი მნიშვნელოვანი კვლევა ამ უძველესი ენის შესახებ ეკუთვნის ცნობილ გერმანელ ენათმეცნიერ ვილჰელმ ჰუმბოლდტს. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული, რომ ბასკური ენა აღარ მოიხსენიება ინდოევროპულ ენათა ოჯახში.¹

ინდოევროპულ ენებს არც კავკასიური ენები ენათესავება, რაც ბადებს ეჭვს, რომ მათ საერთო ძირი უნდა ჰქონდეთ. ასტრაინის მიხედვით, ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის მსგავსება უპირველესად ამ ენების სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ. ამის ნათელი დასტურია ათვლის ოცობითი სისტემა, როგორც ქართულში. ასევე, სიტყვათა წყობა და შემასმენლის პირში თანხვედრა არა მარტო ქვემდებარესთან, ასევე დამატებასთანაც. იქვე აღნიშნულია, რომ მათ შორის ლექსიკური მსგავსება უმნიშვნელოა [Astrain, 2003:148]. თუმცა, მაინც მოიძებნება სამასამდე ლექსიკური პარალელი: გორა, ბურუსი და ა.შ. სტრუქტურული მსგავსების მიუხედავად, ბასკური და კავკასიური ენების ნათესაობა ისევ და ისევ ვარაუდის დონეზეა. მათ, საუკუნეების განმავლობაში, სრულიად განსხვავებულ გარემოში მოუწიათ განვითარება, რამაც ურთულეს თემად აქცია ბასკური და კავკასიური ენების შესაძლო ნათესაობის კვლევა.

ჰიპოთეზას წარმოადგენს ბასკებისა და პირენეის იბერების ნათესაობაც. მეცნიერები დღემდე ვერ ამტკიცებენ ბასკურისა და იბერიულის საერთო წარმომავლობას, ან ერთის მომდინარეობას მეორისაგან და ვარაუდობენ, რომ მათ შორის არსებული მსგავსებები, ლექსიკური იქნება თუ გრამატიკული, უნდა იყოს გამომწვეული ამ ორი ხალხის ერთ დროსა და ერთ სივრცეში არსებობით.

¹ <http://burusi.wordpress.com/2009/06/05/euskara/>

აღსანიშნავია, რომ იბერიულსა და ბასკურს აქვთ ფონეტიკური მსგავსებაც, რაც მდგომარეობს ყრუ ფრიკატივის (f) სიმცირეში.

საინტერესოა რა ვერსიები არსებობს ბასკებისა და იბერების ენების შესახებ. ხუთი ყველაზე გავრცელებული ვერსიაა:

- ბასკური მომდინარეობს იბერიულისაგან;
- ბასკურსა და იბერიულს აქვთ ახლო ნათესაური კავშირი, ანუ ისეთი როგორიც აქვთ მაგ: ესპანურსა და იტალიურს;
- ბასკურსა და იბერიულს აქვთ შორეული ნათესაური კავშირი, ანუ ისეთი როგორიც აქვთ მაგ: ესპანურს და რუმინულს;
- ბასკური და იბერიული არის ორი სრულიად განსხვავებული ენა, რომელთა ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად მოხდა ლინგვისტური და ლექსიკური მახასიათებლების გაცვლა-გამოცვლა;
- ბასკურს და იბერიულს არ აქვთ არანაირი კავშირი.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ მეცნიერს განსხვავებული მოსაზრება აქვს ბასკების წარმოშობასთან დაკავშირებით, უმრავლესობა ემხრობა ჩამოთვლილთაგან მეორე, მესამე ან მეოთხე ვერსიას.

ბასკების ძირი შესაძლოა აკვიტანიურ ენაშიც უნდა ვეძიოთ, რადგან ძველ ბასკურს ხშირად აკვიტანიურის სახელით მოიხსენიებენ. სწორედ აკვიტანიურს უწოდებს ლუის ნუნიოს ასტრაინი ბასკური ენის მიერ განვლილი ეტაპების არქაულ პერიოდს.¹ ამ ეჭვს აღრმავებს ის ფაქტიც, რომ ბასკურად შესრულებული პირველი წარწერა (ეპიტაფია), რომლებიც თარიღდება II საუკუნით, აკვიტანიაშია აღმოჩენილი. აქვე უნდა გავიხსენოთ სტრაბონის ცნობილი ფრაზაც: “აკვიტანიელები დანარჩენი გალებისაგან განსხვავდებიან არა მარტო აღნაგობით, არამედ ლინგვისტური თვალსაზრისითაც. ისინი იბერებს უფრო ჰგვანან, ვიდრე გალებს” [Astrain, 2003:56]. სავარაუდოდ, სტრაბონი იბერებში გულისხმობს ზოგადად პირენეის ნახევარკუნძულის ხალხებს (მათ შორის ბასკებსაც) და არა კონკრეტულად იბერებს.

ჯერ კიდევ უამრავი შეკითხვა არსებობს ბასკებისა და ბასკური ენის შესახებ. ამ ეტაპზე დაზუსტებით მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ბასკური ერთადერთი პრერომანული ენაა, რომელიც ლათინური ენის ძალმომრეობას

¹ ბასკური ენის პერიოდიზაცია იხ. Luis Núñez Astrain: "El euskera arcaico – extensión y parentescos", 2003, გვ. 18-35.

გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია. მაგრამ რა ძალა ჰქონდა ასეთი ამ ენას, რომ არ გაუჩინარებულა სხვა პრერომანულ ენებთან ერთად? ამ მოვლენას ენათმეცნიერები ხსნიან იმ ფაქტორით, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე მისული უცხო ტომების გავლენა ყოველთვის მცირე იყო ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით. ესპანეთის ჩრდილოეთს არც რომანიზაცია შეხებია ისეთი ძალით, როგორც ეს სამხრეთში მოხდა.

ძვ. წელთაღრ. VI საუკუნეში პირენეის ნახევარკუნძულზე იწყება ინდოევროპული მიგრაცია. აი, ასე გამოიყურება პტოლემეაიოსის მიერ შედგენილი, ესპანეთში დასახლებული კელტების სია:¹

- ბეტონები - სალამანკაში;
- არტაბროსები – ლა კორუნიაში;
- ბერონები – ლა რიოხაში;
- ტუმოგესები – ბურგოსში;
- პელენდონესები – ბურგოსსა და სორიაში;
- ლუხიტანები – პორტუგალიაში.

კელტების მიგრაციამ გამოიწვია გაუთავებელი ბრძოლები იბერებსა და კელტებს შორის, რაც საბოლოოდ მათი გაერთიანებით დასრულდა. გაჩნდა ახალი ტერმინი – კელტ-იბერები. მათ ნახევარკუნძულის ცენტრალური და დასავლეთ ნაწილი დაიკავეს.

ჩრდილო და ცენტრალურ ევროპაში მცხოვრები ტომების - კელტების ნახევარკუნძულზე მიგრაციამ შედეგად მოგვცა დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე კელტური ენის განმტკიცება, რომელიც დროთა განმავლობაში იბერიულს შეერწყა და გაჩნდა ტერმინი კელტ-იბერიული ენა. კელტ-იბერიულზე შესრულებული წარწერები მიეკუთვნება ძვ.წ-ს II-I საუკუნეებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ წერა დაიწვეს რომაელების პირენეის ნახევარკუნძულზე დამკვიდრების პერიოდში. თუმცა, კელტ-იბერებს არ გამოუყენებიათ ლათინური ანბანი. მათ მიერ შესრულებული წარწერები ნახევარკუნძულზე რომაელების მისვლამდე გავრცელებულ ანბანს მიეკუთვნება.

რომაელთა გამარჯვებით დასრულდა მეორე პუნიკური ომი, სადაც რომაელები და კართაგენელები ერთმანეთს ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონებისათვის ეცილებოდნენ. მათ დაიკავეს პირენეის ნახევარკუნძული და

¹ სიის სრული ვერსია იხ. José Luis Corral: "Una historia de España", 2008, გვ. 85-86.

ესპანეთი რომის ერთ-ერთ პროვინციად აქციეს. ნახევარკუნძულის დაპყრობას რომაელების მიერ, მალევე მოჰყვა ლათინური ენის გავრცელება ესპანეთში, რაც იყო რომის იმპერიაში შემავალი ხალხების არა მარტო ტერიტორიული, არამედ კულტურული უნიფიკაციის გამოხატულებაც. ესპანეთში გავრცელებულმა ლათინურმა ენამ იმდენად ძლიერად მოიკიდა ფეხი, რომ თითქმის სრულად გააქრო ნახევარკუნძულის პრერომანული ენები (ბასკურის გარდა). თუმცა, მათ გაუჩინარებას წინ უძღვოდა ხანგრძლივი ბილინგვური პერიოდი, რაც თვალნათლივ აისახა ესპანური ენის არა მარტო ფონეტიკაზე, მორფოლოგიასა და სინტაქსზე, არამედ ესპანური ენის ლექსიკაზეც. ამრიგად, ლათინური გახდა ნახევარკუნძულის მთავარი ენა; ენა, რომელმაც ევოლუციის შემდგომ ეტაპებზე განიცადა ვესტგოთური და არაბული ენების გავლენა და საფუძველი დაუდო დღევანდელ ესპანურ (იგივე კასტილიურ) ენას.

იქიდან გამომდინარე, რომ ლათინური ენა ესპანურისათვის ფუძე ენას წარმოადგენს, მართებულად მივიჩნიეთ ცალკე თავი დაგვეთმო ამ უძველესი ენის კონსონანტური სტრუქტურის დახასიათებისათვის. ლათინური ენის თანხმოვანთსისტემის დახასიათებას ნაშრომის მესამე თავში წარმოგიდგენთ, მანამდე კი განვსაზღვრავთ, თუ რამდენად დიდი იყო პრერომანული, ვესტგოთური, არაბული და ფრანგული (ასევე ბერძნული) ლინგვისტური გავლენა ესპანურ ენაზე. ბუნებრივია, ვერ შევჩერდებით ესპანური ენის ისტორიაში მომხდარ ყველა ფონეტიკურ და გრამატიკულ ცვლილებაზე; ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებზე.

ესპანური ენის ფონეტიკაში, პრერომანულ ენებთან დაკავშირებულია ოთხი ძირითადი მოვლენა:

- ფონოლოგიზაცია;
- დეფონოლოგიზაცია;
- ყრუ თანხმოვნების გამჟღერება;
- თანხმოვანთა რამდენიმე ჯგუფის პალატალიზაცია.

ფონოლოგიზაცია არის ლინგვისტური პროცესი, როცა ერთი ფონემისაგან ორ ვარიანტს ვღებულობთ. სწორედ ამ მოვლენას ვხვდებით ლათინურ თავკიდურ f-სთან, მისი კასტილიურში დამკვიდრების პროცესში.

სიტყვის თავში იგი, ძირითადად, h-ში გადადის, მაგ: ლათ. ficu - ესპ. higo, ლათ. filiu - ესპ. hijo, ლათ. facere - ესპ. hacer. თუმცა, გვაქვს შემთხვევები, სადაც

თავკიდური ლათინური f შენარჩუნებულია: ლათ. frigidu - ესპ. frío, ლათ. festa - ესპ. fiesta, ლათ. forte - ესპ. fuerte ან ჯერ h-ში გადადის, შემდეგ კი - იკარგება: ლათ. fagea - haya - ესპ. aya. აღსანიშნავია ისიც, რომ ფონოლოგიზაციის აღნიშნული მოვლენა არ ფიქსირდება სიტყვის შუაში: ლათ. scofina - ესპ. escofina, ლათ. infernu - ესპ. infierno.

დიდი დავა გამოიწვია f-ს ევოლუციის საკითხმა ენათმეცნიერთა შორის. მენენდეს პიდალი თვლიდა, რომ ეს იყო აშკარად პრერომანული (ბასკური) სუბსტრატის გავლენა, რადგან ბასკურში თითქმის არ გამოიყენებოდა ლაბიოდენტალური f. თუმცა, გამოიყენებოდა ph, რომელმაც ჩაანაცვლა ლათინური თავკიდური f, ხოლო შემდეგ გამარტივდა და მოგვცა h: furnus phorno horno. რამონ მენენდეს პიდალს ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც. მათ შორის იყო კურტ ბალდინგერი, რომელმაც დაადგინა, რომ f-ს ამგვარ ტრანსფორმაციას ვხვდებით ბასკებისაგან მოშორებით დასახლებულ ხალხთა ენებშიც. იგივე მოსაზრება გამოთქვა ჯონ ორმაც, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა აღნიშნული ფენომენის პრერომანულ სუბსტრატთან კავშირი და დააკონკრეტა ის ადგილები (მათ შორისაა ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საფრანგეთი; ასევე, იტალიის ჩრდილოეთი ნაწილი), სადაც ხალხური ლათინურის დიალექტებს იგივე მოვლენა ახასიათებდა. მენენდეს პიდალი მალევე გამოეხმაურა ამ ჰიპოთეზის ავტორებს. მან აღნიშნა, რომ ერთი და იგივე ფონეტიკური მოვლენა შესაძლოა დაფიქსირდეს სხვადასხვა რეგიონში და რომ ვარიანტების ერთსა და იმავე შემთხვევას სულაც არ არის აუცილებელი ჰქონდეს იდენტური ახსნა. იქვე მიუთითა, რომ ესპანურ რომანსეში ლათინური თავკიდური f-ს არქონა ბასკებისათვის ამ თანხმონის სიტყვის თავში წარმოთქმის სირთულით აიხსნება და რომ ფრანგულთან სულ სხვა მოვლენას აქვს ადგილი.

გაჩნდა კიდევ ერთი შეკითხვა. თუ რატომ არ მოხდა f-ს ტრანსფორმაცია ამ თანხმონით დაწყებულ ყველა სიტყვაში და რა იყო იმის გამომწვევი მიზეზი, რომ ლათინური სიტყვებისაგან festa და forte მივიღეთ fiesta და fuerte, მაშინ როცა იგივე ლათინურმა farina-მ მოგვცა harina. პრერომანული სუბსტრატის მომხრეებმა ამ კითხვასაც გასცეს პასუხი. მათი აზრით, f-ს h-ში ტრანსფორმაცია ბასკურს უკავშირდება, მისი კონსტანტურობა კი გამოწვეულია ნახევარკუნძულზე მაცხოვრებელი და ბასკებისაგან მოშორებით დასახლებული სხვა ხალხების გავლენით, რომელთაც ჰქონდათ f. როგორც ვხედავთ, f-ს

გარირება და მდგრადობა დაკავშირებულია პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელებულ ენებთან. თუმცა, ფაქტია, რომ თავკიდური f ვარირების გარეშე გადავიდა ესპანურში ie და ue დიფთონგების წინ. ასევე მაშინ, როცა იგი თავკიდური ბინარული კომპლექსის პირველი ელემენტი იყო და კომპლექსს ქმნიდა ვიბრანტთან (fr).

მიუხედავად იმისა, რომ სალაპარაკო ესპანურში f მაშინვე ტრანსფორმირდა, სალიტერატურო კასტილიურში იგი უცვლელი ფორმით გამოისახებოდა XV საუკუნემდე; თუმცა, არ იკითხებოდა. მაგ: დღევანდელი hablar, რომელიც ლათ. fabulare-დან მოდის, XV საუკუნემდე იწერებოდა როგორც fablar. მხოლოდ XVI საუკუნეში დაიწყო მის მაგივრად hablar-ის წერა. სალიტერატურო ცვლილებები f-ს არ შეეხო მხოლოდ r კონსონანტთან და ie და ue დიფთონგებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ f-ს h-თი ჩანაცვლება სალიტერატურო ესპანურში არ მომხდარა მაშინვე. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთი და იმავე სიტყვის ორი განსხვავებული ფორმა ენაცვლებოდა ერთმანეთს. ამის ნათელი დასტურია “სელესტინა”,¹ რომლის 1499 წლით დათარიღებულ ბურგოსის გამოცემაში ჭარბობს f, ხოლო 1501 წლის სევილიის გამოცემაში იგივე სიტყვები დაბეჭდილი h-თი.

დეფონოლოგიზაცია არის ლინგვისტური პროცესი, როცა ორი ფონემის განმასხვავებელი ნიშნები იკარგება. სწორედ ამ მოვლენას უწოდებენ პირენეის ნახევარკუნძულზე v-სა და b-ს წარმოთქმის იდენტურობას. მენენდეს პიდალი დეფონოლოგიზაციის მოვლენასაც პრერომანული ენებს (კერძოდ, ბასკურს) უკავშირებს, რადგან ბასკური ენა არ ფლობდა v-ს.

როგორც ვხედავთ, ბასკურის გავლენა არ აისახა ლათინურიდან შემოსული v თანხმოვნის სიტყვების ორთოგრაფიაში. ისინი გრაფიკულად დღემდე აღნიშნული კონსონანტით გამოისახება. თუმცა, ბასკურის გავლენა მათ წარმოთქმაში იგრძნობა, სადაც v გაიგივებულია b-სთან, სიტყვაში მის პოზიციისდა განურჩევლად: venis-vienes [bienes], lavat-lava [laba].

¹ "სელესტინა" – XV-XVI საუკუნის ესპანურენოვანი ნაწარმოები, რომლის ავტორი არის ფერნანდო დე როსასი.

მენენდეს პიდალის გარდა, დეფონოლოგიზაციის მოვლენაში ბასკურ კვალს ხედავენ რაფაელ ლაპესა და ანდრე მარტინე.¹

როგორც ვხედავთ, ბასკურ ენაში v-ს არქონამ ესპანურ რომანსეზე დიდი გავლენა მოახდინა. შესაძლოა იმავე v-ს უქონლობა ახასიათებდა დანარჩენ პრერომანულ ენებსაც, მაგრამ ამ ენებზე შესრულებული წარწერების გაშიფვრა უდიდეს სირთულეებს უკავშირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ f-ს h-თი ჩანაცვლება, ისევე როგორც b-სა და v-ს წარმოთქმის გაიგივება, შემთხვევითი არ ყოფილა. F-ს მაინცდამაინც h-თი ჩანაცვლება (და არა სხვა ბგერით) განპირობებული იყო ამ ორი კონსონანტის ლინგვისტური მსგავსებით. ორივე ყრუ თანხმოვანს და თან ფრიკატივს წარმოადგენს და მათ შორის განსხვავება მხოლოდ არტიკულაციის ადგილია. ლინგვისტური მსგავსებაა b და v-ს შემთხვევაშიც. ორივე მუდერი ფრიკატივია და ერთმანეთისაგან მხოლოდ არტიკულაციის ადგილით განიჩევიან (b – ბილაბიალური, v - ლაბიოდენტალური).

რომაული დაპყრობებისა და პირენეის ნახევარკუნძულზე ლათინური ენის გაბატონების შემდეგ, როგორც გრაფიკულად, ასევე წარმოთქმით, მთლიანად შეიცვალა რამდენიმე თანხმოვანთჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ pl-, kl- და fl- კონსონანტური კომპლექსები ესპანურ ენაში პალატალიზებული სახით გადადიან: ლათ. planu - ესპ. llano, ლათ. clamare - ესპ. llamar, ლათ. flamma - ესპ. llama, გვაქვს მათი კონსტანტურობის რამდენიმე შემთხვევა: ლათ. flocu - ესპ. fleco. სავარაუდოდ, პალატალიზაციის მოვლენა დაფიქსირდა ესპანური რომანსეს ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე, რადგან კასტილიურ ენაში დამკვიდრებულ გვიანდელი პერიოდის სიტყვებში აღნიშნულ თავკიდურ კონსონანტურ კომპლექსებს მუდმივობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ ან ზოგ შემთხვევაში ვარირებენ, ოღონდ სხვა სახის ფონეტიკური ცვლილების ხარჯზე (მაგ: ბინარული ჯგუფი ხდება მონოფონემური ან ორელემენტის თავკიდური კომპლექსი ერთ-ერთი ელემენტის ტრანსფორმაციას განიცდის). სწორედ გვიანდელი პერიოდით აქვს დათარიღებული კორომინასს ესპანურში ისეთი სიტყვების დამკვიდრება, როგორებიცაა: ესპ. club (ინგ. club), ესპ. flan (ფრ. flan), ესპ. plafón (ფრ. plafond). შესაძლოა, სიტყვების გარკვეული რაოდენობა კასტილიურში ლათინურიდან არა პირდაპირი გზით, არამედ კატალანურის

¹ Antonio Quilis Morales: "Fonética histórica y fonología diacrónica", Madrid, 2005, გვ. 150.

გავლით დამკვიდრებულიყო, რადგან როგორც ვიცით, დღევანდელი კატალონიის ტერიტორიაზე გავრცელებულ ხალხურ ლათინურში არ მომხდარა თავკიდური კომპლექსების პალატალიზაცია. ლათ. platea - კატალ. plaça - ესპ. plaza. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ pl-, kl-, fl- კომპლექსების მდგრადობა ზოგ შემთხვევაში აიხსნება მათი მატარებელი სიტყვების ესპანეთში არა ხალხური, არამედ სალიტერატურო ლათინურის გზით გავრცელებით: ლათ. clavicula - ესპ. clavija, ლათ. pluma - ესპ. pluma, ლათ. flore - ესპ. flor.

ლათინურისაგან ესპანურმა არც p,t,k თანხმოვნები მიიღო. პრერომანულის გავლენით მოხდა მათი გამჟღერება: ლათ. lupu - ესპ. lobo, ლათ. totu - ესპ. todo, ლათ. ficu - ესპ. higo. როგორც ანტონიო ტოვარი ამბობს, საქმე ამჯერად კელტურ ენასთან გვაქვს. ამ დასკვნას იგი აკეთებს პირენეის ნახევარკუნძულზე კელტებით დასახლებულ რეგიონებში აღმოჩენილ რამდენიმე სიტყვაზე დაყრდნობით, სადაც ლათინური სიტყვები ინტერვოკალურ პოზიციაში გამჟღერებული ყრუ თანხმოვნებით გამოირჩევიან. სონორიზაციის იგივე ახსნა აქვთ სხვა ლინგვისტებსაც. ისინიც ფიქრობენ, რომ აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა კელტებს უკავშირდება და რომ გამჟღერების უძველესი მაგალითები აღმოჩენილია არა მარტო ესპანეთის, არამედ ზოგადად იმპერიის იმ რეგიონებში, სადაც კელტები სახლობდნენ [Morales, 2005:131].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყრუ თანხმოვნების გამჟღერება ხდება არა მარტო მონოფონემურ პოზიციაში, არამედ იგი შესაძლოა დაფიქსირდეს მაშინაც, როცა ყრუ კონსონანტი წარმოადგენს ბინარული კომპლექსის ერთ-ერთ ელემენტს. მაგ: ლათ. crupta - ესპ. gruta, ლათ. prunum - ესპ. bruno და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანურ ენაზე პრერომანული გავლენა ყველაზე ნათლად ფონეტიკურ ასპექტში ჩანს, პრერომანული ლინგვისტური სუბსტრატი შეიმჩნევა ესპანური ენის მორფოლოგიასა და სინტაქსზეც. თუმცა, არცთუ ისე დიდია მისი კვალი.

პრერომანული ენების კვალი იგრძნობა სუფიქსებთან: -arro, -orro, -urro: buharro (ყვავი), machorro (ცხვარი, რომელსაც სხვადასხვა დღესასწაულებზე კლავდნენ), baturro (გაუთლელი) და ა.შ იბერიული წარმოშობისაა კიდევ ერთი ბოლოსართი - etar, რომელიც სავარაუდოდ ეთნიკურობისა და წარმომავლობის

აღმნიშვნელია. მაგ: *arrestar* - ნიშნავს არესში მაცხოვრებელს ან იქიდან წამოსულ კაცს.¹

მთელ რიგ ლათინურ სიტყვებში, ძირითადად კი ბოლოკიდურ პოზიციაში, დაიკარგა კონსონანტი *m*. ლათინური აკუზატიური (ბრალდებითი) ბრუნვის ნიშნის – *m*-ს დაკარგვამ საგრძნობლად არია კასტილიური ენის სინტაქსი, რომელიც საბოლოოდ დალაგდა ანტონიო დე ნებრიხას, 1492 წელს გამოქვეყნებული ესპანური ენის გრამატიკით. სწორედ ამ წიგნით განისაზღვრა ესპანურ წინადადებაში სიტყვათა მკაცრი წყობა, რადგან დაქვემდებარებითი ურთიერთობის მორფოლოგიური მაჩვენებელი სიტყვიდან წინდებულ *a*-ში გადავიდა.

პრერომანული ენების კვალი შეიმჩნევა ესპანურ ლექსიკაზეც, რაც სავსებით ლოგიკურია ლათინურისა და ამ ენების ხანგრძლივი თანაცხოვრების გამო. პრერომანული წარმოშობის სიტყვები გვხვდება სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიაში, მცენარეთა და ცხოველთა დასახელებებში, ტოპონიმიკასა და სხვადასხვა სახის ლექსიკაში. კელტური წარმოშობის სიტყვებში რაღაც პენი აერთიანებს შემდეგ ვოკაბულებს: *álamo* ვერხვი, *bota* ყელიანი ფეხსაცმელი, *brezo* ერიკა (ბოტ.), *gancho* კაუჭი, *losa* ქვის ფილა და ა.შ., ხოლო ბასკური ძირის მქონე სიტყვებში მოიხსენიებს: *narria* მარხილი, *urraca* კაჭკაჭი, *cachorro* ლეკვი, და ა.შ.

ესპანური ენის ლექსიკაზე აისახა პირენეის ნახევარკუნძულზე სავაჭრო მიზნებით მისული ბერძნების ენის გავლენაც. ელინიზმებს ძირითადად ფილოსოფიასთან, მუსიკასთან, პოეზიასთან და ლიტერატურასთან დაკავშირებული ტერმინები წარმოადგენს: *filosofía* ფილოსოფია, *música* მუსიკა, *poeta* პოეტი, *tragedia* ტრაგედია, *comedia* კომედია და სხვ. ბერძნულ ენას უკავშირდება ესპანურში გავრცელებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების სიტყვების ეტიმოლოგიაც: *cuchara* კოვზი, *lámpara* ლამპა, *saco* ტომარა და სხვ.

V საუკუნის დასაწყისის უჩვეულო ყინვებით გამოწვეულმა მოსავლის სიმცირემ და ჰუნების ზეწოლამ, მდ. რაინის ნაპირებზე მცხოვრებ ბარბაროსებს ევროპის სამხრეთით გადასახლებისკენ უბიძგა. ესენი იყვნენ ვანდალები, სვევები და ალანები, რომლებიც ჩრდილოეთ ესპანეთში 407 წლიდან სახლობდნენ. გერმანიკული ტომების სამხრეთით მიგრაციამ რომის იმპერიას, რომლის

¹ Ares – ერთ-ერთი სოფლის სახელი.

ძალაუფლებაც ნახევარკუნძულზე დღითიდღე სუსტდებოდა, სხვა გერმანიკულ ტომებთან, კერძოდ ვესტგოთებთან, ალიანსის შექმნა გადააწყვეტინა, რათა დაეცვათ რომის ინტერესები ესპანეთში ჩასახლებულ გერმანიკულ ტომთა წინაშე. 427 წელს თეოდორის I-ის (418-451წწ.) მეთაურობით ვესტგოთთა ჯარი შედის ნახევარკუნძულზე და ამარცხებს ბარბაროსებს. ვანდალები, ალანებთან ერთად, ტოვებენ პირენეის ნახევარკუნძულს. სვევები კი ესპანეთის ჩრდილოეთს აფარებენ თავს, სადაც აარსებენ სამეფოს, რომელიც მხოლოდ ერთი საუკუნე ახერხებს არსებობას. აღნიშნული გამარჯვებით ვესტგოთები ადგილობრივების კეთილგანწყობას იმსახურებენ, რაც საფუძველს უდებს ესპანეთში ვესტგოთთა მიგრაციის ზრდას.

პირენეის ნახევარკუნძულზე ვესტგოთებმა შეიტანეს საკუთარი ენაც, მაგრამ იმდენად სწრაფად მოხდა მათი ასიმილაცია ადგილობრივ ხალხებთან, რომ მათ დაივიწყეს საკუთარი ენა და დაიწყეს ლათინურის გამოყენება. რ. მენენდეს პიდალი ვესტგოთთა სწრაფ ასიმილაციას იმით ხსნის, რომ ესპანეთში შემოსვლამდე მათ ჰქონიათ საკმაოდ ახლო, ხან მოკავშირული და ხანაც მტრული, ურთიერთობები რომაელებთან [Menéndez Pidal, 1977:19].

მიუხედავად იმისა, რომ ლათინურ-ვესტგოთური ბილინგვური პერიოდი ესპანეთში თითქმის არ ყოფილა, ვესტგოთთა ენამ გარკვეული კვალი მაინც დატოვა ესპანურ ენაზე როგორც ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიური და ლექსიკური თვალსაზრისით. თუმცა, ვესტგოთური გავლენა პრერომანულ სუბსტრატთან შედარებით მცირეა.

გოთური წარმოშობის არის სუფიქსი *ing*, რომელიც მოგვიანებით გადადის *engo*-ში. აღნიშნული სუფიქსის მატარებელ სიტყვებში ლაპესა მოიხსენიებს *abadengo* აბატის კუთვნილი ტერიტორია ან ქონება, *realengo* სახელმწიფოს კუთვნილი მიწა და *abolengo* საგვარეულო'-ს. ამავე ჩამონათვალს იზიარებს რაღაც პენი, რომელიც იმავედროულად ყურადღებას ამახვილებს ესპანეთში ფართოდ გავრცელებულ პატრონიმულ *-ez* და *-oz* ბოლოსართებზე. აღსანიშნავია, რომ ეს სუფიქსები მხოლოდ ისეთ გვარებში გვხვდება, რომელთა ძირსაც წარმოადგენს გერმანული საკუთარი სახელი (მაგ: როდრიგო, ფერნანდო და სხვ). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სუფიქსები "*hijo de*"-ს (ანუ ვიდაცის შვილს) ნიშნავს, გვარები *Fernández*, *Martínez*, *Pérez*, *Ramírez* უნდა

ითარგმნოს როგორც, ფერნანდოს, მარტინის, პედროს, რამიროს შვილები ან შთამომავლები.

მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტთა შორის უფრო მისაღებია ez და oz სუფიქსის გერმანიკული წარმომავლობა, რაფაელ ლაპესა ვარაუდობს მის შესაძლო პრეროდანულ ძირსაც, რადგან იგივე პატრონიმული ბოლოსართები არ გვხვდება სხვა ენებში [Lapesa, 1981:45].

ყველაზე დიდი გავლენა ვესტგოთების ენის ესპანურ ლექსიკაში შეიმჩნევა. ვესტგოთური წარმოშობის სიტყვები გვხვდება ესპანური ენის როგორც სავაჭრო, სამეურნეო, საომარ და საყოფაცხოვრებო, ასევე იურიდიულ ტერმინოლოგიაში: yelmo მუზარადი', tregua ზავი', dardo შუბი', banco სკამი', guante ხელთათმანი', ropa ტანსაცმელი', tapa თავსახური', guardar შენახვა', robar მოპარვა', guarnir მორთვა', sala სასტუმრო ოთახი' და სხვ.

გერმანიკული სიტყვების ერთი ნაწილი ესპანურში გადავიდა ვარირების გარეშე, ხოლო მეორე ნაწილმა განიცადა სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილებები და მიიღო ესპანურ წარმოთქმასთან უფრო ახლოს მდგომი და ადგილობრივებისათვის უფრო მარტივად წარმოსათქმელი ფორმები. გერმანიკული წარმოშობის სიტყვებმა, ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს, განიცადეს რამდენიმე ცვლილება. მათ შორისაა: ეტიმონის დონეზე არსებულ ბოლოკიდურ თანხმოვანთკომპლექსზე ხმოვნის ჩამატება (gans - ganso) და მისთვის პოზიციის შეცვლა სიტყვაში; პოლიკონსონანტური კომპლექსის გამარტივება (ანუ ბინარულად ქცევა) ხმოვნის ჩამატების შედეგად (burgs - burgos); ვხვდებით sk-ზე დაწყებული სიტყვის თავში ხმოვნის ჩამატებას (skiran - esquilar). მართალია, mb კონსონანტური კომპლექსი ლათინური ეტიმონის დონეზე გვხვდება და ესპანურ კორელატში მდგრადობის მაღალი მაჩვენებლით გადადის, ორიოდე სიტყვაში მოხდა მისი გამარტივება. ლათ. palumbes ვესტგოთთა ენის გავლენით მარტივდება და გვაძლევს paloma-ს.

აღნიშნული ფონეტიკური ვარირება ის ერთ-ერთი იშვიათი მოვლენაა, როცა ვესტგოთების ენა გავლენას ახდენს სიტყვის ლათინურ ვარიანტზე, და პირიქით, არ ექვემდებარება ლათინურ წარმოთქმას. ესპანურმა რომანსემ უცვლელი ფორმით მიიღო ინტერვოკალურ პოზიციაში მყოფი ყრუ კონსონანტის მატარებელი რამდენიმე სიტყვაც. როგორც ვიცით, ყრუ თანხმოვნები აღნიშნულ პოზიციაში უძველესი დროიდან იყვნენ გამჟღერებისაკენ მიდრეკილნი, თუმცა,

გერმანიკული ეტიმონის მქონე სიტყვებში ისინი მდგრადობას ინარჩუნებენ: rapar 'შეჭრა, გაპარსვა', brotar 'ყლორტების გამოღება', espeto 'შამფური'. როგორც რაფაელ ლაპესა აღნიშნავს, გოთური ბგერები ინტერვოკალურ პოზიციაში უფრო თავსებადი აღმოჩნდა ესპანური რომანსესათვის, ვიდრე ლათინური.

711 წელს პირენეის ნახევარკუნძული დაიკავეს არაბებმა. მათ სულ რამდენიმე წელიწადში დაიპყრეს თითქმის მთელი ესპანეთი და ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი რამდენიმე საუკუნის მანძილზე არაბული კულტურისა და ენის გავლენის ქვეშ მოაქციეს. ესპანური რომანსესა და არაბული ენის რვასაუკუნოვან თანაცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. სწორედ არაბული ელემენტი იყო, ლათინურის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი ესპანური ენისათვის, განსაკუთრებით კი მისი ლექსიკისათვის, სადაც 4 000 სიტყვაა არაბული წარმოშობის.

არაბული ეტიმოლოგიის სიტყვებში ვხვდებით როგორც ომის, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის თემატიკას, ასევე იურიდიულ, მათემატიკურ, სამედიცინო და ასტრონომიულ ტერმინოლოგიას: aceifa 'სამხედრო ექსპედიცია', adarga 'ფარი', azud 'სარწყავი სისტემა', almacén 'მაღაზია', alcalde 'მერი', cifra 'ციფრი', jarabe 'სიროფი', acimut 'აზიმუტი' და ა.შ.¹ არაბულიდან ესპანურში შემოვიდა რამდენიმე წინდებული და შორისდებულიც.

მიუხედავად იმისა, რომ არაბული გავლენა ყველაზე თვალსაჩინოა ესპანური ენის ლექსიკურ დონეზე, უნდა აღინიშნოს ისიც, თუ რა კვალი დატოვა ამ ენამ კასტილიური ენის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ სისტემებზეც.

არაბულ ენას მენედეს პიდალი უკავშირებს შემდეგ ფონეტიკურ მოვლენებს: რამდენიმე ლათინური და ბერძნული წარმოშობის სიტყვაში, რომელთაც s და p კონსონანტი აქვთ სიტყვის თავში, მოხდა მათი ჩანაცვლება არაბული j და b-თი. სწორედ არაბულს უკავშირდება ესპანური jibia-ს აღნიშნული ფორმით დამკვიდრება კასტილიურში. ბერძ. sepia ჯერ ლათ. sepia-ს გადაღვეს, შემდეგ კი ვიღებთ jibia-ს. რამდენიმე სიტყვაში თავკიდური კონსონანტის ვარიანტის გარდა, მოხდა ხმოვნის დამატებაც: ლათ. satureia - ესპ. ajedrea. რაც შეეხება ლათინურ p-ს, იგი არაბულის გავლენით რამდენიმე სიტყვაში გამჟღერდა, რადგან არაბებს არ ჰქონდათ თანხმოვანი p:

¹ არაბიზმების ვრცელი ჩამონათვალი იხ. ც. ახვლედიანი, მ. კობეშავიძე: "ესპანური ენის ისტორია", 2009, გვ. 46-47.

ლათ. *praecoquum* - ესპ. *albaricoque*, ლათ. *persicum* - ესპ. *albérbigo* [Menéndez Pidal, 1977: 23-24]. აღსანიშნავია, რომ ყრუ თანხმოვნის გამჟღერების გარდა, ლათინური სიტყვის ესპანურ ვარიანტში გვაქვს არაბული არტიკლის სიტყვის განუყოფელ ნაწილად ქცევაც. როგორც ვხედავთ, ესპანური ენის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფონეტიკური მოვლენა - ყრუ p-ს გამჟღერება უკავშირდება არა მარტო პრეროდანულ სუბსტრატს, არამედ არაბულ გავლენასაც.

თუმცა, გვაქვს განსხვავებაც: თუ პრეროდანულის გავლენით აიხსნება მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში მყოფი კონსონანტის ან ბინარული კომპლექსის ერთ-ერთი, ყრუ ელემენტის გამჟღერება, არაბულით აიხსნება, თავკიდურ პოზიციაში მყოფი და ისიც მხოლოდ ერთი – p კონსონანტის გამჟღერება. არაბულის გავლენით აიხსნება კიდევ ერთი ფონეტიკური ვარიანტი: ლათინური st კონსონანტური კომპლექსი ესპანურში გვაძლევს z-ს: ლათ. *pastinaca* - ესპ. *biznaga*.

არაბული გავლენა გვაქვს ესპანურ მორფოლოგიაშიც. არაბული არტიკლი *al*, რომელიც ესპანურ ენაში შესაბამის არსებით სახელთან ერთად მკვიდრდებოდა, დროთა განმავლობაში კარგავს არტიკლის ფუნქციას და ხდება სიტყვის ნაწილი, რამაც კასტილიურ ენაში ახალი არტიკლის გამოყენება მოითხოვა: *al agrab* - *alacrán*, ხოლო თუ მას ესპანურ არტიკლსაც დავუმატებთ, მივიღებთ *un alacrán*-ს. საკმაოდ გავრცელებულია ესპანურში არაბული სუფიქსი *i*. მას ვხვდებით როგორც ზედსართავ სახელებთან, ასევე ნაციონალურობის აღმნიშვნელ სიტყვებთან: *baladí* 'უმნიშვნელო', *iraní* 'ირანელი' და სხვ. არაბული ბოლოსართი *i* დაფიქსირებულია შუა საუკუნეებში გავრცელებულ შემდეგ ტერმინშიც: "*La era alfonsí*", რაც აშკარა კავშირშია ალფონსო X-ის მეფობასთან. როგორც ვხედავთ, არაბებისათვის უცხო არც საკუთარი სახელებიდან ზედსართავი სახელის წარმოება იყო.

არაბული კვალი შუა საუკუნეების ესპანურის სინტაქსზეც შეიმჩნევა. ტოლედოს მთარგმნელთა სკოლაში შესრულებული არაერთი არაბული ნაწარმოების ესპანურ თარგმანში შეიმჩნევა წინდებულის მახვილიან პირის ნაცვალსახელთან (*a + él*) და კუთვნილებითი ნაცვალსახელის მაგივრად *de +* პირის ნაცვალსახელის გამოყენება. ასევე ვხვდებით პლეონასტიკურ (ორმაგ) კუთვნილებას (*su vida del hermanitanno*) და კავშირი *que*-ს ხშირ გამოყენებას, რაც

მიუთითებს იმაზე, რომ მთარგმნელები აქტიურად იყენებდნენ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებებს და ჩართულ ფრაზებს. ჩამოთვლილთაგან ბოლო მოვლენა აქტუალურია დღევანდელ ესპანურშიც.

ესპანეთის ჰაბსბურგთა დინასტიის ბოლო წარმომადგენლის, კარლოს II-ის მემკვიდრის გარეშე გარდაცვალების შემდეგ (1701წ.), ესპანეთის სამეფო ტახტი ფრანგმა ბურბონებმა დაიკავეს. ესპანეთის მეფე გახდა, კარლოს II-ის ყველაზე ახლო ნათესავი და ლუი XIV-ის შვილიშვილი ფილიპე, რომელიც ისტორიაში ფილიპე V-ის სახელით შევიდა. ფრანგი მონარქის გამეფებას ბუნებრივია მოჰყვა ესპანელთა აღშფოთება და დაიწყო ბრძოლა კარლოს II-ის მემკვიდრეობისათვის. ბრძოლა ესპანეთის ფარგლებსაც გასცდა და მასში აქტიურად ჩაება ინგლისი და ევროპის სხვა მნიშვნელოვანი ქვეყნები, რომელთაც არ აწყობდათ ფრანგულ-ესპანური ალიანსის ჩამოყალიბება. ბრძოლა ესპანეთისათვის დასრულდა უტრეხტის ხელშეკრულების გაფორმებით, რომლის მიხედვითაც, ესპანეთის მეფედ ერთხმად აღიარეს ფრანგი ფილიპე V. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ავსტრია. თუმცა, ისიც მალევე (დაახლ. 1725 წელს) შეუერთა ხელშეკრულებას.

ფრანგული დინასტიის გამეფებას პირენეის ნახევარკუნულზე, ბუნებრივია, მოჰყვა ფრანგული ენის გავრცელებაც. ფრანგულის კვალი ძირითადად ესპანური ენის ლექსიკაზე აისახა, რაც ბუნებრივია ორი ენის თანაცხოვრების დროს. თუმცა, არ გვაქვს მისი (ფრანგულის) გავლენა ესპანურ ფონეტიკასა და მორფოლოგიაზე, რადგან ამ პერიოდის ესპანურს უკვე ჰქონდა კარგად ჩამოყალიბებული ფონეტიკური და გრამატიკული სტრუქტურა და უკვე რთული იყო, რომ რომელიმე გარეშე ენას კასტილიურზე ამ სახის გავლენა მოეხდინა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესპანურში გალიციზმების შესვლას მანამდეც ჰქონდა ადგილი. ადრეული გალიციზმების სახელით ცნობილი, ფრანგული ეტიმოლოგიის მქონე სიტყვები (*paje* პაჟი', *jardín* ეხო', *cofre* სკივრი', *jaula* გალია' და სხვ.), რომლებიც ანტონიო ნებრიხას ლექსიკონშია (1492წ.) მოხსენიებული, კასტილიურში ფრანგული ლიტერატურის გზით დამკვიდრდა. უფრო გვიანდელი პერიოდის გალიციზმებად კი მოიხსენიებენ: *coqueta* კეკლუცი', *bufete* უჯრებიანი საწერი მაგიდა' და სხვა სიტყვებს [Menéndez Pidal, 1977:24-25]. გალიციზმებს შორის არის ისეთი სიტყვებიც, რომელთა ეტიმოლოგიის

კვლევისასაც მიყვარათ ლათინურ ან ბერძნულ ძირთან. თუმცა, ისინი ესპანურში არა პირდაპირი გზით, არამედ ფრანგულის გავლით დამკვიდრდნენ.

კასტილიურ ენაზე ლექსიკური გავლენა მოახდინა იტალიურმა ენამაც, რაც განპირობებული იყო ისტორიული და კულტურული გარემოებებით. ესპანურ-იტალიურ ომებსა და რამდენიმე იტალიურ სამეფოში ესპანელთა გაბატონებასთან ახლავს რენესანსის პერიოდი, რომლის დროსაც იტალიური კულტურა მწვერვალებს იპყრობს. იტალიურ ძირს უკავშირდება ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული სიტყვები: soneto სონატა', humanista ჰუმანისტი', comediante კომედიანტი', caricatura კარიკატურა', diseño დიზაინი', grotesco გროტესკული', balcón აივანი', barítono ბარიტონი', soprano სოპრანო', tenor ტენორი', piano ფორტეპიანო', aria არია', cantata კანტატა', opera ოპერა', charlatán შარლატანი' და ა.შ.

ესპანურ ენაში გვაქვს არაერთი ანგლიციზმიც, რაც გამოიწვია XX საუკუნის მსოფლიოში ამ ენის უდიდესმა და მნიშვნელოვანმა გავლენამ. ანგლიციზმები ძირითადად გვხვდება სპორტულ ტერმინოლოგიაში: beisbol, bingo, boxeo, corner, derby, futbol, gol, golf, pórquer, surf; მუსიკალური მიმდინარეობების დასახელებებში: jazz, hip-hop, rap, rock, soul; სატრანსპორტო საშუალებების დასახელებებში: autobús, autocar, tranvía, yate და პროფესიებთან: baby-sitter, bróker, mánager, detective. ასევე, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში: monitor, vídeo.

კასტილიურში შევიდა ნახევარკუნძულზე გავრცელებული, ხალხური ლათინურის ევოლუციის შედეგად მიღებული, კატალანური, გალისიური სიტყვებიც, რაც განპირობებული იყო ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორებით. სამეფოების გეოგრაფიულმა მეზობლობამ და ესპანეთის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მათი ერთმანეთის მმართველობის ქვეშ მოქცევამ განაპირობა, რომ გარკვეული სიტყვების ჩამონათვალი ესპანურში დამკვიდრდა ნახევარკუნძულზე გავრცელებული სხვა, ოღონდ ისევ ხალხური ლათინურიდან მომდინარე ენებიდან. გალისიურიდან,¹ რომელიც შუა საუკუნეებში პოეზიის ენად მიიჩნეოდა, კასტილიურში დამკვიდრდა შემდეგი სიტყვები: chubasco თავსხმა წვიმა', vigía მაღალი სათვალთვალო კოშკი' და სხვ. კატალანურიდან

¹ გალისიური და პორტუგალიური შუა საუკუნეებში ერთ ენას წარმოადგენდა. შემდგომში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, ეს ენა დაიყო ორ განშტოებად და დღეს უკვე ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ენა გვაქვს.

კი მივიღეთ კულინარიული და საზღვაოსნო ტერმინოლოგია: paella ერთ-ერთი ესპანური საჭმლის დასახელება', buque ხომალდი', timonel გემის მესაჭე' და ა.შ.

III თავი

ლათინური ენის ფონოტაქტიკური სისტემა

(თავკიდური, შუა და ბოლოკიდური კონსონანტური კომპლექსები)

ყველასათვის ცნობილია, რომ ლათინური ესპანურისათვის ფუძე-ენას წარმოადგენს. სწორედ პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელებული ლათინურიდან მივიღეთ დღევანდელი ესპანური ენა, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რომანული ენების ჩამონათვალში. გამომდინარე იქიდან, რომ ლათინური ესპანურისათვის ფუძე-ენაა, მართებლად მივიჩნიეთ ცალკე თავი დაგვეთმო ამ უძველესი ენის ფონეტიკის, კერძოდ კი - მისი კონსონანტური სისტემის დახასიათებისათვის და განგვესაზღვრა, რომელი თანხმოვანთკომპლექსები იყო ლათინურისათვის დამახასიათებელი მისი ისტორიის ადრეულ ეტაპზე. ამასთანავე, ვთვლით, რომ არქაული ლათინურისათვის დამახასიათებელი თანხმოვანთჯგუფების კონსტანტურობისა და ვარიაციულობის განსაზღვრა უფრო სრულყოფილს გახდის ესპანური ფონოტაქტიკური სისტემის კვლევას. ამ თავის მიზანია დავადგინოთ რომელმა თანხმოვანთჯგუფებმა განიცადა ტრანსფორმაცია ლათინური ენის დონეზე (ესპანურ ენაში დამკვიდრებამდე) და რომელი კომპლექსები გამოირჩევა სტაბილურობის მაღალი ხარისხით. მათ დახასიათებას მოვახდენთ სიტყვაში მათი პოზიციის მიხედვით და თანამიმდევრულად განვიხილავთ თავკიდურ, შუა კონსონანტურ და ბოლოკიდურ კომპლექსებს.

ლათინური კონსონანტური სისტემა არაერთი ენათმეცნიერისათვის იყო აქტუალური საკითხი. მათ შორის იყო რაღაც პენი, რომელმაც ლათინური თანხმოვანთსისტემა შემდეგნაირად წარმოგვიდგინა:¹

¹ Ralph Penny: " Gramática histórica del español", Ariel, Barcelona, 2008

	ლაბიალური	დენტალვეკოლარული	ველარული
ყრუ ოკლუზივები	/p/	/t/	/k/
მჟღერი ოკლუზივები	/b/	/d/	/g/
ყრუ ფრიკატივები	/f/	/s/	/h/
ნაზალები	/m/	/n/	
ლატერალები		/l/	
ვიბრანტები		/r/	

იქვე მითითებულია, რომ ზოგი ლინგვისტი ჩამოთვლილ ცამეტ ფონემას უმატებს კიდევ ორი ლაბიოველარს - /k^w/ და /g^w/; მათ შორის ერთ-ერთია ხოსე ხავიერ როდრიგეს ტორო, რომელმაც ლათინური ენის თანხმოვნები შემდეგნაირად გადაანაწილა:¹

- არტიკულაციის ხერხის მიხედვით: ა) ყრუ ოკლუზივები: /p/,/t/,/k/,/q^w/; ბ) მჟღერი ოკლუზივები: /b/,/d/,/g/,/g^w/; გ) ფრიკატივები: /f/,/s/,/h/; დ) ნარნარები: /l/,/r/; ე) ნაზალები: /m/,/n/;
- არტიკულაციის წერტილის მიხედვით: ა) ლაბიალურები: /p/,/b/,/f/,/m/; ბ) დენტალურები: /t/,/d/,/s/,/l/,/r/,/n/; გ) ველარულები: /k/,/g/ დ) ალვეოველარულები: /q^w/,/g^w/.

რაღფ პენი არ იზიარებს როდრიგეს ტოროს და მისი თანამოაზრე ენათმეცნიერების მიდგომას და /k^w/ და /g^w/-ს მიიჩნევს /k/ და /g/ ფონემებისა და ნახევართანხმოვანის კომბინაციად, რადგან აღნიშნული ბგერები ლათინურში გამოისახებოდა qu და gu ფორმებით [Penny,2008:79].

ლათინური ენის კონსონანტური სისტემა აქტუალური იყო რამონ მენენდეს პიდალის და ანტონიო კილის მორალესისთვისაც. მათი არაერთი ნაშრომი ეხება ლათინური კონსონანტური სისტემის დახასიათებას და თანხმოვნების კვლევას ლათინურიდან ესპანურ ენაში დამკვიდრებისას როგორც თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში.

¹ José Javier Rodríguez Toro : "Principales cambios ocurridos en el latín vulgar: El consonantismo", Madrid, 2005

სწორედ ამ არცთუ ისე მრავალრიცხოვანი კონსონანტებისაგან შედგებოდა თანხმოვანთჯგუფები ლათინურ ენაში. მათი უმრავლესობა ბინარული ჯგუფების სახით იყო წარმოდგენილი. თუმცა, გვაქვს რამდენიმე პოლიკონსონანტური (სამ და ოთხეულმენტიანი) კომპლექსიც.

ლათინური ფონოტაქტიკური სისტემის დახასიათებას დავიწყებთ თავკიდურ პოზიციაში მყოფი ბინარული თანხმოვანთჯგუფებით, ხოლო შემდეგ განვიხილავთ პოლიკონსონანტურ კომპლექსებს.

მიუხედავად იმისა, რომ თავკიდური თანხმოვანთკომპლექსები უკვე ლათინური ენის დონეზევე იყო ვარირებისაკენ, უფრო კონკრეტულად კი გამარტივებისაკენ მიდრეკილი, გვაქვს რამდენიმე ისეთი კონსონანტური კომპლექსიც, რომელთაც მდგრადობის მაღალი ხარისხი აქვთ. სწორედ ასეთ თანხმოვანთკომპლექსებს წარმოადგენენ ოკლუზივს + r, ოკლუზივს + l, ფრიკატივ f-ს + r ან l და ფრიკატივ s-ს + ყრუ ოკლუზივი კომბინაციები. სტაბილური თავკიდური კონსონანტური კომპლექსების ჩამონათვალი გამოიყურება შემდეგნაირად:

- Bl-: არქ. ლათ. blandus ლათ. blandus (ესპ. blando);
- Br-: არქ. ლათ. brevis ლათ. brevis (ესპ. - - - -);
- Fl-: არქ. ლათ. fluidus ლათ. fluidus (ესპ. fluido);
- Fr-: არქ. ლათ. fricare ლათ. fricare (ესპ. fregar);
- Gl-: არქ. ლათ. glans ლათ. glans (ესპ. glande);
- Gr-: არქ. ლათ. grus ლათ. grus (ესპ. grúa);
- Kl-: არქ. ლათ. cloaca ლათ. cloaca (ესპ. cloaca);
- Kr-: არქ. ლათ. cruentus ლათ. cruentus (ესპ. cruento);
- Pl-: არქ. ლათ. planus ლათ. planus (ესპ. plano);
- Pr-: არქ. ლათ. primus ლათ. primus (ესპ. primo);
- Sp-: არქ. ლათ. sperare ლათ. sperare (ესპ. esperar);
- St-: არქ. ლათ. stare ლათ. stare (ესპ. estar);
- Tr-: არქ. ლათ. trabs ლათ. trabs (ესპ. traba).

ჩამოთვლილ კონსონანტურ კომპლექსებს ლათინური ენის არცერთ ეტაპზე არ განუცდიათ ცვლილებები. რამდენიმე გამონაკლისის გარდა,¹ ისინი ვარირებას არც ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს დაექვემდებარნენ.

დაახლოებით იმავე რაოდენობის თანხმოვანთჯგუფებს მოიცავს ვარირებადი კონსონანტური კომპლექსების ჩამონათვალი. ისინი ორ ჯგუფად გადავანაწილეთ. პირველ ჯგუფში განვიხილეთ გამარტივებული ანუ ბინარულიდან მონოფონემურად გარდაქმნილი კომპლექსები, ხოლო მეორეში – ისეთი კომბინაციები, სადაც ერთ-ერთი ელემენტის ვარირება ფიქსირდება.

გამარტივებულ კონსონანტურ კომპლექსებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ისეთი კომბინაციები, რომელთა პირველ ელემენტსაც წარმოადგენს ყრუ ოკლუზივი: kt-, pt-, tl-. ამ კომპლექსებიდან იკარგება თავკიდური კონსონანტი და ვიღებთ ცალკე მდგომ თანხმოვანს. სამივე კომპლექსი არქაული ლათინურის დონეზე გამარტივდა, რისი დარწმუნებით თქმის საბაბსაც ვაძლევს სანტიაგო სეგურა მუნგიას ლათინურ-ესპანური ლექსიკონი,² სადაც არცერთი სიტყვა არ შეგვხვედრია kt-, pt-, tl- ჯგუფით თავკიდურ პოზიციაში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს Ctesifonte, რომელსაც ტოპონიმიკაში ვხვდებით.³

საინტერესოა ისეთი კომპლექსებიც, რომელთა პირველ ელემენტსაც ყრუ ფრიკატივი - s წარმოადგენს. იგი ბინარულ ჯგუფს არქაულ ლათინურში ქმნიდა ლატერალთან ან ნაზალტთან. Sl-, sm-, sn- კომბინაციები, ლათინური ენის მომდევნო ეტაპებზე, მხოლოდ გამარტივებული სახით გვხვდება, რაც ყრუ ფრიკატივის ამოვარდნით არის განპირობებული.

¹ Fl-, kl- და pl- კომპლექსები პრერომანული ენების გავლენით, ესპანურში განიცდიან პალატალიზაციას: clamare - llamar, flama - llama, plover - llover (Pl კომპლექსი ერთ სიტყვაში გადადის (ch)-ში (pluteus - choza) და იგი უშუალო კავშირშია გალისიურ ენასთან, რომელშიც აღნიშნული კომპლექსი ყველა შემთხვევაში ტრანსფორმირდა (ch)-დ). ესპანურ ენაში fl-, kl- და pl- კომპლექსები უცვლელი ფორმით მხოლოდ სალიტერატურო ლათინურიდან ან ფრანგული და ინგლისური ენებიდან შემოსულ სიტყვებში შენარჩუნდა; ორიოდ სიტყვაში გამარტივდა bl და gl კომპლექსები. კასტილიურ ენაში მათ მოგვცეს მონოფონემური ტრანსფორმაცია პირველი ელემენტის დაკარგვის ხარჯზე: blastemare - lastimar, glirone - lirón; ყრუ ელემენტის გამჟღერებას კი kr ჯგუფიან რამდენიმე ვოკაბულაში ვხვდებით: crupta - gruta, creta - greta. რაც შეეხება sp- და st- კომპლექსებს, მათთან მხოლოდ პოზიციის ცვლილებას ვხვდებით. პროთეტიკული ხმოვნის ხარჯზე ისინი თავკიდურიდან შუა კონსონანტურ კომპლექსებად ტრანსფორმირდნენ. ორიოდ სიტყვაში გამჟღერდა pr კომპლექსის პირველი ელემენტიც: prunum - bruno.

² Santiago Segura Munguía: "Nuevo diccionario etimológico latín-español y de las voces derivadas", Bilbao, 2010.

³ ქტესიფონი – ძველი მესოპოტამიის ერთ-ერთი ქალაქი, რომლის ნანგრევებიც დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზეა.

არქაულ ლათინურში, იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებდნენ კომბინაციას მქლერ ოკლუზივს + ნაზალური. Gn- და dn- თანხმოვანთკომპლექსების გამარტივებაც პირველ ელემენტის გაუჩინარებას უკავშირდება.

იქიდან გამომდინარე, რომ ლათინურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ჩამოთვლილი კონსონანტური კომპლექსები ამავე ენის დონეზევე გამარტივდნენ, ესპანური ენაში ისინი სახეცვლილი ფორმით გადავიდნენ, რის გამოც ლათინური წარმოშობის არცერთ ვოკაბულაში არ ვხვდებით მათ თავიკიდურ პოზიციაში. იმავეს ვერ ვიტყვით არალათინური ეტიმონის მქონე სიტყვებზე. მასალის კვლევის დროს, gn- კომპლექსს ესპანური ენის დონეზე მხოლოდ გვიანი პერიოდის არალათინური (ბერძნული და გერმანული) წარმოშობის სიტყვებში შევხვდით: ბერძ. *gnomikos* - ესპ. *gnómico*, გერმ. *gneis* - ესპ. *gneis*. ბერძნული წარმოშობის მქონე სიტყვებში შენარჩუნდა sm- კომბინაცია: ბერძ. *smaragdus* - ესპ. *esmeralda*. არალათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით sl- და sn- კომპლექსებსაც, რომლებიც კასტილიურ ენაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დამკვიდრდა. ინგლისური წარმოშობის *slogan* (ან *eslogan*) და ამ ეტაპზე ბუნდოვანი ეტიმოლოგიის მქონე *snoob* ესპანურში ვარირების გარეშე გადავიდა.

ლათინური თავიკიდური კონსონანტური კომპლექსების მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ ისეთი კომბინაციები, რომელთა პირველი ელემენტიც ტრანსფორმირდა. მათ შორისაა: sr- და mr- კომბინაციები.

ეპოლეციის რთული გზა განვლო sr- კომპლექსმა. S, r-ს წინ, ჯერ გადავიდა p-ში, ხოლო შემდეგ მოგვცა f: sr- pr- fr-. ცვლილება გამოიწვია ცხვირისმიერი თანხმონის ნარნარასთან შეერთებამაც. Mr- კომპლექსმა მოგვცა br- კომბინაცია [ახვლედიანი ც., 2008:71].

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში კომპლექსის მეორე ელემენტი არის ვიბრანტი r, რომელიც ვერ შეეწყო ვერც ნაზალს და ვერც ყრუ ფრიკატივს (და ყრუ ოკლუზივს). აი, ასე გამოიყურება ლათინური ენის დონეზე ვარირებადი კომპლექსები.

პირველი ჯგუფი:

- Dn- n-: არქ. ლათ. *dnuk* ლათ. *nux* (ესპ. *nuez*);
- Gn - n-: არქ. ლათ. *gnatus* ლათ. *natus* (ესპ. *nato*);

- Kt- t-: არქ. ლათ. ctunica ლათ. tunica (ესპ. túnica);
- Pt- t-: არქ. ლათ. ptisana ლათ. tisana (ესპ. tisana);
- Sl- l-: არქ. ლათ. slubricus ლათ. lubricus (ესპ. lúbrico);
- Sm- m-: არქ. ლათ. smica ლათ. mica (ესპ. miga);
- Sn- n -: არქ. ლათ. snusos ლათ. nurus (ესპ. nuera);
- Tl- l-: არქ. ლათ. tlatos ლათ. latus (ესპ. lato).

მეორე ჯგუფი:

- Sr- pr- fr-: არქ. ლათ. srigos prigos ლათ. frigus (ესპ. frío);
- Mr- br-: არქ. ლათ. mreghuis ლათ. brevis (ესპ. breve).

მიუხედავად იმისა, რომ არქაულ ლათინურში ძირითადად ბინარული კონსონანტური კომპლექსები გვხვდება, გვაქვს რამდენიმე სამეღმენტიანი ჯგუფიც. Skr-, spl-, str-, stl- კომპლექსებიდან skr-, spl- და str- აღმოჩნდა სტაბილური, რომლებიც კონსტანტურობის ხარისხს ესპანურშიც ინარჩუნებენ (თუ არ ჩავთვლით პროთეტიკული ხმოვნის დამატებით სიტყვაში მათი პოზიციის შეცვლას). მათ შორის ყველაზე იშვიათია spl კომპლექსი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე და ისიც ერთი ძირიდან მომდინარე სიტყვებში გვხვდება (splendere, splendidus, splendor). იგი არცერთ ვოკაბულაში არ ვარირებს.

ყველაზე ვარირებადი აღმოჩნდა stl- კომპლექსი.¹ იგი რამდენიმე სიტყვაში ჯერ ორეღმენტიან კომპლექსად, ხოლო შემდეგ მონოფონემურად იქცა. რამდენიმე ვოკაბულაში კი პირდაპირ მონოფონემურად ტრანსფორმირდა.

როგორც ვხედავთ, ლათინურ თავკიდურ სამეღმენტიან კონსონანტურ კომპლექსებს ახასიათებდა შემდეგი თანმიმდევრობა: S + ყრუ ოკლუზივი (p,t,k) + ვიბრანტი ან ლატერალი (r ან l). ყველაზე არამდგრადი კი მათ შორის აღმოჩნდა შემდეგი თანამიმდევრობა: S + t + l. Str, skr და spl კომპლექსებმა ვარირება ევოლუციის არცერთ ეტაპზე არ განიცადა. ლათინური სამეღმენტიანი თავკიდური ჯგუფების ჩამონათვალი გამოიყურება შემდეგნაირად:

- Skr-: არქ. ლათ. scrotum ლათ. scrotum (ესპ. escroto);

¹ Stl კომპლექსი მხოლოდ ერთ სიტყვაში შენარჩუნდა ლათინურის დონეზე. თუმცა, ესპანურ ენაში გადასვლისას მაინც დაექვემდებარა ვარირებას. ვგულისხმობთ ლათ. stloppus, რომელმაც ესპანურში escopeta მოგვცა.

- Spl-: არქ. ლათ. splendor ლათ. splendor (ესპ. esplendor);
- Str-: არქ. ლათ. struma ლათ. struma (ესპ. estruma);
- Stl- sl- l-: არქ. ლათ. stlis slis ლათ. lis (ესპ. lid)
ან: stl- l-: არქ. ლათ. stlocus ლათ. locus (ესპ. luego).

გაცილებით მრავალფეროვანია შუა კონსონანტური კომპლექსების ისტორია ლათინურ ენაში. იმის მიუხედავად რომ მათი უმრავლესობა ვარირებას ექვემდებარება, გვაქვს რამდენიმე სტაბილური კომპლექსიც. ცვალებადი კომბინაციები დავყავით ოთხ ჯგუფად, რათა უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო თუ რომელმა ფონეტიკურმა ცვლილებებამ განაპირობა ამა თუ იმ კომპლექსის ვარირება.

ლათინური ენის ყველაზე მყარ კონსონანტურ კომპლექსებში გაგაერთიანეთ -kr-, -lt-, -rb-, -rd-, -rg-, -rm-, -sp-, -tr- თანამიმდევრობები. როგორც ვხედავთ, სტაბილური კომპლექსების უმრავლესობაში პირველ ან მეორე ელემენტს ვიბრანტი წარმოადგენს. ჩამოთვლილი კომბინაციები ვარირებას არც ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს განიცდიან. თუმცა, გვაქვს ორიოდე გამონაკლისი.¹ აი, ასე გამოიყურება აღნიშნული თანხმომავანთკომპლექსების ჩამონათვალი (მაგალითებითურთ) ლათინურ ენაში:

- -kr-: არქ. ლათ. procreator ლათ. procreator (ესპ. procreator);
- -lt-: არქ. ლათ. altus ლათ. altus (ესპ. alto);
- -rb-: არქ. ლათ. barba ლათ. barba (ესპ. barba);
- -rd-: არქ. ლათ. ardere ლათ. ardere (ესპ. arder);
- -rg-: არქ. ლათ. largus ლათ. largus (ესპ. largo);
- -rm-: არქ. ლათ. armarium ლათ. armarium (ესპ. armario);
- -sp-: არქ. ლათ. aspectus ლათ. aspectus (ესპ. aspecto);

როცა საარტიკულაციო ორგანოები დისკომფორტს განიცდიან ერთი თანხმომავნიდან მეორე თანხმომავანზე გადასვლისას, ხდება ორი ერთმანეთის მიყოლებით მდგომი ფონემის მიმსგავსება, რათა მათი წარმოთქმა გაადვილდეს.

¹ Lt კომპლექსმა მხოლოდ ერთ სიტყვაში განიცადა მეორე ელემენტის ვარირება. ლათ. altus-ის შედარებითი ფორმიდან - altius არის წარმოებული ზმნის საწყისი ფორმა altiare, რომელმაც ესპანურ კორელატში მოგვცა alzar; ორიოდე სიტყვაში კი დაფიქსირდა ვოკალიზაციის მოვლენა: saltu - sauto - soto; Rg კომბინაცია რამდენიმე სიტყვაში კომპლექსის მეორე ელემენტს კარგავს (argenteus - arienzo), ხოლო რამდენიმეში – მეორე ელემენტი ვარირებას განიცდის (argilla - arcilla); ორიოდე ვოკაბულაში გამჟღერდა tr კომპლექსის პირველი ელემენტი: ლათ. citrus - ესპ. cidro ან დაფიქსირდა კომპლექსის მონოფონემურად ქცევა: ბერძ. petroselinon - ლათ. petroselinum - ესპ. perejil.

სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფონეტიკური მოვლენა – ასიმილაცია, რომელიც, კონსონანტების მიმსგავსების ხარისხის მიხედვით, შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. ასიმილაცია შეიძლება იყოს პროგრესული და რეგრესულიც, რაც დამოკიდებულია წინმსწრები თანხმოვანი დაიმსგავსებს მომდევნოს თუ პირიქით.

სრული ასიმილაციის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებს წარმოადგენს შემდეგ კონსონანტური კომპლექსები: -bf-, -bg-, -df-, -dg-, -ds-, -dl-, -dr-, -kf-, -ls-, -ml-, -nr-, -pf-, -rl-, -rs-, -ts-. ასიმილაცია აღნიშნულ კომპლექსებთან ლათინური ენის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე დაფიქსირდა. მათ შორის ყველაზე ძველ პერიოდს მიეკუთვნება -ls- და -rs- კომპლექსები, რომლებიც ლათინური ენის ადრეულ ეტაპზევე ტრანსფორმირდნენ და ესპანურში უცვლელი ფორმით გადავიდნენ (არქ. ლათ. *velsi velle* - ესპ. *vello*, არქ. ლათ. *fersi ferre* - ესპ. *férreo*).¹

ლათინურის ადრეულ ეტაპზე ადგილი ჰქონდა ნაწილობრივი ასიმილაციის მოვლენასაც. სწორედ ნაწილობრივი ასიმილაციის ხარჯზე მივიღეთ -gt- კომპლექსიდან -kt- კომბინაცია. როგორც ვხედავთ, ნაწილობრივი ასიმილაცია გამოიწვია მჟღერი და ყრუ თანხმოვნების მეზობლობამ, სადაც ყრუ კონსონანტმა მჟღერი დააყრუა.

მეორე ქვეჯგუფში შევიყვანეთ ისეთი ორი კონსონანტური კომპლექსი, რომელთაც ორივე ელემენტი დაკარგეს ადრეულ ეტაპზე და ჯერ სრულიად განსხვავებული კონსონანტის გემინატად გადაიქცნენ, ხოლო შემდეგ მონოფონემურად ტრანსფორმირდნენ: -tt- -ss- -s- და -dt- (შესაძლოა, იგი ჯერ tt-ში გადასულიყო) -ss- -s-. ორივე შემთხვევას ენათმეცნიერები საერთო ინდოევროპულ მოვლენას უწოდებენ.

არქაული ლათინურის დონეზე დაფიქსირდა ყრუ კონსონანტის ისევ ყრუ თანხმოვნით ჩანაცვლება. სწორედ ეს შემთხვევა გვაქვს -tl- კომპლექსის ევოლუციისას, რომელიც ტრანსფორმირდა -kl-დ. რაც შეეხება kl კომპლექსს, ესპანურ ენაში გადასვლისას, იგი ხან შენარჩუნდა და ხანაც ვარირებას დაექვემდებარა.

¹ აღსანიშნავია, რომ ls კომპლექსი რამდენიმე სიტყვაში არ დაექვემდებარა ვარირებას და ესპანურ ენაში უცვლელი ფორმით გადავიდა: ლათ. *falsu* - ესპ. *falso*.

არქაული ლათინურის დონეზე დაფიქსირდა ნაზალების მონაცვლეობაც. მუდერი ოკლუზივის წინ მდგომი ნაზალი m გადადის n-ში: -md- -nd-, -mg- -ng-.

ამრიგად, ლათინურის ენის ყველაზე ვარირებადი შუა კონსონანტური ბინარული კომპლექსების ცხრილი გამოიყურება შემდეგნაირად:

პირველი ქვეჯგუფი:

- -bf- -ff-: ლათ. obfero ლათ. offero, offerre (ესპ. ofrecer);
- -bg- -gg-: ლათ. obgero ლათ. oggero (ესპ. - - -);
- -df- -ff-: ლათ. adfinis ლათ. affinis (ესპ. afín);
- -dg- -gg-: ლათ. adgero ლათ. aggero, aggere (ესპ. - - -);
- -ds- -ss-: ლათ. diuidsi ლათ. diuissi (ესპ. - - -);
- -dl- -ll-: ლათ. adloquor ლათ. alloquor (ესპ. - - -);
- -dr- -rr-: ლათ. adrogo ლათ. arrogo, arrogare (ესპ. arrogar);
- -kf- -ff-: ლათ. ecfero ლათ. effero, efferre (ესპ. - - -);
- -ls- -ll-: არქ. ლათ. velse ლათ. velle (ესპ. vello);
- -ml- -ll-: ლათ. comloquor ლათ. colloquor (ესპ. - - -);
- -nr- -rr-: ლათ. inrogo ლათ. irrigo, irrigare (ესპ. irrigar);
- -pf- -ff-: ლათ. op(i)ficina ლათ. officina (ესპ. oficina);
- -rl- -ll-: ლათ. perlacio ლათ. pellicio (ესპ. - - -);
- -rs- -rr-: არქ. ლათ. ferse ლათ. ferre (ესპ. férreo);
- -ts- -ss-: ლათ. concuitsi ლათ. concussio (ესპ. concusión);
- -gt- -kt-: არქ. ლათ. agtos ლათ. actus (ესპ. acto).

მეორე ქვეჯგუფი:

- -tt- -ss- -s-: არქ. ლათ. iuttos ლათ. iussus ლათ. iusus (ესპ. - - -);
- -dt- (tt?) -ss- -s-: არქ. ლათ. sedtos (settos?) ლათ. sessus ლათ. sesus (ესპ. - - -).

მესამე ქვეჯგუფი:

- -tl- -kl-: არქ. ლათ. vetla ლათ. vecla (ესპ. - - -).

მეოთხე ქვეჯგუფი:

- -md- -nd-: არქ. ლათ. eumdem ლათ. eundem (ესპ. - - -);

•-mg- -ng-: არქ. ლათ. comgero ლათ. conger (ესპ. congrio).

არქაულ ლათინურში ვხვდებით პოლიკონსონანტურ კომპლექსებსაც, რომლებიც გამარტივებისაკენ არის მიდრეკილი. არქაულ ლათინურში სამი თანხმოვანი ყველაზე ხშირად შემდეგი თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი: 1. მჟღერი ოკლუზივი + s + ყრუ ოკლუზივი; 2. ლატერალი + ყრუ ოკლუზივი + ყრუ ოკლუზივი; 3. ყრუ ოკლუზივი + s + ნაზალი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამივე შემთხვევა გამარტივებისაკენ არის მიდრეკილი. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ განსხვავებული პოზიციის თანხმოვნები იკარგება. პირველ შემთხვევაში s + ყრუ თანხმოვნის კომბინაციის წინ მდგომი კონსონანტი იკარგება: adspicio - aspicio; მეორე შემთხვევაში ლატერალს და მესამე თანხმოვანს შორის მდგომი ყრუ ოკლუზივი იკარგება: ulctos - ultus, ხოლო მესამეში - ისევ პირველი ანუ s + ნაზალი კომბინაციის წინ მდგომი ყრუ თანხმოვანი: loucsna - lousna. როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში დაიკარგა d, ხოლო მეორესა და მესამეში - k, რომელსაც ერთ სიტყვაში - მეორე, ხოლო მეორე სიტყვაში - პირველი პოზიცია უკავია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არქაული ლათინურის სამეწმენტიან კომპლექსებში ყველაზე სუსტი იყო პირველი და მეორე პოზიციის მატარებელი კონსონანტები. არქაულ ლათინურში გვაქვს ერთი ოთხეწმენტიანი კომპლექსიც, რომელიც მარტივდება არა ერთი თანხმოვნის ამოვარდნით, არამედ ორი თანხმოვნის დაკარგვით: -dksk- -sk- (didcsco disco)¹. ამრიგად, მივიღეთ შემდეგი სურათი:

- -dsp- -sp-: არქ. ლათ. adspirare ლათ. aspirare (ესპ. aspirar);
- -ksn- -sn-: არქ. ლათ. loucsna ლათ. lousna (ესპ. - - - -);
- -lkt- -lt-: არქ. ლათ. ulctos ლათ. ultus (ესპ. - - - -);
- -dksk- -sk-: არქ. ლათ. didssco ლათ. disco (ესპ. - - - -).

შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდებოდა ბოლოკიდური კონსონანტური კომპლექსები არქაულ ლათინურში. უძველეს მდგრად ორეწმენტიან კომპლექსებს წარმოადგენს: -bs, -lt, -ms, -nk, -ns, -nt, ps, -rs, -st. როგორც ვხედავთ, კონსონანტური კომპლექსი სტაბილურობას ლათინურში

¹ უიშვიათეს მოვლენას წარმოადგენდა ოთხეწმენტიანი კონსონანტური კომპლექსი არქაულ ლათინურ ენაში. მისი შედარებით ხშირი გამოყენება იწყება ლათინური ენის ისტორიის მომდევნო ეტაპებზე, როცა სამეწმენტიანი კომბინაციით დაწყებულ სიტყვებზე იწყებენ თანხმოვნით დაბოლოებული თავსართის დამატებას.

ინარჩუნებდა თუ იყო თანხმობის შემდეგი თანამიმდევრობა: 1. ოკლუზივს, ნაზალს ან ვიბრანტს + s (სწორედ ეს თანამიმდევრობა გვაქვს ჩამოთვლილთაგან პირველ, მესამე, მეხუთე, მეშვიდე და მერვე კომბინაციებში); 2. კონსონანტს + t (მეორე, მეექვსე და მეცხრე თანხმობანთჯგუფები); 3. ნაზალს + k (მეოთხე კონსონანტური კომპლექსი).

ლათინურში მდგრად კომბინაციებს სტაბილურობა არ შეუნარჩუნებიათ ესპანურში. ერთ-ერთი თანხმობის დაკარგვის ან ტრანსფორმაციის გარდა, ესპანურში მოხდა სიტყვის ბოლოს ხმოვნის დამატება, რამაც პოზიციური ვარირება გამოიწვია.

ბოლოკიდური კომპლექსების სტაბილურობა კარგად ჩანს შემდეგ ცხრილში:

- -bs -bs: არქ. ლათ. plebs ლათ. plebs (ესპ. plebe);
- -lt -lt: არქ. ლათ. sult ლათ. sult (ესპ. - - - -);
- -ms -ms: არქ. ლათ. hiems ლათ. hiems (ესპ. - - - -);
- -nk -nk: არქ. ლათ. hunc ლათ. hunc (ესპ. - - - -);
- -ns -ns: არქ. ლათ. gens ლათ. gens (ესპ. gente);
- -nt -nt: არქ. ლათ. sunt ლათ. sunt (ესპ. - - - -);
- -ps -ps: არქ. ლათ. primceps ლათ. princeps (ესპ. príncipe);
- -rs -rs: არქ. ლათ. fors ლათ. fors (ესპ. - - - -);
- -st -st: არქ. ლათ. est ლათ. est (ესპ. - - - -).

რაც შეეხება ყველაზე ვარირებად ჯგუფებს, აქ გავაერთიანეთ -kt, -rd, -ds, -ts კონსონანტური კომპლექსები. ბოლოკიდური თანხმობანთჯგუფები ჩამოთვლილთაგან ყველა შემთხვევაში გამარტივდნენ და ლათინური ენის მომდევნო ეტაპზე მონოფონემური სახით გადავიდნენ. აღსანიშნავია, რომ მათი გამარტივება ხან პირველი და ხანაც მეორე ელემენტის ამოვარდნის ხარჯზე ხდებოდა. ბოლოკიდური კომპლექსის პირველი ელემენტის ამოვარდნას წინ უძღვის რეგრესული ასიმილაცია, რაც განაპირობებს არქაული ვარიანტის მეორე ელემენტის შენარჩუნებას.

ამრიგად, მივიღეთ შემდეგი სურათი:

- -kt -k: არქ. ლათ. lact ლათ. lac (ესპ. - - - -);
- -rd -d: არქ. ლათ. cord ლათ. cor (ესპ. - - - -);

- -ds -ss -s: არქ. ლათ. lapids lapiss ლათ. lapis (ესპ. - -);
- -ts -ss -s: არქ. ლათ. millets miless ლათ. miles (ესპ.- -).

არქაულ ლათინურში არსებობდა რამდენიმე სამელემენტისანი ბოლოკიდური კომპლექსიც. ამ შემთხვევაშიც გვაქვს კონსტანტურობისა და ვარიაციულობის მაგალითები. ყველზე გავრცელებული სტაბილური ბოლოკიდური კომბინაციაა: ნაზალი ან ვიბრანტი + ოკლუზივი (p ან b) + s, ხოლო ყველაზე ვარირებად კომპლექსებში გვაქვს k + ts კომბინაცია. მივიღეთ შემდეგი სურათი:

- -mps -mps: არქ. ლათ. stremps ლათ. stremps (ესპ. - - - -);
- -rbs -rbs: არქ. ლათ. urbs ლათ. urbs (ესპ. urbe);
- -kts -kss -ks: არქ. ლათ. nocts ლათ. nocss -nocs (ესპ. - -);

ამრიგად, კონსონანტური კომპლექსების ვარირება მხოლოდ დერივატის დონეზე არ დაფიქსირებულა. მათი გარკვეული ნაწილი უკვე არქაული ლათინურის დონეზევე ტრანსფორმირდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ლათინურის თავკიდური კომპლექსების ტრანსფორმირება არცერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება კომპლექსის მეორე ელემენტის ხარჯზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავკიდურ პოზიციაში მყოფი კომპლექსის პირველი ელემენტი, იქნება იგი ოკლუზივი თუ ფრიკატივი, ბევრად უფრო სუსტი იყო, ვიდრე მეორე. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ პირველი ელემენტი ყველა შემთხვევაში ვარირებას ექვემდებარება. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ, თუ რომელ კონსონანტთან ქმნის იგი კომბინაციას. მაგ: კონსონანტები p,k,g თუ მათ მოსდევთ ნარნარა თანხმოვნები (r ან l) ნარჩუნდებიან, ხოლო თუ p და k-ს მოსდევს t, ან g-ს მოჰყვება n - ისინი მარტივდებიან. ამრიგად, კომპლექსების კონსტანტურობა და ვარიაციულობა დამოკიდებულია კომპლექსში შემავალი ელემენტების ფონეტიკურ მახასიათებელზე, რადგან გვერდიგვერდ მდგომმა თანხმოვნებმა აუცილებლად უნდა შექმნან ჰარმონიული კომბინაცია. როგორც ვხედავთ, სწორედ ასეთი ჰარმონიული კომბინაცია შექმნეს ლათინურში p,k,g ოკლუზივებმა და ნარნარა კონსონანტებმა.

პირველი ელემენტის სისუსტე ჭარბობს შუა კონსონანტურ კომპლექსებშიც. არქაული ლათინური ენის დონეზე მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები ეხება კომპლექსის პირველ ელემენტს, რაც კარგად ჩანს შუა კონსონანტური ვარირებადი კომპლექსების ქვეჯგუფებში. პირველი ელემენტის მიდრეკილება

ცვლილებებისაკენ შეიმჩნევა ლათინური ენის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, თუ არქაული ლათინურისათვის დამახასიათებელი იყო პროგრესული ასიმილაცია (ls-ll, rs-rr), ლათინურის მომდევნო ეტაპზე დაფიქსირდა რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ბოლოკიდურ კონსონანტურ კომპლექსებთან, სადაც ვარირების შემთხვევაში იკარგება კომპლექსის ხან პირველი და ხანაც მეორე ელემენტი. აღსანიშნავია, რომ მეორე ელემენტის დაკარგვა პოზიციური სისუსტით იყო განპირობებული, ხოლო პირველი ელემენტის ამოვარდნა რეგრესული ასიმილაციის ხარჯზე მიღებული გემინატის გამარტივებას უკავშირდება.

ბუნებრივია, ბოლოკიდური კონსონანტის სტაბილურობა-ვარირებაზე გავლენას მოახდენდა მის წინ მდგომი თანხმოვანიც, რადგან ერთი და იგივე თანხმოვანი ლათინურის დონეზე ხან იკარგება და ხანაც უცვლელია. მაგ: ბოლოკიდური t, k-ს შემდეგ იკარგება, ხოლო n, l და s თანხმოვნებთან - სტაბილურია.

ამრიგად, როგორც განხილულმა მასალამ გვაჩვენა, ბინარული კონსონანტური კომპლექსები როგორც სიტყვის თავში, ასევე ბოლოკიდურ პოზიციაში, ვარირების შემთხვევაში, ძირითადად, კარგავენ ან იცვლიან კომპლექსის კიდუროვან პოზიციაში მყოფ ელემენტს.

პირველი ან მეორე (ორიოდე შემთხვევაში ორივე) ელემენტის ვარირებისაკენ არის მიდრეკილი პოლიკონსონანტური კომპლექსები. სამ და ოთხელემენტიან კომპლექსებთან არსად არ დაკარგულა ბოლო ელემენტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასალის კვლევის დროს, თითქმის არ განმეორებულა ერთი და იგივე კონსონანტური კომპლექსები სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში; მხოლოდ რამდენიმე კომბინაცია შეგვხვდა გამონაკლისის სახით: kr და tr კომბინაციები გვხვდება თავკიდურ პოზიციაში და სიტყვის შუაში და არცერთ პოზიციაში არ ექვემდებარება ვარირებას; Kt კომპლექსი კი, რომელიც გვხვდება თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში, კარგავს კიდუროვან ელემენტს (სიტყვის თავში: kt-t; სიტყვის ბოლოში: kt-k). არცერთი კომბინაცია არ გვხვდება სამივე პოზიციაში.

ყურადღება გავამახვილეთ იმაზეც, თუ რომელი თანხმოვნები ქმნიდნენ ლათინურში (პოზიციისა და თანხმოვნების თანამიმდევრობის განურჩევლად)

ყველა ჰარმონიულ და სტაბილურ კომბინაციებს. აღმოჩნდა რომ მუდერი
ოკლუზივის და ვიბრანტის კომბინაციამ მოგვცა ყველაზე სტაბილური
თანხმოვანოკომპლექსები: br - rb, gr - rg.

IV თავი

ეტიმონში არსებული კონსონანტური კომპლექსები და მათი დახასიათება ისტორიული ევოლუციის მანძილზე

პირენეის ნახევარკუნძულის რომანიზაციის შემდეგ, ლათინური ესპანელებისათვის მშობლიურ ენად იქცა. მან იმდენად ძლიერად მოიკიდა ფეხი ესპანეთში, რომ ნახევარკუნძულის პრიმიტიული ენები თითქმის სრულად გააქრო (ბასკურის გარდა); შემდეგ ევოლუციასთან ერთად კი, შეიძინა გერმანული და არაბული ელემენტი, რითაც დაშორდა მის პირვანდელ ფორმას და საფუძველი ჩაუყარა ესპანურ რომანსეს.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანურ ენას, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ახასიათებდა მჭიდრო კონტაქტი იბერიულ, ვესტგოთურ და არაბულ ენებთან, ესპანური ენის ლექსიკური მარაგის დიდი ნაწილი ლათინური წარმოშობის სიტყვებითაა წარმოდგენილი, რაც იმის წინა პირობაა, რომ ეტიმონის დონეზე არსებული ბინარული და პოლიკონსონანტური კომპლექსების უმრავლესობა უკავშირდება ლათინურ ძირებს; თუმცა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, სადაც კონსონანტური კომპლექსები გვხვდება პრერომანული, ბერძნული, არაბული და ა.შ. წარმოშობის სიტყვებში.

ნაშრომში განვიხილეთ ბინარული (მათ შორის, გემინატებით წამოდგენილი ჯგუფები) და პოლიკონსონანტური თანხმოვანთკომპლექსები (როგორც თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში). კვლევა ჩავატარეთ კორომინასის და გარსია დე დიეგოს ეტიმოლოგიური ლექსიკონების მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე, ვიხელმძღვანელებთ სანტიაგო სეგურა მუნგიას უახლესი ლათინურ-ესპანური ეტიმოლოგიური ლექსიკონით და ესპანეთის სამეფო აკადემიის – RAE-ს მონაცემებით.

განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ კასტილიურ ენაში დამკვიდრების დროს, ეტიმონის დონეზე არსებული კომპლექსების გარკვეული ნაწილი შენარჩუნებულია; დანარჩენები კი ექვემდებარებიან ვარირების სხვადასხვა შემთხვევებს. არაერთი მაგალითი გვაქვს ეტიმონის დონეზე არარსებული თანხმოვანთჯგუფის ესპანური ენის დონეზე წარმოქმნისა, რაც ძირითადად უკავშირდება ხმოვნის სინკოპას. თუმცა, შევხვდით ვარირების ორმაგ და სამმაგ მოვლენასაც.

ქვემოთ, დაწერილებით განვიხილავთ ჯერ ბინარულ და შემდეგ, პოლიკონსონანტურ კომპლექსებს და ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტებზე, თუ რამ გამოიწვია თითოეული მათგანის კონსტანტურობა ან ვარირება.

**§ 1. ორელემენტური კონსონანტური კომპლექსები
თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: B
(bb, bd, bl, br, bs, bt)**

შუა კონსონანტური კომპლექსი bb, რომელიც წარმოადგენს მჟღერი ოკლუზივის გემინატს, ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს, განიცდის ცვლილებას და მარტივდება.

არამეული (RAE-ს მიხედვით სირიული) წარმოშობის სიტყვა abba ლათინურში დამკვიდრდა (ბერძნულის გავლით) abbas-ის ფორმით და ესპანურში მოგვცა abad, რაც ნიშნავს მამას' ან საეკლესიო პირს - აბატს'. ორმაგი ოკლუზივის გამარტივების მოვლენა ფიქსირდება ლათინური წარმოშობის შემდეგ ესპანურ სიტყვებშიც: abadía (ლათ. iabbatia), abadesa (ლათ. abbatissa), abatir (ლათ. abbattuo,-ere) და სხვ.

შუა კონსონანტური კომპლექსი bd ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და უცვლელი ფორმით მკვიდრდება კასტილიურ ენაში.

ესპ. abdomen მოდის ლათინური abdomen-დან, abdicar კი ესპანურ ენაში ჩნდება 1420 წლიდან და მომდინარეობს ლათინური abdicare-დან. თითქმის ამავე პერიოდში ჩნდება abducción, რომელიც შეესაბამება ლათინური abductio-ს. ბოლო ორი მაგალითის ეტიმოლოგიის უფრო ღრმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ორივე ლათინური სიტყვა (abdicare და abducere) მოდის dicare და ducere-დან, ab კი არის ლათინური პრეფიქსი, რომელსაც აქვს საწინააღმდეგოს მნიშვნელობა. როგორც ვხედავთ, აღნიშნულმა ძირმა ლათინური თავსართი ab ეტიმონის დონეზე დაიმატა და ესპანურში უკვე სახეცვლილი ფორმით გადავიდა.

თავკიდური კონსონანტური კომპლექსი bl გვხვდება ლათინური და ბერძნული წარმოშობის სიტყვებში და ძირითადად, უცვლელი ფორმით მკვიდრდება ესპანურ ენაში: ლათ. blitu - ესპ. bledo, ლათ. blandu - ესპ. blando.

Bl კომპლექსიანი ვოკაბულების გარკვეული ნაწილი ესპანურ ენაში გადადის ბერძნულიდან, ლათინურის გავლით. ბერძ. blasphemos-ს ჯერ ლათინურში

გვაძლევს blasphemus-ს, ხოლო შემდეგ კასტილიურში გადადის blasfemo-ს ფორმით. იგივე გზა განვლო შემდეგმა სიტყვამაც: ესპ. bledo (ლათ. blitum ბერძ. bliton).

მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში მოხდა ბინარული კომპლექსის გამარტივება და მონოფონემური კორელატის წარმოქმნა: ბერძ. blastemeo - ლათ. blastemare - ესპ. lastimar.

რაც შეეხება bl თანხმოვანთჯგუფს სიტყვის შუაში, აქ ვხვდებით ბილაბიალური b-ს და ლაბიოდენტალური v-ს არევას, რომელსაც წინ უძღვის მეტათეზა: ლათ. oblitare-ესპ.olvidar.

Bl კომპლექსი ეტიმონის დონეზე ფიქსირდება ესპ. roble-ში. იგი მომდინარეობს ლათ. robore-დან, რომელმაც o-ს სინკოპის შედეგად ჯერ მოგვცა robre, ხოლო შემდეგ, დისიმილაციის ხარჯზე, მივიღეთ roble.

თავკიდური თანხმოვანთკომპლექსმა br გვხვდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში. თავკიდურ პოზიციაში, ვოკაბულა იქნება ლათინურიდან თუ სხვა ენობრივი წყაროდან შემოსული, კონსონანტური კომპლექსი გადადის უცვლელი ფორმით: ლათ. brachium - ესპ. brazo, ლათ. brutus-ესპ. bruto, ლათ. brattea - ესპ. bráctea, ბერძ. brionia - ლათ. bryonia - ესპ. brionia, ბერძ. bronkhion - ლათ. bronchium - ესპ. bronquio, გოთ. brikan - ესპ. bregar, გოთ. brut - ესპ. brote, კელტ. brigos - ესპ. brío.

Br კომპლექსიანი სიტყვების გარკვეული ნაწილი შემოდის ფრანგულიდანაც. სწორედ მათ შორის არის ესპ. brocha (ფრ. brouche), broche (ფრ. broche) და ა.შ.

გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, სადაც კონსონანტური კომპლექსი დერივატის დონეზეა წარმოქმნილი. მათ შორის არის მოსარაბ. perca, რომელიც ესპანურ breca-ს გვაძლევს და ლათ. bocal, რომლისგანაც მივიღეთ ესპანური brocal. პირველ მაგალითში ჩანს, რომ ყრუ თანხმოვნის გამუდვებას, რაც პრერომანული ენებთან არის დაკავშირებული, მოჰყვა მეტათეზა, ხოლო მეორე მაგალითში br კომპლექსის წარმოქმნას განაპირობებს r-ს ეპენტეზა.

დერივატის დონეზე წარმოიქმნა br თავკიდური კომპლექსი ერთ-ერთი გერმანული ფრაზის ესპანურში დამკვიდრებისას. გერმანული ფრაზა ich bring

dir's, რაც ესპანურად te lo ofrezco-ს ან te lo traigo-ს ნიშნავს, ესპანურში გვაძლევს brindis-ს.

უცვლელი ფორმით დამკვიდრდა br კონსონანტური კომპლექსი სიტყვის შუაში შემდეგ სიტყვებში: ლათ. abrogatio - ესპ. abrogación, ლათ. abrotonum - ესპ. abrotano, ლათ. allobroges - ესპ. alóbroges (გალიის ტერიტორიაზე მცხოვრები კელტური წარმოშობის ტომები), ლათ. labrusca - ესპ. labrusca, ლათ. lubricare - ესპ. lubricar, ლათ. rubrica - ესპ. rúbrica და სხვ.

ორ ჯგუფად შეიძლება დავეყოთ შუა კონსონანტური br კომპლექსის მიერ განცდილი ფონეტიკური ცვლილებები:

1). ჯგუფი, სადაც ქრება კომპლექსის მეორე ელემენტი: ლათ. labrum - ესპ. labio (br-b);

2). ჯგუფი, სადაც ბინარული კომპლექსი იშლება თანხმოვნებს შორის ხმოვნის ჩამატების შედეგად: ლათ. ebriacus - ესპ. borracho.

არცთუ ისე ბევრი მაგალითი გვაქვს br კონსონანტური კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნისა: ლათ. cooperire - ესპ. cubrir, ლათ. aperire - ესპ. abrir. ორივე ვოკაბულაში ჯერ მოხდა ინტერვოკალური ყრუ კონსონანტის გამჟღერება, შემდეგ კი - e-ს სინკოპა. რაც შეეხება ესპ. palabra-ს, იგი მივიღეთ ლათ. parabola-დან, მეტათეზის შედეგად.

B კონსონანტისაგან შედგენილ კომპლექსებში ყველაზე მეტი სტაბილურობით გამოირჩევა bs და bt ჯგუფები. მათ არ განიცადეს არანაირი ფონეტიკური ცვლილება და გამონაკლისების გარეშე, უცვლელი ფორმით დამკვიდრდნენ კასტილიურ ენაში: ლათ. absolutio - ესპ. absolución, ლათ. absorbeo - ესპ. absorber, ლათ. observator - ესპ. observador, ლათ. observare - ესპ. observar, ლათ. subsidium - ესპ. subsidio, ლათ. obturare - ესპ. obturar, ლათ. obtusus - ესპ. obtuso და სხვ. რაც შეეხება თავიდან bs და bt კომპლექსებს, ამის არცერთი მაგალითი არ გვაქვს. როგორც ჩანს, აღნიშნული კომპლექსები თავიდან პოზიციაში არ იყო ლათინური ენისათვის დამახასიათებელი, ისევე როგორც არ ახასიათებდა იმ ენებს, რომელთაც ფონეტიკური სახის გავლენა მოახდინეს ესპანურ ენაზე.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: D

(dr)

კომპლექსი dr თავიკიდურ პოზიციაში მხოლოდ არალათინური (ბერძნული, კელტური, გერმანული) წარმოშობის სიტყვებში გვხვდება. თანხმოვანთჯგუფი ძირითადად უცვლელი ფორმით გადადის კასტილიურ ენაში. ესპანურში ბერძნულიდან, ლათინურის გავლით, დამკვიდრდა სიტყვები: dragón (ბერძ. drákon - ლათ. draco), drama (ბერძ. drama - ლათ. drama), dríade (ბერძ. dryas - ლათ. dryás), drupa (ბერძ. dryppa - ლათ. druppa). გერმანულიდან შემოვიდა სიტყვა drusa (გერმ. druse), იტალიურიდან - driza (იტ. drizza), ხოლო ინგლისურიდან - dril (drill). როგორც ვხედავთ, კონსონანტური კომპლექსი dr ვარირების გარეშე გადადის ესპანურ კორელატში. თუმცა, გვაქვს ერთი გამონაკლისი და ეს არის ესპ. trapo. იგი მომდინარეობს კელტური (ან პრეკელტური) drappus-იდან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვოკაბულას თავიკიდური d რამდენიმე რომანულ ენაში უცვლელი ფორმით გადავიდა (სავარაუდოდ იმ ენებში, სადაც ლათინურისათვის გვერდის ავლით დამკვიდრდა), კასტილიურისა და პორტუგალიურისაგან განსხვავებით, სადაც აღნიშნული ვოკაბულა ლათინურიდან შევიდა d-ს t-თი ჩანაცვლებული ფორმით.

ცვლილებებს dr კონსონანტური კომპლექსი არც სიტყვის შუაში ექვემდებარება. ლათინური ეტიმონის მქონე სიტყვები ესპანურ კორელატში ვარირების გარეშე გადადის: ლათ. quadriga - ესპ. cuadriga, ლათ. quadrus - ესპ. cuadro.

გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, სადაც dr ჯგუფი დერივატის დონეზეა წარმოქმნილი. მაგ: ესპ. cidro, რომელიც ლათ. citrus-იდან მომდინარეობს, მივიღეთ კომპლექსის პირველი ელემენტის ანუ ყრუ კონსონანტის გამჟღერებით. დერივატის დონეზეა წარმოქმნილი dr ჯგუფი ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: adral, bodrio, cocodrilo და სხვ. Adral მივიღეთ ლათ. lateralis-გან, სადაც ჯერ დაიკარგა თავიკიდური l, შემდეგ მოხდა e-ს სინკოპა, ბოლოს კი tr კომპლექსში დაფიქსირდა ყრუ თანხმოვნის გამჟღერება. Cocodrilo მოდის ლათინური სიტყვიდან crocodilus. როგორც ვხედავთ, აქ სიტყვის თავში არსებული კომპლექსის მეორე ელემენტი, მეტათეზის ხარჯზე, გადადის სიტყვის

შუაში და ქმნის ახალ კონსონანტურ ჯგუფს. იგივე ფონეტიკური მოვლენა მოხდა bodrio-ში, რომელიც ლათ. brodium-დან მოდის.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: F (fl, fr)

კონსონანტური კომპლექსი fl გვხვდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში. შუა პოზიციისაგან განსხვავებით, სტაბილურობის არცთუ ისე მაღალი ხარისხით გამოირჩევა fl კონსონანტური კომპლექსი სიტყვის თავში. თუმცა, გვაქვს თავკიდურ პოზიციაში მისი უცვლელი ფორმით გადასვლის რამდენიმე მაგალითიც: ლათ. flaccus - ესპ. flaco, ლათ. flavus - ესპ. flavo, ლათ. flagellum - ესპ. flagelo, ლათ. floccus - ესპ. fleco, ლათ. flexibilis - ესპ. flexible, ლათ. flexura - ესპ. flexura, ლათ. flor - ესპ. flor, ლათ. fluxus - ესპ. flojo, ლათ. fluere - ესპ. fluir, ფრ. flanc - ესპ. flanco.

სამ ჯგუფად შეგვიძლია დავეყოთ fl კომპლექსის მიერ განვლილი ფონეტიკური ცვლილებები:

1. ჯგუფი, სადაც ადგილი აქვს პალატალიზაციას: ლათ. flamma ესპანურში გადაქცეს llama-ს.

2. ჯგუფი, სადაც fl კომპლექსის პირველი ელემენტი იკარგება, მეორე კი, ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილების გარეშე, გადადის ესპანურში. მაგ: ლათ. flaccidus- ესპ. lacio.

3. ჯგუფი, სადაც fl კომპლექსის პირველი ელემენტი უცვლელი ფორმით გადადის, მეორე კი - ტრანსფორმირდება: გოთ. flasko - ესპ. frasco.

შუა კონსონანტური კომპლექსი fl თითქმის არ განიცდის ცვლილებებს და ესპანურ კორელატში ვარირების გარეშე გადადის: ლათ. diflagrare - ესპ. deflagrar, ლათ. profligare - ესპ. profligar. მხოლოდ ერთ სიტყვაში ფიქსირდება fl-ს გადასვლა pl-ში: ლათ. suflare - ესპ. soplar.

ეტიმონის დონეზეა წარმოქმნილი fl თანხმოვანთჯგუფი სიტყვაში chiflar, რომელიც მივიღეთ ლათინური sifilare-დან, i-ს სინკოპის შედეგად.

Fr კონსონანტური კომპლექსი, მისი ვოკაბულაში პოზიციისდა განურჩევლად, შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ჯგუფად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თანხმოვანთკომპლექსს ძირითადად

ლათინურ ეტიმონში ვხვდებით, გვაქვს რამდენიმე მაგალითი სხვა ენობრივი წყაროებიდან შემოსული სიტყვების სახითაც: ლათ. *fractura* - ესპ. *fractura*, ლათ. *fragil* - ესპ. *frágil*, ლათ. *fragor* - ესპ. *fragor*, ლათ. *framea* - ესპ. *framea*, ლათ. *frenare* - ესპ. *frenar*, ლათ. *frivulus* - ესპ. *frívolo*, ლათ. *fructus* - ესპ. *fruta*, ლათ. *frustrare* - ესპ. *frustrar*, ფრანგ. *frange* - ესპ. *franja*, იტ. *fregata* - ესპ. *fragata*, გოთ. *flasko* - ესპ. *frasco*.

ოქსიტანური *fraire*-ს გავლით შემოდის ესპანურში ლათ. *frater* და გვაძლევს *fraile*-ს. რაც შეეხება ესპ. *franco*-ს, იგი მომდინარეობს გერმ. *frank*-იდან. კორომისასის ვარაუდით აღნიშნული ვოკაბულა კასტილიურ ენაში ძველი ფრანგულიდან შემოვიდა.

Fr კომპლექსის მხოლოდ დერივატის დონეზე წარმოქმნის არცერთი შემთხვევა არ ფიქსირდება.

შუა კონსონანტური კომპლექსი *fr* გვხვდება მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში და ყველა შემთხვევაში კონსონანტური კომპლექსის მდგრადობის მაღალი მაჩვენებლით გადადის ესპანურ კორელატში.

ლათ. *frons*, *frontis* წარმოადგენს გვიანი დერივატის *afrontare*-ს საფუძველს და ესპანურში შეესაბამება *afrontar*-ს, რაც შეეხება ესპ. *bifronte*-ს, იგი მომდინარეობს ლათ. *bifrons*, *-ontis*-იდან.

საინტერესოა ესპ. *refrán*-ის ეტიმოლოგიაც. იგი XVII საუკუნის დასაწყისში აღწევს ესპანურ ენაში და მომდინარეობს ლათინური პრეფიქსალური კომპოზიტი *re+frangere*-დან.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: G (gd, gl, gm, gn, gr)

ერთ-ერთ უიშვიათეს თანხმოვანთკომპლექსს წარმოადგენს *gd* ჯგუფი. იგი არცერთ სიტყვაში არ ფიგურირებს თავკიდურ პოზიციაში და მხოლოდ ორიოდ სიტყვაში გვხვდება შუა პოზიციით. ლათინურმა *amygdala*-მ ესპანურში მოგვცა *almendra*, რაც ნიშნავს იმას, რომ *gd* ჯერ გადავიდა *nd*-ში, ხოლო შემდეგ დაიმატა ეპენტეზირებული *r* და ბინარული კონსონანტური კომპლექსი ესპანურ კორელატში იქცა პოლიკონსონანტურად [ახვლედიანი ც., 2009:46]. როგორც ვხედავთ, *gd* კომპლექსი, გარდა იმისა, რომ არის ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი კომპლექსი, წარმოადგენს ვარიანტებისკენ მიდრეკილ ჯგუფსაც.

უამრავ სიტყვაში ვხვდებით gl თანხმოვანთკომპლექსს თავიკიდურ პოზიციაში და მათი უმრავლესობა არის ლათინური ეტიმონის მატარებელი; თუმცა, ვხვდებით ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებსაც.

ლათინური სიტყვა glacialis-იდან მივიღეთ ესპანურში glacial, რომელმაც მოგვიანებით საფუძველი დაუდო glaciación და glaciación-ის წარმოქმნას. ლათინური ეტიმონი აქვს სიტყვა gladiolo-საც. იგი მივიღეთ gladiolus-იდან, რომელიც არის gladius-ის კნინობითი ფორმა.

Gl კომპლექსის უცვლელი ფორმით დამკვიდრების სხვა მაგალითებია: ლათ. glandula - ესპ. glándula, ლათ. glastum - ესპ. glasto, ლათ. gleba - ესპ. gleba, ლათ. globus - ესპ. globo, ლათ. gloria - ესპ. gloria, ლათ. glossa - ესპ. glosa. ბერძნული ძირი აქვთ სიტყვებს: glíptica (ბერძ. glyptikos), glicerina (ბერძ. glykeros), glúteo (ბერძ. glutós) და ა.შ.

გვაქვს მხოლოდ ერთი გამონაკლისი და ეს არის ესპ. lirón, რომელიც მომდინარეობს ლათინური glis, gliris-დან. როგორც ვხედავთ, კომპლექსის პირველი ელემენტი დაიკარგა დერივატის დონეზე.

მხოლოდ რამდენიმე მაგალითი გვაქვს სიტყვის შუაში gl კომპლექსის სტაბილურობისა. მათ შორისაა: ლათ. degluttio,-onis, რომელმაც ესპანურში მოგვცა deglución. მისი ვარიაციულობის მაგალითი კი არის esplego, რომელიც მოდის ლათ. espejlo-დან. აქ, როგორც ვხედავთ, მოხდა gl კონსონანტური კომპლექსის დაშლა l-ს გადასმის შედეგად და ესპანურში მივიღეთ მონოფონემური კორელატი.

კონსონანტური კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნა დაფიქსირებულია ესპ. regla-ში, რომელიც მივიღეთ ლათინური regula-დან, u-ს სინკოპის შედეგად.

არც gm კონსონანტური კომპლექსი (gd მსგავსად) გვხვდება სიტყვის თავში, რასაც ვერ ვიტყვით მასზე სიტყვის შუაში. Gm კომპლექსი უცვლელი ფორმით მკვიდრდება კასტილიურში segmento-ს (ლათ. segmentum) ტიპის სიტყვებში, ხოლო პირველი ელემენტის დაკარგვით მარტივდება შემდეგ სიტყვებში: aumento (ლათ. augmentum) და pimiento (ლათ. pigmentum).

არცთუ ისე ხშირად გვხვდება gn კომპლექსი თავიკიდურ პოზიციაში. იგი უცვლელი ფორმით გადადის კასტილიურ ენაში მხოლოდ არალათინური

წარმოშობის სიტყვებში, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული კონსონანტური კომპლექსი ლათინური ენის დონეზევე გამარტივდა კომპლექსის პირველი ელემენტის დაკარგვის შედეგად: ბერძ. *gnomikos* - ესპ. *gnómico*, გერმ. *gneis* - ესპ. *gneis*.

უამრავი მაგალითი გვაქვს *gn* კონსონანტური კომპლექსის სიტყვის შუაში. იგი ესპანურ კორელატში გადადის როგორც ვარირების გარეშე, ასევე სახეცვლილი ფორმით.

უცვლელი ფორმით დამკვიდრა *gn* ჯგუფი შემდეგ სიტყვებში: *agnación* (ლათ. *agnatio,-onis*), *magnate* (ლათ. *magnates*), *magnífico* (ლათ. *magnificus*), *magno* (ლათ. *magnus*), *pignoraticio* (ლათ. *pigneraticius*) და სხვ.

რაც შეეხება მის მიერ განცდილ ფონეტიკურ ცვლილებებს, ისინი შეიძლება ორი ჯგუფად დავყოთ:

1. ჯგუფი, სადაც იკარგება პირველი კონსონანტი, რაც იწვევს ბინარული კომპლექსის მონოფონემურ კორელატად გადაქცევას: ლათ. *cognoscere* - ესპ. *conocer*;

2. ჯგუფი, სადაც ბინარული კონსონანტური კომპლექსი გვაძლევს (*ñ*)-ს: ლათ. *agninus* - ესპ. *añoño*, ლათ. *ligna* - ესპ. *leña*, ლათ. *tanmagnu* - ესპ. *tamaño*, ლათ. *stagnu* - ესპ. *estaño*, ლათ. *signa* - ესპ. *seña*.

საინტერესოა *prenda*-ს ეტიმოლოგია. იგი მოდის ლათინური *pignora*-დან და მან განვითარების საკმაოდ დიდი და რთული გზა განვლო. სიტყვა *pignora*-ს მიერ განვლილი ევოლუციის ეტაპები შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ხმოვანი *i* გადადის *e*-ში, *gn* კომპლექსი ხდება მონოფონემური (*ñ*), ფიქსირდება *o*-ს სინკოპა: *pignora* - *peñra*;

2. *Ñ* () და *r*-ს შორის ჩნდება ეპენტოეზირებული *d*: *peñra* - *peñdra*;

3. *R*-ს მეტათეზით ვიღებთ კონსონანტურ კომპლექსს სიტყვის თავში, რის შედეგადაც ლათ. *pignora*-ს დერივატს ესპანურში წარმოადგენს: *prenda*.

თავკიდური კონსონანტური კომპლექსი *gr* ვხვდება როგორც ლათინური, ასევე ბერძნული, ფრანგული და კატალანური ეტიმონის მქონე სიტყვებში.

თავკიდური პოზიციით, აღნიშნული კომპლექსი უცვლელი ფორმით დამკვიდრდა შემდეგ სიტყვებში: ლათ. *gracilis* - ესპ. *grácil*, ლათ. *gradus* - ესპ. *grado*, ლათ. *gramina* (*gramen*-ის მრავლობითი რიცხვი) - ესპ. *grama*, ლათ.

grandis - ესპ. grande, ლათ. granum - ესპ. grano, ლათ. gragulus (ან graculus) - ესპ. grajo, ლათ. gravis - ესპ. grave, ლათ. grillus - ესპ. grillo, ლათ. grumus - ესპ. grumo, ბერძ. graphicus - ესპ. gráfico, ბერძ. grammatikós - ესპ. gramático (თუმცა, კასტილიურში შემოვიდა ლათინური grammaticus-იდან), ფრანგ. grange - ესპ. granja, ფრანგ. grès - ესპ. gres, ფრანგ. grippe - ესპ. gripe (სავარაუდოდ, ფრანგულში დამკვიდრდა გერმანული grüpi-დან), კატალ. grapa - ესპ. grapa.

დერივატის დონეზეა წარმოქმნილი სიტყვები: grada, რომელიც მოდის ლათინური cratis-დან; Greda, რომელიც მივიღეთ ლათ. creta-დან და grupo, რომლის ძირიც უნდა ვეძიოთ გოთურ სიტყვაში krupps. როგორც ვხედავთ, თანხმოვანთკომპლექსმა kr-მ რამდენიმე სიტყვაში განიცადა პირველი ელემენტის გამჟღერება და მოგვცა gr-კომპლექსი.

საინტერესოა ესპანური gragea-ს ეტიმოლოგია. იგი კასტილიურში ფრანგული dragee-დან შემოვიდა, ხოლო, თუ როგორ დამკვიდრდა ფრანგულში - უცნობია. ეტიმონის დონეზე არსებული dr კომპლექსის პირველი ელემენტის ამგვარ ტრანსფორმაციას, კორომინასი ხსნის აღნიშნული ვოკაბულას ნათესაური კავშირით grano-სთან. თუმცა, შესაძლოა ფრ. dragee-ს ამგვარი ევოლუცია განპირობებული იყოს ორი მუდერი ოკლუზივის აკუსტიკური ეკვივალენტობით.

როგორც კონსტანტურობის, ასევე ვარირების შემთხვევები გვაქვს gr კომპლექსთან სიტყვის შუაში. მისი მუდმივობის მაგალითებია: ლათ. agrarius - ესპ. agrario, ლათ. agrícola - ესპ. agrícola, ლათ. egregius - ესპ. egregio, ლათ. integrare - ესპ. integrar და სხვ.

ბინარული კომპლექსი იქცა მონოფონემურ კორელატად სიტყვაში pigritia, რომელმაც კასტილიურში მოგვცა pereza. მისი ამგვარი ტრანსფორმირება შეიძლება ავსხნათ შემდეგნაირად: ჯერ ti გადავიდა ხმოვნის წინ (z)-ში (როგორც ყოველთვის ხდება ხმოვნის წინ: capitia - cabeza, rationem -razón), შემდეგ კონსონანტური კომპლექსის პირველი ელემენტი დაიკარგა, ბოლოს კი - i გადავიდა e-ში.

ეტიმონის დონეზეა წარმოქმნილი gr ჯგუფი სიტყვებში: agro (ლათ. acrus) და sagrado (ლათ. sacratus). ორივე შემთხვევაში gr კომპლექსის წარმოქმნა განპირობებულია ყრუ კონსონანტის გამჟღერებით.

**თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: k
(kl, kr, kt)**

Bs და bt ჯგუფებისაგან განსხვავებით, ძირითადად, სიტყვის თავში ვხვდებით kl ჯგუფს. გვაქვს მისი როგორც ცვლილების ამსახველი, ასევე უცვლელი ფორმით დამკვიდრების მაგალითები.

ლათინურიდან შემოსულ ისეთ სიტყვებში, როგორცაა clásico (classicus), clavo (clavus), claro (claru), clero (clerus) არ მომხდარა კონსონანტურ კომპლექსთან დაკავშირებული არანარი ფონეტიკური ცვლილება, ისევე როგორც ფრანგულიდან და ინგლისურიდან დამკვიდრებულ სიტყვებში: cliché - clise, club - club. ბერძნულიდან შემოსულებში კი - სიტყვის გრაფიკული გამოსახულება შეიცვალა: ბერძ. klima- ესპ. clima, ბერძ. klinikos - ესპ. clínica.

არაერთ სიტყვაშია დაფიქსირებული kl ჯგუფის ტრანსფორმირება მის მიერ განვლილ ევოლუციის გზაზე და იგი აიხსნება პრეროდანული ენების გავლენით. რომაული დაპყრობების და პირენეის ნახევარკუნძულზე ლათინური ენის გაბატონების შემდეგ, როგორც გრაფიკულად, ასევე წარმოთქმით, სრულად შეიცვალა რამდენიმე თანხმოვანთჯგუფი და მათ შორისაა kl კომპლექსი, რომელმაც განიცადა პალატალიზაცია: clamare - llamar, clave - llave და სხვ.

შედარებით ნაკლები სიხშირით ვხვდებით kl კომპლექსს სიტყვის შუაში. ბერძ. ekleipsis ჯერ დამკვიდრდა ლათინურში eclipsis ფორმით, მოგვიანებით კი - ესპანურში შემოვიდა eclipse-ს სახით. იგივე გზა განვლო ბერძ. ecloga-მ. თუმცა, კასტილიურ ენაში მოგვცა égloga. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მოხდა კონსონანტური კომპლექსის პირველი ელემენტის გამჟღერება.

რამდენიმე სიტყვაში k(u)l კომპლექსმა მოგვცა სრულიად სხვა ფონემა: genuc(u)los - hinojo, oculus - ojo, spec(u)lu - espejo, vermic(u)lu - bermejo და სხვ.

საინტერესოა bicicleta-ს ეტიმოლოგია. იგი მივიღეთ ლათ. bi-ზე ბერძ. kyklos-ს დამატებით (kyklos ესპანურად ითარგმნება როგორც rueda, ქართულად კი - ბორბალს ნიშნავს). მოგვიანებით, ამ სიტყვამ, ფრანგული ენის

გავლენით დაიმატა სუფიქსი *ette* და კასტილიურში მივიღეთ *bicicleta*. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვამ ევოლუციის დიდი გზა განვლო, *kl* თანხმოვანთკომპლექსის წარმოთქმა არ შეცვლილა (თუმცა, გრაფიკულად შეიცვალა). რაც შეეხება სიტყვა *motocicleta*-ს, იგი შედარებით ახალია. იგი პირველად ნახსენებია 1898 წელს, პარიზში მცხოვრები ემიგრანტი ძმების მიგელ და ეუხენიო ვერნერების მიერ, რომელთა სახელსაც უკავშირდება მოტოციკლეტის გამოგონება.

თავკიდური *kr* ჯგუფი იშვიათად განიცდის ცვლილებას ლათინური ეტიმონიდან მომდინარე სიტყვებში: ლათ. *crápula* - ესპ. *crápula*, ლათ. *crescere* - ესპ. *crecer*, ლათ. *crepusculum* - ესპ. *crepúsculo*, ლათ. *crimen* - ესპ. *crimen*, ლათ. *crux* - ესპ. *cruz*. გრაფიკულ ცვლილებას ვხვდებით ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში: ბერძ. *kranion* - ესპ. *cráneo*, ბერძ. *krypte* - ესპ. *crupta*. რამდენიმე ვოკაბულაში კი ხდება კომპლექსის პირველი ელემენტის გამჟღერება: ლათ. *cratis* - ესპ. *grada*, ლათ. *creta* - ესპ. *greda*, ლათ. *crepta* - ესპ. *grieta*, ლათ. *crupta* - ესპ. *gruta*.

იშვიათად ვხვდებით *kr* კომპლექსს სიტყვის შუაში. თუმცა, მაინც გვაქვს ორიოდ მაგალითი. მათ შორისაა: *procreación*, რომელიც მოდის ლათინური *procreation*, *-onis*-იდან და *procreador*, რომელიც მივიღეთ ლათინური *procreator*-იდან.

თითქმის არსად არ გამოიყენება *kt* კომპლექსი სიტყვის თავში. მისი თავკიდურ პოზიციაში გამოყენების მხოლოდ ერთი მაგალითი გვაქვს და ისიც ტოპონიმიკაში: *ctesiphon* - *ctesifonte*.¹

ვერ ვიტყვით იმავეს *kt* კომპლექსზე სიტყვის შუაში. უამრავი მაგალითი გვაქვს მისი ამგვარი პოზიციით ვოკაბულაში, იქნება იგი ლათინური თუ ბერძნული წარმოშობისა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული წარმოშობის სიტყვებში თანხმოვანთკომპლექსი გრაფიკულად იცვლის ფორმას: ლათ. *defectivus* - ესპ. *defectuoso*, ლათ. *dictatorius* - ესპ. *dictator*, ლათ. *dictare* - ესპ. *dictar*, ლათ. *doctor* - ესპ. *doctor*, ბერძ. *didaktikos* - ესპ. *didáctica*, ბერძ. *dialektos* - ესპ. *dialecto*.

არაერთ ფონეტიკურ ცვლილებას ვხვდებით *kt* კომპლექსთან სიტყვის შუაში. მათ შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს *kt*-ს გადაქცევა ყრუ

¹ ქტესიფონი - ეს იყო ძველი მესოპოტამიის ერთ-ერთი ქალაქი, რომელიც ნანგრევებიც დღეს ერავის ტერიტორიაზეა.

აფრიკატად. მაგ: ესპ. noche მოდის ლათ. noctem-დან, ეს უკანასკნელი კი საერთო ინდოევროპული ძირიდან - nekt, რომელსაც ეპოულობთ ყველა ინდოევროპულ ენაში (გერმანულში – nacht, ბერძნულში – niktos და ა.შ.). როგორც რაღაც პენი აღნიშნავს, nocte-ში ვეღარ უღმა თანხმოვანმა განიცადა ფრიკატივიზაცია, შემდეგ ტრანსფორმირდა yod-ად და დღეს გვაქვს noche: nocte noxte noite noche. ევოლუციის მსგავსი გზა განვლო სიტყვებმა: ლათ. dictus - ესპ. dicho, ლათ. factum - ესპ. hecho, ლათ. pectum - ესპ. pecho, ლათ. octo - ესპ. ocho, ლათ. tectum - ესპ. techo.

რამდენიმე სიტყვაში kt კომპლექსმა წარმოქმნა გემინატი: ლათ. diction,-onis – ესპ. dicción, ლათ. conductio,-onis - ესპ. conducción, ლათ. defectio,onis - ესპ. defección.

რაც შეეხება ესპ. respeto-ს, იგი მომდინარეობს ლათ. respectus-იდან და ესპანურ ვარიანტს გვაძლევს თანხმოვანთკომპლექსის პირველი ელემენტის ამოვარდნის შემდეგ.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: L
(lb, ld, lf, lg, lk, lm, ln, lp, ls, lt, lv)

თანხმოვანთკომპლექსი lb, რომელიც მხოლოდ სიტყვის შუაში გვხვდება, დაფიქსირებულია როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში. ლათინური ეტიმონის მქონე სიტყვების კასტილიურში უცვლელი ფორმით გადასვლის მაგალითებია: ლათ. albus ესპანურში შეესაბამება alba-ს, albor – albor-ს, albumen – albumen-ს, balbutire კი – balbucir-ს.

არალათინური წარმოშობის არის ესპ. tulipa. სპარსული სიტყვა galbulo, თურქული tülbend/tülbent-ის გზით აღწევს ესპანურ ენაში და ვიღებთ tulipa-ს. როგორც ვხედავ, tulipa-ს ამგვარი ევოლუცია გამოიწვია ახალმა i ხმოვანმა. ასევე, დაფიქსირდა ორი ფონემის (b/p) აკუსტიკური ეკვივალენტობა.

შუა კონსონანტური lb კომპლექსი კასტილიურ ენაში გამარტივებულიც გვხვდება. სწორედ პირველი ელემენტის ამოვარდნამ გამოიწვია ის, რომ ლათ. balbus-დან მოდის ესპ. bobo.

შუა კონსონანტური კომპლექსი ld გვხვდება ლათინური წარმოშობის სიტყვებში. იგი ყველა ესპანურ კორელატში უცვლელი ფორმით გადადის. ვერ

ვიტყვიot იმავეს თავკიდურ Id კომპლექსზე, რომელიც არცერთი ენობრივი წყაროდან შემოსულ სიტყვაში არ დაფიქსირებულა.

ლათინური ზედსართავი სახელი calidus, რომელიც ხალხურ ლათინურში caldus-ის სახით გვხვდება, ნიშნავს ცხელ დასალევს'. აქ ძირითადად ნაგულისხმები იყო ღვინო', რადგან რომაელებს ჩვეულებად ჰქონდათ სადილზე ცხელი ღვინის დალევა (განსაკუთრებით ცივ ზამთარში). Cal(i)dus კასტილიურ ენაში, ხალხური ლათინურიდან, დაახლ. XV საუკუნეში შემოვიდა caldo-ს ფორმით. როგორც ვხედავთ, i-ს სინკოპა ეტიმონის დონეზევე მოხდა. მსგავსი ეტიმოლოგია აქვს caldera და caldear-ს. ისინი მომდინარეობენ ლათინური cal(i)darius და cal(i)dare-დან.

რომის იმპერიაში sol(i)dus (solidus - სალიტერატურო ლათინური, ხოლო soldus - ხალხური ლათინური) ნიშნავდა ოქროს მონეტას', რომელსაც იმპერატორი უხდიდა ჯარისკაცებს გაწეული სამსახურისათვის. გვიან შუა საუკუნეებამდე sol(i)dus ნიშნავდა 'ჯარისკაცის გასამრჯელოს' (paga de soldado), მოგვიანებით კი - მისი მნიშვნელობა გახდა ზოგადად გასამრჯელო' (ჯარისკაცის იქნებოდა ის თუ სხვა მოხელის). ლათინურმა sol(i)dus-მა ესპანურში მოგვცა sueldo. როგორც ვხედავთ, იგი მივიდეთ ხალხური ლათინურის ვერსიიდან o-ს დიფთონგიზაციის შედეგად.

დერივატის დონეზეა წარმოქმნილი soldán. იგი მომდინარეობს კლასიკური არაბული სიტყვიდან sultan, რაც ნიშნავს უმაღლეს სახელისუფლებო პირს. დერივატის დონეზე იგივე კომპლექსი ფიქსირდება სინკოპა + ყრუ თანხმოვნის გამჟღერების შედეგადაც: ლათ. malitas - ესპ. maldad.

წინა კონსონანტური კომპლექსების მსგავსად, არც If თანხმოვანთჯგუფს ვხვდებით თავკიდურ პოზიციაში. თუმცა, გვაქვს რამდენიმე მაგალითი, სადაც აღნიშნული კომპლექსი, იქნება იგი ლათინურ კომპოზიტსა თუ არაბული წარმოშობის ვოკაბულაში, დაფიქსირებულია სიტყვის შუაში. ესპანურ კორელატში If კომპლექსი ყველა შემთხვევაში უცვლელი ფორმით გადადის.

ესპანური solfa და solfear მიღებულია ლათინური solfa-დან, რაც თავის მხრივ მომდინარეობს ნოტების sol და fa-ს შერწყმის შედეგად [ახვლედიანი ც., 2009:61]. როგორც ვხედავთ, If კომპლექსი წარმოიქმნა ეტიმონის დონეზევე, საიდანაც უცვლელი ფორმით გადავიდა კასტილიურ ენაში.

საინტერესოა ჭადრაკის ერთ-ერთი ფიგურის - "ოფიცრის" ანუ "კუს" ესპანური დასახელების, alfil-ის ეტიმოლოგია. როგორც ვიცით, ჭადრაკი ინდოეთში გამოიგონეს და მას "ჩატურანგა" უწოდეს. შემდეგ ის სპარსეთში გაერცელდა "ჩატრანგის" სახელწოდებით. მალე სპარსეთი არაბებმა დაიპყრეს და მათთვის უცხო თამაშს "შატრანჯი" უწოდეს. რამდენჯერმე შეიცვალეს ჭადრაკის ფიგურებმა სახელებები და თამაშის დროს მათ მიერ განსახორციელებელი სვლები. ძველ აღმოსავლეთში, ჭადრაკის მსგავს თამაშებში ფიგურა "კუ"-ს დასახელება იყო pil, რაც სპილოს ნიშნავს და რომელმაც არაბულში მოგვცა al-fil (არაბული არტიკლის დამატების შედეგად), ესპანურში კი უცვლელი ფორმით დამკვიდრდა. აღსანიშნავია, რომ ჭადრაკის ეს ფიგურა რამდენიმე ენაში (ქართულისაგან განსხვავებით) დღემდე სპილოს სახელს ატარებს (მაგ: რუსულში -).

სპარსული panid-დან, არაბული al-fenid-ის გზით შემოვიდა ესპანურში სიტყვა alfañique. კორომინასი თვლის, რომ alfañique-ში კონსონანტი q გაჩნდა არაბული al-fenid-ის არაბ. feniq-თან არევის გამო. როგორც ვხედავთ, სპარსული ეტიმონის მქონე სიტყვები არაბულ ენაში დამკვიდრების დროს განიცდიან ვოკაბულის პირველი თანხმოვანის ტრანსფორმაციას და იმატებენ არაბულ არტიკლს, რაც ქმნის If თანხმოვანთკომპლექსს, რომელიც უცვლელი ფორმით გადადის კასტილიურში.

დერივატის დონეზე წარმოქმნილ If კონსონანტურ ჯგუფს, ასევე ვხვდებით არაბული ენიდან შემოსულ, f-ზე დაწყებულ სიტყვებში, რომელთაც კასტილიურ ენაში დამკვიდრების დროს, არაბული არტიკლი al მიიერთეს: არაბ. faqih - ესპ. alfaquí, არაბ. afahar - ესპ. alfar, არაბ. farda - ესპ. alfarda, არაბ. fars - ესპ. alfarje.

არაბული წარმომავლობის რამდენიმე სიტყვაში, სანამ მათი არტიკლთან შერწყმა მოხდებოდა, თავკიდური h გადავიდა f-ში: არაბ. hilel - ესპ. alfiler, არაბ. humra - ესპ. alfombra, არაბ. hury - ესპ. alforja, არაბ. huzza - ესპ. alforza, არაბ. hauz - ესპ. alfoz.

დერივატის დონეზეა წარმოქმნილი If კომპლექსი სიტყვა alfabeto-შიც. იგი მომდინარეობს ლათინური alphabetum-დან და წარმოადგენს ბერძნული ანბანის პირველი ორი ასოს დასახელების (alpha და beta) კომპოზიტს.

შუა კონსონანტურ კომპლექს Ig-ს ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე ბერძნული წარმოშობის სიტყვებში და ყოველთვის უცვლელი ფორმით მკვიდრდება ესპანურში: ლათ. fulgeo - ესპ. fulgente, ლათ. fulgor - ესპ. fulgor, ლათ. alga - ესპ. alga. ბერძ. analgesia - ესპ. analgesia. არ გვაქვს არცერთი მაგალითი აღნიშნული კომპლექსით თავიკიდურ პოზიციაში.

ეტიმონის დონეზეა წარმოქმნილი Ig კონსონანტური ჯგუფი შემდეგ სიტყვებში: algi (ლათ. aliqoud), delgado (ლათ. delicatus), hamelgo (ლათ. famelicu), salguero (ლათ. salicarius), mielga (ლათ. melica). როგორც ჩანს, კასტილიურ ენაში, ლათინური სიტყვების დამკვიდრების პროცესში, საკმაოდ ხშირი იყო ხმოვნის სინკოპა და ინტერვოკალურ პოზიციაში მყოფი ყრუ თანხმოვნის გამჟღერება.

მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით შუა კონსონანტურ Ik ჯგუფს, რომელიც არცერთ სიტყვაში არ ფიქსირდება თავიკიდურ პოზიციაში. არაერთი მაგალითი გვაქვს მისი კონსტანტურობისა ესპანურ ენაში დამკვიდრების პროცესში.

უცვლელი ფორმით გადავიდა ესპანურ ენაში Ik კომპლექსი შემდეგ სიტყვებში: ლათ. calcaneum - ესპ. calcaño, ლათ. calcare - ესპ. calcar, ლათ. calculus - ესპ. cálculo და სხვ. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ კომპლექსს ყველა შემთხვევაში მოსდევს a ან u ხმოვანი.

Lm თანხმოვანთჯგუფს ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში. განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ ეს კონსონანტური ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურია და რომ ეტიმონის განურჩევლად, ვარიანტების გარეშე გადადის კასტილიურში. არცერთი ენობრივი წყაროდან შემოსულ სიტყვაში არ ფიქსირდება lm კომპლექსი თავიკიდურ პოზიციაში.

ლათინურიდან ეტიმონის მქონე, შუა კონსონანტური lm კომპლექსის მატარებელი სიტყვებია: colmo (ლათ. culmu), dalmática (ლათ. dalmaticus), olmo (ლათ. ulmus), palma (ლათ. palma), olmedo (ლათ. ulmetum) და ა.შ.

ჯერ კიდევ დაუდგენილია colmena-ს ეტიმოლოგია. თუმცა, არსებობს რამდენიმე ვარიანტი. კორომინასის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ იგი შესაძლოა იყოს პრერომანული, კერძოდ, კელტური წარმომავლობის

(kolmena). ამ მოვლენას კორომინასი ხსნის იმით, რომ კელტების ენაზე kolmos ნიშნავს ჩაღას¹, სკები კი ადრეულ ხანაში ჩალით იყო აგებული.

ამ მოსაზრებას იზიარებს ესპანეთის სამეფო აკადემიის ლექსიკონიც (RAE). თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ვერსია colmena-ს ეტიმოლოგიის შესახებ. მისი ავტორია სებასტიან კოვარუბიასი.¹ მისი ვარაუდით, ეს სიტყვა მოდის ლათინური culmine-დან (ნიშნავს შენობის წვეროს²), რადგან ძველ დროში, სკებისათვის დამახასიათებელი იყო წაწვეტებული ფორმის გადახურვა.

Lm კომპლექსი დერივატის დონეზეა წარმოქმნილი, ძირითადად არაბულ, კონსონანტ m-თი დაწყებულ სიტყვებში, რომლებიც ესპანურში გადასვლის დროს არაბულ al არტიკლს იერთებენ და ქმნიან ბინარულ კონსონანტურ ჯგუფს: არაბ. madiya - ესპ. almadía, არაბ. magra - ესპ. almagre, არაბ. manah - ესპ. almanaque, არაბ. mihraz - ესპ. almarada, არაბ. masara - ესპ. almazara, არაბ. miba - ესპ. almíbar, არაბ. misk - ესპ. almizcle, არაბ. muqarbas - ესპ. almocárabe, არაბ. muhadda - ესპ. almohada, არაბ. muneda - ესპ. almoneda, არაბ. mudd - ესპ. almud.

Lm კომპლექსი გვხვდება ბოლოკიდურ პოზიციაშიც. გერმანიკული ძირის სიტყვაში helm, აღნიშნული კონსონანტური კომპლექსი იმატებს ხმოვანს და შეცვლილი პოზიციის მკვიდრდება ესპანურ ენაში - yelmo.

ესპანურ ენაში შუა კონსონანტური In კომპლექსის ვარიანტების და კონსტანტურობის არაერთი მაგალითი გვაქვს. მას ვხვდებით მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში და მხოლოდ შუა პოზიციაში.

საინტერესოა სიტყვა baño-ს ეტიმოლოგია. კორომინასის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ baño მოდის ლათინური balneum-იდან. ამავე ვერსიას ეთანხმება სანტიაგო სეგურა მუნგია. თავად ლათ. balneum-ის ეტიმოლოგიის კვლევას კი ბერძნულ ძირთან მივყავართ. ამ სიტყვის ბერძნული წარმომავლობის ვერსიის ავტორები არიან ვალპი და ლონდრესი. მათი ავტორობით გამოცემულ, 1828 წლით დათარიღებულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში “Etymological dicrionary of the latin language” წერია, რომ baño მოდის ბერძნული

¹ <http://etimologias.dechile.net/?colmena>

კომპიზიტიდან *valanion*, სადაც *valo* ნიშნავს განდევნას', ხოლო *ania* დაღლილობას'.¹

მიუხედავად იმისა, რომ ესპანური *baño*-ს ეტიმოლოგიის სიღრმისეულ კვლევას ლინგვისთა გარკვეული ნაწილი ბერძნულ ძირთან მიყავს, არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ლათ. *balneum* ჯერ გადადის ლათ. *bannium*-ში, შემდეგ კარგავს ერთ-ერთ *n*-ს და დარჩენილი ერთი თანხმოვანი ხდება სხვა ხარისხის ანუ ვიღებთ (*ñ*)-ს. ამავე ძირიდან მოდის სიტყვები: *bañador* (ლათ. *balneator*), *bañar* (ლათ. *balneare*), *bañuelo* (ლათ. *balneolum*).

Ln კომპლექსი უცვლელი ფორმით დამკვიდრდა რამდენიმე სიტყვაში. მათ შორისაა *balneario*, რომელიც მოდის ლათინური *balnearius*-დან და *alno*, რომელიც მივიღეთ ლათინური *alnus*-დან.

თანხმოვანთა ჯგუფი *lp* გვხვდება ლათინური წარმოშობის სიტყვებში. გვაქვს არაერთი მაგალითი მისი როგორც ვარირების, ასევე კონსტანტურობისა.

კასტილიურ ენაში დამკვიდრების დროს არანაირი ცვლილება არ განუცდია *lp* კომპლექსს შემდეგ სიტყვებში: ლათ. *palpitare* - ესპ. *palpitar*, ლათ. *pulpitum* - ესპ. *pulpito*, ლათ. *vulpecula* - ესპ. *vulpeja*.

რამდენიმე სიტყვაში მოხდა კომპლექსის პირველი ელემენტის ვოკალიზაცია. როგორც ანტონიო კილის მორალესი აღნიშნავს, *lp* კომპლექსმა ჯერ მოგვცა *up* ჯგუფი, ხოლო შემდეგ დიფთონგმა *au*-მ განიცადა მონოფთონგიზაცია. სწორედ ამ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მივიღეთ სიტყვები *popar* (ლათ. *palpare paupar*) და *topo* (ლათ. *talpus taupo*). განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ ვოკალიზაციის მსგავსი შემთხვევები ძირითადად ფიქსირდება მაშინ, როცა კონსონანტი *l* თანხმოვანთა ჯგუფს ქმნის ყრუ (*p, t*) თანხმოვნებთან, რომელთაც წინ უძღვით ხმოვანი *a*.

საინტერესოა სიტყვა *párpado*-ს ეტიმოლოგია. იგი მოდის ხალხ. ლათ. *palpetrum*-დან (კლასიკურ ლათინურში მას ვხვდებით *palpebra*-ს ფორმით). კორომინასი აღნიშნავს, რომ არსებობს ამ სიტყვის სხვა ვარიანტებიც და მათ შორისაა *palpetra* და *palpebrum*. აქვე ვარაუდობს, რომ სიტყვამ *palpetrum* ჯერ

¹ <http://etimologias.dechile.net/?ban.o>

მოგვცა parpadro, ხოლო მოგვიანებით, დისიმილაციის შედეგად, მივიღეთ ამჟამინდელი ფორმა párpado.

გვაქვს lp კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნის მაგალითებიც. მათ შორისაა: ესპ. golpe. იგი მომდინარეობს ბერძ. kolaphos-დან, რომელმაც ლათინურში ჯერ colaphus მოგვცა, შემდეგ კი colpus-ის ფორმით გავრცელდა. სწორედ ამ სინკოპირებული ფორმით გადავიდა იგი კასტილიურ ენაში, სადაც მოგვცა golpe [ახვლედიანი ც., 2009:69].

Ls თანხმოვანთჯგუფს ვხვდებით ლათინური და ბერძნული წარმოშობის სიტყვებში. ესპანურ კორელატში იგი უცვლელი ფორმით გადადის. არც ამ კონსონანტურ კომპლექსს ვხვდებით თავიკიდურ პოზიციაში.

ლათინური ეტიმონის მქონე ls კომპლექსიანი ესპანური სიტყვების კონსტანტურობის დამადასტურებელია შემდეგი მაგალითები: ლათ. pulsare - ესპ. pulsar, ლათ. pulsus - ესპ. pulso, ლათ. falsu - ესპ. falso.

ბერძნული ენიდან მოდის bálsamo, რომელიც ესპანურში ლათინური ენის გავლით შემოვიდა. ამრიგად, ბერძნული balsamon ჯერ ხალხურ ლათინურში გადადის balsamum-ის ფორმით, შემდეგ კი კასტილიურში მკვიდრდება, როგორც bálsamo. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ balsamon-ს საფუძვლად უდევს სემიტური baal shemen, სადაც bal ნიშნავს ბატონს', ხოლო shemen - სურნელოვან ნივთიერებას'. ამ სიტყვის აღმოსავლური წარმომადგომლობის ვერსიას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი თეოფრასტი (ქრ.შ-მდე 372-288) ნაშრომში "Historia de las plantas", მცენარეს, რომლისაგანაც ბალზამი მიიღება, მოიხსენიებს როგორც სირიის ხეობის პროდუქტს', რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მცენარე მხოლოდ სირიის ტერიტორიაზე ხარობს.¹

კონსონანტური კომპლექსი lt გვხვდება ლათინური წარმოშობის სიტყვებში და კასტილიურ ენაში მკვიდრდება როგორც უცვლელი, ასევე სახეცვლელი ფორმით. არცერთი ენობრივი წყაროდან შემოსულ სიტყვაში არ ფიქსირდება აღნიშნული თანხმოვანთჯგუფი თავიკიდურ პოზიციაში.

Lt კომპლექსთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებების გარეშე გადავიდა ესპანურ ენაში შემდეგ სიტყვები: altar (ლათ. altare),

¹ <http://etimologias.dechile.net/?ba.lsam0>

alternar (ლათ. alternare), alto (ლათ. altus), ლათ. saltare - ესპ. saltar, ლათ. vultus - ესპ. bulto და ა.შ.

ლათ. altus-ის შედარებითი ფორმიდან – altius-დან არის წარმოებული ზმნის საწყისი ფორმა altiare, რომელმაც ესპანურ კორელატიში მოგვცა alzar. როგორც ვხედავთ, ამ სიტყვაში It კომპლექსის მხოლოდ პირველი ელემენტი იქნა შენარჩუნებული, მეორემ კი - ტრანსფორმაცია განიცადა [ახველდიანი ც., 2009:73).

ვოკალიზაცია ფიქსირდება რამდენიმე სიტყვაში. მათ შორისაა: soto, რომელიც მოდის ლათ. saltu sauto-დან.

დერივატის დონეზეა წარმოქმნილი It კომპლექსი სიტყვაში falta. იგი მოდის ხალხური ლათინურიდან – fallita. აღნიშნულ სიტყვაში კონსონანტური კომპლექსი შეიქმნა i-ს სინკოპის შედეგად. იგივე ფონეტიკური ცვლილება დაფიქსირდა ესპ. lealtad-ის ეტიმოლოგიის კვლევის დროს. იგი მომდინარეობს ლათ. legalitate-დან.

Lv კონსონანტური ჯგუფი გვხვდება ლათინური წარმოშობის სიტყვებში. იგი ვარიანტების გარეშე გადადის ესპანურში. არ გვაქვს არცერთი შემთხვევა აღნიშნული კომპლექსისა თავიკიდური პოზიციით.

ესპ. salvo მოდის ლათ. salvus-დან. თუმცა, როგორ კორომინასი წერს, ზედსართავი სახელის salvus-ის ძირი salud-თან ერთად უნდა ვეძიოთ salus-ში. ლათ. silvaticus-დან მომდინარეობს salvaje, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა სარეველა ბალახს, ხოლო მოგვიანებით დაიმატა კიდევ ერთი მნიშვნელობა. დღეისათვის salvaje-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1) სარეველა ბალახი; 2) გარეული ცხოველი (ველური). ამავე ეტიმონიდან მოდის selva და silvestre-ც.

დერივატის დონეზეა lv კომპლექსი დაფიქსირებული ესპ. malvado-ში. იგი მომდინარეობს ხალხ. ლათ. malifatus-იდან, რომელიც წარმოადგენს malus+fatum კომპოზიტს. როგორც ჩანს, ესპანური კორელატი მივიღეთ i-ს სინკოპის და ორი ფონემის არევის შედეგად.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: M

(mb, mm, mn, mp)

კონსონანტური კომპლექსი mb ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თანხმოვანთჯგუფია ესპანურ ენაში. იგი გვხვდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანხმოვანთჯგუფი ძირითადად უცვლელი ფორმით გადადის ესპანურ ენაში, გვაქვს მისი გამარტივებისა და მონოფონემურად ქცევის ან პოლიკონსონანტურად გარდაქმნის რამდენიმე მაგალითიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არცერთ სიტყვაში არ ვხვდებით თავკიდურ პოზიციაში m-თი დაწყებულ კონსონანტურ კომპლექსებს. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ mr კომპლექსი, რომელიც გამოიყენებოდა ანტ. ლათინურში და რომელიც ლათინური ენის დონეზევე ტრანსფორმირდა და გადავიდა br-ში: mreghuis brevis breve. როგორც ვხედავთ, ცვლილება გამოიწვია ცხვირისმიერი თანხმოვანის შეერთებამ ნარნარასთან [ახვლედიანი ც., 2008:71].

Mb კომპლექსის მდგრადობის დამადასტურებელი უამრავი ლათინური წარმოშობის სიტყვა გვაქვს კასტილიურ ენაში. მათ შორისაა: ლათ. ambiens - ესპ. ambiente, ლათ. ambo - ესპ. ambos, ლათ. ambitio,- onis - ესპ. ambición, ლათ. ambitus - ესპ. ámbito, ლათ. ambulare - ესპ. ambular, ლათ. camba - ესპ. gamba.

ფონეტიკური ცვლილებების გარეშე გადავიდა კასტილიურ ენაში რამდენიმე ბერძნული და კელტური წარმოშობის სიტყვაც. ბერძნული წარმოშობის, ოღონდ კასტილიურ ენაში ლათინურის გავლით არის დამკვიდრებული embolo (ბერძ. embolos), símbolo (ბერძ. symbolon), tumba (ბერძ. tymbos) და სხვა სიტყვები, ხოლო კელტურ ძირს უკავრშირდება ესპ. embarazar-ის ტიმოლოგია.

საინტერესოა ესპანური cambiar-ის ეტიმოლოგია. RAE-ს მიხედვით, იგი მოდის ლათინური cambiare-დან. კორომინასის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში კი ვკითხულობთ, რომ ლათ. cambiare-ს ძირი უნდა ვეძიოთ კელტურ ენაში. იმავეს ვკითხულობთ სანტიაგო სეგურა მუნგიას ლექსიკონშიც. მისი აზრით, cambiar არის პრერომანული, სავარაუდოდ კელტური ეტიმოლოგიის მატარებელი.

აღსანიშნავია yambo-ს ეტიმოლოგიაც. ესპანურ yambo-ს აქვს ორი მნიშვნელობა: 1. ანტიკურ პოეზიაში გავრცელებული ორმარცვლიანი რითმა, რომელშიც პირველი მარცვალი მოკლეა, მეორე კი გრძელი; 2. აღმოსავლეთ ინდოეთში გავრცელებული მცენარის სახეობა. ამ შემთხვევაში სიტყვის ეტიმოლოგია დამოკიდებულია მის სემანტიკურ მნიშვნელობაზე. თუ სიტყვას პირველი სემანტიკური მნიშვნელობა აქვს, იგი არის ბერძნული iambos-იდან შემოსული, ხოლო თუ მეორე, მაშინ მისი წარმოშობა სანსკრიტს უკავშირდება (jambu).

კონსონანტური კომპლექსის გამარტივებას და მის მონოფონემურად გარდაქმნას აქვს ადგილი ესპ. paloma-ში, რომელიც მომდინარეობს ლათ. palumbes-დან (ხალხ. ლათ. palumba). იგივე ფონეტიკური ცვლილება ფიქსირდება შემდეგ სიტყვებში: lomo (ლათ. lumbus) და plomo (ლათ. plumbum).

გვაქვს ბინარული კომპლექსის პოლიკონსონანტურად ტრანსფორმირების შემთხვევაც: ლათ. umbilicus > ესპ. ombbligo. როგორც ვხედავთ სამედიცინური კონსონანტური ჯგუფი – mbl, მივიღეთ b-სა და l-ს შორის არსებული i-ს სინკოპის შედეგად.

არაერთ მაგალითს ვხვდებით mb კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნისა. არაბული anbar ესპანურში შეესაბამება ámbar-ს, ხოლო არაბული tunbak ესპანურში გვაძლევს tumbaga-ს. ჩამოთვლილი ვოკაბულების ამგვარი ევოლუცია დაკავშირებულია ფონეტიკურად ახლოს მდგომი, ორი მუდერი ნაზალური თანხმოვნის არევის მოვლენასთან.

ძირითადად ლათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით mm გემინატს. იგი არცერთ ესპანურ კორელატში არ გადადის უცვლელი ფორმით. Mm გემინატთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებები შეიძლება დავეოთ ორ ჯგუფად:

1. ჯგუფი, სადაც თანხმოვანთკომპლექსი მარტივდება და ლათინური გემინატი ესპანურში მონოფონემურ კორელატს გვაძლევს: ლათ. commentatio,-onis - ესპ. comendación, ლათ. commentarium - ესპ. comentario, ლათ. commentator - ესპ. comentador, ლათ. commisura - ესპ. comisura, ლათ. commodus - ესპ. cómodo, ლათ. communia - ესპ. comuña, ლათ. communicare - ესპ. comunicar, ლათ. communitas - ესპ. comunidad, ლათ. flamma - ესპ. llama, ლათ. gemma - ესპ. yema, ლათ.

summariom -ესპ. sumario. ამავე ჯგუფში შედის ბერძნული წარმოშობის მქონე სიტყვები gama (ბერძ. gamma) და lema (ბერძ. lemma).

2. ჯგუფი, სადაც კონსონანტური კომპლექსის პირველი ელემენტი გადადის n-ში: ლათ. commemorare - ესპ. conmemorar, ლათ. commotio,-onis - ესპ. conmoción, ლათ. conmmutabilis - ესპ. conmutable, ლათ. commutare - ესპ. conmutar, ლათ. immaturus - ესპ. inmaduro, ლათ. immigrare - ესპ. inmigrar, ლათ. immodestus -ესპ. inmodesto.

შუა კონსონანტური კომპლექსი mn ლათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში გვხვდება. განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ გვაქვს არაერთი მაგალითი მისი როგორც ვარირების, ასევე მდგრადობის.

ესპანურ ენაში mn კომპლექსის ვარირების გარეშე დამკვიდრების მაგალითებია: ლათ. lemniscus - ესპ. lemnisco, ლათ. omnímodo - ესპ. omnímodo, ლათ. omnipotens - ესპ. omnipotente, ლათ. omnis - ესპ. ómnibus, ლათ. omnivorus - ესპ. omnívoro.

ჯერ კიდევ ლათინურში შეიმჩნეოდა mn კომპლექსის მიდრეკილება ასიმილაციისაკენ. ლათ. damnum ჯერ ეტიმონის დონეზე განიცდის ცვლილებას, შემდეგ კი ასიმილირებული dannu გვაძლევს daño-ს. ევოლუციის იგივე გზა განვლო შემდეგმა სიტყვებმა: dueño (ლათ. domnu), escaño (ლათ. scamnu), sueño (ლათ. somnu), otoño (ლათ. autumnu). როგორც ვხედავთ, ლათინურის დონეზე წარმოქმნილი mn გემინატი ესპანურში გადავიდა პალატალიზებული n (ანუ)-ს სახით.

საინტერესოა azumbre-ს ეტიმოლოგია. იგი მოდის არაბული tumn-დან (რაც ნიშნავს რაღაცის მერვედ ნაწილს). როგორც კორომინასის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ, არაბული t-ს უღერადობა იყო თანამედროვე ესპანური z (ანუ)-ს უღერადობის იდენტური, რამაც გამოიწვია სიტყვაში ახალი კონსონანტის წარმოქმნა. რაც შეეხება ეტიმონის დონეზე არსებულ ბოლოკიდურ ბინარულ კონსონანტურ კომპლექსს, მან განიცადა ევოლუცია და r-ს ეპენტების ხარჯზე იქცა პოლიკონსონანტურად. ასევე შეიცვალა პოზიცია ვოკაბულაში.

ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური კონსონანტური კომპლექსია mp და იგი გვხვდება როგორც ლათინური, ასევე ბერძნული წარმოშობის სიტყვებში. მას თითქმის არცერთ სიტყვაში არ განუცდია ცვლილება. მხოლოდ ორიოდ

მაგალითი მოიძებნება mp კომპლექსის სახეცვლილი ფორმით დამკვიდრებისა, რაც უკავშირდება ბინარული თანხმოვანთჯგუფის პოლიკონსონანტურად გარდაქმნას.

ლათ. ampulla-დან მოდის ესპ. ampolla. ლათინური ეტიმონის მატარებელია შემდეგი სიტყვებიც: amputar (ლათ. amputare), campo (ლათ. campus), compensar (ლათ. compensare) romper (ლათ. rumpere), temperatura (ლათ. temperatura), tiempo (ლათ. tempus). სწორედ, ლათინური campus-დან შემოსულმა campo-მ (ბოლოკიდური us-ის გადასვლა o-ში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოვლენაა ესპანურ ენაში ლათინური სიტყვის დამკვიდრებისას) დაუდო საფუძველი ისეთი სიტყვების წარმოებას, როგორებიცაა: campaña, campesino, compostela (შესაძლოა, champeón-საც).

აღსანიშნავია campeador-ის ეტიმოლოგიაც. თავდაპირველად, campus-ის მნიშვნელობა იყო განსხვავებული და ნიშნავდა დაუმუშავებელ მიწას'. ამის ნათელი დასტურია ის, რომ რომის შემოგარენს Campo da Marte-ს ეძახდნენ, რადგან ეს ტერიტორია წარმოადგენდა ჯარისკაცთა გაწვრთნისათვის გამოყოფილ დაუმუშავებელ ადგილს. სწორედ campo-ს ამ ანტიკური სემანტიკური მნიშვნელობიდან მოდის სიტყვა campeador, რომელიც უკავშირდება ესპანეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მებრძოლის, სიდის სახელს (El Cid).

ლათინური ძირი აქვს ესპ. empujar-საც. კორომინასი მიიჩნევს, რომ empujar მოდის ლათ. impulsare-დან, სადაც im არის მიმართულების მაჩვენებელი პრეფიქსი, ხოლო pellere - მთავარი ზმნა. ავტორი აქვე დასძენს, რომ არ შეიძლება აღნიშნული ვოკაბულას არევა ესპ. pujar-თან, რომელსაც სრულიად განსხვავებული წარმომავლობა აქვს.

ბერძნული empiricus, რომელიც ლათინურის გავლით შედის რომანულ ენებში, კასტილიურში მკვიდრდება empírico-ს ფორმით. ევოლუციის იგივე გზა განვლო tempano-მ.

ბერძნული ძირი აქვს emporio-საც, რომელიც ესპანურში ლათინური emporium-დან გადავიდა (ნიშნავდა ბაზარს'). სწორედ ამ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე დაარქვეს ბერძნებმა პირენეის

ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დაარსებული კოლონიას (ქრ.შ-მდე 575წ.) - Emporio.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, mp ჯგუფი ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურია. თუმცა, რამდენიმე სიტყვაში მაინც ვხვდებით მას სახეცვლილი ფორმით: ესპ. siempre მოდის ლათ. semper-დან. ენათმეცნიერები sempre-ს ამგვარ ტრანსფორმაციას მეტათეზის კლასიკურ შემთხვევას უწოდებენ, რომელსაც წინ უძღვის e-ს დიფთონგიზაცია: semper siempre siempre.

დერივატის დონეზე კომპლექსი mp წარმოქმნილი pimpinela-ში (მცენარის სახეობა). როგორც კორმინასი აღნიშნავს, უცნობია ამ სიტყვის წარმომავლობა. თუმცა, შესაძლოა იგი მოდიოდეს ბერძ. pepon-დან (ნესვის სახეობა), რომელმაც ჯერ ხალხურ ლათინურში მოგვცა pepo, მოგვიანებით კი (XVI საუკუნეში) დამკვიდრდა კასტილიურში pimpinela-ს ფორმით. როგორც ვხედავთ, ესპანურ კორელატში კონსონანტური კომპლექსი წარმოქმნილია m-ს ეპენტეზის შედეგად.

**თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტიცა: N
(nb, nd, nf, ng, nh, nk, nn, ns, nt, nv)**

ესპანურ ენაში ყველაზე გავრცელებული კონსონანტური ჯგუფებია ისეთი კომპლექსები, რომელთა პირველი ელემენტიც არის თანხმოვანი n. ეს თვალნათლივ გამოჩნდება ქვემოთ მოყვანილი ურიცხვ მაგალითში. განვიხილოთ ყველა შესაძლო თანხმოვანთჯგუფი სათითაოდ.

მხოლოდ არალათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება nb კონსონანტური კომპლექსი და ყველა ესპანურ კორელატში გადადის სახეცვლილი ფორმით.

ორმაგი ვარიანტების მოვლენა ფიქსირდება ესპ. alambique-ს ეტიმოლოგიის კვლევის დროს. იგი მომდინარეობს არაბული al-anbiq-დან, სადაც al არის არაბული არტიკლი. თავად არაბულში, აღნიშნული სიტყვა შევიდა ბერძნული ambix-დან (ან ambikos-დან), რაც ნიშნავს დანადგარს, რომელსაც იყენებდნენ ბერძნები და რომაელები სუნამოების, ალკოჰოლური სასმელებისა და წამლების დასამზადებლად. X საუკუნეში ამ აპარატის გამოყენება დაიწყო არაბებმა. თუმცა, მანამდე იგი დახვეწეს და მისცეს საბოლოო სახე. ბუნებრივია, არაბები კვალს დატოვებდნენ აღნიშნული დანადგარის სახელწოდებაზეც, რაც

კარგად ჩანს ბერძნული სიტყვის არაბულ ვერსიაში. ამრიგად, ბერძნული ambix (ლათინურადაც ambix), ჯერ გადადის არაბულში კონსონანტური კომპლექსის პირველი ელემენტის ვარირებით და არაბული არტიკლის დამატებით, შემდეგ კი, როცა მისგან ესპანური კორელატის წარმოება ხდება საჭირო, უბრუნდება ძველ ფორმას, მაგრამ ინარჩუნებს არაბულ არტიკლს, რომელსაც ესპანურში არტიკლის ფუნქცია აღარ აქვს, იგი უკვე სიტყვის ნაწილია.

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული კონსონანტური კომპლექსია nd, რომელსაც ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში.

უცვლელი ფორმით გადადის nd კომპლექსი ესპანურ კორელატთა უმრავლესობაში: ლათ. candela - ესპ. candela, ლათ. candidatus - ესპ. candidato, ლათ. candor - ესპ. candor, ლათ. defendere - ესპ. defender, ლათ. funda - ესპ. honda, ლათ. fundare - ესპ. fundar, ლათ. individuus - ესპ. individuo, ლათ. quando - ესპ. cuando, ლათ. profundus - ესპ. profundo, ლათ. undosus - ესპ. undoso, ლათ. vendere - ესპ. vender და სხვ.

ვარირების გარეშე გადადის ესპანურ ენაში ისეთი ლათინური სიტყვებიც, რომელთაც ერთი კონკრეტული ზედსართავი სახელის ანტონიმის საწარმოებლად დამატებული აქვთ უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი პრეფიქსი in: ლათ. indignus (dignus) - ესპ. indigno (digno), ლათ. indubitabilis (dubitabilis) - ესპ. indudable (dudable).

ბერძნული sandalion-დან გადავიდა ლათინურში sandalium, რომელმაც მრავლობითი რიცხვის წარმოებისას მიიღო sandalia-ს ფორმა. სწორედ ამ სახით ვხვდებით მას ესპანურ ენაში. ლათინიზირებული ფორმით დამკვიდრდა ესპანურ ენაში sandáracა-ც, რომელიც ბერძნული ეტიმონიდან მოდის.

არაბულ ენას უკავშირდება sandia-ს ეტიმოლოგია. როგორც კორომინასი აღნიშნავს, sandia მოდის კლ. არაბული სიტყვა sindiya-დან.

Nd კონსონანტური კომპლექსის კონსტანტურობის გარდა, გვაქვს რამდენიმე მაგალითი ამ ჯგუფის როგორც გამარტივებისა და შემდეგ დარჩენილი ერთი ელემენტის გადასხვაფერებისა, ასევე პოლიკონსონანტურად გარდაქმნისაც.

საინტერესოა *gruñir*-ის ეტიმოლოგია. იგი ლათინურში მივიღეთ ონომატოპეის გზით და ნიშნავს ღორის ღრუტუნს'. ლინგვისტთა მოსაზრება ამ სიტყვასთან დაკავშირებით იყოფა ორად. ერთი ნაწილი (მათ შორის სანტიაგო სეგურა მუნგია) თვლის, რომ *gruñir* მოდის ლათ. *grundire*-დან. მეორე ნაწილი კი (მათ შორის კორომინასი) მიიჩნევს, რომ ამ სიტყვის ძირი უნდა ვეძიოთ ლათ. *grunnire*-ში. ამავე მოსაზრებას იზიარებს RAE-ს ლექსიკონიც. პირველი ვერსიის სისწორის შემთხვევაში ადგილი აქვს *nd* კომპლექსის ჯერ მონოფომენურად გადაქცევას, ხოლო შემდეგ დარჩენილი ერთი ელემენტის ხარისხის შეცვლას, ანუ პალატალიზაციას. მეორე ვერსიის სისწორის შემთხვევაში კი, პირდაპირ გემინატის პალატალიზაცია ხდება. როგორც ვხედავთ, რომელი ვერსიაც არ უნდა იყოს სწორი, ეტიმონის დონეზე არსებული კომპლექსი განიცდის ცვლილებას.

თანხმოვანთჯგუფის პოლიკონსონანტურად გარდაქმნის მაგალითია ესპ. *liendre*, რომელიც მივიღეთ ლათ. *lendis*-დან. სამელემენტიანი კომპლექსის წარმოქმნა ამ სიტყვაში განაპირობა *r*-ს ეპენტეზამ. ამავე კონსონანტის ეპენტეზით არის გამოწვეული ლათინური *glando*-ს ესპანურში *landre*-ს ფორმით გადასვლა.

უამრავ სიტყვაშია *nd* კომპლექსი წარმოქმნილი დერივატის დონეზე. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ესპ. *conde* მოდის ლათ. *comes/comitis*-ის აკუზატიური ფორმიდან *comite(m)*. მან ევოლუციის რთული გზა განვლო. პირველ ეტაპზე განიცადა ინტერვოკალური *t*-ს გამჟღერება, შემდეგ მოხდა *i*-ს სინკოპა, ბოლოს კი დაფიქსირდა *m*-ს *n*-ში გადასვლა. ანალოგიური ცვლილებები განიცადა *condado*-მ (ლათ. *comitatus*).

კონსონანტური კომპლექსის მეორე ელემენტის გამჟღერებით მივიღეთ ესპანური *bufanda*-ც, რომელიც მოდის ძვ. ფრანგული *bouffante*-დან.

ესპ. *cóndor* მოდის ინდიელების კეჩუა ენიდან *cúntur*. როგორც ვხედავთ, აღნიშნული სიტყვის ესპანურ კორელატში მოხდა ბინარული კომპლექსის მეორე ელემენტის გამჟღერება.

საინტერესოა *duende*-ს ეტიმოლოგია. RAE ამ სიტყვას განმარტავს როგორც სახლში მობინადრე სუფს' და მის წარმოშობას უკავშირებს გამოთქმას - *duende de casa* (ანუ *dueño de casa* – სახლის მესპატრონე). ამავე ვერსიას ეთანხმება

კორმინასიც, რომელიც წერს, რომ duende არის ზემოთ ხსენებული გამოთქმის შეკვეცილი ფორმა. როგორც ვხედავთ, თანხმოვანთკომპლექსი ესპანურ დერივატში წარმოიშვა სიტყვის და წინდებულის გაერთიანების ხარჯზე.

ლათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით nf კომპლექსს. უმრავლეს შემთხვევაში იგი უცვლელი ფორმით გადადის ესპანურ კორელატში. გვაქვს მისი ვარიანტების მხოლოდ რამდენიმე მაგალითი.

ესპ. confección მოდის ლათ. confectio,-onis-დან. ესპ. conferir კი არის ლათ. conferre-ს კორელატი კასტილიურ ენაში. სწორედ ამ სიტყვას უკავშირდება conferencia-ს ეტიმოლოგია. იგი მოდის ლათ. conferentia-დან, რომელიც წარმოადგენს ზმნა conferre-ს და სუფიქს encia-ს კომპოზიტს.

Nd კომპლექსის მსგავსად, რამდენიმე სიტყვაში nf კომპლექსიც უარყოფითი თავსართის დამატებით არის წარმოქმნილი. სიტყვების ამგვარ წარმოებას ეტიმონის დონეზევე აქვს ადგილი: ლათ. infidelis (fidelis) - ესპ. infiel (fiel).

Nf თანხმოვანთჯგუფის მიერ განცდილი ცვლილებები შეგვიძლია დავყოთ ორ ჯგუფად:

1) კონსონანტური კომპლექსის მეორე ელემენტი განიცდის ვარიანტებს: nf-nh. ამ ჯგუფში შედის ესპ. conhortar, რომელიც მომდინარეობს ლათ. confortare-დან;

2) კონსონანტური კომპლექსის პირველი ელემენტი იკარგება, დარჩენილი კი ტრანსფორმირდება იმავე გზით, რა გზითაც პირველ ჯგუფში შემავალ სიტყვებში: nf-h. ამ ჯგუფში შედის - cohechar და cohonder, რომლებიც მივიღეთ ლათ. confectare და ლათ. confundere-დან.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ყველაზე ცვალებადი კონსონანტური კომპლექსია ng, რომელიც მიეკუთვნება როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის ეტიმონს. განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ ng თანხმოვანთჯგუფი ის ერთ-ერთი კომპლექსთაგანია, რომელთაც ესპანურ კორელატებში უფრო ხშირად ვხვდებით სახეცვლილი ფორმით, ვიდრე ვარიანტების გარეშე.

აღნიშნული ჯგუფის კონსტანტურობის შემთხვევები ფიქსირდება შემდეგი ლათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში: angina (angina), angosto (angustus), anguila (anguilla), congelar (congelare), hongo (fungus) და სხვ. უცვლელი ფორმით

დამკვიდრდა ბერძნული წარმოშობის, მაგრამ ესპანურში ლათინიზირებული ფორმით გადასულ რამდენიმე სიტყვაშიც. მათ შორისაა: ángel (ლათ. ángelus ბერძ. angelos).

სულ რამდენიმე ათეული წლის წინ დამკვიდრდა ესპანურ ენაში სიტყვა canguro. როგორც კორომინასი აღნიშნავს, იგი ესპანურში ინგლისურიდან გავრცელდა, ინგლისურში კი გადავიდა ავსტრალიაში მცხოვრები ერთ-ერთი ტომის ენიდან. საინტერესოა canguro-სთან დაკავშირებული ლეგენდაც, რომელიც მოგვითხრობს თუ რა საერთო აქვს ცნობილ ინგლისელ მოგზაურს ჯეიმს კუკს ამ სიტყვის ეტიმოლოგიასთან: XVIII საუკუნის ბოლოს, ავსტრალიაში ჩასულ მკვლევარს, ადგილობრივი ტომებისათვის უკითხავს, თუ რა ერქვა იმ გიგანტურ ცხოველს, რომელიც ასეთ დიდ ნახტომებს აკეთებდა. გამომდინარე იქიდან, რომ აბორიგენებმა ინგლისური არ იცოდნენ, ცნობილი მოგზაურისათვის მხოლოდ ერთი ფრაზით უპასუხიათ: kan ghu ru. მოგვიანებით, ეს ფრაზა გაიშიფრა, როგორც “არ მესმის” (no lo entiendo).

ბურუსით არის მოცული lingote-ს წარმომავლობა. სავარაუდოდ, იგი უნდა იყოს ფრანგული lingot-იდან შემოსული. ამ უკანასკნელში კი უნდა იყოს დამკვიდრებული ინგლისური ingot ან ანგლოსაქსური goten-იდან [კორომინასი, 2008:339].

ოთხი სახის ფონეტიკური ცვლილება განიცადა ng კონსონანტურმა კომპლექსმა ევოლუციის პროცესში:

1. ლათინური ენის დონეზე არსებული ng კომპლექსი კარგავს მეორე ელემენტს და ესპანურში ქმნის მონოფონემურ კორელატს: ლათ. quingenti -ესპ. quinientos, ლათ. pungente - ესპ. puniente.

2. ეტიმონის დონეზე არსებული ბინარული კომპლექსი ესპანურში გვაძლევს მონოფონემურ კორელატს ოღონდ სახეცვლილი ფორმით, რაც გამოიხატება დარჩენილი ელემენტის ხარისხის შეცვლით ანუ პალატალიზაციით: ლათ. cingere-ესპ. ceñir, ლათ. longe - ესპ. lueñe, ლათ. plangere - ესპ. plañir, ლათ. jungere - ესპ. uñir, ლათ. ringere - ესპ. reñir და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ng კომპლექსის ამ სახის ტრანსფორმაცია მოხდა მხოლოდ იმ სიტყვებში, სადაც ამ კონსონანტური ჯგუფს მოყვება ხმოვანი e. დანარჩენ ხმოვნებთან მსგავსი სახის ცვლილება არ ფიქსირდება: ლათ. longu - ესპ. luengo, ლათ. fungus - ესპ. hongo, ლათ. angustus -ესპ. angosto.

3. ეტიმონის დონეზე დაფიქსირებული ბინარული კომპლექსი კასტილიურში გვაძლევს პოლიკონსონანტურ ჯგუფს. აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა გამოწვეულია r-ს მეტათეზით: ესპ. *congrío* მივიღეთ ლათ. *conger*-დან. ენათმეცნიერთა უმრავლესობა (მათ შორის კორომინასიცი) ეთანხმება ამ სიტყვის ლათინური ეტიმოლოგიის ვერსიას. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება. ხალხური გადმოცემით, ესპ. *congrío* მოდის ისლანდიური *konger*-დან, სადაც აღნიშნავდა მეფეს¹).

4. ლათინური ორელემენტიანი კომპლექსი ესპანურ კორელატში განიცდის მეორე ელემენტის ტრანსფორმაციას. აქ შეიძლება გამოვყოთ ორი ქვეჯგუფი:

ა) სიტყვები, სადაც კომპლექსის მეორე ელემენტი გადადის -ში: ლათ. *gingiva* - ესპ. *encia*, ლათ. *singellus* - ესპ. *sencillo*;

ბ) სიტყვები, სადაც იგი ხდება ყრუ აფრიკატი: ლათ. *cingulum* - ესპ. *cincho*.

მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით *nh* კონსონანტურ კომპლექსს. ესპანურ კორელატში იგი ვარირების გარეშე მკვიდრდება: ლათ. *anhelo* - ესპ. *anhelo*. რამდენიმე სიტყვაში *nh* კომპლექსი წარმოქმნილია საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე *in* თავსართის დამატებით: ლათ. *inhabilis* (*habilis*) - ესპ. *inhábil* (*hábil*), ლათ. *inhumanus* (*humanus*) - ესპ. *inhumano* (*inhumano*).

საინტერესოა ესპანური *habitar*-ის ეტიმოლოგია. სანტიაგო სეგურა მუნგიას მოსაზრებით, *habitar* მოდის ლათ. *inhabitare*-დან. ისტორიული ევოლუციის მანძილზე, ესპ. *inhabitar*-ემ ფორმა შეიცვალა და თავსართ *in*-ის ფუნქცია გადავიდა წინდებულ *en*-ში, რის შედეგადაც ლათ. *inhabitare*-ს დღევანდელ ესპანურში შეესაბამება *habitar en*'.

იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ეტიმონის დონეზე არსებული *nk* კომპლექსი. მას არალათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით, რომლებიც ლათინიზირებული ფორმით გადადიან ესპანურ ენაში. მათ შორისაა ესპ. *ancon*, რომელიც მოდის ბერძ. *ankon*-დან. როგორც ვხედავთ, კასტილიურში დამკვიდრების დროს, *nk* კომპლექსი იცვლება მხოლოდ გრაფიკულად. მისი წარმოთქმა იდენტურია როგორც დერივატის, ასევე ეტიმონის დონეზე.

¹ <http://etimologias.dechile.net/?congrío>

არცერთ ესპანურ კორელატში არ გადადის ლათინური გემინატი *nn* უცვლელი ფორმით. იგი ორი სახის ცვლილებას განიცდის:

1. ხდება გემინატის გამარტივება და ესპანურში მისი მხოლოდ ერთი ელემენტით გადასვლა: ლათ. *annecto* - ესპ. *anejo*, ლათ. *anniversarius* - ესპ. *aniversario*, ლათ. *annotare* - ესპ. *anotar*, ლათ. *annualis* - ესპ. *anual*, ლათ. *annuntiare* - ესპ. *anunciar*, ლათ. *cannula* - ესპ. *cánula*, ლათ. *innocens* - ესპ. *inocente* და ა.შ.

2. ხდება გემინატის გამარტივება და დარჩენილი ერთი ელემენტის პალატალიზებული ფორმით დამკვიდრება ესპანურ ენაში: ლათ. *annosus* - ესპ. *añoso*, ლათ. *cannabum* - ესპ. *cañamo*, ლათ. *capanna* - ესპ. *cabaña*, ლათ. *pannus* - ესპ. *pañó* და სხვ.

მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით *ns* კონსონანტურ კომპლექსს. თავკიდური პოზიციისაგან განსხვავებით, ლათინურ ეტიმონში იგი ფიქსირდება სიტყვის შუაში ან ბოლოში. თანხმოვანთჯგუფი განიცდის ვარირებას სიტყვაში პოზიციისდა განურჩევლად. თუმცა, სიტყვის შუაში გვაქვს მისი კონსტანტურობის მაგალითებიც.

ლათ. *censere*-დან ჯერ მივიღეთ *census* და *ensor*, ხოლო შემდეგ ესპანური *censo* და *ensor*. *Ns* კომპლექსის მდგრადობის შემთხვევაა შემდეგ სიტყვებშიც: ლათ. *censura* - ესპ. *censura*, ლათ. *conservare* (*con* + *servare*) - ესპ. *conservar*, ლათ. *consistere* (*con* + *sistere*) - ესპ. *consistir*, ლათ. *consumere* (*con* + *sumere*) - ესპ. *consumir*. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამ მაგალითში *ns* თანხმოვანთჯგუფი წარმოიქმნა ეტიმონის დონეზევე, ზმნის ფუძეზე *con* პრეფიქსის დამატებით. ამავე გზით არის წარმოქმნილი ესპანური *consecuencia*. თუმცა, ამ სიტყვაში *con* პრეფიქსის გარდა, ვხვდებით *encia* სუფიქსსაც, რომელიც არის ლათ. *entia*-ს ეკვივალენტური ფორმა. ამრიგად, ლათ. *consequentia*-ში, რომელიც ესპანურში შეესაბამება *consecuencia*-ს, *sequi* არის სიტყვის ძირი, *con* – თავსართი, ხოლო *entia* – ბოლოსართი.

Ns კონსონანტური კომპლექსის წარმოქმნას უკავშირდება კიდევ ერთი პრეფიქსი. რამდენიმე ლათინურ ზედსართავ სახელზე საწინააღმდეგო მნიშვნელობის მაწარმოებელი *in* თავსართის დამატება წარმოქმნის თანხმოვანთკომპლექსს ჯერ ეტიმონის დონეზე, შემდეგ კი ვარირების გარეშე

გადადის ესპანურ კორელატში: ლათ. *insanus* (*sanus*) - ესპ. *insano* (*sano*), ლათ. *insepultus* (*sepultus*) - ესპ. *insepulto* (*sepulto*) და სხვ. მასალის კვლევის დროს, შევხვდით რამდენიმე ისეთ სიტყვასაც, სადაც *in*-ს არა აქვს თავსართის დანიშნულება (იგი არის ფუძისეული). მაგ: ლათ. *insectum* - ესპ. *insecto*, ლათ. *insomnium* - ესპ. *insomnio*. ეს მოვლენა ძირითადად შეიმჩნევა არსებით სახელებში.

არაერთი ესპანური სიტყვა მივიღეთ ლათინურ ეტიმონში არსებული ბინარული კონსონანტური კომპლექსიდან ერთელემენტური რეფლექსის წარმოქმნის შედეგად. მათ შორისაა: ესპ. *asa*, რომელის მოდის ლათ. *ansa*-დან. ასევე, ესპ. *seso*, რომელიც მოდის ლათ. *sensus*-დან და ესპ. *coser*, რომელიც მივიღეთ ლათ. *consuere*-დან. მონოფონემური კორელატი მივიღეთ ლათინური *mensis*-განაც და ეს სიტყვაა - *mes*.

რამდენიმე ლათინურ ეტიმონში *ns* კონსონანტურ ჯგუფს ვხვდებით სიტყვის ბოლოში. კომპლექსის ტრანსფორმაცია და მისთვის პოზიციის შეცვლა სიტყვაში ფიქსირდება შემდეგ ესპანურ სიტყვებში: *amante* (ლათ. *amans*), *cliente* (ლათ. *cliens*) და *glande* (ლათ. *glans*). როგორც ვხედავთ, *ns* ჯგუფის მეორე ელემენტი ჯერ *t*-ში გადავიდა, შემდეგ კი დაიმატა ხმოვანი *e*.

საინტერესოა ესპ. *isla*-ს ეტიმოლოგია. *Isla*-ს ეტიმონს წარმოადგენს ლათ. *insula*, რომელმაც ჯერ *ns* კომპლექსის პირველი ელემენტი დაკარგა, შემდეგ კი, *u*-ს სინკოპის ხარჯზე, წარმოიქმნა სრულიად ახალი თანხმოვანთჯგუფი *sl*.

თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივების, ოღონდ პოლიკონსონანტურიდან ბინარულად ქცევის შემთხვევაა ლათ. *campis*-ში. ლათ *mps*-მ *ns* კომპლექსი მხოლოდ დერივატის დონეზე მოგვცა და ისიც *m*-ს ტრანსფორმაციის და *p*-ს ამოვარდნის შედეგად. სწორედ ამ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მივიღეთ ესპანურში ზმნა *cansar*. ამავე ძირისაგან მომდინარეობს ესპ. *cansado* და *cansancio*.

როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით *nt* კონსონანტური კომპლექსს. იგი ესპანურ კორელატში გადადის როგორც სახეცვლილი ფორმით, ასევე ვარირების გარეშე.

უცვლელი ფორმით დამკვიდრდა nt თანხმოვანთჯგუფი შემდეგი ლათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში: *amento* (ლათ. *amentum*), *anticipar* (ლათ. *anticipare*), *cantor* (ლათ. *cantor*), *cantar* (ლათ. *cantare*), *contacto* (ლათ. *contactus*), *intentar* (ლათ. *intentare*), *intenso* (ლათ. *intensus*), *antento* (ლათ. *attentus*, რომელიც არის *attendere*-ს მიმღეობა), *lento* (ლათ. *lentus*), *manto* (ლათ. *mantum*) და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს *antena*-ც, რომელიც კორომინასის მიხედვით, მომდინარეობს *antemna*-დან, ხოლო RAE-ში ვკითხულობთ, რომ იგი მივიღეთ *antenna*-დან.

რაც შეეხება *pantorrilla*-ს წარმომავლობას, სავარაუდოდ, იგი მოდის ლათ. *pantex*-დან, რაც მუცელს ნიშნავს. როგორც ვხედავთ, კონსონანტურ კომპლექს nt-ს არ განუცდია არანაირი ცვლილება, რასაც ვერ ვიტყვით სიტყვის დაბოლოებაზე. რთულია იმის ახსნა, თუ როგორ მოხდა ესპანურ კორელატში დაბოლოების ასეთი მკვეთრი ცვლილება. შესაძლოა მომხდარიყო ორი ლათინური სიტყვის - *pantex* და *pandorium*-ის გადაკვეთა. ეს უკანასკნელი, ესპანურში შეესაბამება *bandurria*-ს და ნიშნავს მუსიკალურ საკრავს, რომელსაც აქვს დიდი მუცელი.

ბერძნულიდან, ოღონდ ლათინურის გავლით, დამკვიდრდა ესპანურ ენაში სიტყვები *amianto* (ბერძ. *amiantos* - ლათ. *amiantus*), *centauro* (ბერძ. *kentauros* - ლათ. *centaurus*) და *amarento* (ბერძ. *amarantos* - ლათ. *amarantus*). როგორც ვხედავთ, nt კომპლექსი უცვლელი ფორმით დამკვიდრდა ბერძნული წარმოშობის სიტყვებშიც.

უცნობია *centolla*-ს ეტიმოლოგია. სავარაუდოდ, იგი მოდის კელტური კომპოზიტიდან *cintus + ollos*, სადაც *cintus* ნიშნავს მთავარს (principal, superior), ხოლო *ollos* - დიდს (grande). ამავე კომპოზიტიდან მომდინარეობს საკუთარი სახელი *Cintu(o)llos*, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ძველ გალიაში (დღევანდელი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში).

ფრანგული ეტიმონი აქვს ესპანურ *pantalón*-ს. იგი მოდის იტალიური კომედიის ერთ-ერთი პერსონაჟის სახელიდან. პერსონაჟი, სახელად *Pantaleone*, იყო მოხუცი ვენეციელი, რომელიც გამოირჩეოდა სხვა ვენეციელებისაგან გრძელი საცვლების ტარებით. თუმცა, იტალიელებს არ მოუხდენიათ ტანსაცმლის ამ სახეობის პოპულარიზაცია. საფრანგეთის რევოლუციის დროს,

შარვალი მოირგეს ფრანგებმა და სწორედ მათგან გაერცვლდა იგი მთელს მსოფლიოში. ამით აიხსნება ის, რომ ესპანურში pantalón გადავიდა ფრანგულიდან და არა უშუალოდ იტალიურიდან.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული მაგალითების უმრავლესობაში nt კონსონანტური კომპლექსი სტაბილურია, გვაქვს მისი ვარირების რამდენიმე შემთხვევა. მათ შორისაა: ბინარული თანხმოვანთჯგუფის პოლიკონსონანტურად გადაქცევა და კომპლექსის მეორე ელემენტის ორი სახის ტრანსფორმაცია.

ლათ. interaneus-ის მრავლობითი რიცხვის ფორმიდან - interanea-დან მივიღეთ ესპ. entraña. როგორც ვხედავთ, ესპანური კორელატის აღნიშნული ფორმით მიღებას წინ უძღოდა nt ჯგუფსა და თანხმოვან r-ს შორის e-ს სინკოპა და ლათ. n-ს პალატალიზაცია.

სამეგრეობიანი თანხმოვანთჯგუფი მივიღეთ კიდევ ერთი ლათინური სიტყვიდან, რომელიც წარმოადენს enter+ambos კომპოზიტს. კომპოზიტის პირველ ნაწილში მომხდარი e-ს სინკოპის შედეგად მივიღეთ ესპანური entrambos.

Nt კონსონანტური კომპლექსის მეორე ელემენტის ვარირების ორი ვარიანტი ფიქსირდება: t-ს გადასვლა -ში და ამავე t-ს გადასვლა d-ში (ანუ მისი გამჟღერება).

პირველი სახის ვარირება უკავშირდება ლათინურ სუფიქსებს tia და tio-ს, რომლებიც ესპანურ დერივატში გვაძლევენ cia და ción-ს. მაგ: ლათ. amentia - ესპ. amencia, ლათ. clementia - ესპ. clemencia, ლათ. cohaerentia - ესპ. coherencia, ლათ. observantia - ესპ. observancia, ლათ. cantio - ესპ. canción და ა.შ.

იგივე ფონეტიკური მოვლენა ფიქსირდება მაშინაც, როცა nt კომპლექსი სუფიქსის შემადგენელი ნაწილი კი არაა, არამედ ფუძისეულია: ლათ. gentiana - ესპ. genciana, ლათ. annuntiare - ესპ. anunciar.

აღსანიშნავია panza-ს ეტიმოლოგია. იგი მოდის ლათინური pantex-დან. როგორც ვხედავთ, nt კომპლექსისაგან ამჯერად მივიღეთ nz ჯგუფი და არა nc, როგორც განხილული მაგალითების უმრავლესობაში. XVII საუკუნიდან, ჩნდება ამ სიტყვის მეორე ვარიანტიც და ეს არის pancho, რომელსაც მოსარაბულ დიალექტს უკავშირებენ. იგივე nz ჯგუფი ფიქსირდება ლათინური linteum-ის ესპანურ კორელატში - lienzo. Nc კომპლექსის მაგივრად nz-ს გაჩენა

სავარაუდოდ აიხსნება სიტყვის სწორად წარმოთქმის აუცილებლობით, რადგან როგორც ვიცით, nc კომპლექსის შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსის მეორე ელემენტს მოსდევს ხმოვნები a და o, მისი გამოთქმა იქნებოდა k-ს და არა -ს იდენტური.

Nt კომპლექსის მეორე ელემენტის გამჟღერების მოვლენა ფიქსირდება ესპანურ *endivia*-ში, რომელსაც ხშირად *endibia*-ს ფორმით ვხვდებით. სავარაუდოდ, იგი მოდის მოსარაბული *antubiya*-დან, ამ უკანასკნელში კი შედის ლათინური *intubus*-დან.

დერივატის დონეზე დაფიქსირებული nt ჯგუფი ლათინურ *defunctus*-ში. ამ სიტყვამ k-ს ამოვარდნის შედეგად ესპანურში მოგვცა *defunto*, რომელიც დღევანდელ ესპანურში *difunto*-ს ფორმით უფრო არის გავრცელებული. ამავე კონსონანტის ამოვარდნამ მოგვცა ლათ. *punctum*-დან ესპ. *punto* და ლათ. *puncta*-დან ესპ. *punta*.

საინტერესოა *guisante*-ს ეტიმოლოგია. სავარაუდოდ, იგი მოდის მოსარაბული *bissaut*-დან, სადაც დამკვიდრდა ლათ. *pisum*-დან. თუმცა, არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვითაც სიტყვის მოსარაბული ვარიანტი უნდა მიგვეღო ლათინური ფრაზიდან *pisum sapidum*, რაც ნიშნავს 'გემრიელ ბარდას' (*guisante sabroso*). როგორც ჩანს, მისი ამგვარი დასახელებით მოხსენიება საჭირო გახდა იმის გამო, რომ ეს მცენარე არ არეოდათ მსგავს მცენარეებში, რომელიც მრავლად იყო რომის იმპერიაში. მართალია, მეცნიერები ვერც ერთ ვერსიას ვერ ადასტურებენ, მაგრამ ფაქტია, რომ nt კონსონანტური კომპლექსი ეტიმონის დონეზე არ არსებობდა და რომ იგი დერივატის დონეზე წარმოქმნილი.

ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური კომპლექსია *nv*. მას ძირითადად ლათინური ეტიმონის დონეზე ვხვდებით და ყველა ესპანურ კორელატში გადადის ვარირების გარეშე.

ესპანური *convaleciente* არის *convalecer*-ს მიმდებარე და იგი XV საუკუნის დასაწყისში შევიდა კასტილიურში ლათინური *convalescere*-დან. ეს უკანასკნელი კი მიღებულია ზმნა *valere*-დან, რაც ჯანმრთელად ყოფნას ნიშნავდა. ლათინური *convergere*-დან, რომელიც შედგება თავსართ *con*-ს დამატებული ზმნა *vergere*-სგან, მომდინარეობს ესპანური *convergir*. იგივე მოვლენა ფიქსირდება ზმნებთან *convivir* და *convenir*. თუმცა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც,

როცა *nv* კომპლექსი იქმნება არა ორი მორფემის შერწყმის შედეგად, არამედ როცა იგი ფუძისეულია. მაგ: *convexo*, რომელიც მოდის ლათ. *convexus*-დან და *convoy*, რომლის ეტიმონსაც წარმოადგენს ფრანგულ *convoi* (ეს უკანასკნელი მომდინარეობს ხალხ. ლათ. *conviare*-დან).

ვხვდებით რამდენიმე მაგალითს, სადაც *nv* კომპლექსი წარმოქმნილია *in* პრეფიქსის დამატებით ფუძეზე. მათშორისაა *invadir* და *inválido*. თანხმოვანთჯგუფი ფუძისეულია ზმნაში - *invocar*.

ცნობილი ფრანგი მოგზაურის ლუი ანტუან დე ბუგენვილის სახელს უკავშირდება ესპანეთში საკმაოდ გავრცელებული მცენარის, ბუგენვილიას (ესპ. *buganvilla*) სახელწოდება. სწორედ მან ჩამოიტანა ეს მცენარე ბრაზილიიდან და გაავრცელა ევროპაში. როგორც ვხედავთ, მცენარის ესპანურ დასახელებაში ყოველგვარი ვარირების გარეშეა გადმოტანილი ფრანგი მოგზაურის გვარი.

საინტერესოა *invierno*-ს ეტიმოლოგია. კორომინასი აღნიშნავს, რომ იგი მომდინარეობს ხალხური ლათინური *hibernum*-დან, რომელიც ძველ ესპანურში გვაძლევს *ivierno*-ს. როგორც ვხედავთ, *invierno*-ში კონსონანტური კომპლექსი *nv* წარმოქმნილია დერივატის დონეზე.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: P (pl, pn, pp, pr, ps, pt)

როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით *pl* კონსონანტურ კომპლექსს სიტყვის თავიდაურ პოზიციაში. გვაქვს მისი როგორც კონსტანტურობის, ასევე ვარირების არაერთი მაგალითი.

თავიდაური პოზიციის *pl* კომპლექსი უცვლელი ფორმით გადავიდა შემდეგ ლათინურ სიტყვებში: ლათ. *placenta* - ესპ. *placenta*, ლათ. *planta* - ესპ. *planta*, ლათ. *plicare* - ესპ. *plazo* (არქაული ესპანურში *plazdo*), ლათ. *plegare* - ესპ. *plegar*, ლათ. *plumbum* - ესპ. *plomo*, ლათ. *pluma* - ესპ. *pluma*.

თანხმოვანთჯგუფთან დაკავშირებული ვარირების გარეშე დამკვიდრდა ესპანურში რამდენიმე ბერძნული წარმოშობის, ოღონდ კასტილიურში ლათინიზირებული ფორმით დამკვიდრებული სიტყვაც. მათ შორისაა: *planeta* (ბერძ. *planetes*), *plástico* (ბერძ. *plastikos*), *plátano* (ბერძ. *platanos*), *plinto* (ბერძ. *plintos*), *pleita* (ბერძ. *plekte*), *pleonasmó* (ბერძ. *pleonasmos*).

ბერძნულიდან პირდაპირი გზით ესპანურში დამკვიდრდა შემდეგი სიტყვები: ბერძ. plastikos, რომელიც plasso-დან (yo modelo, yo amaso) მომდინარეობს ესპანურში გვაძლევს plástico-ს, ხოლო ბერძ. plektron, რომლის ძირიც არის ასევე ბერძნული plessos (ესპ. yo golpeo) გვაძლევს plectro-ს.

რაც შეეხება ბერძნულ კომპოზიტ platys (plano) + rhis, rhinos (nariz)-ს, იგი კასტილიურ ენაში platirrino-ს ფორმით გადადის.

ფრანგულიდან შევიდა კასტილიურ ენაში plafón. იგი მომდინარეობს კომპოზიტიდან plat+fond. ფრანგული კომპოზიტიდან (plate+form) მივიღეთ plataforma -ც.

თავიდან pl კომპლექსის მიერ განცდილი ფონეტიკური ცვლილება ძირითადად მდგომარეობს კონსონანტური კომპლექსის პალატალიზაციაში: ლათ. plagare - ესპ. llagar, ლათ. planctus - ესპ. llanto, ლათ. planus - ესპ. llano, ლათ. plenus - ესპ. lleno, ლათ. plorare - ესპ. llorar, ლათ. plovere - ესპ. llover, ლათ. pluviosus - ესპ. lluvioso.

ეოლუციის განსხვავებული გზა განვლო ლათ. pluteus-მა, რომელმაც ესპანურში მოგვცა choza. სავარაუდოდ, პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელებული ენებიდან იგი პირველად გალისიურში გადავიდა, სადაც ჩვეული მოვლენა იყო pl კომპლექსიდან აფრიკატის მიღება, ხოლო შემდეგ დამკვიდრდა კასტილიურში.

თავიდან pl ჯგუფმა კიდევ ერთი სახის, ოღონდ, ამჯერად პოზიციასთან დაკავშირებული ცვლილება განიცადა. ესპანურ კორელატში მან დაიმტკიცა ხმოვანი a, რამაც გამოიწვია ის, რომ ლათინური თავიდან კონსონანტური კომპლექსი კასტილიურში იქცა შუა კონსონანტურ კომპლექსად: ლათ. placare - ესპ. aplacar. რაც შეეხება ონომატოპეურ plast-ს, რომელიც არის იმიტაცია რბილი საგნის დავარდნით გამოწვეული ხმისა, იგი ესპანურ კორელატში ქმნის ზმნას aplastar.

არცთუ ისე ხშირად გვხვდება pl კონსონანტური კომპლექსი სიტყვის შუა პოზიციასში. ყველა მათგანი უცვლელი ფორმით მკვიდრდება კასტილიურ ენაში: ლათ. triplex - ესპ. triple, ლათ. triplicare - ესპ. triplicar, ლათ. triplus - ესპ. triplicado.

იშვიათ მოვლენას წარმოადგენს pn კონსონანტური კომპლექსი, როგორც თავიდან პოზიციასში, ასევე სიტყვის შუაში, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც,

რომ მასალის კვლევის დროს მას მხოლოდ ორიოდ ბერძნული წარმომავლობის სიტყვაში შევხვდით.

ბერძნული pneumáticos ჯერ ლათინურში გადადის pneumaticus-ის ფორმით, შემდეგ კი კარგავს კომპლექსის პირველ ელემენტს და ისე გვაძლევს ესპანურ neumático-ს.

რაც შეეხება ბერძნულ hypnos (sueño), იგი ესპანურში გვაძლევს hipnosis. როგორც ვხედავთ ბერძნული ძირი ესპანურ დერივატში შენარჩუნებულია და მას დამატებული აქვს კასტილიური სუფიქსი sis, რაც არის პროცესის ამსახველი ბოლოსართი.

მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით pp გემინატს. არცერთ ესპანურ დერივატში არ გადადის აღნიშნული კონსონანტური ჯგუფი უცვლელი ფორმით. იგი მარტივდება და ქმნის მონოფენემურ კორელატს. ლათინური გემინატის გამარტივება ფიქსირდება შემდეგ სიტყვებში: aparecer (ლათ. apparescere), aparar (ლათ. apparare), apéndice (ლათ. appendix), apetito (ლათ. appetitus), cepo (ლათ. cippus), popa (ლათ. puppis), capa (ლათ. cappa), copa (ლათ. cuppa), estopa (ლათ. stuppa) და სხვ.

აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას შესაძლოა მოჰყვეს სხვა ცვლილებაც. მაგ: ლათინურმა appectorare-მ, ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს ჯერ მოგვცა apetrar, ხოლო შემდეგ, r-ს მეტათეზის შედეგად, მივიღეთ apretar.

ლათინური, ბერძნული და ძვ. ოქსიტანური ეტიმონის მატარებელია სიტყვები, რომელთაც აქვთ თავკიდური pr კონსონანტური კომპლექსი. სიტყვაში შუა პოზიციით იგი მხოლოდ ლათინური ეტიმონის მატარებელ სიტყვებში ფიქსირდება.

ბერძ. praktike, რომელიც ლათინურში practice-ს გვაძლევს, ესპანურში გადადის práctica-ს ფორმით. Práctica წარმოადგენს კომპოზიტს prasso (ვაკეთებ) + ბერძნული სუფიქსი tico (ესპ. relacionado a) და ნიშნავს რაიმე საქმესთან დაკავშირებული ქმედებას.

ლათინურის გავლით ესპანურში შემოვიდა კიდევ რამდენიმე ბერძნული სიტყვათსხვა. მათ შორისაა: problema, რომელიც მივიღეთ ბერძ. problema-დან, სადაც pro არის პრეფიქსი და ნიშნავს წინს' (ესპ. delante), ხოლო blema - გასროლას'.

ლათინური ეტიმონის მატარებელია ესპანური *príncipe*. იგი მოდის *princeps-*იდან და ნიშნავს პირველ პირს'. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა წარმოადგენს *primus* პირველი' (ესპ. *primero*) და *caput* თავი' (ესპ. *cabeza*)-საგან ნაწარმოებ კომპოზიტს.

ლათინურიდან ესპანურში თავკიდური კონსონანტური ჯგუფის ვარირების გარეშე დამკვიდრდა შემდეგი სიტყვებიც: ლათ. *pratum* - ესპ. *prado*, ლათ. *praecicus* - ესპ. *preciso*, ლათ. *praedium* - ესპ. *predio*, ლათ. *praesagium* - ესპ. *presagio*, ლათ. *praestigium* - ესპ. *prestigio*, ლათ. *praetor* - ესპ. *pretor*, ლათ. *pristinus* - ესპ. *prístino*, ლათ. *praestare* ((*prae* (*delante*) + *stare* (*estar*))) - ესპ. *prestar* და სხვ.

ლათინური *pretium*-იდან მივიღეთ ესპანურში *precio*. თუმცა, კორომინასი არ გამორიცხავს, რომ იგი ლათინურში გადასულიყო ძველი ოქსიტანური *pretz*-დან, სადაც ღირებულებას' აღნიშნავდა.

კატალანური *premsa*-დან გადავიდა ესპანურში *prensa*. თავად კატალანურში კი შევიდა ლათინური *premere*-ს მიმდებარებითი ფორმიდან - *prems*.

რამდენიმე ესპანურ კორელატში დაფიქსირდა კონსონანტური კომპლექსის პირველი ელემენტის გამჟღერება: *bruno* (ლათ. *prunum*), *bravo* (ლათ. *pravus*) და სხვ.

დერივატის დონეზე არის წარმოქმნილი თავკიდური *pr* კომპლექსი ესპანურ *preguntar*-ში. იგი მივიღეთ ლათ. *percontari*-დან. როგორც ვხედავთ, ესპანურ კორელატში კონსონანტური კომპლექსის წარმოქმნა სიტყვის თავში განაპირობა თანხმოვან *r*-ს პოზიციის შეცვლამ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *pr* კონსონანტური კომპლექსი სიტყვის შუაში მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება. ესპანური კორელატის წარმოქმნის დროს იგი, ძირითადად, განიცდის ვარირებას, რაც მდგომარეობს თანხმოვანთჯგუფის მეორე (ყრუ) ელემენტის გამჟღერებაში: ესპანური *abrigar* მოდის ლათ. *apricare*-დან, ეს უკანასკნელი კი - *apricus*-დან, რომელმაც, თავის მხრივ, მოგვცა *abrigo*.

საინტერესოა გაზაფხულის ერთ-ერთი თვის ეტიმოლოგია. მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ *abril* მოდის ლათ. *aprilis*-დან, რომელიც უნდა იყოს დაკავშირებული *aperire* (ესპ. *abrir*) - სთან, რადგან სწორედ ამ თვეს იწყებს მიწა აყვავებას, გახსნას. მეცნიერთა მეორე ჯგუფი კი მიიჩნევს, რომ *abril* მოდის

ბერძენთა ქალღმერთის აფროდიტეს სახელიდან, რადგან aphros ბერძნულად ნიშნავს ქაფს, საიდანაც, ლეგენდის თანახმად, დაიბადა სიყვარულის ქალღმერთი. დღემდე ვერ დაადგინეს წელიწადის ამ თვის დასახელების ზუსტი წარმომავლობა. თუმცა, რომელი ვერსიაც არ უნდა იყოს სწორი, ჩვენთვის საინტერესო pr კონსონანტური კომპლექსი ვარირებას განიცდის ორივე შემთხვევაში და ესპანურში მკვიდრდება გამჟღერებული მეორე ელემენტით. იგივე ფონეტიკური ცვლილება ფიქსირდება სიტყვებთან: cabra (ლათ. capra) და cobre (ლათ. cuprum).

გვაქვს რამდენიმე ისეთი სიტყვა, სადაც კონსონანტურმა კომპლექსმა შეინარჩუნა მუდმივობა. მათ შორის არის ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშნის (თხის რქის) დასახელება. ესპანური capricornio მომდინარეობს ლათ. capricornus-დან, რომელიც წარმოადგენს caper+cornus კომპოზიტს.

მხოლოდ ბერძნული წარმოშობის სიტყვებში გვხვდება ps თანხმოვანთჯგუფი თავკიდურ პოზიციაში და ესპანურში მკვიდრდება როგორც უცვლელი, ასევე სახეცვლილი ფორმით. ვერ ვიტყვი იმავეს აღნიშნულ კონსონანტურ კომპლექსზე, თუ მას სიტყვის შუაში განვიხილავთ. იგი მხოლოდ ლათინური ეტიმონის მატარებელ სიტყვებში ვხვდება.

Psicología (RAE-ში ვხვდებით sicología-საც) მოდის ბერძნული კომპოზიტიდან: psykhe სული' და logia რადაციის შესწავლა'. დღეისათვის, დაშვებულია ორივე ფორმის გამოყენება. თუმცა, თვლიან, რომ sicología უფრო შეესაბამება კასტილიურ ენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ sycon ბერძნულად ნიშნავს ლეღვს', რის გამოც ხშირად უშვებენ შეცდომას და sicología-ს აიგივებენ ამ კულტურის შემსწავლელ მეცნიერებასთან. Sicología-ს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს, იგი არის psicología-ს სინონიმი, მას კი არანაირი საერთო არ აქვს აღნიშნულ მცენარესთან.

ბერძნული კომპოზიტიდან მოდის psicrómetro-ც, რომელიც შედგება psychros სიცივე' და metron საზომი'-საგან.

ვარირების გარეშე გადავიდა ბერძნულიდან pseudo (ყალბი') პრეფიქსიანი სიტყვებიც: pseudopodo, pseudohistoria, pseudocientífico და სხვ.

რამდენიმე სიტყვაში მოხდა თავკიდურ პოზიციაში მეოფი ps კონსონანტური კომპლექსის გამარტივება და კომპლექსის პირველი ელემენტის დაკარგვა.

ბერძ. psalmos-დან მომდინარეობს ესპანური salmo, რაც ფსალმუნს' ნიშნავს. თავად ბერძნული psalmos კი მოდის psalterion-დან, რაც არის საკრავი, რომლის თანხლებითაც სრულდებოდა უფლის სადიდებელი კანტიგები. ამავე ძირიდან მოდის ესპანური ზმნა salmodiar, რაც ნიშნავს გალობას და არსებითი სახელი salmodia, რომელიც აღნიშნავს საღვთო ლიტურგიის იმ ნაწილს, როცა სრულდება უფლისადმი მიძღვნილი საგალობლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ps კონსონანტური კომპლექსი სიტყვის შუაში მხოლოდ ლათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში გვხვდება.

ლათ. capsა-მ ესპანურ კორელატში მოგვცა caja (ძვ. ესპ. caxa). ამ ფაქტს კორომინასი ხსნის იმ მოვლენით, რომ კასტილიურ ენაში აღნიშნული სიტყვა დამკვიდრდა კატალანური caixa-დან. Capsa-ს კნინობითი ფორმა capsula-დან კი ესპანურში მივიღეთ capsula. როგორც ჩანს, capsula ლათინურიდან კასტილიურში არ დამკვიდრებულა სხვა ენის გავლით, რამაც გამოიწვია ის, რომ ლათინური ვარიანტის კონსონანტური კომპლექსი უცვლელი ფორმით გადავიდა ესპანურში.

მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით pt ჯგუფს სიტყვის შუაში. იგი ძირითადად სახეცვლილი ფორმით გადადის ესპანურ კორელატში. შუა კონსონანტური კომპლექს pt-ს მიერ განცდილი ცვლილებები შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

1. კომპლექსის პირველი ელემენტი იკარგება და ესპანურში ვიღებთ მონოფონემურ კორელატს. ამის ნათელი დასტურია ლათინური aptare, რომელმაც ჯერ მოგვცა attare (ასიმილაციის შედეგად), შემდეგ კი მივიღეთ atar. ევოლუციის იგივე გზა განვლო შემდეგმა სიტყვებმაც: roto (ლათ. ruptu), rato (ლათ. raptu), catar (ლათ. captare) და ა.შ.

2. საერთოდ იკარგება ლათინური ბინარული კონსონანტური კომპლექსი. მაგ: ლათ. septimana - ესპ. semana.

3. ესპანურში არ გადადის ბინარული კომპლექსის არცერთი ელემენტი და ჩნდება ახალი თანხმოვანი: ლათ. captiare - ესპ. cazar, ლათ. captator - ესპ. cazador.

4. კონსონანტური კომპლექსის მეორე ელემენტი ტრანსფორმირდა და ესპანურში დამკვიდრდა pc-ს ფორმით, სადაც მეორე თანხმოვნის ედერადობა -ს

იდენტურია. მაგ: capcioso, მოდის ლათ. captiosus-დან, ხოლო excepción - ლათ. exceptio,-onis-დან.

5. კომპლექსის პირველი ელემენტი განიცდის ვოკალიზაციას: ლათ. captivus - ესპ. cautivo, ლათ. captivitas - ესპ. cautividad და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ pt თანხმოვანთჯგუფი სიტყვის შუაში ერთ-ერთ ყველაზე ვარირებად კომპლექსს წარმოადგენს, მასალის შესწავლის დროს შევხვდით რამდენიმე ისეთ ესპანურ სიტყვას, სადაც ლათინური ეტიმონის კონსონანტური კომპლექსი შენარჩუნებულია. მათ შორისაა: captación (ლათ. captatio, -onis), captura (ლათ. captura), inepto (ლათ. ineptus) და სხვ.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: R (rb, rd, rf, rg, rh, rl, rm, rn, rp, rr, rs, rt, rv)

ესპანურ ენაში ყველაზე გავრცელებულია ისეთი კონსონანტური კომპლექსები, რომელთა პირველი ელემენტიც არის თანხმოვანი r. ასეთ ჯგუფებს ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე ბერძნული, კელტური, არაბული და სხვა წარმოშობის მქონე სიტყვებში. წარმომავლობის მრავალფეროვნების მიუხედავად, ამ კომპლექსებს მხოლოდ სიტყვის შუაში ვხვდებით. გამონაკლისს წარმოადგენს rh კონსონანტური კომპლექსი, რომელიც თავიკიდურ პოზიციაშიც, ოღონდ არალათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში, გვხვდება. აღნიშნული თანხმოვანთჯგუფი არცერთ ესპანურ კორელატში არ გადადის ვარირების გარეშე.

ლათინურ და არალათინურ ეტიმონს მიეკუთვნება rb კომპლექსიანი სიტყვები. აღნიშნული თანხმოვანთჯგუფი ვარირების გარეშე გადადის ესპანურ ენაში.

ლათინური ეტიმონის (arbor) მატარებელია ესპანური árbol. როგორც ვხედავთ, კონსონანტური კომპლექსი შენარჩუნებულია ესპანურ კორელატში. თუმცა, სიტყვის ბოლოკიდური კონსონანტი - r, დისიმილაციის შედეგად, ტრანსფორმირდა.

ერთ-ერთი უძველესი ეტიმოლოგიის მატარებელი უნდა იყოს ესპ. barba, რადგან ამ ფორმით, იგი გავრცელებულია არა მარტო პირენეის ნახევარკუნძულის, არამედ იტალიისა და რუმინეთის ენებშიც. კორომინასის

მიხედვით, იგი ესპანურში შემოვიდა ლათინური *barba*-დან. ამ უკანასკნელში კი, შესაძლოა დამკვიდრებულიყო ბერძნულიდან, სადაც იგი აღნიშნავდა ძველს', მოსუცს', რადგანაც წვერი არის ზრდასრული ასაკის სიმბოლო.

Barbacoa მომდინარეობს კარიბის რეგიონში დასახლებული ხალხების ენიდან და მის ეტიმონს წარმოადგენს *barbacue*.

ბერძნულიდან, ოღონდ ლათინურის გავლით, დამკვიდრდა ესპანურში *bárbaro*. ამავე ძირიდან მომდინარეობს *barbarismo*-ც. კონსონანტურ კომპლექსს არ განუცდია ვარირება ევოლუციის პროცესში.

საინტერესოა *barbián*-ის ეტიმოლოგია. *Barbián*, რომელიც ქართულად ითარგნება როგორც 'ჰაეროვანი', სავარაუდოდ, მოდის ბოშათა ენაში არსებული სიტყვიდან *barban*, რაც 'ჰაერს' ნიშნავს. ვარაუდის დონეზეა მისი წარმოშობის მეორე ვერსია, რომელიც გულისხმობს აღიშნული ვოკაბულას ინდურ ძირს (*bara*).

იტალიურიდან დამკვიდრდა ესპანურში *sorbete*. თუმცა, მან, აპენინის ნახევარკუნძულზე შესვლამდე საკმაოდ დიდი გზა განვლო. მისი ეტიმოლოგიის კვლევას მივყავართ არაბულ *sarbat*-ამდე, რომელიც არაბული *sarba*-ს მრავლობითი რიცხვის ფორმაა და რომელიც რომანულ ენებში დამკვიდრებამდე ჯერ თურქულში გადავიდა (*serbet*).

ფრანგული *corvette*-დან შემოვიდა კასტილიურ ენაში *corbeta*. ამ ეტაპზე უცნობია მისი უფრო ზუსტი ეტიმოლოგია. არსებობს მოსაზრება მისი გერმანიკული წარმოშობის შესახებაც.

რაც შეეხება ესპ. *corbata*-ს, იგი კასტილიურში გავრცელდა (XVII საუკუნე) იტალიური *corvatta*-დან, რაც ხორვატიულს' ნიშნავდა, რადგან სწორედ ხორვატი ცხენოსნები იყენებდნენ ტანსაცმლის ამ სახეობას. როგორც ვხედავთ, ბოლო ორ მაგალითში, რე კონსონანტური კომპლექსი არის წარმოქმნილი დერივატის დონეზე ორი ფონემის არევის შედეგად.

შუა კონსონანტურ კომპლექს *rd*-ს ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე ბერძნული, არაბული და პრერომაუნული (კელტური) წარმოშობის სიტყვებში. იგი ძირითადად უცვლელი ფორმით გადადის კასტილიურ ენაში.

ესპ. *arder* მომდინარეობს ლათ. *ardere*-დან. ამავე ძირიდან მივიღეთ *ardiente*, *ardor*. ლათ. *cardus*-მა კი, რომელიც ხალხურ ლათინურში *cardunculus*-ის ფორმით

იყო გაგრძელებული, ესპანურში მოგვცა *cardo*. რაც შეეხება ესპ. *cordero*-ს, იგი მივიღეთ ხალხური ლათინური *cordarius*-დან.

Cordobán ჩნდება XIII საუკუნეში და მოდის ქალაქ *Córdoba*-ს დასახელებიდან. შუა საუკუნეებში მისი ხშირი გამოყენება დაკავშირებულია მუსულმანური კორდობის განვითარების მაღალ დონესთან. რაც შეეხება თავად ქალაქის დასახელებას, იგი მომდინარეობს ფინიკიური სიტყვა *karduba*-დან და ნიშნავს მდიდარ, გასაოცარ ქალაქს'. ფინიკიელების მიერ ქალაქისათვის ამ სახელის დარქმევა აიხსნება იმით, რომ ნახევარკუნძულზე ეს ადგილი ერთ-ერთ უმდიდრეს და ვაჭრობისათვის ხელსაყრელ დასახლებას წარმოადგენდა.

არსებობს *Córdoba*-ს წარმოშობის მეორე ვერსიაც. ამ ვერსიის მიხედვით, იგი მომდინარეობს ლათ. *corduba*-დან, რომელიც ესპანურ ენაში გადადის არაბული *kortobani*-ს ან მოსარაბიული *cordobano*-ს გზით [ახვლედიანი ც., 2009:134].

არაბულს უკავშირებენ კიდევ ერთი ესპანური სიტყვის ეტიმოლოგიასაც. ესპანური *bardaja* მოდის არაბული *bardag*-იდან, რომელიც ამ უკანასკნელში, სავარაუდოდ, გადავიდა სპარსული *bardagan*-იდან.

უამრავი სიტყვა დამკვიდრდა ესპანურ ენაში ბერძნულიდან (ლათინურის გავლით) *rd* კონსონანტური კომპლექსით სიტყვის შუაში. მათ შორისაა: *cardíaco*. იგი მომდინარეობს ბერძ. *kardiakos*-დან, რომლის ძირსაც წარმოადგენს *kardia* გული' (ესპ. *corazón*). ასევე, *cardamomo*, რომელიც ბერძნული კომპოზიტიდან *kardamon* + *amomon* მივიღეთ. ესპანურში იგი გადავიდა ლათ. *cardamomum*-დან.

საინტერესოა *ardilla*-ს წარმომავლობა. იგი მივიღეთ *harda*-ს კნინობითი ფორმიდან. *Harda*, როგორც კორომინასი აღნიშნავს, არ არის ლათინური სიტყვა და ამას ადასტურებს იმ ფაქტით, რომ მას ვხვდებით სამ არარომანულ (ბერბერულ, არაბულ და ბასკურ) ენაში.

პრერომანული, კერძოდ კელტური ძირი აქვს *bardo*-ს. რაც შეეხება *bardana*-ს, მისი ეტიმოლოგია უცნობია. თუმცა, ვიცით, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება ლათინურში.

კონსონანტურ კომპლექსს *rd*-ს ცვლილება არც ფრანგული წარმოშობის *palurdo*-ში განუცდია. ფრანგულმა *balourd*-მა, სადაც თანხმოვანთჯგუფი ბოლოკიდურ პოზიციაშია, ესპანურში დამკვიდრების დროს

დაიმატა ხმოვანი და ბოლოკიდური კომპლექსი იქცა სიტყვის შუა პოციზიის მქონე კომპლექსად.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილული ყველა მაგალითი არის rd ჯგუფის მუდმივობის მაჩვენებელი, გვაქვს ვარიანტების შემთხვევაც. მათ შორისაა: ესპ. horchata; ლათ. hordeata, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს hordeum-იდან, განიცდის იტალიურის გავლენას და გვაძლევს horchata-ს.

როგორც ვხედავთ, დერივატში კონსონანტური კომპლექსის პირველი ელემენტი შენარჩუნდა, მეორემ კი - განიცადა ცვლილებები.

როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით rf კონსონანტურ კომპლექსს. იგი უცვლელი ფორმით დამკვიდრდა თითქმის ყველა ესპანურ კორელატში. თუმცა, წინა ჯგუფებისაგან განსხვავებით, საგრძნობლად მცირეა სიტყვები აღნიშნული კომპლექსით.

ესპ. fárfara-ს აქვს ორი სემანტიკური მნიშვნელობა და თითოეულ მათგანს აქვს განსხვავებული ეტიმოლოგია. Fárfara, რომელიც მცენარის ერთ-ერთ სახეობას აღნიშნავს, მომდინარეობს ლათ. farfarus-დან, ხოლო fárfara, რომელიც კვერცხის ნაჭუჭის ქვეშ არსებულ თხელ ფენას აღნიშნავს – არაბული halhal-დან, რაც სათუთ ქსოვილს' ნიშნავს. როგორ ვხედავთ, მეორე სიტყვაში კონსონანტური კომპლექსი წარმოქმნილია დერივატის დონეზე.

ოქსიტანური forfant-დან დამკვიდრდა კასტილიურ ენაში farfante. კონსონანტური კომპლექსი ოქსიტანურ ეტიმონში წარმოქმნილია far ძირზე თავსართ for-ის დამატებით. სავარაუდოდ, ესპანურში farfante შემოვიდა იტალიურიდან ან ფრანგულიდან.

რაც შეეხება ესპ. gerifalte-ს, იგი მივიღეთ ძვ. ფრანგ. girfalt-დან, ეს უკანასკნელი კი – ძვ. სკანდინავიური geirfalki-დან, რომელიც წარმოადგენს falki-სა და geiri-ს კომპოზიტს. როგორც ვხედავთ, ესპანურ კორელატში, ახალი ხმოვნის ჩამატების შედეგად, მოხდა კონსონანტური კომპლექსის დაშლა.

დერივატის დონეზე მივიღეთ rf კონსონანტური კომპლექსი ესპ. amorfo-ში. იგი მომდინარეობს ბერძ. amorphos-დან, რაც უფორმოს' ნიშნავს, ხოლო ამ უკანასკნელის ძირია morphe (forma).

ლათინური, ბერძნული და პრერომანული წარმოშობის სიტყვებში ვხვდებით rg კონსონანტურ კომპლექსს. იგი ძირითადად ვარიანტების გარეშე

გადადის ესპანურ კოლერატში. თუმცა, გვაქვს ფონეტიკური ცვლილებების ორიოდე შემთხვევაც.

ლათ. *argentum*-დან მოდის ესპ. *argento*. ეტიმონის დონეზე არსებული კონსონანტური კომპლექსი უცვლელი ფორმით გადავიდა შემდეგ ესპანურ სიტყვებშიც: ლათ. *arguer* - ესპ. *arguir*, ლათ. *largus* - ესპ. *largo* და სხვ.

ბერძნულიდან, ოღონდ ლათინიზირებული ფორმით, დამკვიდრდა კასტილიურში *liturgia* (ბერძ. *leiturgos*), *margarita* (ბერძ. *margarites*), *órgano* (ბერძ. *organon*).

პრერომანული წარმოშობისაა ესპ. *árgoma*. სავარაუდოდ, იგი წარმოადგენს პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დასახლებული იბერების ენის ვოკაბულას, რომელსაც არ აქვს საერთო ნახევარკუნძულის სხვა ხალხების ენებთან.

ერთ-ერთ უძველეს სიტყვას წარმოადგენს *argamasa* და იგი საერთოა ნახევარკუნძულის ყველა ენისათვის. სავარაუდოდ, იგი წარმოადგენს კომპოზიტს *arga+masa*, სადაც *masa* არის ლათინური ეტიმოლოგიის მატარებელი, ხოლო პირველი ელემენტის წარმოშობა არის უცნობი.

Rg თანხმოვანთჯგუფის მიერ განცდილი ფონეტიკური ცვლილებები შეიძლება დავეოთ ორ ჯგუფად:

1. ჯგუფი, სადაც იკარგება კონსონანტური კომპლექსის მეორე ელემენტი: ლათ. *argenteus* - ესპ. *arrienzo*;

2. ჯგუფი, სადაც კომპლექსის მეორე ელემენტი განიცდის ვარირებას: ლათ. *argilla* - ესპ. *arcilla*.

განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ გვაქვს rg კონსონანტური კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნის რამდენიმე შემთხვევაც.

თურქული კომპოზიტიდან *beg+armudi*-დან მომდინარეობს ესპ. *bergamota*, ოღონდ კასტილიურ ენაში იგი დაკვიდრდა იტალიური *bergamotta*-ს გავლით. როგორც ვხედავთ, თანხმოვანთჯგუფი წარმოქმნილია იტალიურ კორელატში (მეტათეზის შედეგად), საიდანაც კასტილიურში უცვლელი ფორმით გადადის.

გოთურმა *brikan*-მა კი, რომელიც კასტილიურში გადავიდა კატალანური *bergant*-ის გავლით, მოგვცა *bergante*. *Bergante*-ს ამგვარი ევოლუცია აიხსნება r-ს მეტათეზით და ყრუ k-ს გამჟღერებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, rh კონსონანტური კომპლექსი ერთადერთია იმ r კონსონანტიან კომპლექსებს შორის, რომლებიც გვხვდება როგორც თავკიდურ პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში. იგი გავრცელებულია ბერძნული ეტიმონის სიტყვებში და არცერთ ესპანურ კორელატში არ გადადის ვარირების გარეშე.

ესპ. retórico, რომელიც კასტილიურ ენაში ჩნდება XII საუკუნიდან, შემოდის ლათ. rhetoricus-დან, ეს უკანასკნელი კი მომდინარეობს ბერძ. rhetorikos-დან, რომლის ძირეული სიტყვა არის rhetor 'ორატორი'.

ლათ. rheuma-ს გზით მივიღეთ ესპ. reuma (ბერძ. rheuma-დან). იგი დღეისათვის მონაცვლეობს reumatismo-სთან და წარმოადგენს სამედიცინო ტერმინს.

ორი ბერძნული სიტყვის კომბინაციიდან მივიღეთ ესპ. rinoceronte. იგი წარმოადგენს rhinos 'ცხვირი' და ceros 'რქა'-საგან შედგენილ კომპოზიტს. აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვათხზვის ორივე კომპონენტი საკმაოდ გავრცელებულია და მათგან არაერთი სხვა კომპოზიცია მიღებული. მათ შორის rinitis, rinoplastia, otorrinolaringólogo, braquícero, monoceronte და სხვ.

ლათინურის გავლით დამკვიდრდა ესპანურში ritmo (ბერძ. rhythmus - ლათ. rhythmus) და rombo (ბერძ. rhombus - ლათ. rhombus)-ც.

როგორც ვხედავთ, ბერძნულ სიტყვებს არ დაუკარგავთ კომპლექსის მეორე ელემენტი ლათინურში დამკვიდრების დროს, თანხმოდანთჯგუფის გამარტივება მხოლოდ ესპანური ენის დონეზე მოხდა.

შუა კონსონანტური კომპლექსი rh, რომელიც გვხვდება არაბულ ეტიმონში tarhun, ლათინურში შეესაბამება tarchon-ს. ლათინური ენის დონეზე მიღებული კონსონანტური კომპლექსი, ესპანურ კორელატში ვარირებს და ვიღებთ rg კომბინაციას, რომელიც მოგვიანებით იშლება ახალი a ხმოვნით და გვაძლევს ესპანურ tarragona-ს [ახვლედიანი ც., 2009:140].

Rl კონსონანტური კომპლექსი გვხვდება არალათინური წარმოშობის სიტყვებში და ესპანური ენის ყველა კორელატში გადადის უცვლელი ფორმით.

ორი სემანტიკური მნიშვნელობა აქვს ესპ. berlina-ს. იმ შემთხვევაში თუ berlina აღნიშნავს ოთხკარიან მანქანას, იგი მომდინარეობს ფრანგული berline-დან, სადაც ეს ვოკაბულა შევიდა ქალაქ ბერლინის დასახელებიდან (ადგილი, სადაც იგი გამოიგონეს), ხოლო თუ berlina აღნიშნავს

ვინმეს სასაცილოდ აგდებას', იგი მომდინარეობს იტალიური *berlina*-დან მასხარა'.

ძვ. სკანდინავიური *kerling*-დან მოდის ფრ. *carlingue*, რომელიც ესპანურ კორელატში გადადის *carlinga*-ს ფორმით. აღნიშნულ ვოკაბულას არ განუცდია ვარირება დერივატის არცერთ დონეზე.

საკუთარი სახელიდან მომდინარეობს ტკბილეულის ერთ-ერთი სახეობის დასახელება - *Carlota*. ამ სიტყვის ტკბილეულის' მნიშვნელობით გამოყენება დაიწყო XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ერთმა ქალბატონმა, სახელად კარლოტა, ინგლისის დედოფალს (ჯორჯ II-ს ცოლს) მიართვა უკემრიელესი ტორტი. სწორედ მის სავატივსაცემოდ შემორჩა ნამცხვრის ამ სახეობას სახელი *Carlota*.

უცნობია, *merluza*-ს წარმომავლობა. თუმცა, არსებობს ერთი ვერსია. შესაძლოა, ესპანური ვოკაბულა მომდინარეობდეს ფრანგული *merlus*-დან, სადაც უკვე აღნიშნავდა თევზის ერთ-ერთ სახეობას. ფრანგული ვარიანტი კი უნდა იყოს წარმოქმნილი ფრ. *merlan*-ის (მიღებული გერმანიკული *merlan*-დან) და ლათ. *lucius*-ის შერწყმის შედეგად.

ასევე უცნობია ესპ. *arlequin*-ის წარმომავლობა. თუმცა, კორომინასი ვარაუდობს, რომ აღნიშნული ვოკაბულა კასტილიურ ენაში დამკვიდრდა ძვ. ფრანგული *herlequin*, *hellequin*-დან, იტალიური *arlecchino*-ს გავლით. შესაძლოა, ესპ. *arlequin* მომდინარეობდეს ინგლისური *Herle King*-ისაგანაც ანუ მეფე *Harilo*-ს (ბოროტი სულების წინამძღოლი) სახელიდან [ახვლედიანი ც., 145:2009]

გვაქვს *rl* კონსონანტური კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნის რამდენიმე მაგალითი. ესპ. *berlanga*, რაც ბანქოს ერთ-ერთი აზარტული თამაშია, მივიღეთ ძვ. ფრანგული *berlant*-დან (*brelenc*-მაგიდა, სადაც თამაშობდნენ ამ თამაშს). ეს უკანასკნელი კი მომდინარეობს გერმანული *bretling*-დან და არის *brett* პატარა მაგიდა'-ის კნინობითი ფორმა. როგორც ვხედავთ, *rl* კონსონანტური კომპლექსი ფრანგული ეტიმონის დონეზე წარმოიქმნა და მას წინ უძღვოდა *t*-ს ამოვარდნა და *r*-ს მეტათეზა.

ამავე დონეზე მივიღეთ ესპ. *carlear*. იგი მომდინარეობს ლათ. *calorear*-დან, რომელმაც ჯერ, *o*-ს სინკოპის შედეგად, მოგვცა *calrear*, ხოლო შემდეგ განიცადა მეტათეზა.

მნიშვნელოვანი სტაბილურობით გამოირჩევა შუა კონსონანტური კომპლექსი *rm*, რომელსაც ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში.

ლათ. *armenius mus* თავი სასომხეთიდან'-დან მომდინარეობს ესპ. *armiño*, რაც ქართულად ყარყუმს' ნიშნავს. ეს ძუძუმწოვარი არსება ევროპაში შავი ზღვის გავლით გადავიდა, მაგრამ არა სასომხეთიდან, როგორც ეს შესაძლოა ვივარაუდოთ მისი დასახელებიდან გამომდინარე; სინამდვილეში, იგი გავრცელდა დღევანდელი რუსეთის მიწებიდან. თუმცა, შუა საუკუნეებში, დასავლეთში სასომხეთი (*armenia*) უფრო ცნობილი იყო, ვიდრე აღმოსავლეთის სხვა მიწები.

პერიოდული სისტემის ერთ-ერთი ქიმიური ელემენტის, გერმანიუმის ესპანური დასახელება *germanio* მომდინარეობს ლათ. *Germania*-დან, რადგან სწორედ გერმანიაში იქნა აღმოჩენილი ეს მეტალი.

ლათ. *vermis* და მის კნინობით დერივატს *vermiculus*-ს შეესაბამება ესპანური ენაში *bermejo*. ლათინური ეტიმონის მატარებელი სხვა სიტყვებიდან აღსანიშნავია: *arma* (ლათ. *arma*), *armario* (ლათ. *armarium*), *carmenar* (ლათ. *carminare*), *dormir* (ლათ. *dormire*), *dormitorio* (ლათ. *dormitorium*), *firme* (ლათ. *firmus*), *hormiga* (ლათ. *formica*), *hermano* (ლათ. *germanus*) და ა.შ.

ბერძნული *harmonia*-დან შემოვიდა ესპანურში *armonía* (ლათ. *harmonia*-ს გავლით). ამავე ძირიდან მოდის სიტყვები: *armónico*, *armonioso*, *armonio*, *armonizar* და ა.შ.

არაბულ ძირს წარმოადგენს *karm*, რომელმაც ესპანურში მოგვცა *carmen*. *Carmesí*-ს ეტიმოლოგიის კვლევას კი მივყავართ სპარსულ *kirm*-თან, რომელიც ჯერ არაბულში გადავიდა *qarmazi*-ს ფორმით, ხოლო შემდეგ ესპანურში. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ არაბული *qarmaz* ესპანურში პირდაპირი გზით კი არა, არამედ კატალანური *carmesi*-დან უნდა გადასულიყო.

ესპანური კორელატის დონეზე წარმოიქმნა *rm* კომპლექსი სიტყვაში *armón*. იგი ესპანურში დამკვიდრდა ფრანგული *armon*-დან, ხოლო ამ უკანასკნელში გადავიდა გერმანული *aram*-დან. როგორ ვხედავთ, ესპანური ვარიანტი წარმოიქმნა ჯერ კიდევ ფრანგულის დონეზე მომხდარი *a*-ს სინკოპის შედეგად. ამავე ფონეტიკური მოვლენით აიხსნება ლათ. *paramu*-დან ესპ. *parmo*-ს მიღება.

ძირითადად ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება შუა კონსონანტური კომპლექსი *m*. იგი თანხმოვანთჯგუფის მდგრადობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ლათ. *furnu*, რომელიც ევოლუციის დროს განიცდის თავიკიდური *h*-ს და ბოლოკიდური *u*-ს ტრანსფორმაციას, ესპანურში მკვიდრდება *m* კომპლექსის ვარირების გარეშე და გვაძლევს *horno*-ს. აღნიშნული კომპლექსი არც შემდეგ სიტყვებში ექვემდებარება ცვლილებებს: ესპ. *pierna* - ლათ. *perna*, ესპ. *cuerno* - ლათ. *cornu*, ესპ. *carnero* - ლათ. *carnarius*, ესპ. *carnoso* - ლათ. *carnosus*, ესპ. *gobernador* - ლათ. *gubernator*, ესპ. *hernia* - ლათ. *hernia* და ა.შ.

ლათინური ძირი აქვს ესპანურ *torno* და *tornar*-საც. ლათ. *tornus* და *tornare*, ბერძნულის გავლით, შემოდიან ესპანურში და მკვიდრდებიან კონსონანტური კომპლექსის ვარირების გარეშე.

ძვ. სკანდინავიური *hærnest*-იდან, ფრ. *harneis* (დღ. *harnais*)-ის გავლით, მივიღეთ ესპანურში *arnés*. აღნიშნული ვოკაბულას სკანდინავიური ვარიანტი წარმოადგენს *herr+nest*-ის კომპოზიტს. *Rn* კონსონანტური კომპლექსი ფრანგული ენის დონეზეა წარმოქმნილი, საიდანაც უცვლელი ფორმით გადავიდა კასტილიურში.

ესპანური ენის დონეზე არის დაფიქსირებული *m* კომპლექსის მიღება რამდენიმე სიტყვაში: ლათ. *farinarius* - ესპ. *harnero*, ლათ. *coronare* - ესპ. *corner*. ორივე სიტყვაში *m* ჯგუფი წარმოქმნილია სინკოპის შედეგად: პირველ მაგალითში ხდება *i*-ს ამოვარდნა, ხოლო მეორეში – *o*-ს დაკარგვა.

სტაბილურ კონსონანტურ კომპლექსს წარმოადგენს *rp* თანხმოვანთჯგუფი, რომელიც როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და უცვლელი ფორმით გადადის თითქმის ყველა ვოკაბულაში. გვაქვს მხოლოდ ერთი გამონაკლისი.

ლათ. ეტიმონი აქვს ესპ. *cuerpo*-ს. იგი მომდინარეობს *corpus*-დან. ლათინურიდან დამკვიდრდა ესპანურში შემდეგი სიტყვებიც: *serpiente* (*serpente*), *serpollo* (*serpullu*) და ა.შ. ლათ. *carpentarius*-დან გადავიდა ესპანურში *carpintero*. თავად ლათინურში, საგარაუდოდ, დამკვიდრდა კელტურიდან.

ბერძ. ძირი აქვს *arpía*-ს. იგი მივიღეთ ბერძნული *harpyia*-დან, რომელიც ჯერ ლათინურში გადავიდა, შემდეგ კი - კასტილიურში.

სამი სემანტიკური მნიშვნელობა აქვს ესპ. *carpa* და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამივე შემთხვევაში აქვს სხვადასხვა ეტიმოლოგია:

1. *Carpa*, როგორც კობრი' (ზოოლ.) ესპანურში დამკვიდრდა გოთური *karpa*-დან;

2. *Carpa*, როგორც ყურძნის მტევანი' მომდინარეობს ფრანგული *grappe*-დან;

3. *Carpa*, როგორც კარავი' კასტილიურში შევიდა კეჩუას ენიდან *carpa*.

როგორც ვხედავთ, ორ შემთხვევაში კონსონანტური კომპლექსი მდგრადობას ინარჩუნებს, ხოლო ფრანგულიდან შემოსულ სიტყვაში ადგილი აქვს მეტათეზას.

ფრანგული *carpette*-დან შევიდა ესპანურში *carpeta*. თავად ფრანგულში კი გადავიდა ინგლისური *carpet*-დან. შესაძლოა, ინგლისურში დამკვიდრებულიყო ძვ. იტალიური *carpita*-დან, რომლის ძირიც იყო ლათინური *carpire*.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა რომანულ ენაში, სტაბილურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა *rp* კონსონანტური კომპლექსი, ესპანურში ვხვდებით მისი ვარიანტების ერთ შემთხვევასაც. ვგულისხმობთ ზმნა *sobreponer*-ს, რომელიც მომდინარეობს ლათ. *superponer*-იდან. როგორც ვხედავთ, დერივატის დონეზე მოხდა მეტათეზა და ყრუ კონსონანტის, *p*-ს გამჟღერება.

რაც შეეხება *arpa*-ს, იგი მომდინარეობს ფრანგული *harper*-იდან. *Rp* კომპლექსი დერივატის დონეზე წარმოქმნილია ესპ. *párpado*-შიც. იგი მივიღეთ ლათ. *palpetrum*-იდან, რომელიც ჯერ *parpadro*-ში გადავიდა, მოგვიანებით კი, დისიმილაციის შედეგად, მოგვცა *párpado*.

საკმაოდ გავრცელებულია სიტყვის შუაში *r*-ს გემინატი. უმეტეს შემთხვევაში, მას ვხვდებით ლათინური წარმოშობის სიტყვებში. თუმცა, გვაქვს პრერომანული ეტიმონის მქონე ესპანური სიტყვებიც.

ლათინური ძირის მქონე სიტყვებია: *arrogante* (ლათ. *arrogans*), *arroyo* (ლათ. *arrugia*), *correcto* (ლათ. *correctus*), *corrupto* (ლათ. *corruptus*), *horrible* (ლათ. *horribilis*), *puerro* (ლათ. *porrum*) და სხვ.

პრერომანული (კერძოდ, კელტური) წარმოშობისაა ესპ. *berrendo*. იგი მივიღეთ *barrovindos*-დან, რომელიც ჯერ *berruendo*-დ, ხოლო შემდეგ *berrendo*-დ ტრანსფორმირდა.

პირენეის ნახევარკუნძულის ყველა ენისათვის საერთო ძირია პრერომანული *karr*, რომელიც ესპანურ ენაში გვაძლევს *carrasca*-ს.

დერივატის დონეზე წარმოიქმნა *r*-ს გემინატი რამდენიმე არაბული წარმოშობის, კონსონანტ *r*-თი დაწყებულ სიტყვაში: *roba* - *arroba*, *ruzz* - *arroz*. სავარაუდოდ, აღნიშნული გემინატი წარმოიქმნა არაბული არტიკლის - *al*-ის სიტყვასთან შერწყმის და შემდეგ, მისი ფუძისეულ *r*-სთან ასიმილაციის შედეგად. ორმაგი *r* წარმოიქმნა ლათ. *ruga*-დანაც. მან ესპანურში მოგვცა *arruga*, რაც შესაძლოა ბასკურის გავლენით ან კასტილიურ ენაში ბასკური ენის გზით დამკვიდრებით იყოს განპირობებული. როგორც ვიცით, ბასკურში სიტყვა არ იწყება *r*-ზე და ლათინურიდან გადასული, აღნიშნული კონსონანტით დაწყებული სიტყვები, იმატებენ ხმოვანს თავიკიდურ პოზიციაში.

როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება *rs* კონსონანტური კომპლექსი, რომელიც ესპანურ კორელატში გადადის როგორც უცვლელი, ასევე სახეცვლილი ფორმით.

ლათინური ზმნა *currere*-ს მიმდებობიდან - *cursus* მოდის ესპანური *curso*, რომელმაც შემდეგ არაერთი კომპოზიტის შემადგენელი ნაწილი გახდა. მათ შორისაა: *concurso*, სადაც პრეფიქსი *con* აქვს დამატებული ფუძეს; *Discurso*, სადაც თავსართ *dis*-ს ვხვდებით; *Transcurso*, სადაც პრეფიქსი *trans* კომპოზიტის პირველ ელემენტს წარმოადგენს და ა.შ.

თანხმოვანთკომპლექსის ვარირების გარეშე გადავიდა ესპანურში ლათ. *aversio*, -*onis*-ც, რომელმაც კასტილიურში მოგვცა *aversión*. ვარირება არც ესპ. *reservar*-ის ეტიმოლოგიის კვლევისას დაფიქსირებულა. ლათ. *reservare* ესპანურში მხოლოდ ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვით გადადის.

ბერძნული *tarsos*-დან მივიღეთ ესპანურში *tarso*, ხოლო ესპ. *torso* მომდინარეობს ბერძ. *thyrsos*-იდან. პირველი ვოკაბულასაგან განსხვავებით, *torso*-მ ევოლუციის დიდი გზა განვლო. იგი ჯერ ლათინურში დამკვიდრდა *thyrsus*-ის ფორმით, ხოლო მოგვიანებით იტალიურში მოგვცა *torso*, საიდანაც უცვლელი ფორმით გადავიდა კასტილიურ ენაში.

რაც შეეხება ესპ. *arsenal*-ს, იგი ესპანურში იტალიური *arsenale*-დან შემოვიდა, სადაც დამკვიდრდა არაბული *darsinaa*-დან.

ასიმილაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა *rs* კონსონანტური კომპლექსი, რომელიც ჯერ *ss*-ში გადადის, ბოლოს

კი – ხდება s: cursus cosso coso, transversu traviesso travieso, reversare revesar revesar, versura vassura basura, ursu osso oso.

აღნიშნული ფონეტიკური ცვლილების ლათინურ ენის დონეზე დაფიქსირება ადვილად შეიძლება, რადგან ლათინურად შესრულებულ დოკუმენტებში ერთი და იგივე სიტყვის სამივე ვარიანტს ვხვდებით: dorsuarius - dossum - deosum.

Rt შუა კონსონანტურ კომპლექსს ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე ბერძნული წარმოშობის სიტყვებში. თუმცა, გვაქვს რამდენიმე ისეთი ვოკაბულაც, რომელთა ეტიმოლოგიის კვლევასაც მივყავართ პრეროდმანულ და არაბულ ენებთან.

ლათ. porta-დან მოდის ესპ. puerta. როგორც ვხედავთ, rt კონსონანტური კომპლექსი უცვლელად გადადის ესპანურ კორელატში, რასაც ვერ ვიტყვით ი-ზე, რომელიც კასტილიურში დიფთონგიზაციას განიცდის. ევოლუციის იგივე გზა განვლო ესპ. puerto-მ, რომელიც მივიღეთ ლათ. portus-იდან.

ლათ. mors და sors-ის მრ. რიცხვის ფორმებიდან (mortis, sortis) მომდინარეობს ესპანური muerte და suerte. რაც შეეხება ესპ. arte-ს იგი ბერძნული წარმოშობისაა და კასტილიურში ლათინური ars, artis-ს გზით დამკვიდრდა.

ლათინურიდან rt თანხმოვანთჯგუფი ვარიანტების გარეშე დამკვიდრდა შემდეგ ესპანურ სიტყვებშიც: cortina (ლათ. cortina), corto (ლათ. curtus), experto (ლათ. expertus), liberto (ლათ. libertus), oportuno (ლათ. opportunus), portero (ლათ. portarius), huerto (ლათ. hortus) და სხვ.

უამრავ ბერძნულ სიტყვაშია დაფიქსირებული rt კონსონანტური კომპლექსი შუა პოზიციაში. რადიკალურ ცვლილებებს არც ბერძნული ეტიმონის მატარებელ ესპანურ ვოკაბულებში ვხვდებით: arteria (ბერძ. arteria), ártico (ბერძ. arktikos) და ა.შ. მათი უმრავლესობა კასტილიურ ენაში ლათინურის გზით დამკვიდრდა.

ფრანგული artesein-იდან გადავიდა ესპანურში artesiano, რაც ნიშნავს 'ქას'. თავად ფრანგულში კი იგი გაჩნდა ჩრდილო საფრანგეთის ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის დასახელებიდან (Artois), სადაც პირველად გათხარეს ჭა წყლის მოსაპოვებლად.

ფრანგულ ენას უკავშირდება cuartago-ს ტანმორჩილი ცხენი' წარმომავლობაც. იგი მომდინარეობს ფრანგული courtaud-იდან, რაც დაბალ

ადამიანს' ნიშნავს (სავარაუდოდ, ფრანგულში იგი ლათ. *curtus*-იდან შევიდა). კასტილიურ ენაში გადასვლის შემდეგ, აღნიშნულმა ვოკაბულამ განიცადა ესპ. *cuarto*-ს გავლენა, რაც მეოთხედს' ნიშნავს.

უცნობია *artesa*-ს ეტიმოლოგია. თუმცა, არსებობს ვერსია მისი პრერომანული წარმოშობის შესახებ. რაც შეეხება ესპ. *artanita*-ს, იგი კასტილიურში დამკვიდრდა არაბული *artanita*-დან. ამ უკანასკნელში კი, RAE-ს მონაცემებით, გადავიდა სირიულიდან. *Rt* კონსონანტურ კომპლექსს არც ამ სიტყვაში განუცდია ვარირება.

რამდენიმე სახის ცვლილება არის დაფიქსირებული *rt* კონსონანტური კომპლექსის ევოლუციის პროცესში:

1. *Rt* თანხმოვანთჯგუფის მეორე ელემენტი, რომელიც ყრუ ოკლუზივს წარმოადგენს, გადადის *c* () -ში: ლათ. *assertion,-onis* - ესპ. *aserción*, ლათ. *martialis* - ესპ. *marcial*, ლათ. *portio,-onis* - ესპ. *porción* და სხვ.

2. *Rt* კონსონანტური კომპლექსის მეორე ელემენტი გადადის აფრიკატში: ლათ. *cortex* - ესპ. *corcho*.

3. *Rt* კონსონანტური ჯგუფის ყრუ ელემენტი მუდერდება: ლათ. *fartum* - ესპ. *fardo*.

ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება *rv* კონსონანტური კომპლექსი. იგი ესპანურ კორელატში ძირითადად უცვლელი ფორმით გადადის: ლათ. *arvum* - ესპ. *arvense*, ლათ. *cervus* - ესპ. *ciervo*, ლათ. *corvus* - ესპ. *cuervo*, ლათ. *curvus* - ესპ. *corvo*, ლათ. *parvus* - ესპ. *parva* და სხვ.

გვაქვს რამდენიმე ისეთი შემთხვევა, სადაც *rv* თანხმოვანთჯგუფი წარმოქმნილია ლათინურ ფუძე-ზმნაზე თავსართის დამატებით. მათ შორისაა: ესპანური *sobrevivir*, რომელიც მომდინარეობს ლათ. *supervivire*-დან. როგორც ვხედავთ, აღნიშნული კომპლექსი აღარ ფიგურირებს ესპანურის დონეზე, რაც გამოწვეულია ყრუ კონსონანტის გამუდერებით და *r*-ს მეტათეზით.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: S

(sf, sg, sk, sm, sn, sp, ss, st)

კონსონანტური კომპლექსები, სადაც პირველ ელემენტს წარმოადგენს თანხმოვანი *s*, გვხვდება როგორც თავკიდურ პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში,

იქნება ეს ვოკაბულა ლათინური თუ არალათინური ეტიმონის მატარებელი. რამდენიმე შემთხვევაში, გარკვეული მიზეზების გამო, კონსონანტური კომპლექსი, რომელიც ეტიმონის დონეზე გვხვდება თავიკიდურ პოზიციაში, ესპანურ კორელატში პოზიციას იცვლის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასალის კვლევის დროს, შევხვდით რამდენიმე ისეთ მაგალითს, სადაც ჩვენთვის საინტერესო თანხმომავანთჯგუფები წარმოქმნილია დერივატის დონეზე. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა სათითაოდ.

კონსონანტური კომპლექსი sf, ძირითადად, დერივატის დონეზე გვხვდება. ესპანურში *desfaltar* დამკვიდრდა იტალიური *defalcare*-დან, რომელშიც გადავიდა ჩრდილო ევროპაში მცხოვრები ერთ-ერთი ტომის, ლომბარდიელების ენაში არსებული სიტყვიდან - *falkan*.

უამრავი ბერძნული წარმოშობის სიტყვა გვაძლევს კასტილიურ ენაში sf კომპლექსს. მათ შორისაა: *esfacelo* (ბერძ. *sphakelos*), *esfenoides* (ბერძ. *sphenoeides*), *esfera* (ბერძ. *sphaera*), *esfigmógrafo* (ბერძ. *sphygmos+grapho*) და სხვ. რაც შეეხება ესპ. *esfinge*-ს, იგი ესპანურ ენაში ბერძნული *sphinx,-ngos*-დან, ლათინური *sphinx,-ngis*-ის გზით გადავიდა.

მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, სადაც შუა კონსონანტური sf კომპლექსი ლათინური წარმოშობის მქონე სიტყვაში გვხვდება და ისიც ეტიმონის დონეზე. ლათ. *disfidare*-დან ესპანურში მივიღეთ *desafiar*. როგორც ვხედავთ, ესპანურ კორელატში გაჩნდა ხმოვანი, რამაც გამოიწვია ეტიმონის დონეზე არსებული კონსონანტური ჯგუფის დაშლა.

მხოლოდ დერივატის დონეზე ვხვდებით sg კომპლექსს. არ გვაქვს არცერთი ვოკაბულა, სადაც sg კომპლექსი იქნება თავიკიდური პოზიციით.

ხალხ. ლათ. *mussicare*-დან (ლათ. *mussare*) მივიღეთ ესპ. *amusgar*. როგორც ვხედავთ, ამ სიტყვის ევოლუციის დროს დაფიქსირდა რამდენიმე ფონეტიკური მოვლენა: ჯერ მოხდა i-ს სინკოპა, შემდეგ ყრუ თანხმომავანის გამჟღერება, ბოლოს კი - a ხმოვნის დამატება თავიკიდურ პოზიციაში. მსგავსს ფონეტიკურ მოვლენებს ვხვდებით ესპ. *sesgare*-ს ეტიმოლოგიის კვლევის დროს. იგი მომდინარეობს ლათ. *sessicare*-დან.

ბასკური *izokin*-იდან მოდის ესპ. *esguín*. თუმცა, არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვითადა, იგი ესპანურში ლათ. *esocina*-ს გავლით დამკვიდრდა.

ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება sk კომპლექსი. ესპანურ ენაში გადასვლის დროს, იგი ყველა შემთხვევაში იმატებს სიტყვის თავში e ხმოვანს და თავკიდური პოზიციიდან გადადის სიტყვის შუაში: ლათ. scala - ესპ. escala, ლათ. scandula - ესპ. escanda, ლათ. scandalum - ესპ. escándalo, ლათ. scoffina - ესპ. escofina, ლათ. scutum - ესპ. escudo.

Sk კომპლექსი ვარირებას არც სიტყვის შუაში ექვემდებარება: ლათ. auscultare - ესპ. escuchar, ლათ. musca - ესპ. mosca.

შუა კონსონანტური კომპლექსი sm არალათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და არ განიცდის ფონეტიკურ ცვლილებებს. იგი იშვიათად ფიქსირდება თავკიდურ პოზიციაში ეტიმონის დონეზე. თუმცა, მაინც გვაქვს აღნიშნული მოვლენის ორიოდ მაგალითი. ბერძნული smaragdos ლათინიზირებული smaragdus-ის ფორმით გადადის ესპანურ კორელატში და გვაძლევს esmeralda-ს.

ბერძნული წარმოშობის არის ესპ. cosmos. იგი მივიღეთ ბერძ. kosmos-იდან, რომელიც კასტილიურში ლათ. cosmos-ის გავლით დამკვიდრდა. ბერძნულიდან პირდაპირი გზით შევიდა ესპანურში husmear. იგი მივიღეთ osmaomai-დან, რომლის ძირიც არის osme სუნი'. იგივე osme არის ბერძ. კომპოზიტის – onos+osme-ს ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი. აღნიშნული სიტყვათხზვა ესპანურში გადავიდა onosma-ს ფორმით.

ლათინურის გავლით, ესპანურში დამკვიდრდა კიდევ რამდენიმე ბერძნული სიტყვა. მათ შორისაა: pasmo (ბერძ. spasmus - ლათ. pasmus), prisma (ბერძ. prisma - ლათ. prisma).

ქიმიური ელემენტის – ბისმუტის ესპანური დასახელება bismuto მომდინარეობს გერმანული კომპოზიტიდან wiese+muten, რომლის პირველი ნაწილი ტოპონიმიკას უკავშირდება.

ფრანგულის გზით დამკვიდრდა ესპანურში სპარსული tilismat, რომელიც არის tilism-ის მრავლობითი რიცხვის ფორმა. ამ უკანასკნელში კი გადავიდა ბერძნული telesma-დან.

დერივატის დონეზე ფიქსირდება კონსონანტური კომპლექსი sm ესპანურ chisme-ში. მისი ეტიმოლოგია ჯერ-ჯერობით ბუნდოვანია. თუმცა, არსებობს

ვერსია მისი ლათინური წარმოშობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ესპ. *chisme* მომდინარეობს ლათ. *cimex*-იდან.

ამავე დონეზეა წარმოქმნილი *sm* თანხმოვანთჯგუფი *desmazalado*-ში. იგი მომდინარეობს ებრაული *mazzal*-იდან. როგორც ჩანს, ებრაულმა სიტყვამ, ესპანურში დამკვიდრების დროს, დაიმატა ლათინური თავსართი, რასაც მოჰყვა ესპანურ კორელატში კონსონანტური კომპლექსის წარმოქმნა.

საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს *sn* ჯგუფი სიტყვის შუაში. მას სულ რამდენიმე მაგალითში ვხვდებით და ისიც დერივატის დონეზე.

ესპ. *asno* მივიღეთ ლათ. *asinus*-იდან. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ვოკაბულას ესპანურში დამკვიდრებას წინ უძღვოდა *i*-ს სინკოპა. რაც შეეხება ესპ. *desnudar*-ს, იგი მომდინარეობს ლათ. *denudare*-დან, რომელმაც ევოლუციის გზაზე განიცადა *s*-ს ეპენტეზა.

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კონსონანტურ კომპლექსს, რომელსაც ლათინური, ბერძნული და გოთური წარმოშობის სიტყვების თავიანთ პოზიციაში გვხვდებით, წარმოადგენს *sp* თანხმოვანთჯგუფი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომპლექსი, რომელსაც ეტიმონის დონეზე ვხვდებით, არცერთ ესპანურ კორელატში არ ინარჩუნებს თავიანთ პოზიციას. ყველა განხილული მაგალითში იგი იმატებს ხმოვანს. სწორედ ამის შედეგად იცვლება *sp* კონსონანტური კომპლექსის პოზიცია თავიანთიდან სიტყვის შუა პოზიციით: ლათ. *spatiosus* - ესპ. *espacioso*, ლათ. *spectaculum* - ესპ. *espectáculo*, ლათ. *spectrum* - ესპ. *espectro*, ლათ. *speculum* - ესპ. *espejo*, ლათ. *sperare* - ესპ. *esperar*, ლათ. *sponsus* - ესპ. *esposo*, ლათ. *spuma* - ესპ. *espuma*, ბერძ. *sparton* (ან *spartos*) - ლათ. *spartum* - ესპ. *esparto*, ბერძ. *spastikos* - ლათ. *spasticus* - ესპ. *espástico*, ბერძ. *speiraia* - ლათ. *spiraea* - ესპ. *aspirina*, ბერძ. *spondeios* - ლათ. *spondeus* - ესპ. *espondeo* და სხვ.

გოთური წარმოშობის არის ესპანური *espeto*. კორომინასის მიხედვით, იგი მომდინარეობს გოთ. *spitus*-იდან. ამავე ენიდან მივიღეთ *espia*-ც, რომლის ძირიც არის *spaiha*.

საინტერესოა ესპ. *espliego*-ს ეტიმოლოგია. იგი მომდინარეობს ლათ. *spiculum* -იდან, რომელიც წარმოადგენს *spicum*-ის კნინობით ფორმას. როგორც ვხედავთ, *espliego*-მ ევოლუციის რთული გზა განვლო. მან ჯერ

განიცადა მთლიანი მარცვლის გაუზინარება სიტყვის შუაში, რამაც გამოიწვია ეტიმონის დონეზე არსებული ბინარული კონსონანტური კომპლექსის პოლიკონსონანტურად ქცევა (spl), ხოლო შემდეგ დაიმატა ხმოვანი e სიტყვის თავში და პრეროდანული სუფიქსი iego სიტყვის ბოლოში. სწორედ ამ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა კასტილიურ ენაში ლათ. *spiculum*, *espliego*-ს ფორმით.

რაც შეეხება შუა კონსონანტურ sp კომპლექსს, ლათინური და ბერძნული წარმოშობის სიტყვების გარდა, მას ვხვდებით სხვა ენობრივი წყაროებიდან დამკვიდრებულ სიტყვებშიც. იგი არ ექვემდებარება ცვლილებებს.

ლათ. *aspectus* ესპანურში გვაძლევს *aspecto*-ს. Sp თანხმოვანთჯგუფი ვარირების გარეშე გადადის ლათინური წარმოშობის სხვა სიტყვებშიც. მათ შორისაა: *avispa* (ლათ. *vespa*), *despecho* (ლათ. *despectus*), *vispera* (ლათ. *vespera*) და სხვ.

ბერძნული *despotes*-დან, რაც აღმოსავლეთის პროვინციებში ბატონს' ნიშნავდა, ესპანურში მივიღეთ *déspota*.

უცნობია, *caspa*-ს ეტიმოლოგია. თუმცა, კორომინასი ვარაუდობს, რომ მას პრეროდანული ეტიმონი აქვს, რადგან მსგავს ვოკაბულას ვხვდებით პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელებულ ლათინურის სხვა დიალექტებშიც.

ოქსიტანური ეტიმონის მატარებელია ესპ. *esparceta*. იგი მომდინარეობს *esparseto*-დან, ხოლო ის გზა, რომელიც მან განვლო ოქსიტანურ ენაში დასამკვიდრებლად, უცნობია.

არაბულიდან *ispinah*-იდან, სადაც სპარსული *ispanah*-იდან გადავიდა, ესპანურში მივიღეთ *espinaca*. როგორც ვხედავთ, sp კონსონანტურ კომპლექსთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილება არც ამ სიტყვაში დაფიქსირებულა.

საინტერესოა *España*-ს ეტიმოლოგია. იგი პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელდა ლათ. *Hispania*-დან, სადაც დამკვიდრდა ფინიკიური *i-spn-ya*-დან, რაც ყურდლების მიწას' ნიშნავს. როგორც ვხედავთ, ფინიკიური ეტიმონის დონეზე არსებული პოლიკონსონანტური კომპლექსი ლათინური დერივატის დონეზე ბინარულად იქცა, საიდანაც თანხმოვანთჯგუფის ვარირების გარეშე გადავიდა კასტილიურ ენაში.

გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, სადაც შუა კონსონანტური კომპლექსი sp წარმოქმნილია დერივატის დონეზე. მაგ: ესპ. *despierto*

დამკვიდრდა ესპანურში ხალხ. ლათ. expertus-იდან, რომელიც წარმოადგენს *expergisci*-ის მიმღობას. როგორც ვხედავთ, ეტიმონის დონეზე გვაქვს თანხმოდანთჯგუფი, რომელიც ესპანურ კორელატში გვაძლევს *sp*-ს. იგივე ფონეტიკური მოვლენა ფიქსირდება ლათ. *expaventare*-დან ესპ. *espantar*-ის მიღების დროს.

ლათინური ენის დონეზე გვხვდება *s*-ს გემინატი. იგი ყველა ესპანურ კორელატში გამარტივებული სახით გადადის: ლათ. *classicus* - ესპ. *clásico*, ლათ. *classis* - ესპ. *clase*, ლათ. *remissus* - ესპ. *remiso*, ლათ. *spissare* - ესპ. *espesar*, ლათ. *dissensus* - ესპ. *disenso*.

Sp კომპლექსის ანალოგიური ცვლილება განიცადა *st* კონსონანტურმა კომპლექსმა თავკიდურ პოზიციაში. მან პოზიცია შეიცვალა ყველა ესპანურ დერივატში. აღნიშნულ თანხმოდანთჯგუფს ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში.

ესპ. *estambra* კასტილიურში დამკვიდრდა ლათ. *stamen*-იდან, რომელიც მომდინარეობს ზედ.სახ. *stamineus*-იდან. ლათინურიდან მოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზმნა ნებისმიერი ენისათვის – *estar* (ყოფნა), იგი კასტილიურში შემოვიდა ლათ. *stare*-დან.

ბერძნული ძირი აქვს ესპ. *estadio*-ს. ბერძნული *stadion* ესპანურში დამკვიდრდა ლათინური *stadium*-ის გავლით.

ბერძნული კომპოზიტიდან – *staphis+agria*-დან მივიღეთ *estafisagria*, ხოლო ბერძ. *stalaktos*-იდან (*que gotea*) - *estalactica*.

გოთური ეტიმოლოგია აქვს ესპანურ *estaca*-ს. იგი მომდინარეობს გოთური *stakka*-დან, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ანგლოსაქსურ *staca*-სთან.

ბინარული კონსონანტური კომპლექსიდან პოლიკონსონანტურად ქცევის შემთხვევაა დაფიქსირებული ესპ. *estrella*-ში. იგი მივიღეთ ლათ. *stella*-დან. როგორც ვხედავთ, აქ მოხდა *r*-ს ეპენტეზა, ისევე როგორც ხმონის დამატება თავკიდურ პოზიციაში, რასაც მოჰყვა *st* თანხმოდანთჯგუფის პოზიციის შეცვლა ვოკაბულაში.

საინტერესოა ესპ. *estepa*-ს ეტიმოლოგია. იგი ორი სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელია და ორივეს განსხვავებული წარმომავლობა

აქვს: *estepa*, როგორც სტეპი', მომდინარეობს რუსული -დან, სადაც ფრანგული *steppe*-დან შევიდა, ხოლო *estepa*, როგორც საკმელასებრ მცენარეთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი' ესპანურში დამკვიდრდა ლათ. *stippa*-დან. არსებობს ლათ. *stippa*-ს მეორე ვარიანტიც და ეს არის *stipa*, რომელსაც სან ისიდოროს ხელნაწერებში ვხვდებით. რაც შეეხება იტალიურ *stipa*-ს და ესპ. *estepa*-ს შორის კავშირს, კორომინასი მათ შესაძლო ნათესაობას გამორიცხავს, რადგან არ არის დარწმუნებული, რომ ამ ორ სიტყვას აქვს რაიმე საერთო სემანტიკური თვალსაზრისით.

ჩვენს მიერ განხილული ყველა მაგალითი ნათელი დასტურია იმის, რომ ეტიმონის დონეზე არსებული *st* კონსონანტური კომპლექსი ესპანურ კორელატში პოზიციას იცვლის. მიუხედავად ამისა, დღევანდელ ესპანურში ვხვდებით რამდენიმე ისეთ სიტყვას, სადაც კონსონანტური კომპლექსები გრაფიკული თვალსაზრისით არ იცვლებიან და არც პოზიციას იცვლიან, თუმცა, მათი წარმოთქმის დროს ხდება ხმოვნის დამატება. ამ ტიპის სიტყვები კასტილიურში ინგლისურიდან არის შემოსული დაახლ. XIX-XX საუკუნეებში.

სწორედ ამის ნათელი დასტურია ესპ. *stop*, რომელსაც ესპანელები კომუნიკაციის დროს თითქმის ყოველთვის უმატებენ ხმოვანს (*estop*). სავარაუდოდ, ეს მოვლენა აიხსნება საარტიკულაციო მექანიზმთან დაკავშირებული ფაქტორებით. როგორც განხილულმა მასალამ გვიჩვენა, ესპანელებს ოდიდგანვე უჭირდათ ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელიც იწყებოდა ფრიკატივისა და ყრუ ოკლუზივის კომბინაციით. ბუნებრივია, ეს პრობლემა, არც XX საუკუნეში გადაიჭრებოდა.

შუა კონსონანტური კომპლექსი *st* ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული თანხმოვანთჯგუფია, რომელსაც ვხვდებით ესპანურ ენაში. აღნიშნული ჯგუფი ფიქსირდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში და კასტილიურ ენაში გადადის უცვლელი ფორმით.

ესპ. *bastón* მომდინარეობს ლათ. *bastum*-იდან და წარმოდგენილია დასავლეთის ყველა რომანულ ენაში. ლათინური ძირი აქვს ესპ. *castigar*-ესაც, რომელიც მივიღეთ ლათ. *castigare*-დან დაახლ. X საუკუნეში.

ბერძნული *amethystos*-დან, ლათ. *amethystus* გზით დამკვიდრდა ესპანურში *amatista*. იგივე გზა განვლო ბერძ. *apostolos*-მა, რომელმაც ესპანურში მოგვცა *apóstol* და ბერძ. *kastor*-მა, რომლისგანაც მივიღეთ კასტ. *castor*.

პრერომანული ეტიმოლოგიის მატარებელია ესპ. *ambuesta*. მისი ძირია კელტური *ambosta*, რომელიც წარმოადგენს *bosta* + *ambi* (*ambos*)-ს კომპოზიციას. რაც შეეხება სიტყვათხვის პირველ ელემენტს (*bosta*), იგი მომდინარეობს ირლ. *boss*-დან ან ბრეტ. *boz*-დან.

პრერომანული, კერძოდ ბასკური *lasto*-დან მივიღეთ ესპ. *lastón*. სავარაუდოდ, ამავე პრერომანული ენიდან მომდინარეობს ესპ. *pestaña*. თუმცა, ამ ეტაპზე ეს ვერსია მხოლოდ ვარაუდს წარმოადგენს.

ესპანურში მკვიდრდება გერმ. *pistole*-ც და იგი გვაძლევს ესპ. *pistola*-ს.

საინტერესოა ესპ. *pedestal*-ის მიერ განვლილი გზა. იტალიური კომპოზიტი *pedistallo*, რომელსაც ლათინური წარმოშობის *pede*-სა და გერმანიკული წარმოშობის *stallo*-ს გაერთიანების შედეგად ვიღებთ, ფრანგულის გავლით აღწევს ესპანურში. როგორც ვხედავთ, *st* კონსონანტური კომპლექსი არცერთი ენის დონეზე არ შეცვლილა [ახვლედიანი ც., 2009:185].

განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ ესპანურ ენაში გვაქვს ინგლისურიდან შემოსული რამდენიმე სიტყვა, რომლებშიც ფიქსირდება შუა კონსონანტური ჯგუფი *st*. მათ შორისაა: ესპ. *balasto*, რომელიც მომდინარეობს ინგ. *ballast*-იდან და ესპ. *bistec*, რომელიც შემოვიდა ინგლისური კომპოზიტიდან *beef+steak*. ორივე ვოკაბულა ესპანურში შემოვიდა XIX საუკუნეში.

უცნობია, ესპ. *restinga*-ს ეტიმოლოგია. თუმცა, არსებობს ვარაუდი მისი ინგლისური (*rock string*)-იდან წარმომავლობის შესახებ.

ასევე უცნობია ესპ. *susto*-ს წარმოშობა. შესაძლოა, იგი მომდინარეობს ონომატოპეური ¡*Sst!* ძირიდან, რაც გამოხატავს შემინებული ადამიანის მოულოდნელ მოძრაობას.

ესპანური დერივატის დონეზეა წარმოქმნილი *st* კონსონანტური კომპლექსი რამდენიმე მაგალითში. ხალხური ლათ. *oscitiare* შეესაბამება ესპ. *bostezar*-ს. როგორც ვხედავთ, აღნიშნულმა სიტყვამ ევოლუციის რთული გზა განვლო. მან ჯერ მარცვალა *ci* შეიცვალა *te*-თი მომდევნო მარცვალ *ti*-სთან, რომელიც მოგვიანებით ამოვარდა (დისიმილაციის შედეგად), შემდეგ კი დაიმატა თავკიდური *b* (*boca*-ს გავლენით).

ესპ. *conquistar* კი მომდინარეობს ლათ. *conquisitare*-დან. ამ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ ესპანურ კორელატი მივიღეთ *i*-ს სინკოპის შედეგად, რასაც მოჰყვა დერივატის დონეზე *st* კომპლექსის წარმოქმნა.

რაც შეეხება, ესპ. *sustancia*-ის, იგი მივიღეთ ლათ. *substantia*-დან, რომელიც მომდინარეობს ბერძ. *hypostasis*-იდან. როგორც ვხედავთ, ბერძნულ ვარიანტში ბინარული კონსონანტური კომპლექსი გვაქვს, რომელიც ლათინურში ხდება პოლიკონსონანტური, ესპანურ კორელატში კი - გადადის ბერძნული ვარიანტით.

თანხმოვანთჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტია: T (tr)

Tr კონსონანტური კომპლექსი საკმაოდ გავრცელებულ თანხმოვანთჯგუფს წარმოადგენს, რომელსაც ვხვდებით როგორც თავკიდურ პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში.

Tr თანხმოვანთჯგუფი თავკიდურ პოზიციაში წარმოდგენილია უამრავი ლათინური, ბერძნული, პრერომანული, გოთური, არაბული და ინგლისური ეტიმონის მატარებელ სიტყვებში. იგი ყველა მათგანში უცვლელი ფორმით გადადის.

Tr კონსონანტური კომპლექსის მდგრადობის თვალსაჩინო მაგალითებია შემდეგი ლათინური წარმოშობის მქონე სიტყვები: ლათ. *tradition*, -onis - ესპ. *tradición*, ლათ. *tragella* (*tragula*) - ესპ. *trailla*, ლათ. *trahere* - ესპ. *traer*, ლათ. *traditio*, -onis (ლათ. *tradere*) - ესპ. *traición*, ლათ. *traginare* - ესპ. *trajinar*, ლათ. *transferre* - ესპ. *transferir*, ლათ. *tractiare* - ესპ. *trazar*, ლათ. *tribus* - ესპ. *tribu*, ლათ. *triticum* - ესპ. *trigo*.

თავკიდური tr კომპლექსის მდგრადობა კარგად ჩანს ბერძნული წარმოშობის არაერთ სიტყვაში: ბერძ. *trapezion* - ესპ. *trapecio*, ბერძ. *triphyllon* - ესპ. *trepol*, ბერძ. *trakheia* - ესპ. *tráquea*, ბერძ. *traumatikos* (მომდინარეობს ბერძ. *trauma*-დან) - ესპ. *traumático*, ბერძ. *trilogia* (*tri*-სა და *logos*-ის კომპოზიტი) - ესპ. *trilogía*.

შეგვხვდა რამდენიმე ისეთი სიტყვაც, რომლებიც ესპანურში ბერძნულიდან ლათინურის გავლით დამკვიდრდა. მათ შორისაა: ესპ. *tragedia* (ლათ. *tragoedia* ბერძ. *tragoidia*).

რაც შეეხება ესპ. *trepano*-ს, რომელიც ასევე ბერძნული ეტიმონიდან მომდინარეობს (*trypanon*), ესპანურში ფრანგული *trepan*-ის გავლით მკვიდრდება (XVI საუკუნის ბოლოს).

ფრანგულიდან პირდაპირი გზით გამკვიდრა ესპ. *tropa*. ფრანგული *troupe* (ძვ. ფრ. *tropel*) ესპანურში თავკიდური კონსონანტური კომპლექსის ვარიანტების გარეშე გადადის.

უცნობია ესპ. *trance*-ს ეტიმოლოგია. თუმცა, იგი შესაძლოა უკავშირდებოდეს ძვ. ფრანგულ *trenchier* (*trancher*)-ს, რომლის წამომავლობაც ასევე ბუნდოვანია. შესაძლოა, იგი მომდინარეობდეს კელტური *trenco*-დანაც [კორომინასი, 2008:550].

უცნობია ესპ. *tripa*-ს წარმომავლობაც. თუმცა, ვიცით, რომ იგი საერთო ყველა რომანული ენისათვის (რუმინულის გარდა).

მოსარაბიულ დიალექტს უკავშირებენ ესპ. *trapiche*-ს წარმომავლობას. ესპ. *tregua*-ს ეტიმოლოგიის კვლევას კი გოთურ *triggwa*-მდე მივყავართ.

თავკიდურ *tr* კომპლექსს ვხვდებით ინგლისური წარმოშობის სიტყვებშიც. ინგლისური *tramway*, რომელიც *tram* (ესპ. *barra de madera o de hierro*)-ისა და *way* (ესპ. *vía*)-ს კომპოზიტს წარმოადგენს კასტილიურში გვაძლევს *tranvía*-ს.

საინტერესოა ესპ. *troquel*-ის ეტიმოლოგია, რომელიც ჯერ კიდევ დაუდგენელია. თუმცა, კორომინასი ვარაუდობს, რომ იგი შესაძლოა მომდინარეობდეს ორი სიტყვის - კატ. *trossell*-ის და კასტ. *tórculo*-ს შერწყმის შედეგად.

როგორც ვნახეთ, *tr* კონსონანტური კომპლექსი მდგრადია ყველა ჩამოთვლილ ვოკაბულაში. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვით სიტყვაში შემავალ სხვა ხმოვნებსა და თანხმოვნებზე, რომლებიც არაერთ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდიან, მათ შორის, ყრუ თანხმოვნის გამჟღავნებას, გემინატის გამარტივებას, ორი მჟღერი ნახალის არევის და სხვა სახის ვარიანტებს.

რამდენიმე სიტყვაში, ეტიმონის დონეზე არსებული თავკიდური კონსონანტური კომპლექსი *tr*, პროთეტიკული ხმოვნის ხარჯზე იცვლის პოზიციას და ესპანურ კორელატში გვაძლევს შუა კონსონანტურ კომპლექსს: *atravesar* (ლათ. *transcersare*), *atribular* (ლათ. *tribulare*), *atresia* (ბერძ. *tresis*).

გვაქვს ორიოდ იხეთი ვოკაბულა, სადაც თავკიდური tr კომპლექსი დერივატის დონეზეა წარმოქმნილი. მაგ: ესპ. trapo, რომელიც მომდინარეობს კელტური (ან პრეკელტური) drappus-იდან. აღსანიშნავია, რომ თავკიდური კონსონანტი d რომანული ენების უმრავლესობაში გადავიდა ვარირების გარეშე (სავარაუდოდ, იმ ენებში სადაც, ლათინურისათვის გვერდის ავლით, პირდაპირ კელტურიდან ან პრეკელტურიდან გადავიდა), კასტილიურისა და პორტუგალიურისაგან განსხვავებით, სადაც აღნიშნული ვოკაბულა ლათინურიდან შევიდა d-ს t-თი ჩანაცვლებული ფორმით, რაც საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, რადგან, როგორც წესი, პირიქით ხდება და ყრუ კონსონანტი მქედრდება. გამომდინარე იქიდან, რომ ლათინურში dr კომპლექსი თავკიდურ პოზიციაში არ არსებობს, ესპანურ კორელატში დაფიქსირდა ზემოთ აღნიშნული ფონეტიკური ცვლილება.

შუა კონსონანტური კომპლექსი tr გვხვდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში; ძირითადად, იგი ვარირების გარეშე გადადის ესპანურ კორელატში.

ლათ. atrium მხოლოდ დაბოლოებას იცვლის და ესპანურ ენაში გვაძლევს atrio-ს. იგივე ხდება ლათ. atrox-ში, რომელიც ესპანურ atroz-ს შეესაბამება.

ბერძნული metron ლათ. metrum-ის გზით გადადის ესპანურში, სადაც ვიღებთ metro-ს. რაც შეეხება ესპ. matraz-ს, იგი, სავარაუდოდ, ფრანგული matras-დან დამკვირდა ესპანურში.

არაბულ ენასთან მივყავართ ესპ. matraca-ს ეტიმოლოგიის კვლევას. იგი მომდინარეობს არაბული matraqa-დან, რომელსაც კლ. არაბულში შეესაბამებოდა mitraqah.

როგორც ზემოთ განხილულ მაგალითებში ვნახეთ, ეტიმონის დონეზე არსებული tr თანხმოვანთჯგუფი მდგრადობის მაღალი მაჩვენებლით გადავიდა ესპანურ კორელატში. თუმცა, გვაქვს ორიოდ შემთხვევა აღნიშნული კომპლექსის ვარირების სახით. მათ შორისაა, ესპ. cidro, რომელიც ლათ. citrus-იდან მივიღეთ და რომელიც წარმოიქმნა ყრუ კონსონანტის გამქედრების ხარჯზე [ახვლედიანი ც., 2009:198].

ეტიმონის დონეზე არსებული ბინარული თანხმოვანთჯგუფის მონოფონემურად ქცევის მოვლენა ფიქსირდება ბერძ. petroselinon-ის მიერ

განვიღო გზაზე. იგი ჯერ ლათინურში გადავიდა petroselinum-ის ფორმით, ხოლო შემდეგ დამკვიდრდა ესპანურში perejil-ის სახით [ახვლედიანი ც., 2009:199].

§ 2. სამედიცინური კონსონანტური კომპლექსები

(lbr, ldr, ltr, mbl, mbr, mpl, mpr, msp, ndf, ndr, nfl,

nfr, ngl, ngr, nkl, nkr, nkt, nsp, nst, ntr, rdl, rkt, rpr, rsp, sgr, skl, skr, spl, stl, str)

შედარებით მცირეა ესპანურ ენაში ისეთი სიტყვების რაოდენობა, სადაც სამედიცინური კონსონანტური კომპლექსს ვხვდებით სიტყვის შუაში. კიდევ უფრო მცირეა თავიდაპირი პოლიკონსონანტური კომპლექსების მატარებელი სიტყვების რაოდენობა, რომლებიც ესპანურში დამკვიდრების დროს, პროთეტიკული ხმოვნის ხარჯზე, სიტყვაში ადგილს იცვლიან, მაგრამ კონსონანტურ კომპლექსთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებების გარეშე გადადიან ესპანურში. გვაქვს რამდენიმე ისეთი შემთხვევა, სადაც სამედიცინური კომპლექსი არა ლათინური ენის, არამედ დერივატი ენის (ესპანურის) დონეზე შეგვხვდა. სწორედ მსგავსი ორი თანხმობანთჯგუფით დავიწყებ მოძიებული კომპლექსების განხილვას.

სამედიცინური კონსონანტური ჯგუფი lbr მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა და ისიც დერივატის დონეზე. ესპ. albricias მომდინარეობს კლ. არაბული busra-დან, რომელიც პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელებულ არაბულში გადავიდა al არტიკლის დამატებით – albusra. როგორც ჩანს, აღნიშნულმა სიტყვამ მოგვიანებით r-ს მეთატეზა განიცადა, რამაც განაპირობა ლათ. busra-ს ზემოთ აღნიშნული ფორმით გადასვლა ესპანურში.

ამავე დონეზეა დაფიქსირებული ldr კომპლექსი სიტყვაში baldragas. ორი ვერსია არსებობს baldragas-ს ეტიმოლოგიის შესახებ. RAE-ში ვკითხულობთ, რომ იგი მოდის არაბული hatraq-იდან. ამ მოსაზრების სისწორის შემთხვევაში, შეიძლება ვთქვათ, რომ ესპანური ვოკაბულა მივიღეთ ორი ყრუ კონსონანტის გამჟღავნებისა და ორი თანხმოვნის ეპენტეზის შედეგად. თუმცა, კორომინასის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ ესპ. baldragas შესაძლოა მომდინარეობდეს XIII საუკუნეში საკმაოდ გავრცელებული და საზოგადოების

დაბალი ფენისათვის განკუთვნილი თამაშის bufa de baldrac-ის დასახელებიდან, რომელსაც, სავარაუდოდ, კავშირი უნდა ჰქონდეს ქალაქ ბაღდადის სახელწოდებასთან, რომელსაც შუა საუკუნეებში Baldac-ს ეძახდნენ.

მასალის კვლევის დროს, კონსონანტური კომპლექსი ltr შეგვხვდა როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის დონეზე.

კონსონანტური კომპლექსის ვარიანტების გარეშე მივიღეთ ფრანგული altruime -დან ესპ. altruismo (XIX საუკუნეში).

ბერძ. thermos-მა არაბული turmus-ის გავლით მოგვცა ესპანურში altramuz. აღნიშნული სიტყვის ამგვარი ევოლუცია აიხსნება არაბულ სიტყვაზე ასევე არაბული არტიკლის დამატებით და u-ს სინკოპით.

შუა კონსონანტური mbl კასტილიურ ენაში ფონეტიკური ცვლილებების გარეშე გადადის. ამის ნათელი დასტურია ესპ. amblar, რომელიც ლათ. amblare-დან მომდინარეობს.

სამედიკინური კომპლექსი mbr-ს ვხვდებით როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის დონეზე. აღნიშნული კონსონანტური ჯგუფი, ძირითადად, ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება.

ლათ. imbricatus-ს ესპანურ ენაში შეესაბამება imbricada, ხოლო ლათ. membrum-ს – ესპ. miembro. ვარიანტს არც ესპ. lambrusco განიცდის. იგი მომდინარეობს ლათ. lambrusca-დან.

საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქის სახელწოდებიდან (Cabray ან Cabrai) მომდინარეობს ესპ. cambray; რაც შეეხება თავად ქალაქის დასახელების ეტიმოლოგიას, იგი უცნობია.

ლათინური ენის ეტიმონის დონეზე არსებული სამედიკინური კონსონანტური კომპლექსი mbr უცვლელი ფორმით გადავიდა შემდეგ ესპანურ სიტყვებშიც: lombriga (ლათ. lumbricu), umbroso (ლათ. umbrosus), noviembre (ლათ. novembre) და სხვ.

უამრავი შემთხვევა გვაქვს mbr კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნის. მათ შორისაა: ლათ. aeramen, რომელმაც მოგვცა ესპ. arambre. მოგვიანებით, მოხდა დისიმილაცია და დღევანდელ ესპანურში აღნიშნული ვოკაბულა შეესაბამება alambre-ს.

რაც შეეხება *azumbre*-ს, იგი მომდინარეობს არაბ. *tumn*-იდან, სადაც *t* უდრის, როგორც თანამედროვე ესპანური *z* (). ეტიმონის დონეზე არსებულმა ბინარულმა კომპლექსმა ევოლუციის რთული გზა განვლო და ესპანურ კორელატში, ერთი კონსონანტის ეპენტეზის და კიდევ ერთი თანხმოვნის ტრანსფორმაციის შედეგად, მოგვცა სამედიცინური კონსონანტური კომპლექსი.

სამედიცინური კონსონანტური კომპლექსი *mpl*, ძირითადად, ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და ესპანურში გადადის როგორც უცვლელი, ასევე შეცვლილი ფორმით. გვაქვს რამდენიმე ისეთი შემთხვევა, სადაც *mpl* თანხმოვანთკომპლექსის მატარებელი ვოკაბულა ესპანურ კორელატში გადავიდა კატალანური და ფრანგული ენიდან. მასალის კვლევის დროს არ შეგვხვედრია არცერთი ისეთი სიტყვა, სადაც კონსონანტური კომპლექსი დერივატის დონეზეა წარმოქმნილი.

ლათინურიდან კონსონანტური კომპლექსის უცვლელი ფორმით დამკვიდრების მაგალითებია: *complejo* (ლათ. *complexus*), *cumplir* (ლათ. *complere*), *completo* (ლათ. *completus*), *cómplice* (ლათ. *complex*), *complicar* (ლათ. *complicare*) და სხვ.

კატალანური კომპოზიტიდან *canta i plora* (*canta y llora*)-დან მომდინარეობს ესპ. *cantimplora*. გამომდინარე იქიდან, რომ კომპოზიტის მეორე ელემენტი აშკარად ლათინური წარმომავლობის არის, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ვოკაბულა ესპანურ კორელატში გადავიდა ლათინურიდან ოღონდ კატალანურის გზით, რაც კარგად ჩანს სიტყვათხზვის მეორე ელემენტის *pl* კომპლექსით, რომელიც პალატალიზებული უნდა ყოფილიყო მისი ლათინურიდან პირდაპირი გზით დამკვიდრების შემთხვევაში. როგორც ვიცით, კატალანურ ენაში, კასტილიურისაგან განსხვავებით, არ მომხდარა *pl* კომპლექსის პალატალიზაცია.

არაპირდაპირი გზით გადავიდა ესპანურში ლათ. *complicitium*-ც. იგი ფრანგული *complot*-ის გავლით მკვიდრდება კასტილიურში და გვაძლევს *complot*-ს.

ლათინურ წარმოშობის, *mpl* კომპლექსიანმა რამდენიმე სიტყვამ განიცადა ისეთი დიდი ტრანსფორმაცია, რომ დერივატის დონეზე, კონსონანტური ჯგუფის არცერთი ელემენტი ან შენარჩუნებულია. მათ შორისაა: ლათ. *amplu* და

ლათ. *exemplare*. ორივე შემთხვევაში მოხდა კომპლექსის პირველი ელემენტის ჩანაცვლება და ყრუ აფრიკატის ეპენტეზა. სწორედ ამ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მივიღეთ ესპანურში *ancho* და *ensanchar*.

კონსონანტური კომპლექსი *mpr* მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და არცერთ ესპანურ კორელატში არ განიცდის ვარირებას. მისი დერივატის დონეზე წარმოქმნის მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს.

ლათ. *comprimere* ესპ. კორელატში შეესაბამება *comprimir*-ს. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ვოკაბულაში ჩვენთვის საინტერესო კონსონანტურ კომპლექსს არ განუცდია არანაირი ვარირება.

ვარირებას *mpr* კომპლექსი არც ესპ. *lamprea*-ში დაექვემდებარა. ლათ. *lampreda* თანხმოვანთჯგუფთან დაკავშირებული ცვლილებების გარეშე გადადის ესპანურში.

დერივატის დონეზე მივიღეთ ესპ. *comprar*. იგი მომდინარეობს ლათ. *comparare*-დან, რომელმაც ევოლუციის განვლილ გზაზე განიცადა *a*-ს ინკოპა.

ერთ-ერთ უიშვიათეს კონსონანტურ კომპლექსს წარმოადგენს *mnp* ჯგუფი. მასალის კვლევის დროს იგი მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა და ესპანურ კორელატში გადავიდა პირველი ელემენტის ვარირებით.

ლათ. *circumspectus* გვაძლევს ესპ. *circunspecto*-ს. როგორც ვხედავთ, კონსონანტური ჯგუფის პირველი ელემენტი, რომელიც მუდერ ნაზალს წარმოადგენს, ჩანაცვლებულ იქნა მეორე მუდერი, ასევე ნაზალით.

შუა კონსონანტური კომპლექსი *ndf* გვხვდება გერმანიკულ ეტიმონში. გერმანიკული *gundfalo* აღწევს ესპანურ ენაში და შეესაბამება *gonfalon*-ს. როგორც ვხედავთ, პოლიკონსონანტური კომპლექსის მეორე ელემენტი ქრება, რაც აიხსნება *d*-ს წარმოთქმის სირთულით *n*-სა და *f*-ს შორის [ახვლედიანი ც., 2009:205]. ესპანურ ენაში არ არსებობს *df* მიმდევრობა, *nf* კომბინაციისაგან განსხვავებით.

კონსონანტური კომპლექსი *ndr* გვხვდება როგორც ლათინურ, ასევე ბერძნულ ეტიმონში. თანხმოვანთჯგუფი ყველა ესპანურ კორელატში უცვლელი ფორმით გადადის.

ლათინური ეტიმონის მატარებელია ესპ. *malandrín*. იგი მომდინარეობს ლათ. *malandria*-დან და კასტილიურ ენაში გადადის იტალიური *malandrino*-დან. თუმცა, ამ ვერსიას კორომინასი უმატებს კიდევ ერთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ვოკაბულა ესპანურში შესაძლოა გადასულიყო ძვ. კატალანური *malandri*-დან.

ბერძნული ეტიმონის მატარებელია ესპ. *escolopendra* (ბერძ. *skolopendra*) და ესპ. *mandrágora* (ბერძ. *mandragora*). ორივე სიტყვა კასტილიურ ენაში გადადის ლათინიზირებული ფორმით და კონსონანტური კომპლექსის ვარირების გარეშე.

მასალის კვლევისას მხოლოდ ორ სიტყვას შევხვდით, სადაც *ndr* ჯგუფი დერივატის დონეზეა წარმოქმნილი. ხალხ. ლათ. *lendis,-inis* (კლ. ლათ. *lens, lendis*)-იდან მივიღეთ ესპ. *liendre*. კონსონანტური კომპლექსის წარმოქმნა განაპირობა *r*-ს ეპენთეზამ. იგივე ფონეტიკური მოვლენა დაფიქსირდა ხალხ. ლათ. *glando,-dinis*-ის მიერ განვლილ გზაზე ესპანურ ენაში დამკვიდრებამდე. იგი კასტილიურ ენაში შეესაბამება *landre*-ს.

იშვიათ მოვლენას წარმოადგენს *nfl* და *nfr* კონსონანტური კომპლექსები. ეტიმონის დონეზე მათ მხოლოდ ლათინური წარმოშობის მქონე თითო-თითო მაგალითში ვხვდებით.

ლათ. *inflare* ესპ. გვაძლევს *inchar*-ს, ხოლო ლათ. *anfractuoso*-იგან მივიღეთ ესპ. *anfractuoso*. როგორც ვხედავთ, პირველ მაგალითში მოხდა აფრიკატის წარმოქმნა, ხოლო მეორეში - პოლიკონსონანტური კომპლექსი გადავიდა უცვლელი ფორმით.

კონსონანტური კომპლექსი *ngl* გვხვდება ლათინურ და ბერძნულ ეტიმონში და ესპანურ კორელატში გადადის როგორც ვარირების გარეშე, ასევე სახეცვლილი ფორმით.

ლათ. *conglobare* და ლათ. *conglutinare* ესპანურ ენაში შეესაბამება შემდეგ ვოკაბულებს: *conglobar* და *conglutinar*. ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს, აღნიშნულ სიტყვებს არანაირი ვარირება არ განუცდია. ვერ ვიტყვით იმავეს ლათ. *fung(u)lum*-ზე, რომელმაც ესპანურში მოგვცა *foncho*.

ვარირების განსხვავებული გზა განვლო ლათ. *ung(u)la*-მ, რომელმაც შუა კონსონანტური სამელემენტური კომპლექსის პალაზალიტაციის ხარჯზე მოგვცა ესპ. *uña*.

უცვლელი ფორმით დამკვიდრდა ესპანურში ბერძ. ganglion, რომელიც ჯერ ლათინურში გადავიდა უცვლელი ფორმით, ხოლო შემდეგ, ლათინურის გზით შევიდა ესპანურში ენაში და დღევანდელ კასტილიურში შეესაბამება ganglio-ს.

კონსონანტური კომპლექსი ngr ლათინური და ბერძნული წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და არცერთ ესპანურ კორელატში არ განიცდის ვარირებას.

ლათ. congressus, რომელიც მომდინარეობს con+gredi კომპოზიტიდან ესპანურ ენაში შეესაბამება congreso-ს, ხოლო ლათ. congruere-ს მიმდებარება congruens-იდან მივიღეთ ესპ. congruente.

ბერძ. gangraina ესპანურში ლათინური gangraena-ს გავლით გადადის და შეესაბამება gangrena-ს.

გვაქვს რამდენიმე მაგალითი, სადაც ngr თანხმობანთჯგუფი დერივაციის დონეზე წარმოიქმნა. მათ შორისაა: ესპ. engrudo (ძვ. ესპ. engrut). იგი მომდინარეობს ლათ. glus,-utis-იდან, რომელმაც დროთა განმავლობაში განიცადა გერმანიკული gruts-ის გავლენა და ესპანურში მივიღეთ სამედიცინური კონსონანტური კომპლექსი. რაც შეეხება ესპ. sangre-ს, იგი მივიღეთ ლათ. sanguis,-inis-იდან, რომელმაც ევოლუციის პირველ ეტაპზე ჯერ sangne, ხოლო შემდეგ, დისიმილაციის ხარჯზე, მოგვცა sangre.

კონსონანტური კომპლექსი nkl გვხვდება მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში და ესპანურ კორელატში გადადის როგორც ვარირების გარეშე, ასევე სახეცვლილი ფორმით.

საინტერესოა ესპ. conclave-ს ეტიმოლოგია. იგი მომდინარეობს ლათ. სიტყვაზე წინდებულის დამატებით - con+clave და ნიშნავს ადგილს, სადაც კათოლიკური ეკლესიის კარდინალები იკრიბებოდნენ მომდევნო პაპის ასარჩევად. ამ შეკრებაზე საეკლესიო პირები გასაღებით ჩაკეტილ ოთახში უნდა ყოფილიყვნენ და კრების დამთავრება და მიღებული გადაწყვეტილება საკვამურიდან ამოსული ბოლის ფერის მიხედვით უნდა შეეტყობინებინათ მოსახლეობისათვის (შავი კვამლი მანიშნებელი იყო იმისა, რომ იმ კონტრეტულ შეკრებაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ხოლო თუ თეთრი კვამლი ამოვიდოდა, იგი ახალი პაპის არჩევის ნიშანი იყო).

ლათ. ფუძეზე con-ის დამატებით მივიღეთ ესპანური ზმნა concluir (ლათ. concludere) და მისგან ნაწარმოები არსებითი სახელი conclusión (ლათ. conclusio,-

onis). როგორც ვხედავთ, nkl კონსონანტური კომპლექსი ვარირების გარეშე გადავიდა ესპანურ ენაში სამივე შემთხვევაში.

თანხმოვანთჯგუფის ვარირება ფიქსირდება ლათ. trunc(u)lus-იდან ესპ. troncho-ს მიღებისას. ჯგუფის პირველი ელემენტი უცვლელი ფორმით გადავიდა ესპანურ კორელატში, რასაც ვერ ვიტყვით მეორე და მესამე ელემენტზე, რომელთაც ყრუ აფრიკატი მოგვცეს.

უიშვიათეს კონსონანტურ კომპლექსს წარმოადგენს nkr თანხმოვანთჯგუფი. მასალის კვლევის დროს, მას მხოლოდ ერთხელ შევხვდით და ისიც ლათინური წარმოშობის სიტყვაში.

ლათ. concretus, რომელიც ლათ. ზმნის concrecere-ს მიმდებარს წარმოადგენს, ესპანურ კორელატში გვაძლევს concreto-ს. კონსონანტური კომპლექსი კასტილიურ ენაში ვარირების გარეშე გადადის.

ერთ-ერთი ყველაზე ვარირებადი კონსონანტური კომპლექსია nkt. იგი მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და არცერთ ესპანურ კორელატში არ გადადის უცვლელი ფორმით.

კასტილიურ ენაში დამკვიდრებისას აღნიშნული თანხმოვანთჯგუფი კარგავს მეორე ან მესამე ელემენტს და ბინარული კომპლექსის სახით გადადის ესპანურში. მეორე კონსონანტის გაუჩინარების მაგალითებია: ლათ. sanctus - ესპ. santo, ლათ. cinctus - ესპ. cinto, ლათ. coniunctus - ესპ. conjunto, ლათ. punctus - ესპ. punto. რაც შეეხება მესამე ელემენტის ამოვარდნას, იგი ფიქსირდება ესპ. puncióნ-ში, რომელიც ლათ. punctio,-onis-იდან მოდის და ესპ. conjunción-ში, რომელიც მივიღეთ ლათ. coniunctio,-onis-დან.

ვარირების გარეშე გადადის nsp თანხმოვანთჯგუფი ესპანურ ენაში. იგი მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და მხოლოდ ისეთ ვოკაბულებში, რომლებიც შედგება n კონსონანტით დამთავრებული თავსართისაგან: ლათ. conspicuus - ესპ. conspicuo, ლათ. conspiratio,-onis - ესპ. conspiración, ლათ. inspector - ესპ. inspector, ლათ. inspirare - ესპ. inspirar, ლათ. inspectio,-onis - ესპ. inspección. როგორც ვხედავთ, ლათინური ენის დონეზე არსებული პოლიკონსონანტური კომპლექსი უცვლელი ფორმით გადავიდა ყველა ესპანურ ვოკაბულაში.

მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს აღნიშნული კონსონანტური კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნისა: ლათ. circumspetus - ესპ. circunspecto.

კონსონანტური კომპლექსი *nst* ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თანხმოვანთჯგუფია. იგი მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და თითქმის ყველა ესპანურ კორელატში გადადის უცვლელი ფორმით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *nst* კონსონანტური კომპლექსი ისეთ ლათინურ სიტყვებში გვხვდება, რომელთა შემადგენლობაშიც არის *con* და *in* პრეფიქსები: ლათ. *constantia* - ესპ. *constancia*, ლათ. *constipare* - ესპ. *constipar*, ლათ. *constitutio,-onis* - ესპ. *constitución*, ლათ. *institutum* - ესპ. *instituto*, ლათ. *instinctus* - ესპ. *instinto*.

მასალის კვლევისას მხოლოდ ერთ სიტყვას შევხვდით, სადაც ლათინური ენის დონეზე არსებული პოლიკონსონანტური კომპლექსი ესპანურში გადაიქცა ბინარულად. ლათ. *constare*-მ *con* თავსართის ბოლო ელემენტი დაკარგა და ესპანურ კორელატში მივიღეთ *costar*.

ერთი მაგალითი გვაქვს *nst* კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნისა: ლათ. *circumstare*-ს მიმდებობითი ფორმა *circumstans,-antis*-იდან მივიღეთ - *circunstante*.

კონსონანტური კომპლექსი *ntr* გვხვდება როგორც ლათინური, ასევე ბერძნული წარმოშობის სიტყვებში. იგი არცერთ ესპანურ კორელატში არ განიცდის ცვლილებას.

ლათ. *intrare* ესპანურში გვაძლევს *entrar*-ს. სამელომენტოვანი თანხმოვანთჯგუფთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებები არც შემდეგი სიტყვების ევოლუციისას დაფიქსირებულა: ლათ. *contra* - ესპ. *contra*, ლათ. *contritus* - ესპ. *contrito*, ლათ. *deintro* - ესპ. *dentro*, ლათ. *intricare* - ესპ. *intrincar*, ლათ. *intrusis* - ესპ. *intruso*.

ბერძნულთან მიყვავართ რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიის კვლევას. მათ შორისაა ესპ. *centro*, რომელიც კასტილიურში ბერძ. *kentron*-იდან, ოღონდ ლათინიზირებული *centrum*-ის ფორმით დამკვიდრდა.

მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქვს აღნიშნული კონსონანტური კომპლექსის ესპანური ენის დერივატის დონეზე წარმოქმნისა: ლათ. *inter*-იდან, მეტათეზის ხარჯზე, მივიღეთ ესპ. *entre*.

უიშვიათეს კონსონანტურ კომპლექსებს წარმოადგენს თანხმოვან *r*-ზე დაწყებული სამელომენტოვანი ჯგუფები. ყველა მათგანს ვხვდებით სათითაოდ და ძირითადად ლათინური წარმოშობის სიტყვებში.

საინტერესოა ესპ. *ferlín*-ის ეტიმოლოგია. იგი მომდინარეობს ინგლისური *feordling*-იდან და განიცდის სამეღმენტიანი კომპლექსის ბინარულ თანხმოვანოჯგუფად გარდაქმნას. როგორც ვხედავთ, სწორედ მეორე ელემენტის გაუჩინარების შედეგად მივიღეთ *rdl* კომპლექსიდან *rl*, ხოლო *feordling*-იდან - ესპანური *ferlín*.

ცვლილებების შედეგად გადადის ესპანურ ენაში ერთ-ერთი იშვიათი თანხმოვანოჯგუფი. *Rkt* კონსონანტური კომპლექსი ევოლუციის გზაზე კარგავს მეორე ელემენტს, რის გამოც ხალხ. ლათ. *torctu*-ს გვაძლევს ესპ. *tuerto*-ს.

ვარირების გარეშე გადადის კასტილიურ ენაში *rpr* თანხმოვანოჯგუფი: ლათ. *interpres,-etis* ესპანურ ენაში გვაძლევს *intérprete*-ს.

რაც შეეხება *rsp* კონსონანტურ კომპლექსს, იგი დაფიქსირებულია ესპ. *perspectiva*-ში და მის ეტიმონს წარმოადგენს ლათ. *perspectivus*, სადაც სამეღმენტიანი ჯგუფი წარმოქმნილია *per* თავსართის დამატებით ფუძეზე.

ვარირებას არც *sgr* თანხმოვანოჯგუფი განიცდის: ლათ. *disgregare* ესპანურში გვაძლევს *disgregar*-ს. ისიც მხოლოდ ერთხელ გვხვდება ეტიმონის დონეზე.

ბერძნული ეტიმონის სიტყვებში გვხვდება *skl* კონსონანტური კომპლექსი. ესპანურ კორელატში იგი ვარირების გარეშე გადადის. სწორედ ბერძნული *asklepiadeion*-იდან მივიღეთ ესპ. *asclepiadeo*. იგი კასტილიურ ენაში დამკვიდრდა ლათ. *asclepiadeus*-ის გავლით. რაც შეეხება თავად ბერძნულ ვარიანტს, იგი მომდინარეობს ბერძენი პოეტის სახელიდან, რომელმაც პირველად გამოიყენა პოეზიაში ლექსის ეს სახეობა.

რაც შეეხება ესპ. *esclavo*-ს, იგი ბერძნული *sklavos*-იდან მომდინარეობს და წარმოადგენდა სლავი ხალხების დასახელებას (*eslavo*). როგორც ვხედავთ, ეტიმონის დონეზე თანხმოვანოჯგუფის პოზიცია სიტყვაში იყო თავკიდური, რასაც ვერ ვიტყვით დერივატის დონეზე, სადაც თანხმოვანოჯგუფი გადავიდა ვოკაბულას შუაში.

მხოლოდ ორ სიტყვაში გვხვდება *skr* კონსონანტური კომპლექსი ეტიმონის დონეზე. პირველ სიტყვაში თავკიდურ, ხოლო მეორეში - შუა პოზიციაში. ლათ. *scribere*, ესპანურში დამკვიდრების დროს, იმატებს ხმოვანს და იცვლის პოზიციას, რის შედეგადაც ვიღებთ ესპ. *escribir*-ს. ლათ. *discrepare* კი,

კონსონანტური კომპლექსთან დაკავშირებული ცვლილებების გარეშე გადადის ესპანურში და გვაძლევს *discrepar*-ს.

ხშირად ვხვდებით *spl* კონსონანტურ კომპლექსს თავიკიდურ პოზიციაში, იქნება სიტყვა ლათინური თუ ბერძნული წარმოშობის. იგი არანაირ ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის ესპანურ კორელატში დამკვიდრების დროს. ერთადერთი, რაც აღნიშნულ თანხმოვანთჯგუფს კასტილიურ ენაში გადასვლის დროს ახასიათებს არის პროთეტიკული ხმოვნის ხარჯზე სიტყვაში პოზიციის ცვლილება და თავიკიდურიდან სიტყვის შუაში გადასვლა: ლათ. *splendere* - ესპ. *esplender*, ლათ. *splendidus* - ესპ. *espléndido*, ბერძნ. *splenicós* - ლათ. *splenicus* - ესპ. *esplénico*. რაც შეეხება, ესპ. *espliego*-ს, იგი ლათ. *spicum*-ის კნინობითი ფორმა *spiculum*-იდან მომდინარეობს. როგორც ვხედავთ, *spl* კონსონანტური კომპლექსი დერივატის დონეზეა წარმოქმნილი.

მასალის კვლევის დროს მხოლოდ ერთხელ შევხვდით *stl* კონსონანტურ კომპლექსს და ისიც თავიკიდურ პოზიციაში. ლათ. *stloppus* საწყის ეტაპზე დამკვიდრდა იტალიურში *scoppietta*-ს ან *scoppietto*-ს სახით, ხოლო შემდეგ, დამკვიდრდა ესპანურში *escopeta*-ს ფორმით. როგორც ვხედავთ, აღნიშნულმა სიტყვამ ევოლუციის რთული გზა განვლო, მასში დაფიქსირებულმა თანხმოვანთჯგუფმა არა მარტო პოზიცია შეიცვალა, არამედ პოლიკონსონანტურიდან ბინარულ კომპლექსად იქცა. კომპლექსის გამარტივება იტალიური ენის დონეზევე დაფიქსირდა, ხოლო პოზიციის ვარირება მხოლოდ ესპანურ კორელატში შეგვხვდა.

ყველაზე გავრცელებული სამედიცინური კონსონანტური კომპლექსია *str*. იგი გვხვდება როგორც თავიკიდურ პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში, იქნება სიტყვა ლათინური თუ არალათინური წარმოშობისა. არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა (თუ არ ჩავთვლით პოზიციის ვარირებას) თანხმოვანთჯგუფთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილება.

ესპანურში დამკვიდრებისას ლათ. *stratus* იღებს *estrado*-ს ფორმას, ხოლო ლათ. *strena* გვაძლევს - ესპ. *estrena*-ს. ლათინურის დონეზე არსებული თავიკიდური თანხმოვანთჯგუფი პოზიციის ვარირების გარეშე არცერთ ესპანურ კორელატში არ გადადის: ლათ. *strictus* - ესპ. *estricto*, ლათ. *stridor* - ესპ. *estridor*, ლათ. *struma* - ესპ. *estruma*, ლათ. *structura* - ესპ. *estructura*, ლათ. *stringere* - ესპ. *estreñir*, ლათ. *strepitus* - ესპ. *estrépito*, ლათ. *stria* - ესპ. *estría*, ლათ. *stragare* - ესპ.

estragnar, ლათ. strangulare -ესპ. estrangular და სხვ. იგივე e ხმოვნის დამატება შემინნევა ბერძ. strategema-ს და ბერძ. strophe-ს მიერ განვლილ გზაზე ესპანურ ენაში დამკვიდრებამდე. ისინი ლათინურის გავლით გადავიდნენ კასტილიურ ენაში, სადაც მივიღეთ estragema და estrofa.

ასევე უამრავი მაგალითი გვაქვს str კომპლექსით სიტყვის შუაში. მათ შორისაა: ლათ. capistrum - ესპ. cabestro, ლათ. colostrum - ესპ. calostro, ლათ. districtus - ესპ. distrito, ლათ. distribuere - ესპ. distribuir, ლათ. ligustrum - ესპ. ligustro, ლათ. sequestrare - ესპ. secuestrar, ბერძ. alabastos - ლათ. alabaster - ესპ. alabastro, ბერძ. apostrophe - ლათ. apostrophe - ესპ. apóstrofe.

რამდენიმე ესპანურ ვოკაბულაში str კონსონანტური კომპლექსი დაფიქსირებულია დერივატის დონეზე: ლათ. crusta ევოლუციის გზაზე განიცდის მეტათეზას და კასტილიურ ენაში ვიღებთ costra-ს. რაც შეეხება ლათ. stela-ს იგი განიცდის r-ს ეპენტეზას და ესპანურში გადადის estrella-ს სახით.

§ 3. ოთხელემენტური კონსონანტური კომპლექსები (bskr, bstr, dskr, dstr, mskr, ngst, nsfl, nsfr, nsgr, nskr, nstr, rskr)

თანხმოვანთა ოთხელემენტური ჯგუფები, რომელთა ჩამონათვალიც ორ და სამელემენტურ კომპლექსებთან შედარებით მცირეა, ძირითადად ლათინური ეტიმონის სიტყვებში გვხვდება. ისინი ყველა ვოკაბულაში სიტყვის შუა პოზიციის მატარებლები არიან, რის თქმის საფუძველსაც გვაძლევს ის, რომ მასალის კვლევის დროს, არცერთ სიტყვაში არ შევხვდრიღვართ ოთხელემენტურ კონსონანტურ კომპლექსს თავიდაც პოზიციაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მათგანი ვარიანტების გარეშე გადადის ესპანურ ენაში. მხოლოდ ორიოდ შემთხვევა გვაქვს ოთხელემენტური კომპლექსის ერთ-ერთი ელემენტის ტრანსფორმაციისა და პოლიკონსონანტური კომპლექსის გამარტივებისა. ორიოდ სიტყვაში გვხვდება ოთხელემენტური კონსონანტური კომპლექსის დერივატის დონეზე წარმოქმნა.

პრეფიქსის ხარჯზე შეიქმნა კონსონანტური კომპლექსი - bskr. ლათ. subscribere, რომელიც წარმოიქმნა თავსართ sub-ის ლათ. scribere-ზე დამატებით, ესპანურში გვაძლევს subscribir-ს. იგივე თავსართის დამატებით არის

განპირობებული შემდეგი ესპანური სიტყვების წარმოებაც: *subscripción* (ლათ. *subscriptio,-onis*), *subscripta* (ლათ. *subscrutus*), *subscriptor* (ლათ. *subscriptor*).

ესპ. *abstracto* მოდის ლათ. *abstractus*-იდან, ეს უკანასკნელი კი შედგენილია თავსართ *abs*-ის ფუძე *tractus*-ზე დამატებით, რაც წარმოადგენს ზმნა *trahere*-ს მიმდებარეობას. იგივე თავსართი ფიგურირებს ესპ. *abstracción*-ში. თუმცა, აღნიშნულ სიტყვაში, რომელიც ლათ. *abstraction,-onis*-იდან მოდის, პრეფიქსის გარდა გვაქვს სუფიქსი *ción*-იც. როგორც ვხედავთ, მიუხედავად ორივე სიტყვის რთული შემადგენლობისა, ლათინურის დონეზე არსებული პოლიკონსონანტური კომპლექსი არ განიცდის ვარირებას და ესპანურში უცვლელი ფორმით გადადის.

თავსართ *ob*-თან არის დაკავშირებული *bstr* კომპლექსიანი შემდეგი სიტყვების ეტიმოლოგია. პრეფიქს *ob* + *struere*-დან ან *ob* + *structio,-onis*-იდან მივიღეთ ესპანურში *obstruir* და *obstrucción*.

მასალის კვლევის დროს შევხვდით ორ ისეთ სიტყვასაც, სადაც აღნიშნულ პრეფიქსიან სიტყვებზე კიდევ ერთი, *des* თავსართია დამატებული: ლათ. *des* + *obstruere* - ესპ. *obstruir*, ლათ. *des* + *obstructio,-onis* - ესპ. *desobstrucción*.

დერივატის დონეზეა წარმოქმნილი ოთხი კონსონანტი ესპ. *substraer*-ში, რომელიც მოდის ლათ. *subtrahere*-დან. როგორც ვხედავთ, ლათინურ ენაში სამეგემენტიანი კომპლექსი გვაქვს. *S*-ს ეპენტოზა და კომპლექსის ოთხეგემენტიანად ქცევა, სავარაუდოდ (RAE-ს მიხედვით), განაპირობა აღნიშნული ვოკაბულაზე ესპ. *extraer*-ის გავლენამ.

აღსანიშნავია თავსართით წარმოქმნილი *dskr* და *dstr* კონსონანტური კომპლექსებიც. ორივე მათგანი ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და კასტილიურ ენაში უცვლელი ფორმით გადადის. ლათ. *adscribere*, რომელიც მივიღეთ პრეფიქს *ad+scribere*-ს შედეგად, ესპანურში გვაძლევს *adscribir*-ს. ამავე ფუძიდან მომდინარეობს ესპ. *adscripción* და ესპ. *adscripta*.

რაც შეეხება ესპ. *adstrato*-ს, იგი მივიღეთ *adstratus*-იდან, რომელიც წარმოადგენს ლათ. *adsternere*-ს მიმდებარეობას. ლათ. *adstringere* კი ესპანურში გვაძლევს *adstringir*-ს.

პირველი ელემენტის ცვალებადობის შედეგად გადადის ესპანურ კორელატში *mskr* კონსონანტური კომპლექსი. იგი ყველა ესპანურ კორელატში ექვემდებარება პირველი ელემენტის ცვალებადობას. ხდება ორი მუდერი

ნაზალის ერთმანეთში არევა და mskr კომპლექსის nskr-ის სახით გადასვლა კასტილიურ ენაში: ლათ. *circumscribere* - ესპ. *circunscribir*, ლათ. *circumscriptio,-onis* - ესპ. *circunscripción*, ლათ. *circumscriptus* - ესპ. *circunscripto*, ლათ. *incircumscriptus* - ესპ. *incircunscrita*. არცერთი მაგალითი არ გვაქვს აღნიშნული კომპლექსის უცვლელი ფორმით დამკვიდრების.

მასალის კვლევის დროს მხოლოდ ორ და ისიც არალათინური წარმოშობის სიტყვაში შევხვდით *ngst* კონსონანტურ კომპლექსს. ესპ. *gánster* კასტილიურ ენაში დამკვიდრდა ინგლისურ *gang* + *ster*-იდან. აღნიშნულმა ვოკაბულამ ევოლუციის რთული გზა განვლო. ჩვენთვის საინტერესო ოთხელემენტიანი კონსონანტური კომპლექსი კი დერივატის (ინგლისური ენის) დონეზეა წარმოქმნილი, საიდანაც ვარირების გარეშე გადავიდა კასტილიურში.

საინტერესოა ერთ-ერთი მყარი მეტალის, ვოლფრამის ესპანური დასახელების ეტიმოლოგია. იქიდან გამომდინარე, რომ ვოლფრამი შეედმა ქიმიკოსმა აღმოაჩინა, ლოგიკურია, რომ ვოლფრამის ესპანურ დასახელება - *tungsteno*-ს აქვს შეედური ძირი. იგი მივიღეთ შეედური *tung* (მძიმე) + *sten* (ქვა) კომპოზიტის შედეგად.

თავსართ *trans*-ს უკავშირდება ორი – *nsfl* და *nsfr* კონსონანტური კომპლექსის წარმოქმნა, რაც თვალნათლივ ჩანს შემდეგ ესპანურ სიტყვებში: *transflor*, *transflorear*, *transfregar*, *transfretar*, *transfretano*. არცერთ მათგანს არ განუცდია თანხმოვანთჯფუგთან დაკავშირებული რაიმე ფონეტიკური ცვლილება ისტორიული ევოლუციის მანძილზე.

იმავე *trans* თავსართმა განაპირობა *nsgr* კონსონანტური კომპლექსის წარმოქმნა. იგი სულ სამიოდე სიტყვაში გვხვდება და სამივეს ერთი ძირი აქვს: ლათ. *trans* + *gredi* - ესპ. *transgredir*, ლათ. *trans* + *gressio*, - *onis* - ესპ. *transgresión*, ლათ. *trans* + *gresor* - ესპ. *transgresor*.

Nskr კონსონანტური კომპლექსი შეიძლება შეგვხვდეს ლათინური ენის დონეზეც. აღსანიშნავია, რომ ყველა ვოკაბულაში ოთხელემენტანი კომპლექსის წარმოქმნა განპირობებულია თავსართის დამატებით, იქნება ეს პრეფიქსი *in*, *con* თუ *trans*. ლათ. *inscribere* (თავსართი *in* + *scribere*) ესპანურში გვადღვს *inscribir*-ს, ხოლო ლათ. *inscription,-onis* -ესპ. *inscripción*-ს. ლათ. *conscriptus* ესპანურში შეესაბამება *conscripto*-ს. რაც შეეხება თავსართ *trans*, იგი

დაფიქსირებულია შემდეგ სიტყვებში: ესპ. transcribir (ლათ. trans + scribere) და ესპ. transcripto (ლათ. transcriptus).

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ოთხეულემენტიანი კონსონანტური კომპლექსია nstr. იგი მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება და ესპანურში ვარირების გარეშე გადადის. სიტყვების უმრავლესობა, სადაც აღნიშნული კომპლექსი არის დაფიქსირებული, შეიცავს თავსართ con და in-ს.

სწორედ con და in პრეფიქსების ბოლო ელემენტი არის კონსონანტური კომპლექსის პირველი თანხმოვანი შემდეგ ესპანურ სიტყვებში: construir (ლათ. con + struere), construcción (ლათ. con + structio, onis), instruir (ლათ. in + struere). გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, სადაც თავსართიანი სიტყვაში კიდევ ერთი თავსართი ჩნდება. მაგ: reconstruir და reconstrucción. ორივე ვოკაბულაში re პრეფიქსი ლათინური ენის დონეზე ფიქსირდება.

მასალის კვლევის დროს შევხვდით რამდენიმე ისეთ სიტყვას, სადაც ეტიმონის დონეზე არსებული კონსონანტური კომპლექსი არ არის წარმოქმნილი პრეფიქსის ხარჯზე. მათ შორისაა: ესპ. monstruo, რომელიც მოდის ლათ. monstruum-იდან და ესპ. monstruosa, რომელიც მივიღეთ ლათ. monstruosus-იდან.

ეტიმონის დონეზე nstr კომპლექსი დაფიქსირდა ლათ. monstrare-შიც. აღნიშნულმა თანხმოვანთჯგუფმა განიცადა კონსონანტური კომპლექსის გამარტივება და იქცა სამეულემენტიანად ესპანურ ენაში: mostrar. გვაქვს რამდენიმე სიტყვა, სადაც ლათინურმა ვერსიამ დაიმატა თავსართი de: ლათ. demonstrare - ესპ. demostrar, ლათ. demonstratio, -onis - ესპ. demostración.

უიშვიათესი კონსონანტური კომპლექსია rskr, რომელიც მასალის მოძიების დროს მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა. ლათ. imperscrutabilis-მა ესპანურში დამკვიდრების დროს კონსონანტურ კომპლექსთან დაკავშირებული ცვლილება არ განიცადა და კასტილიურ ენაში თითქმის უცვლელი ფორმით (მხოლოდ სიტყვის დაბლოება შეიცვალა) დამკვიდრდა – imperscrutable.

§ 4. ხუთელემენტური კონსონანტური კომპლექსები (mskrt, ngstr)

თითქმის არ არსებობს ესპანურ ენაში ხუთკონსონანტიანი კომპლექსის შემცველი სიტყვა. RAE-ში მხოლოდ ერთი ვოკაბულაა დარეგისტრირებული მსგავსი კომპლექსით და ეს არის angstrom, რომელიც წარმოადგენს 0,1 ნანომეტრის ან 10^{-10} მეტრის ტოლი საზომი ერთეულის (ქართ. ანგსტრემი) დასახელებას. აღნიშნული ვოკაბულა ყველა ენაში უცვლელი ფორმით დამკვიდრდა, რადგან იგი შეედი ფიზიკოსის და მისი გამომგონებლის გვარის (Angström) სრულ ანალოგს წარმოადგენს.

მასალის კვლევის დროს შევხვდით კიდევ ერთ, საინტერესო ეტიმოლოგიის მქონე სიტყვას, რომელსაც ეტიმონის დონეზე აქვს ხუთი კონსონანტისგან შედგენილი კომპლექსი. ინდოეთის უძველესი ლიტერატურული ენის ესპანური დასახელება sanscrito, მომდინარეობს ამ ენის სანსკრიტული დასახელებიდან - samskrita. ეტიმონის დონეზე არსებულმა პოლიკონსონანტურმა კომპლექსმა ევოლუციის რთული გზა განვლო და იმის გარდა, რომ კომპლექსის პირველი ელემენტი მეორე მუდერი ნაზალით - n-თი იქნა ჩანაცვლებული, მოხდა მეოთხე და მეხუთე კონსონანტს შორის i-ს სინკოპა, რის შედეგადაც დერივატის დონეზე მივიღეთ ოთხელემენტური კომპლექსი.

V თავი

კონსონანტური კომპლექსების კლასიფიკაცია სტაბილურობისა და ვარიაციულობის მიხედვით

§1. ორელემენტური კომპლექსების კლასიფიკაცია

კონსონანტური კომპლექსების სფეროში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ესპანურ ენაში გვაქვს უამრავი ბინარული და პოლიკონსონანტური თანხმოვანთჯგუფი, რომელთაგანაც ზოგი მდგრადობის მაღალი მაჩვენებლით ჯერ კიდევ ლათინური ენის დონიდან გამოირჩევა, ზოგიც კი განიცდის სხვადასხვა ცვლილებებს ევოლუციის პროცესში.

ჩატარებული კვლევაზე დაყრდნობით, შესწავლილი კონსონანტური კომპლექსები დავაჯგუფეთ შემდეგი თანამიმდევრობით:

1. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც სტაბილურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან;
2. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც მხოლოდ ვარირებისაკენ არიან მიდრეკილნი;
3. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც ესპანურ ენაში გადადიან როგორც ფორმაუცვლელი, ასევე ფორმაშეცვლილი სახით;
4. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც დერივატის დონეზე ფიქსირდება.

აღნიშნული თანამიმდევრობით თანხმოვანთჯგუფების კლასიფიკაციის პარალელურად, განვსაზღვრავთ, თუ რომელი ფონეტიკური ცვლილებით იყო განპირობებული ამა თუ იმ კომპლექსის ვარირება.

ყველაზე სტაბილური თავკიდური კონსონანტური კომპლექსების ჩამონათვალში შევიყვანეთ: br, fr, gr და tr კომბინაციები: brazo (ლათ. braciolum), fruta (ლათ. fruta), grado (ლათ. gradus), trigo (ლათ. triticol). აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ თანხმოვანთჯგუფებს ვარირება არც ლათინური ენის ევოლუციის პროცესში განუცდიათ. ერთადერთ გამონაკლის წარმოადგენს br კომპლექსი, რომელიც სიტყვა brevis-ის არქაულ ვარიანტში წარმოდგენილი იყო თავკიდური mr კომპლექსით: mreghuis brevis breve.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ br, fr, gr და tr კომბინაციების სტაბილურობა გვაქვს არალათინური წარმოშობის სიტყვებშიც: bregar (გოთ. brikan), fraile (ოქს.

fraile), gráfico (ბერძ. graphicus), tregua (გოთ. triggwa). არალათინური წარმოშობის სიტყვებში დაფიქსირდა gn კომბინაციის მდგრადობაც: ბერძ. gnomikos - ესპ. gnómico.

როგორც ვხედავთ, როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის დონეზე ყველა მდგრადი თანხმოვანთჯგუფი წარმოდგენილი იყო ორი მქდერი ოკლუზივის (b, g), ერთი ყრუ ოკლუზივის (t) ან ერთი ყრუ ფრიკატივის (f) და ვიბრანტის (r) კომბინაციით. ასევე მქდერი ოკლუზივის (g) და ნაზალის (n) თანამიმდევრობით.

ამავე ჯგუფში შევიყვანეთ sk, sm, st კომპლექსებიც. არც მათ განუცდიათ ფონეტიკური ცვლილებები ევოლუციის პროცესში, თუ არ ჩავთვლით პროთეტიკული ხმოვნის ხარჯზე მათი პოზიციის შეცვლას სიტყვაში. აღსანიშნავია, რომ sk და st კომპლექსების სტაბილურობა არ დარღვეულა არც ლათინური და არც არალათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში: ლათ. scutum - ესპ. escudo, ბერძ. skolex - ესპ. escólex, ლათ. stare - ესპ. estar, ბერძ. stadio - ესპ. estadio. ჩამოთვლილი სამი კომპლექსიდან ყველაზე იშვიათი არის sm კომბინაცია.

როგორც ჩანს, მდგრადი აღმოჩნდა ყრუ ფრიკატივის (s) და ყრუ ოკლუზივების კომბინაციაც (t,k). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ყველაზე სტაბილურ კომპლექსებს წარმოადგენენ ისეთი კომბინაციები, რომელთა ერთ-ერთი ელემენტიც არის ოკლუზივი (მქდერი ან ყრუ). თუმცა, ბუნებრივია, მათ სტაბილურობას მხოლოდ ეს არ განსაზღვრავს. მათ მდგრადობაში დიდ როლს არსულებენ ის კონსონანტებიც, რომლებიც მათთან ერთად ჰქმნიან ბინარულ თანხმოვანთჯგუფს (ამ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ვიბრანტ r-ს და ფრიკატივ s-ს).

შედარებით მრავალრიცხოვანია მდგრადი შუა კონსონანტური კომპლექსების ჩამონათვალი. Bd, bs, bt, dr, fr, kr, ld, lf, lg, lm, ls, lv, nh, nk, nv, pl, pn, rb, rl, rm, rn, rr, sk, sm, sp, st¹ უცვლელი ფორმით გადადიან ესპანურში, მათი შემცველი სიტყვის წარმოშობის მიუხედავად: ლათ. procreator - ესპ. procreator, ლათ. barba - ესპ. barba,

¹ Lg, lm, ls, pn, rb, rm, rn, rr, sk, sp, st კომპლექსები გვხვდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში.

ლათ. dormitorium - ესპ. dormitorio, ბერძ. harmonia - ესპ. armonía, ლათ. aspectus-ესპ. aspecto, ბერძ. despotes - ესპ. déspota, არაბ. sarbat - ესპ. sorbete.¹

მათი გარკვეული ნაწილი ვარირებას არც ლათინური ენის დონეზე დაექვემდებარა. სწორედ ასეთ კონსონანტურ კომპლექსებში შევიყვანეთ kr, rb, rm და sp კომბინაციები.

როგორც ვხედავთ, თავიკიდური ჯგუფების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ვიბრანტი ჭარბობს. სწორედ თანხმოვანი r წარმოადგენს ოთხი სტაბილური კომპლექსიდან სამი ჯგუფის ერთ-ერთ ელემენტს: kr, rb, rm; მეოთხე კომპლექსი კი შედგება ყრუ ფრიკატივისა და ყრუ ოკლუზივისაგან: sp.

შედარებით მცირეა ისეთი კონსონანტური კომპლექსების რაოდენობა, რომლებიც მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ. მათი სიმცირე კიდევ უფრო თვალსაჩინოა თავიკიდურ კონსონანტურ კომპლექსებთან, რადგან მასალის კვლევის დროს არცერთ ისეთ ბინარულ თავიკიდურ კომპლექსს არ შევხვდით, რომელიც ესპანურ ენაში გადასვლის პროცესში მხოლოდ ცვლილებებს დაექვემდებარებოდა, რაც აიხსნება იმით, რომ ბინარული თავიკიდური კონსონანტური კომპლექსები მანამდე გამარტივდა, სანამ მათი შემცველი სიტყვები პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელდებოდა. ლათინური ენის ისტორიის ადრეულ ეტაპზე გამარტივებული თანხმოვანთჯგუფებია: pt, tl, kt, sl, dn. სწორედ ამ მოვლენას ვხვდებით ჩამოთვლილ სიტყვებთან: ლათ. ptisana - ლათ. tisana - ესპ. tisana, ლათ. tlatos - ლათ. latus - ესპ. lato, ლათ. ctunica - ლათ. túnica - ესპ. túnica, ლათ. slubricus - ლათ. lubricus - ესპ. lúbrico, ლათ. dnuk - ლათ. nux - ესპ. nuez.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული თანხმოვანთჯგუფები ლათინური ენის საწყის დონეზევე გამარტივდა, ესპანურ ენაში თითქმის არცერთი სიტყვა არ იწყება ამ კომპლექსებით. გამონაკლისს წარმოადგენს ესპანურ ენაში ბოლო (XX) საუკუნეში დამკვიდრებული ინგლისურენოვანი სიტყვა slogan, რომელიც მთელ რიგ ლექსიკონებში უკვე პროთეტიკული ხმოვნით არის ჩაწერილი: slogan ან eslogan და Ctesifonte (ტოპონიმიკაში).

ეტიმონის დონეზე ვარირების რამდენიმე შემთხვევა გვაქვს შუა კონსონანტურ კომპლექსებთანაც. მართალია, ლათინურში არ მოხდა მათი

¹ ესპ. sorbete-მ კასტილიურ ენაში დამკვიდრებამდე რთული გზა განვლო. არაბული sarbat, რომელიც არაბული sarba-ს მრავლობითი რიცხვის ფორმაა, ჯერ თურქულში გადავიდა serbet-ის ფორმით, შემდეგ იტალიურში დამკვიდრდა, როგორც sorbetto და ბოლოს გადავიდა კასტილიურში sorbete-ს სახით.

მონოფონემურად გარდაქმნა, მაგრამ დაფიქსირდა მათი ფორმის შეცვლა ასიმილაციის ხარჯზე. სწორედ ასეთ კონსონანტური კომპლექსებს წარმოადგენენ – bf, bg, df, dg, kf, pf, ds ჯგუფები, რომელთაც ჯერ კიდევ ლათინურში მოგვცეს ff, gg, ff, gg, ff, ff, ss, ხოლო ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს გამარტივდნენ. მაგ: op(i)ficina - officina - oficina და ა.შ. გამარტივდა ისეთი გემინატებიც, რომლებიც არ მიგვიღია ასიმილაციის ხარჯზე. მათ შორისაა: მქლერი და ყრუ ოკლუზივის გემინატები – bb და pp (ლათ. iabattia - ესპ. abadia, ლათ. cappa - ესპ. capa). ასევე, ნაზალები (mm, nn): ლათ. commodus - ესპ. cómodo, ლათ. annualis - ესპ. anual. მასალის კვლევის დროს, შევხვდით ნაზალების სხვაგვარ ტრანსფორმაციასაც: ლათ. immigrare - ესპ. inmigrar, ლათ. pannus - ესპ. paño. როგორც ვხედავთ, ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს გემინატები დაექვემდებარნენ ცვლილებებს.

განსხვავებული სახის ვარირებას დაექვემდებარნენ შემდეგი კონსონანტური კომპლექსები. Rh და sf თანხმოვანთჯგუფები ხმოვნის წარმოქმნის შედეგად დაიშალნენ: არაბ. tarhun - ესპ. taragona, ლათ. disfidare - ესპ. desafiarse. პოლიკონსონანტურ კომპლექსად ტრანსფორმირდა gd კომბინაცია ესპ. almendra-ში, რომელიც მომდინარეობს ლათ. amygdala-დან.

მესამე ჯგუფში გავაერთიანეთ ისეთი კონსონანტური კომპლექსები, რომლებიც ესპანურ ენაში გადადიან როგორც ვარირების გარეშე, ასევე ფორმაშეცვლილი სახით. სწორედ ამ ჯგუფში შედის თანხმოვანთჯგუფების უმრავლესობა. მათი კონსტანტურობა-ვარიაციულობის პარალელურად, შევეცდებით ავსხნათ, რომელი ლინგვისტური მოვლენით იყო განპირობებული ამა თუ იმ კომპლექსის ვარირება.

მესამე ჯგუფში შემავალ თავკიდურ კონსონანტურ კომპლექსებში გავაერთიანეთ: bl, dr, fl, gl, kl, kr, pl, pr, sp, st კომბინაციები. აქედან ორ – bl და gl თანხმოვანთჯგუფში დაფიქსირდა პირველი ელემენტის დაკარგვა: ლათ. blastemare - ესპ. lastimar, ლათ. glirone - ესპ. lirón. თუმცა, გვაქვს მათი სტაბილურობის არაერთი შემთხვევა: ლათ. blandu - ესპ. blando, ლათ. globus - ესპ. globo.

ორ კომპლექსში დაფიქსირდა ყრუ კონსონანტის გამჟღერება. მიუხედავად იმისა, რომ kr და pr კომბინაციების მდგრადობის არაერთი მაგალითი გვაქვს ესპანურში: ლათ. crimen - ესპ. crimen, ლათ. pratum - ესპ. Prado, შეგვხვდა kr-დან

gr-ს, ხოლო pr-დან br-ს მიღების მოვლენაც: ლათ. *crupta* - ესპ. *gruta*, ლათ. *prunum* - ესპ. *bruno*.

შედარებით რთული მდგომარეობაა შემდეგ სამ თავკიდურ კომპლექსთან. გარდა იმისა, რომ ესპანურ ენაში დაფიქსირებულია fl, kl და pl თანხმოვანთჯგუფების კონსტანტურობაც, ისინი ძირითადად ვარირებენ, რაც უკავშირდება პალატალიზაციის მოვლენას. სწორედ ამ მოვლენას ვხვდებით ესპანურ ენაში ხალხური ლათინურიდან გადასულ შემდეგ სიტყვებში: *llamar* (ლათ. *clamare*), *llama* (ლათ. *flamma*), *llorar* (ლათ. *plorare*). მათი ვარიაციულობა მხოლოდ პალატალიზაციით არ შემოიფარგლა, რაც კარგად ჩანს fl, kl, pl კომპლექსების შემცველ დანარჩენ მაგალითებში: ლათ. *flaccidus* - ესპ. *lacio*, ლათ. *pluteus* - ესპ. *choza* (გალისიურის გავლენით), ლათ. *placare* - ესპ. *aplacar*. რაც შეეხება მათ კონსტანტურობას, იგი ძირითადად ახასიათებს ესპანურ ენაში გვიანდელ პერიოდში დამკვიდრებულ სიტყვებს: ინგ. *club* - ესპ. *club*, ფრ. *flan* - ესპ. *flan*, ფრ. *plafond* - ესპ. *plafón*. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ pl, kl, fl კომპლექსების მდგრადობა, ზოგ შემთხვევაში, აიხსნება მათი შემცველი სიტყვების ესპანეთში არა ხალხური, არამედ სალიტერატურო ლათინურის გზით გავრცელებით. მაგ: ლათ. *pluma* - ესპ. *pluma*, ლათ. *clavicula* - ესპ. *clavija*, ლათ. *flore* - ესპ. *flor*.

რაც შეეხება დარჩენილ სამ კომბინაციას, dr-ში მოხდა ორ ფონემას შორის სიმულერე-სიერუსის არევა და მივიღეთ tr: ესპ. *trapo* (კელტ. ან პრეკელტ. *drappus*); St კომპლექსი კი, ეპენტეზირებული r-ს ხარჯზე, ხდება პოლიკონსონანტური: ლათ. *stella* - ესპ. *estrella*; იგივე მოვლენა გვხვდება sp კომპლექსთანაც: l-ს ეპენტეზის შედეგად ვიღებთ spl თანამიმდერობას: ლათ. *speculum* - ესპ. *espliego*. Dr, sp და st კომპლექსების სტაბილურობა ჩანს შემდეგ მაგალითებში: *dragón* (ბერძ. *drákon* - ლათ. *draco*), ლათ. *spectaculum* - ესპ. *espectáculo*, ლათ. *castigare* - ესპ. *castigar*.

შუა კონსონანტურ კომპლექსების მესამე ჯგუფში შევიყვანეთ br, fl, gl, gm, gn, gr, kl, kt, ln, lp, lt, mb, mp, nd, nf, ng, ns, nt, pr, ps, pt, rd, rf, rg, rs, rt, tr კომბინაციები.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი თანხმოვანთჯგუფების უმრავლესობა, სტაბილურობის პარალელურად, განიცდის რამდენიმე სახის ფონეტიკურ

ცვლილებას. სწორედ ფონეტიკური ცვლილებების რაოდენობის მიხედვით მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია.

პირველ ქვეჯგუფში შევიყვანეთ ისეთი თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც ზოგ სიტყვაში სტაბილურია და ზოგშიც ვარირებას, ოღონდ ერთი სახის ცვლილებას განიცდიან. Fl, gl, gm, gr, ln, mp, ns, pr, ps, rd, rf, rs კომპლექსებიდან gl, gm, gr კომბინაციები გამარტივდნენ პირველი ან მეორე ელემენტის დაკარგვის (ან ვარირების) ხარჯზე: ლათ. *espeplo* - ესპ. *esplego*, ლათ. *augmentum* - ესპ. *aumento*, ლათ. *pigritia* - ესპ. *pereza*. პირველი ელემენტი დაიკარგა ns და rs კომბინაციებშიც: ლათ. *sensus* - ესპ. *seso*, ლათ. *ursu* - ლათ. *osso* - ესპ. *oso*. მონოფონემურ ვარიანტს ვიღებთ ესპ. *baño*-შიც, რომელიც ლათ. *balneum*-იდან მომდინარეობს.

განსხვავებული ფონეტიკური ცვლილებები ხდება fl, mp და pr კომპლექსებთან. Fl ჯგუფი გადავიდა pl-ში; Mp-მ, მეტათეზის ხარჯზე, მოგვცა პოლიკონსონანტური კომპლექსი - mpr, ხოლო pr-ში მოხდა ერთ კონსონანტის გამჟღერება: ლათ. *sufflare* - ესპ. *soplar*, ლათ. *semper* - ესპ. *siempre*, ლათ. *apricus* - ესპ. *abrigo*.

კატალანურ ენას უკავშირდება ps კომპლექსის ვარირება ესპ. *caja*-ში. როგორც ვიცით, იგი მომდინარეობს ლათ. *capsa*-დან და ესპანურ ვარიანტს გვაძლევს კატალანური *caixa*-ს გავლენით.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვაქვს rd კომპლექსის ვარიაციულობა, რაც განპირობებულია მეორე ელემენტის ტრანსფორმაციით: ლათ. *hordeum*, ჯერ *orzuelo*-ს გვაძლევს (სავარაუდოდ იტ. *orzata*-ს გავლენით), ხოლო შემდეგ ვიღებთ *horchata*-ს.

I-ს ჩამატებას უკავშირდება rf კომბინაციის დაშლა ესპანური ენის დონეზე. ძვ. ფრანგ. *girfalt* ესპანურ ენაში გვაძლევს *gerifalt*-ს.

მიუხედავად მათი ვარირებისა, აღნიშნული კონსონანტური კომპლექსები ძირითადად სტაბილურობით გამოირჩევიან: ლათ. *diflagrare* - ესპ. *deflagrar*, ლათ. *deglurrio*, -onis - ესპ. *deglución*, ლათ. *segmentum* - ესპ. *segmento*, ლათ. *agrarius* - ესპ. *agrario*, ლათ. *diflagrare* - ესპ. *deflagrar*, ლათ. *campus* - ესპ. *campo*, ლათ. *capricornus* - ესპ. *capricornio*, ლათ. *cordarius* - ესპ. *cordero*, ლათ. *insectum* - ესპ. *insecto*, ლათ. *capsula* - ესპ. *cápsula*, ლათ. *farfarus* - ესპ. *fárfara*, ბერძ. *tarsos* - ესპ. *tarso*.

მეორე ქვეჯგუფში გავაწევრიანეთ ისეთი კომბინაციები, რომელთაც კონსტანტურობის პარალელურად, მთელ რიგ სიტყვებში განიცადეს ორი სახის ვარირება. სწორედ ამ ქვეჯგუფში გავაერთიანეთ br, gn, kl, lp, lt, mb, nd, nf, rg და tr კომპლექსები.

Br თანხმოვანთჯგუფთან გვაქვს როგორც კომპლექსის მეორე ელემენტის გაუჩინარება: ლათ. labrum - ესპ. labio, ასევე ბინარული კომპლექსის დაშლა თანხმოვნებს შორის ხმოვნის ჩამატების შედეგად: ლათ. ebriacus - ესპ. borracho.

ერთ კონსონანტის გამჟღერება დაფიქსირდა kl კომპლექსთან სიტყვის შუაში: ბერძ. ecloga - ესპ. égloga. ასევე შეგვხვდა kl კომპლექსის სხვაგვარი ტრანსფორმაცია: ლათ. oc(u)lus - ესპ. ojo.

პირველი ელემენტი იკარგება gn კომპლექსშიც: ლათ. cognoscere - ესპ. conocer. თუმცა, გვაქვს მისგან (ñ)-ს მიღების არაერთი მაგალითიც: ლათ. ligna - ესპ. leña.

ვოკალიზაციას და დისიმილაციას ვხვდებით lp კონსონანტურ კომპლექსთან. სწორედ lp კომპლექსი გვაძლევს up კომბინაციას, რომელიც წინამდებარე ხმოვან a-სთან ქმნის დიფთონგს, რომელიც შემდეგ მონოფთონგიზაციას ექვემდებარება და ვიღებთ topo-ს (talpus-taupo). დისიმილაციას კი ვხვდებით ლათ. palpetrum-ის შემთხვევაში, რომელიც ჯერ parpadro-ს, ხოლო მოგვიანებით, párpado-ს გვაძლევს.

ვოკალიზაციის მოვლენას აქვს ადგილი lt კომპლექსთანაც: ლათ. saltu - sauto -ესპ. soto. თუმცა, მისი ფონეტიკური ვარიაციულობა ამით არ დამთავრებულა. მასალის კვლევის დროს შეგვხვდა მისი ვარირების მეორე შემთხვევა: ლათ. altiare - ესპ. alzar.

ბინარული შუა კონსონანტური კომპლექსის მონოფთონგურად ტრანსფორმაცია ან მისი გარდაქმნა სამელენტიან თანხმოვანთჯგუფად ფიქსირდება შემდეგ კომპლექსთან. Mb კომბინაცია, ვესტგოთთა ენის გავლენით, ზოგ სიტყვაში კარგავს მეორე ელემენტს: ლათ. lumbus - ესპ. lomo, ზოგშიც კი თანხმოვნებს შორის არსებული ხმოვნის სინკოპის შედეგად ხდება პოლიკონსონანტური: ლათ. umbilicus -ესპ. ombligo.

დაახლოებით იგივე ფონეტიკური ცვლილებები გვხვდება nd კომპლექსთან. იგი მარტივდება და შემდეგ დარჩენილი ერთი ელემენტის ხარისხი იცვლება

(ანუ პალატალიზდება) ან პოლიკონსონანტური ხდება r-ს ეპენთეზის შედეგად: ლათ. *grundire* - ესპ. *gruñir*,¹ ლათ. *glando* - ესპ. *landre*.

ორ ჯგუფად იყოფა *nf* კომბინაციის მიერ განცდილი ცვლილებებიც. პირველ შემთხვევაში მეორე ელემენტი განიცდის ვარირებას, მეორეში კი – იკარგება პირველი ელემენტი და მეორე კონსონანტი ვარირებს იმავე გზით, რა გზითაც პირველ ჯგუფში შემავალ სიტყვებში: ლათ. *confortare* - ესპ. *conhortar*, ლათ. *confundere* - ესპ. *cohonder*.

ორ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის *rg* კომპლექსიც. იგი ან მონოფონემური ხდება მეორე ელემენტის დაკარგვის ხარჯზე ან იგივე მეორე ელემენტი გადადის *c* (ანუ)-ში: ლათ. *argenteus* - ესპ. *ariento*, ლათ. *argilla* - ესპ. *arcilla*.

ერთ კონსონანტის გამჟღერება ან ბინარული კომპლექსის მონოფონემურად ქცევა დაფიქსირდა *tr* კომბინაციასთან: ლათ. *citrus* - ესპ. *cidro*, ბერძ. *petroselinon* - ლათ. *petroselinum* - ესპ. *perejil*.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილმა კონსონანტურმა კომპლექსებმა ევოლუციის პროცესში განიცადეს სხვადასხვა ცვლილებები, გვაქვს მათი მდგრადობის არაერთი მაგალითიც: ლათ. *labrusca* - ესპ. *labrusca*, ბერძ. *ekleipsis* - ლათ. *eclipsis* - ესპ. *eclipse*, ლათ. *magnus* - ესპ. *magno*, ლათ. *palpitare* - ესპ. *palpitar*, ლათ. *altus* - ესპ. *alto*, ლათ. *ambitus* - ესპ. *ámbito*, არაბ. *sindiya* - ესპ. *sandia*, ლათ. *confectio,-onis* - ესპ. *confección*, ბერძ. *margarites* - ესპ. *margarita*, ბერძ. *metron* - ესპ. *metro*.

მესამე ქვეჯგუფში გავერთიანეთ ისეთი კონსონანტური კომპლექსები, რომელთაც სტაბილურობის პარალელურად, განიცადეს სამი სახის ვარირება. სწორედ ამ ქვეჯგუფში განვიხილავთ *kt*, *nt* და *rt* შუა კონსონანტურ თანხმოვანთჯგუფებს.

Kt კონსონანტურმა კომპლექსმა ესპანურ ენაში დამკვიდრებისას განიცადა როგორც პირველი ელემენტის გაუჩინარება: ლათ. *respectus* - ესპ. *respeto*, ასევე გემინატის წარმოქმნა: ლათ. *defectio,-onis* - ესპ. *defección*. მისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი კი მესამე ცვლილებაა, რაც მდგომარეობს თანხმოვნის

¹ აღსანიშნავია, რომ *gruñir*-ის ეტიმოლოგიის კვლევა დიდ კამათს იწვევს ლინგვისტთა შორის. მათ მოსაზრებებზე ყურადღება გამახვილებული გვაქვს ნაშრომის მესამე თავში.

ჯერ ფრიკატივიზაციაში, შემდეგ yod-ის წარმოქმნაში და ბოლოს აფრიკატის მიღებაში: nocte noxte noite noche.

Nt კომპლექსი არცერთ ვოკაბულაში არ ხდება მონოფონემური. იგი ისევე ბინარული რჩება, ოღონდ განიცდის ერთ-ერთი ელემენტის ვარირებას ან ხდება პოლიკონსონანტური. Nt კომპლექსის ტრანსფორმირება უკავშირდება ყრუ ოკლუზივის გამჟღერებას: მოსარაბ. antubiya - ესპ. endivia ან იგივე ყრუ კონსონანტის c (-)-ში გადასვლას: ლათ. amentia - ესპ. amencia.¹ აღნიშნული კომპლექსის მესამე სახის ვარირება გამოიხატება ეტიმონის დონეზე არსებულ ბინარულ კომბინაციასა და მის მეზობლობაში მყოფ კონსონანტს შორის მდებარე e ხმოვნის გაუჩინარებით: ლათ. interaneus-ის მრავლობითი რიცხვის ფორმიდან - interanea მივიღეთ entraña.

მრავალფეროვანია rt კომპლექსის მიერ განვლილი გზაც. კომპლექსის მეორე ელემენტი ზოგ სიტყვაში c (ანუ)-ში გადავიდა: ლათ. martialis - ესპ. marcial, ზოგში კი - ყრუ აფრიკატში: ლათ. cortex - ესპ. corcho. ყველაზე გავრცელებული კი ყრუ ელემენტის გამჟღერებაა: ლათ. fartum - ესპ. fardo.

რაც შეეხება მათ მდგრადობას, იგი ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითებში: ლათ. dictare - ესპ. dictar, ლათ. contactus - ესპ. contacto, ბერძ. arteria - ესპ. arteria.

მეოთხე ქვეჯგუფში შევიყვანეთ ისეთი შუა კონსონანტური კომპლექსები, რომელთაც ევოლუციის პროცესში განიცადეს სამზე მეტი ფონეტიკური ცვლილება. სწორედ ასეთ კონსონანტურ კომპლექსებს წარმოადგენს ng და pt თანხმოვანთჯგუფები.

Ng კომპლექსი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კომბინაციაა. იგი ის ერთ-ერთი კომპლექსთაგანია, რომელთაც ესპანურ კორელატებში უფრო ხშირად გხვდებით სახეცვლილი ფორმით, ვიდრე ვარირების გარეშე. Ng კომპლექსი ხან მეორე ელემენტს კარგავს და დარჩენილი პირველი ელემენტი უცვლელი ფორმით გადადის ესპანურში: ლათ. pungent - ესპ. puniente და ხანაც დარჩენილი ერთი ელემენტი პალატალიზაციის ხარჯზე იცვლის ხარისხს: ლათ. cingere - ესპ. ceñir. შესაძლოა, მეორე ელემენტი არ გაუჩინარდეს და მხოლოდ ტრანსფორმირდეს, რაც მდგომარეობს g-ს (ანუ c+e)-ში ან (ch)-ში გადასვლაში: ლათ. singellus - ესპ. sencillo, ლათ. cingulum - ესპ. cincho. რამდენიმე სიტყვაში

¹ აღსანიშნავია, რომ nt კომპლექსის ყრუ კონსონანტის მეორე სახის ვარირება მხოლოდ ისეთ სიტყვებში გვხვდება, რომელთაც აქვთ სუფიქსები: -tia და -tio.

აღნიშნული კომპლექსი ხდება პოლიკონსონანტური, რაც ყველა ხშირად ნარნარა r-ს გადაადგილებით არის განპირობებული: ლათ. conger - ესპ. congrio.

Ng კომპლექსისაგან განსხვავებით სუსტი აღმოჩნდა პირველი ელემენტი pt კომპლექსში. სწორედ ყრუ ოკლუზივი (p) იკარგება ან განიცდის ფოკალიზაციას ესპანურ კორელატში გადასვლის დროს: ლათ. aptare - ესპ. atar, ლათ. captivus - ესპ. cautivo. გვაქვს მაგალითები, სადაც საერთოდ იკარგება ბინარული კომპლექსი ან იკარგება, მაგრამ ესპანურ დერივატში ჩნდება ახალი კონსონანტი. მაგ: ლათ. septimana ესპანურში გვაძლევს semana, ხოლო ლათ. captiare - ესპ. cazar-ს.

მიუხედავად იმისა, რომ ng და pt კონსონანტური კომპლექსები ყველაზე ვარირებადი კომბინაციებია სიტყვის შუაში, გვაქვს მათი სტაბილურობის რამდენიმე მაგალითიც: ლათ. fungus - ესპ. hongo, ლათ. captura - ესპ. captura.

მეოთხე ჯგუფში გავაერთიანეთ ისეთი კონსონანტური კომპლექსები, რომლებიც დერივატის დონეზე ფიქსირდება. იქიდან გამომდინარე, რომ მასალის კვლევის დროს მხოლოდ დერივატის დონეზე წარმოქმნილ კომბინაციებს არ შევხვედრივართ, მეოთხე ჯგუფში განვიხილავთ ისეთ კონსონანტურ კომპლექსებს, რომლებიც ფიქსირდება როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის დონეზე.

თავკიდური ჯგუფებიდან ესპანური ენის დონეზე მივიღეთ br, gr და pr კომპლექსები. Gr მივიღეთ ყრუ კონსონანტის გამჟღერებით ან ორი ფონემის არევის შედეგად (dr/gr), br – ასევე ყრუ კონსონანტის გამჟღერებით ან r-ს მეტათეზით, ხოლო pr – მხოლოდ r-ს მეტათეზით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივე კონსონანტური ჯგუფები ეტიმონის დონეზე არ გვქონია: ლათ. brachiolum - ესპ. brazo, ბერძ. graphicus - ესპ. gráfico, ლათ. pratum - ესპ. Prado.

შედარებით მრავალრიცხოვანია დერივატის დონეზე წარმოქმნილი შუა კონსონანტური კომბინაციების ჩამონათვალი. თავკიდურების მსგავსად, ისინიც ორივე დონეზე გვხვდება. თუმცა, გვაქვს ერთი გამონაკლისი. Sn კომპლექსს, რომელიც საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, ესპანურ ენაში ვიღებთ ხმოვნის (i) სინკოპის ან s-ს ეპენთეზის შედეგად: ლათ. asinus - ესპ. asno, ლათ. denudare - ესპ. desnudar.

აღსანიშნავია, რომ ხმოვნის სინკოპა ორ კონსონანტს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოვლენაა, რაც განპირობებს დერივატის დონეზე

სხვადასხვა კონსონანტური კომპლექსების მიღებას. ხდება სხვა ფონეტიკური ცვლილებებიც. თუმცა, ყველაზე გავრცელებული ფორმულა ეტიმონში არარსებული კომბინაციის ესპანური ენის დონეზე მიღებისა ასეთია: ხმოვნის სინკოპა + მეორე ფონეტიკური ცვლილება (დისიმილაცია, ორი კონსონანტის არევა და ერთ კონსონანტის გამჟღერება). მეოთხე ჯგუფში შემაჯავალი კომპლექსების კლასიფიკაციას მოვახდენთ იმის მიხედვით, თუ რამდენ და რომელ ფონეტიკურ ვარირებას უკავშირდება ამა თუ იმ კომპლექსის ესპანური ენის დონეზე წარმოქმნა.

კონსონანტური კომპლექსები, რომლებიც მხოლოდ ხმოვნის სინკოპის შედეგად წარმოიქმნენ: fl, gl, m. თუმცა, მათ შორის განსხვავებაც არის. ისინი არა ერთი და იმავე, არამედ სხვადასხვა ხმოვნის გაუჩინარების შედეგად მივიღეთ. Fl მოგვცა i-ს სინკოპამ: ლათ. sifilare - ესპ. chiflar; Gl კომპლექსი კი – u-ს ამოვარდნამ: ლათ. regula- ესპ. regla, ხოლო m მივიღეთ i-ს ან o-ს სინკოპის შედეგად: ლათ. farinarius - ესპ. harnero, ლათ. coronare - ესპ. coronar.

შესაძლოა, მოხდეს კონსონანტის ამოვარდნაც და ეტიმონის დონეზე არსებული სამეღმენტიანი კომპლექსი ბინარულად გადაიქცეს: ლათ. defunctus - ესპ. defunto.

ესპანური ორეღმენტიანი კომპლექსის წარმოქმნა რამდენიმე სიტყვაში განპირობებულია თანხმოვნის ეპენტეზითაც. სწორედ ამ მოვლენას ვხვდებით ესპანურში mp კომპლექსთან, რომელიც რამდენიმე ბერძნულ და ლათინურ სიტყვაში მონოფონემურია: ბერძ. pepon - ლათ. pepo - ესპ. pimpinela.

ერთ კონსონანტის გამჟღერებით მივიღეთ gr კომპლექსი. აღნიშნული მოვლენა არაერთ სიტყვაშია დაფიქსირებული. მათ შორისაა ესპ. sagrado, რომელიც მომდინარეობს ლათ. sacratus-იდან.

ფონეტიკურად ახლოს მდგომი ორი თანხმოვნის არევა გვხვდება mb კომპლექსთან. არაბული წარმოშობის მქონე სიტყვებში nb კომპლექსის პირველი ელემენტი ჩანაცვლებულ იქნა სხვა, ოღონდ ისევ მჟღერი ნაზალის მიერ: არაბ. tunbak - ესპ. tumbaga.

კონსონანტების არევას აქვს ადგილი rb კომბინაციასთანაც. თუმცა, ამჯერად, rb კომპლექსი მივიღეთ ორი ფრიკატივის არევის შედეგად: ფრ. corvette - ესპ. corbeta.

დისიმილაციას უკავშირდება *rp* კომპლექსის წარმოქმნა ესპანურ ენის დონეზე. ლათ. *palpetrum* ჯერ გადადის *parpadro*-ში, შემდეგ კი, დისიმილაციის ხარჯზე, გვაძლევს *párpado*-ს.

ორმაგი ვარირების შედეგად მივიღეთ *bl, br, dr, ld, lg, lv* და *rg* კომპლექსები. სინკოპა + დისიმილაცია გვაქვს სიტყვაში *roble*. იგი მომდინარეობს ლათ. *robere*-დან, რომელიც ჯერ *e*-ს სინკოპა განიცადა და მოგვცა *robre*, ხოლო შემდეგ დისიმილაციის ხარჯზე, მივიღეთ *roble*.

სინკოპა + ორი კონსონანტის არევა გვაქვს *lv* კომბინაციასთან სიტყვაში *malvado*. იგი მომდინარეობს ლათ. *malifatus*-იდან, რომელიც ჯერ *i*-ს სინკოპას განიცდის, ხოლო შემდეგ ხდება ორი ფრიკატივის არევა, რაც განაპირობებს აღნიშნული ლათინური ვოკაბულის ესპანურში *malvado*-ს ფორმით დამკვიდრებას.

ყველაზე ხშირია სინკოპა + ერთ კონსონანტის გამჟღერება. *Br* კომპლექსს ვღებულობთ *e*-ს ამოვარდნის და *p*-ს გამჟღერებით: ლათ. *aperire* - ესპ. *abrir*; *Dr* კომბინაციას კი – *e*-ს სინკოპით და *t*-ს *d*-დ გარდაქმნით: ლათ. *lateralis* - ესპ. *adral*; *Ld* ჯგუფი წარმოიქმნა *i*-ს სინკოპის და *t*-ს გამჟღერებით: ლათ. *malitas* - ესპ. *maldad*.

I-ს სინკოპას და ერთ თანხმოვნის შეცვლას უკავშირდება *lg* კომპლექსის წარმოქმნაც, რაც კარგად ჩანს ლათ. *delicatus*-იდან ესპ. *delgado*-ს მიღებაში.

სინკოპას არ უკავშირდება, თუმცა *rg* კომპლექსიც ორი ფონეტიკური ვარირების შედეგად გვაქვს მიღებული. გოთ. *brikan*, რომელიც კატალანური *bergant*-ის გავლით გადავიდა ესპანურში და მოგვცა *bergante*. მისი ამგვარი ევოლუცია უკავშირდება *r*-ს მეტათეზას და ერთ კონსონანტის გამჟღერებას.

რაც შეეხება *nd* კომპლექსს, იგი მივიღეთ არა მარტო *i*-ს ამოვარდნის და *t*-ს გამჟღერებით, არამედ *m*-ს *n*-დ ტრანსფორმაციის ხარჯზეც: ლათ. *comitatus*-ესპ. *condado*. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამმაგ ვარირებასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგივე კონსონანტური კომპლექსები (*br, dr, ld*) შესაძლოა წარმოიქმნას არა მხოლოდ აღნიშნული ორი ფონეტიკური ვარირების შედეგად, არამედ ერთი ცვლილების ხარჯზეც: ლათ. *parabola* - ესპ. *palabra*

(მეტათეზა), ლათ. *crocodilus* - ესპ. *cocodrilo* (მეტათეზა), არაბ. *sultan* - ესპ. *soldán* (ყრუ თანხმოვნის გამჟღერება).

დერივატის ღონეზე არის წარმოქმნილი *lm* კომპლექსი მთელ რიგ სიტყვებში, რაც აიხსნება არაბული წარმოშობის, *m*-ზე დაწყებული სიტყვების ესპანურში არაბული *al* არტიკლით დამკვიდრებით. სწორედ ამით აიხსნება არაბული *mudd*-იდან ესპანური *almud*-ის მიღება.

იგივე მოვლენას უკავშირდება *f*-ზე დაწყებული არაბული სიტყვებიდან *lf* კომპლექსის მიღება რამდენიმე ესპანურ სიტყვაში: არაბ. *farda* - ესპ. *alfarda*.

არაბულ არტიკლს უკავშირდება ესპანური ენის ღონეზე *r*-ს გემინატის მიღებაც. *R*-ზე დაწყებული არაბული სიტყვები, ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს, განიცდის არაბული არტიკლის სიტყვასთან შერწყმას და შემდეგ მის ფუძისეულ *r*-სთან ასიმილაციას: არაბ. *ruzz* - ესპ. *arroz*.

აქვე უნდა აღინიშნოს ისეთი კომბინაციებიც, რომლებიც იქმნება არა ესპანური ენის, არამედ შუამავალი ენის ღონეზე და ესპანურში გადადის უცვლელი ფორმით. სწორედ მათ შორის არის *rl* და *rm* კომბინაციები.

შუა კონსონანტური კომპლექსი *rl*, რომელიც ძვ. ფრანგულის ღონეზე დაფიქსირდა სიტყვაში *berlant*, მომდინარეობს ძველი გერმანული *bretling*-იდან.¹ ფრანგულის გავლით დამკვიდრდა ესპანურში ძვ. გერმანული *aram*-იც. მან ჯერ *armon* მოგვცა ფრანგულში, ხოლო შემდეგ უცვლელი ფორმით გადავიდა ესპანურში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მეოთხე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში შუამავალი კონსონანტური კომპლექსები ევოლუციის პროცესში შეგვხვდა როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის ღონეზე. გამომდინარე აქედან, გვაქვს მათი სტაბილურობის არაერთი მაგალითიც: ლათ. *rubrica* - ესპ. *rúbrica*, ლათ. *quadrus* - ესპ. *cuadro*, ლათ. *diflagrare* - ესპ. *deflagrar*, ლათ. *deglurrio,-onis* - ესპ. *deglución*, ლათ. *agrícola* - ესპ. *agrícola*, სავარაუდოდ ფრანკ. *falda* - ესპ. *falda*, ლათ. *fulgor* - ესპ. *fulgor*, ლათ. *palma* - ესპ. *palma*, ლათ. *altus* - ესპ. *alto*, ლათ. *salvus* - ესპ. *salvo*, ლათ. *ambiens* - ესპ. *ambiente*, ლათ. *campus* - ესპ. *campo*, ლათ. *candidatus* - ესპ. *candidato*, ლათ. *infidelis* - ესპ. *infiel*, ლათ. *tensus* - ესპ. *tenso*, ლათ. *arbor* - ესპ. *árbol*,

¹ რამდენიმე სიტყვაში *rl* კომპლექსი ესპანური ენის ღონეზე მივიღეთ სინკოპა+მეტათეზას შედეგად. მაგ: *calorear* - *calrear* - *carlear*.

ბერძნ. organon - ესპ. órgano, ლათ. dormire - ესპ. dormir, ლათ. furnu - ესპ. horno, ლათ. corpus - ესპ. cuerpo, კელტ. barronvides - ესპ. berrendo და სხვ.

ბინარული კონსონანტური კომპლექსები ბოლოკიდურ პოზიციაში (lm, mn, ns, rd, rm, rr, sm და st) გვხვდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში. ისინი არცერთ ესპანურ კორელატში არ ინარჩუნებენ ბოლოკიდურ პოზიციას და ხან ხმოვნის (e ან o) და ხანაც მთლიანი მარცვლის დამატებით გადადიან სიტყვის შუაში. შესაძლოა, ხმოვნის დამატებას თან ახლდეს ბინარული კომპლექსის, თანხმოვნის ეპენტეზის შედეგად, პოლიკონსონანტურად გადაქცევა. სწორედ ასეთ კომბინაციას წარმოადგენს არაბული ბოლოკიდური mn, რომელიც ჯერ ხდება mbr, შემდეგ კი იმატებს e-ს.

§2. სამელემენტური კომპლექსების კლასიფიკაცია

შედარებით მცირეა სამელემენტური კომპლექსების რაოდენობა როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის დონეზე. ისინი ძირითადად სიტყვის შუაში გვხვდება და ხასიათდებიან როგორც სტაბილურობით, ასევე ვარირებით. ბინარული თანხმოვანთჯგუფების მსგავსად, ოთხ ჯგუფად დაყავით სამელემენტური კომპლექსებიც:

1. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც სტაბილურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან;
2. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც მხოლოდ ვარირებისაკენ არიან მიდრეკილი;
3. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც ესპანურ ენაში გადადიან როგორც ფორმაუცვლელი ასევე ფორმაშეცვლელი სახით;
4. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც დერივატის დონეზე ფიქსირდება.

ყველაზე სტაბილური სამელემენტური კომპლექსები თავიკიდურ პოზიციაში არის: skl, skr, spl, str. ისინი ესპანურ ენაში დამკვიდრების პროცესში არ ექვემდებარებიან არანაირ ფონეტიკურ ვარირებას, მაგრამ პროთეტიკული ხმოვნის ხარჯზე იცვლიან პოზიციას სიტყვაში: ბერძ. sklavos - ესპ. esclavo, ლათ. scribere - ესპ. escribir, ლათ. splendidus - ესპ. espléndido, ლათ. strena - ესპ. estrena.

რაც შეეხება ყველაზე მდგრად შუა კონსონანტურ კომპლექსებს, ესენია: ltr, mbl, mbr, mpr, ndr, nfr, ngr, nkr, nsp, ntr, rpr, rsp, skl, skr, sgr, str ჯგუფები. მათი სტაბილურობა კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში: ფრანგ. altruime - ესპ. altruismo, ლათ. amblare - ესპ. amblar, ლათ. membrum - ესპ. miembro, ლათ. comprimere - ესპ. comprimir, ლათ. concretus - ესპ. concreto, ბერძ. skolopendra - ესპ. escolopendra, ლათ. anfractuusus - ესპ. anfractuoso, ბერძ. gangraina - ესპ. gangrena, ლათ. inspector - ესპ. inspector,¹ ლათ. intrusis - ესპ. intruso, ლათ. interpres,-etis - ესპ. interprete, ლათ. perspectivus - ესპ. perspectiva, ლათ. asclepiadeus - ესპ. asclepiadeo, ლათ. discrepare - ესპ. discrepar, ლათ. disgregare - ესპ. disgregar, ბერძ. apostrophe - ესპ. apóstrofe.

ვარირების მაღალი ხარისხით გამოირჩევა msp, ndf, nfl, nkt, rdl და rkt კომბინაციები. გარდა იმისა, რომ ეს ექვსი სამელებმენტიანი კომპლექსი ყველაზე ვარირებადია, ისინი ყველაზე იშვიათ კომბინაციებსაც წარმოადგენენ, რაც ნათლად გამოჩნდა მასალის კვლევის დროს, რადგან აღნიშნული კონსონანტური ჯგუფების მატარებელი არცთუ ისე ბევრი ვოკაბულა შეგვხვდა.

ჩამოთვლილი ვარირებადი კომპლექსების ტრანსფორმირება უკავშირდება მეორე ელემენტის ამოვარდნას ან მეორე და მესამე ელემენტის ახალ თანხმონად გარდაქმნას. სწორედ მეორე თანხმონი იკარგება rdl, ndf და rkt კომბინაციებში: ხალხ. ლათ. torctu-ესპ. tuerto, ხოლო მეორე და მესამე ელემენტი ვარირებს nfl კომპლექსში: ლათ. inflare - ესპ. inchar. სამელებმენტიან კომბინაციაში პირველი ელემენტის ვარირება მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა. ლათინურის დონეზე არსებული msp კომპლექსი ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს, განიცდის პირველი ელემენტის მეორე მუდერი ნაზალით ჩანაცვლებას: ლათ. circumspectus - ესპ. circunspecto. რაც შეეხება nkt კომპლექსს, იგი კარგავს ხან მეორე და ხან მესამე კონსონანტს: ლათ. sanctus - ესპ. santo, ლათ. punctio,-onis - ესპ. punción.

მესამე ჯგუფში გავაერთიანეთ ისეთი კომპლექსები, რომლებიც გარკვეული რაოდენობის სიტყვებში მდგრადია, ხოლო რამდენიმეში - ვარირებადი. ამ ჯგუფში მხოლოდ ოთხი კონსონანტური კომპლექსი მოხვდა. ესენია: mpl, ngl, nkl,

¹ ლათინურის დონეზე არსებული nsp კომპლექსი შედგენილია n თანხმონით დამთავრებულ პრეფიქსს (con ან in) + sp კომბინაციით.

nst. მათი ვარირება ყველაზე ხშირად განპირობებულია პირველი ელემენტის ამოვარდნით ან მეორე და მესამე ელემენტის აფრიკატად ტრანსფორმაციით.

ვარირების პირველი შემთხვევა დაფიქსირებულია nst კომპლექსთან, რაც კარგად ჩანს ლათინური constare-დან ესპ. costar-ის მიღების შემთხვევაში. მეორე და მესამე ელემენტის გარდაქმნა კი დაფიქსირდა ესპ. troncho-ში, რომელიც მომდინარეობს ლათ. trunc(u)lus-იდან. შესაძლოა აღნიშნულ ფონეტიკურ ვარირებას თან ახლდეს კომპლექსის პირველი ელემენტის ცვლილებაც, რაც ჩანს ესპ. ancho-ში, რომელიც ლათინური amplu-დან ტრანსფორმირდა. იშვიათად გვხვდება, მაგრამ კვლევის დროს მაინც დაფიქსირდა ისეთი კომბინაცია, რომელიც ორი სახის ვარირებას განიცდის. ეს არის ngl კომპლექსი, რომელიც ზოგ სიტყვაში ნახალს + ყრუ აფრიკატს გვაძლევს და ზოგში – (ñ)-ს: ლათ. cing(u)lum - ესპ. cincho, ლათ. un(g)la - ესპ. uña.

აღნიშნული სამეულემენტიანი კომპლექსების ვარირების პარალელურად, გვაქვს მათი მდგრადობის არაერთი შემთხვევაც: ლათ. completus - ესპ. completo, ლათ. concludere - ესპ. concluir, ლათ. conglobare - ესპ. conglobar, ლათ. institutus - ესპ. instituto.

მეოთხე ჯგუფში შევიყვანეთ ისეთი კომბინაციები, რომლებიც გვხვდება როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის დონეზე. აღსანიშნავია, რომ მასალის კვლევის დროს, შევხვდით ორ ისეთ კომბინაციასაც, რომელიც არ ფიქსირდება ეტიმონის დონეზე და მხოლოდ ესპანურ კორელატებში გვხვდება. ესენია: lbr და ldr კომპლექსები. ორივე მათგანი უკავშირდება არაბულ ძირს, რადგან კომპლექსის პირველი ელემენტი - ნარნარა l, არაბული არტიკლი al-ის შემადგენელი კომპონენტია. არაბული არტიკლის ესპანურ სიტყვასთან მიერთებას ხშირად ახლავს სხვა ფონეტიკური ვარირებაც, რისი ნათელი მაგალითიც არის არაბ. busra-დან, r-ს დამატების ხარჯზე, ესპ. albricias-ის მიღება, ხოლო არაბ. hatraq-იდან, ყრუ კონსონანტის გამჟღერების შედეგად, ესპ. baldragas-ის წარმოქმნა.

შედარებით მრავალრიცხოვანია ისეთ კომპლექსები, რომელთაც ორივე დონეზე ვხვდებით. ესენია: ltr, mbr, mpr, ndr, ngr, nsp, nst, ntr და str კომბინაციები.

არაბული არტიკლის დამატებით და u-ს სინკოპით აიხსნება ბერძნული thermos-ის, არაბული turmus-ის გავლით, დამკვიდრება ესპანურში, საიდანაც მივიღეთ altramuz.

A-ს სინკოპას უკავშირდება ლათ. comparare-დან ესპ. comprar-ის მიღება, ხოლო მეტათეზას უკავშირდება ntr კომპლექსის წარმოქმნა სიტყვაში entre, რომელიც მომდინარეობს ლათ. inter-იდან.

B-ს ეპენტეზით და n-ს r-ით ჩანაცვლების შედეგად მივიღეთ არაბ. tumn-იდან ესპ. azumbre. ეპენტეზა, ოღონდ ამჯერად r-ს დამატება გვაქვს ლათ. lendis-თან, რომელმაც ესპ. liendre მოგვცა. ჯერ ეპენტეზა და შემდეგ ორი მსგავსი კონსონანტის დისიმილაცია გვაქვს ესპ. sangre-ში, რომელიც მომდინარეობს ლათ. sanguis-იდან და რომელმაც ევოლუციის პირველ ეტაპზე მოგვცა sangne.

ორი მუდერი ნაზალის არევის შედეგად მივიღეთ ესპ. circunspecto, რომელიც მომდინარეობს ლათ. circumspectus-იდან და ესპ. circunstante, რომლის ძირიც არის ლათ. circumstans.

რაც შეეხება str კომპლექსს, იგი დერივატის დონეზე ორი განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტის შედეგად არის წარმოქმნილი. ესპ. costra-ში მან r-ს მეტათეზა განიცადა (ლათ. crusta), ხოლო ესპ. estrella-ში იგივე კონსონანტის ეპენტეზა (ლათ. stela).

მეოთხე ჯგუფში შემავალი კონსონანტური კომპლექსების უმრავლესობა გვხვდება ეტიმონის დონეზეც, რაც კარგად გამოჩნდა ზედა (ყველაზე მდგრადი კომპლექსების) ჯგუფში. განმეორების თავიდან აცილების მიზნით, აღარ მოვიყვანთ იმ მაგალითებს, სადაც ეს კომპლექსები ეტიმონის დონეზე ფიქსირდება.

§3. ოთხელემენტის კომპლექსების კლასიფიკაცია

ოთხელემენტის კონსონანტური კომპლექსები სტაბილურობის ყველაზე დიდი ხარისხით გამოირჩევიან. სიტყვის შუა პოზიციის მქონე კომპლექსები მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში ვარირებენ ან იქმნიან ეტიმონის დონეზე. აღსანიშნავია, რომ ვოკაბულათა უმრავლესობაში ოთხელემენტის ჯგუფები შედგენილია თავსართის ხარჯზე; ყველაზე ხშირად გამოყენებულია პრეფიქსები: con, in, ad, sub, trans, abs, ob და des, რაც განაპირობებს ოთხელემენტის თანხმოვანთჯგუფების პირველი ან პირველი და მეორე ელემენტის დამთხვევას თავსართის ბოლოკიდურ კონსონანტთან.

მხოლოდ ერთი თავსართის დამატებით მივიღეთ ესპანურში bskr, dskr, dstr, nsgr, nsfl და nsfr კომბინაციები. პირველ კომპლექსი მივიღეთ sub თავსართის ხარჯზე: ლათ. *subscribere* - ესპ. *subscribir*, მეორე და მესამე – ad პრეფიქსის ხარჯზე: ლათ. *adscribere* - ესპ. *adscribir*, ლათ. *adstratus* - ესპ. *adstrato*, ხოლო ბოლო სამი - trans პრეფიქსის მიერთებით: ლათ. *transgresor* - ესპ. *transgresor*, ლათ. *transflor* - ესპ. *transflor*, ლათ. *transfretare* - ესპ. *transfretar*.

ორი კომპლექსი მომდინარეობს ორ-ორი პრეფიქსის დართვით. Bstr-ს შედგენილია abs ან ob თავსართებისაგან: ლათ. *abstractio,-onis* - ესპ. *abstracción*, ლათ. *obstruere* - ესპ. *obstruir*. Nstr კი მივიღეთ con და in თავსართებით: ლათ. *instruere* - ესპ. *instruir*, ლათ. *construere* - ესპ. *construir*. მხოლოდ ორიოდ სიტყვაში არ წარმოქმნილა nstr კომპლექსი თავსართის ხარჯზე, რაც კარგად ჩანს ესპანურ *monstruo*-ში, რომელიც მომდინარეობს ლათ. *monstrum*-იდან.

რაც შეეხება nskr კომპლექსს, იგი მივიღეთ in, con და trans პრეფიქსებით: ლათ. *inscribere* - ესპ. *inscribir*, ლათ. *conscriptus* - ესპ. *conscripto*, ლათ. *transcribere* - ესპ. *transcribir*.¹

არანაირი საერთო არ აქვს თავსართებთან ერთ-ერთ ყველაზე იშვიათ rskr კომპლექსს: ლათ. *imperscrutabilis* - ესპ. *imperscrutable*.

ყველაზე ვარიეტული ოთხელემენტის კომპლექსია mskr, რომელიც ორი მუდერი ნაზალის არევის შედეგად გვაძლევს nskr კომპლექსს: ლათ. *circumscribere*-ესპ. *circunscribir*.

¹ როგორც ვხედავთ, abs და trans თავსართების ბოლო ორი კონსონანტი (და არა ბოლო ერთი, როგორც უმრავლეს შემთხვევაში) წარმოადგენს ოთხელემენტის კომპლექსის პირველ ორ ელემენტს.

ვარირებას ექვემდებარება nstr კომპლექსიც, ოღონდ მხოლოდ ორიოდ სიტყვაში. მისი სტაბილურობის მაგალითები ბევრად ჭარბობს ვარირების შემთხვევებს: ლათ. monstrare კარგავს კომპლექსის პირველ ელემენტს და ხდება სამელემენტიანი, რის შედეგადაც ესპანურში ვიღებთ mostrar-ს.

რაც შეეხება bstr კომბინაციას, იგი გვხვდება როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის დონეზე. მისი ესპანურ კორელატში წარმოქმნა უკავშირდება კონსონანტის ეპენტეზას: ლათ. subtrahere, s-ს დამატების შედეგად, გვაძლევს substraer-ს, რას RAE-ს მიხედვით განპირობებულია ესპ. extraer-ის გავლენით.

§4. ხუთელემენტიანი კომპლექსების კლასიფიკაცია

უიშვიათესია ხუთელემენტიანი კომპლექსი ესპანურ ენაში. მოძიებული ორი კომპლექსიდან ერთი ვარირების გარეშე გადადის ესპანურში: შვედი ფიზიკოსის გვარი Angström - ესპ. angstrom (საზომი ერთეული), ხოლო მეორე კარგავს ერთ-ერთ ელემენტს და ესპანურ კორელატში ვიღებთ ოთხელემენტიან კომბინაციას: samskrta - sanscrito.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ესპანური ენის ფონოტაქტიკამ ევოლუციის საკმაოდ რთული და იმავდროულად, მრავალფეროვანი გზა განვლო და განიცადა უამრავი სხვადასხვა სახის ვარირება. მათი უმრავლესობა უკავშირდებოდა ფონემათა შეერთებისას წარმოთქმის გამარტივებას ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზის, სინკოპის, ეპენტეზის ხარჯზე, მაგრამ შეგვხვდა რამდენიმე ისეთი ვარირებაც, რომელთაც ენათმეცნიერები ლინგვისტურ შეცდომად მიიჩნევენ. კონსონანტური კომპლექსების ვარირება უკავშირდება თავსართის დანიშნულების წინდებულში გადასვლასაც (მაგ: ლათ. *inhabitare* ესპ. *habitar en*) და ლათინური ბოლოსართის ვარირებასაც, რომლის თანხმოვანიც კომპლექსის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს (მაგ: ლათინური სუფიქსები *-tia* და *-tio* ესპანურ დერივატში გვაძლევენ *-cia* და *-ción* ბოლოსართებს, რაც იწვევს ლათინური *nt* კომპლექსის ვარირებას).

მენენდეს პიდალი ლინგვისტურ შეცდომად მიიჩნევს სიტყვის ისეთ ტრანსფორმაციას, რომელსაც საფუძვლად აკუსტიკური ეკვივალენტობა (*Equivalencia acústica*) დაედო [Menéndes Pidal, 1977:190-201]. როგორც აღმოჩნდა, ენის ევოლუციის პროცესში ხშირად ხდებოდა ერთი ფონემის მეორე ფონემით ჩანაცვლება მსმენელის მიერ სიტყვის არასწორად აღქმის გამო. შეცდომით აღქმულ სიტყვას კი მსმენელი კომუნიკაციისას არასწორი ფორმით იყენებდა. როგორც კვლევამ გვაჩვენა, ესპანურ ენაში აკუსტიკურ ეკვივალენტობას ვხვდებით ფონეტიკურად ახლოს მდგომი ორი ფონემის არევაში. ორი ფონემის არევა კი უკავშირდება არტიკულაციის წერტილის (m/n) ან ფონემების სიმჟღერე-სიერუსის (d/t) ვარირებას.

არ ხდება, რომ ენაში არსებული ყველა კონსონანტური კომპლექსი დაექვემდებაროს ვარირებას. მათი გარკვეული ნაწილი რჩება უცვლელი, რაც "თაობებს შორის გაგებინების შენარჩუნების აუცილებლობის" მნიშვნელოვანი წინაპირობაა [ახვლედიანი ც., 2008:43].

სწორედ ეს ორი საწინააღმდეგო ძალა ურთიერთქმედებს მუდმივად და განაპირობებს ენის ევოლუციას. მათგან ერთი, რომელიც მიმართულია ვარირებისაკენ, უფრო ძლიერია და შეუძლია ენის მდგომარეობა ნებისმიერ

დროს შეცვალოს ან განაახლოს. მეორე კი – აბრკოლებს ენის სწრაფ ცვალებადობას, რადგან ენამ არ დაკარგოს მისი კომუნიკაციური ფუნქცია და შეძლოს მისი განხორციელება სხვადასხვა თაობებს შორის. ეს ორი ძალა ერთმანეთს უძველესი დროიდან აბალანსებს, რაც განაპირობებს ენის ნელი ტემპით განვითარებას.

სტაბილურობა და ვარიაციულობა საინტერესო თემას წარმოადგენს არა მარტო ზოგადად ენის განვითარების პროცესში, არამედ ფონოტაქტიკაშიც, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა იგი კონსონანტთა კომბინაციებს იკვლევს. წინამდებარე ნაშრომმა, რომელიც წარმოადგენს ესპანური ენის ფონოტაქტიკური სისტემის დიაქრონიულ კვლევას, მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა სტაბილური და ცვალებადი თანხმოვანთკომპლექსების სისტემურობის შესახებ.

სულ განვიხილეთ 114 კონსონანტური კომპლექსი. მათგან 70 არის ორელემენტური, ხოლო 44 - პოლიკონსონანტური. განხილული 70 ბინარული თანხმოვანთჯგუფიდან თითქმის ყველა (sg-სა და sn-ს გარდა) სიტყვაში შუა პოზიციის მქონეა. მათი გარკვეული ნაწილი კი გვხვდება ორმაგი პოზიციით: თავკიდურ და შუა პოზიციაში დაფიქსირდა 19 კომპლექსი, ხოლო შუა და ბოლოკიდურ პოზიციაში - 6 კომპლექსი. მხოლოდ ორი კონსონანტური ჯგუფი შეგვხვდა სამივე პოზიციით. რაც შეეხება პოლიკონსონანტურ კომპლექსებს, 30 მათგანი შედგება სამი თანხმოვნისაგან, 12 – ოთხი თანხმოვნისაგან, ხოლო 2 – ხუთი კონსონანტისაგან. აღსანიშნავია, რომ სამელემენტური კომბინაციებში ჭარბობს სიტყვის შუა პოზიცია (მხოლოდ ხუთი ჯგუფი გვაქვს თავკიდური პოზიციით ეტიმონის დონეზე), ხოლო ოთხ და ხუთელემენტური კომპლექსებში - ყველა შუა პოზიციის მქონეა.

ბუნებრივია, თითოეულ კომბინაციას აქვს მისთვის დამახასიათებელი კონსტანტურობა-ვარიაციულობის ნიშნები. ჩატარებული კვლევის შედეგად, ყველაზე მდგრად და ვარიირებად ბინარულ და პოლიკონსონანტურ კომპლექსებად შეიძლება ჩავთვალოთ:

თავკიდურ პოზიციაში მდგრადი აღმოჩნდა ორ მქედურ ოკლუზივს + ვიბრანტი (br, gr) და ყრუ ფრიკატივს + ვიბრანტი (fr) კომბინაციები. ასევე, ყრუ ფრიკატივის და ყრუ ოკლუზივის (sk) თანამიმდევრობა, რომელმაც სტაბილურობის მიუხედავად, სიტყვის თავში დაიმატა პროთეტიკული ხმოვანი და ამით სიტყვაში პოზიცია შეიცვალა. ვარიირებას არც gn, sm და tr

კომბინაციები დაექვემდებარა. სამი ჯგუფიდან ორმა ხმოვნის ხარჯზე შეიცვალა პოზიცია: sm-მ დაიმატა პროთეტიკული e, ხოლო tr კომპლექსმა – a.

თავკიდურ პოზიციაში, მხოლოდ ვარირებისაკენ მიდრეკილი ჯგუფები თითქმის არ არსებობს, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ კონსონანტური კომპლექსების უმრავლესობა თავად ეტიმონის (ლათინურის) დონეზევე გამარტივდა. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ის ორიოდე გამონაკლისი, რომელიც შეგვხვდა ვოკაბულების პირენის ნახევარკუნძულზე დამკვიდრების დროს, დაკავშირებულია არალათინური ეტიმონის სიტყვებთან. Pn კონსონანტური კომპლექსი ბერძნულ, ხოლო rh ბერძნულ და არაბულ სიტყვებთან ფიქსირდება.

ბინარული თავკიდური კონსონანტური კომპლექსების კვლევის დროს ვნახეთ, რომ მათი დიდი ნაწილი ექვემდებარება როგორც ვარირებას, ასევე რჩება სტაბილური. სწორედ მათ შორისაა bl, dr, fl, gl, kl, kr, pl, pr, ps, sp, st კომბინაციები. ოკლუზივებითა და ნარნარა თანხმოვნებით შედგენილი კომბინაციები ხალხური ლათინურიდან გავრცელების შემთხვევაში ვარირებენ, რადგან როგორც ვიცით, პირენის ნახევარკუნძულზე გავრცელებულმა ლათინურმა ადგილობრივი პრერომანული ენების გავლენა განიცადა, ხოლო თუ აღნიშნული კონსონანტური კომპლექსების შემცველი ვოკაბულები ესპანეთში გავრცელებულ პრიმიტიულ რომანსეში მკვიდრებიან მოგვიანებით (მაგ: ფრანგული ენიდან) ან გადადიან სალიტერატური ლათინურის გზით, სტაბილურობით გამოირჩევიან.

პოლიკონსონანტურ თანხმოვანთჯგუფებში თავკიდურ პოზიციაში მხოლოდ 5 სამედეგმენტიანი კომპლექსები გვხვდება. აქედან ოთხი სტაბილური კომპლექსია (მხოლოდ პოზიციას იცვლიან ხმოვნის დამატების ხარჯზე) და ოთხივე მათგანს აქვს მსგავსი მიმდევრობა: ფრიკატივი + ყრუ ოკლუზივი + ნარნარა (skl, skr, spl, str), ხოლო დარჩენილი ერთი ჯგუფი (stl), ევოლუციის რთულ გზას გადის და სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებების ხარჯზე ხდება ბინარული. აღნიშნული კომპლექსი, პროთეტიკული ხმოვნის გამო, იცვლის პოზიციასაც.

სიტყვის შუა კონსონანტური კომპლექსები წარმოადგენენ ყველაზე მრავალფეროვან თანხმოვანთჯგუფებს. Bd, bs, bt, dr, fr, kr, ld, lf, lg, lm, ls, lv, nh, nk, nv, pl, pn, rb, rl, rm, rn, rr, sk, sm, sp, st კომბინაციები მდგრადია ყველა სიტყვაში მათი

ეტიმოლოგიის განურჩევლად. როგორც ვხედავთ, კონსონანტური კომპლექსების უმრავლესობაში ერთ-ერთი ელემენტი არის ნარნარა l ან r.

მხოლოდ ვარირებისაკენ მიდრეკილია bl, gd, nb, rh, sf კომპლექსები და შემდეგი გემინატები - bb, mm, nn, pp, ss.

მრავალფეროვანია ისეთი კომბინაციების ჩამონათვალიც, რომლებიც ესპანურ ენაში გადადიან როგორც ფორმაუცვლელი, ასევე ფორმაშეცვლელი სახით. Br, fl, gl, gm, gn, gr, kl, kt, lb, lk, ln, lp, lt, mb, mn, mp, nd, nf, ng, ns, nt, pr, ps, pt, rd, rf, rg, rp, rs, rt, rv, tr კომბინაციები, მდგრადობის პარალელურად, განიცდიან არა მარტო ერთი, არამედ ორი ან მეტი სახის ვარირებასაც. ჩამოთვლილთაგან თოთხმეტი კომპლექსი, სტაბილურობის პარალელურად, განიცდის ერთი სახის ვარირებას (fl, gl, gm, gr, ln, mp, ns, pr, ps, rd, rf, rp, rs, rv), ცამეტი – ორი სახის ვარირებას (br, gn, kl, lb, lk, lp, lt, mb, mn, nd, nf, rg, tr), სამი კომპლექსი – სამი სახის ცვლილებას (kt, nt, rt), ხოლო ორი – სამზე მეტ ტრანსფორმაციას (ng და pt).

სწორედ შუა პოზიციის მატარებელია პოლიკონსონანტური კომპლექსების უმრავლესობა. სამელემენტეებში, 16 კომპლექსი არის სტაბილური (ltr, mbl, mbr, mpr, ndr, nfr, ngr, nkr, nsp, ntr, rpr, rsp, sgr, skl, skr, str), 4 – რამდენიმე სიტყვაში იცვლება და რამდენიმეში სტაბილურია (mpl, ngl, nkl, nst), ხოლო 6 – მხოლოდ ვარირებს (msp, ndf, nfl, nkt, rdl, rkt). ისინი ძირითადად იცვლებიან მეორე ელემენტის ამოვარდნის ხარჯზე. 2 თანხმოვანთჯგუფი (lbr, ldr) წარმოქმნილია დერივატის დონეზე. რაც შეეხება დარჩენილ 2 კომბინაციას (spl, stl), მათ თავკიდური პოზიციისაგან განსხვავებით, არცერთ ვოკაბულაში არ ვხვდებით სიტყვის შუაში.

მხოლოდ შუა პოზიცია აქვთ ოთხელემენტე კომბინაციებს. 12 კომპლექსიდან 10 მდგრადია (bskr, bstr, dskr, dst, ngst, nsfl, nsfr, nsgr, nskr, rscr), ხოლო ორი (mskr, nstr) – ვარირებს. ხუთელემენტეებში კი – ერთი (ngstr) ცვლილებებს ექვემდებარება, ხოლო მეორე – მარტივდება (mskrt) და ხდება ოთხელემენტეანი.

ბოლოკიდური პოზიციის მქონე, ეტიმონის დონეზე არსებულ ბინარულ კომპლექსებს შევხვდით როგორც ლათინური, ასევე არალათინური (პრერომანული, არაბული, ინგლისური და ა.შ.) წარმოშობის სიტყვებში. Lm, mn, ns, rd, rm, rr, sm და st კომპლექსებმა, ზოგ სიტყვაში, ვარირება განიცადეს, ზოგში კი – არ დაექვემდებარნენ ფონეტიკურ ცვლილებებს. თუმცა, ყველა შემთხვევაში

შეიცვალეს პოზიცია, რაც მოხდა ხმოვნის (e ან o) ან მარცვლის დამატების ხარჯზე. ამრიგად, 8 ბოლოკიდური კომპლექსიდან 2 (mn, ns) ვარირებს, ხოლო დანარჩენი ხუთი – იცვლის პოზიციას.

მასალის კვლევის დროს, არაერთი ისეთი კონსონანტური კომპლექსი შეგვხვდა, რომლებიც მივიღეთ ესპანური ენის დერივატის დონეზე. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენას იშვიათად აქვს ადგილი თავკიდურ კომპლექსებთან, რაც იმის ნიშანია, რომ ესპანური ენა უძველესი დროიდან იყო მიდრეკილი თავკიდური თანხმოვანთკომპლექსების გამარტივებისაკენ და არა ახალ-ახალი კომპლექსების წარმოქმნისაკენ ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე. გამონაკლისის სახით შეგვხვდით თავკიდური br და pr კომპლექსების დერივატის დონეზე წარმოქმნას, რაც r-ს მეტათეზას ან ეპენტეზას უკავშირდება.

იმავეს ვერ ვიტყვით შუა კონსონანტურ კომპლექსებზე, რადგან აღნიშნული მოვლენა არაერთხელ შეგვხვდა სიტყვის შუაში. თანხმოვანთა კომბინაციების წარმოქმნა ესპანური ენის დონეზე, ყველაზე ხშირად, ფიქსირდება ხმოვნების ან k თანხმოვნის (n-სა და t-ს შორის) ამოვარდნა (fl, gl, lp, rm, rn, nt), m კონსონანტის ეპენტეზის (mp), ორი ფონეტიკურად ახლოს მდგომი ფონემის არევის (nb/mb) და ყრუ კონსონანტების გამჟღერების (gr, ld) ხარჯზე; ასევე, ორმაგი ვარირების შედეგად, რომელთაგანაც ხშირია სინკოპა (e,i) + ყრუ კონსონანტის გამჟღერება (lg, sg). შედარებით ნაკლები სიხშირით გვხვდება ორმაგი ვარირების შემთხვევები, რომლებიც მიღებულია სინკოპა + ორი ფრიკატივის არევის (lv) და სინკოპა + მეტათეზის (rl) შედეგად. მასალის კვლევის დროს, შეგვხვდა სამმაგი ვარირების მოვლენაც, რომელიც წარმოდგენილია ფონეტიკური ცვლილებების შემდეგი თანამიმდევრობით: სინკოპა + ყრუ კონსონანტის გამჟღერება + ორი ნაზალის არევა (nd).

ეტიმონი ენის დონეზე არარსებული კომპლექსების ესპანურში გაჩენა უკავშირდება მორფოლოგიურ ფაქტორსაც. ვგულისხმობთ არაბულ არტიკლს - al, რომლის სიტყვასთან შერწყმამ განაპირობა, რომ ესპანურში მივიღეთ l-ზე დაწყებული რამდენიმე ბინარული კომბინაცია. ახალი კომპლექსს გვაძლევს არსებითი სახელისა და წინდებულის შერწყმაც, რაც კარგად გამოჩნდა nd კომპლექსთან.

ესპანური ენის დერივატთა დონეზე სულ მივიღეთ 35 ბინარული კომპლექსი: bl, br, dr, fl, gl, gr, ld, lf, lg, lm, lp, lt, lv, mb, mp, nd, ns, nt, nv, pr, rb, rf, rg, rl,

rm, rn, rp, rr, sf, sg, sm, sn, sp, st, tr. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივე კონსონანტური კომპლექსები არ შეიძლება შეგვხვდეს ეტიმონის დონეზე.

გარდა ამისა, ეტიმონის დონეზე შეგვხვდა 12 სამელემენტო კომპლექსი, რომელთაგანაც ორი მხოლოდ ესპანური ენის დონეზე დაფიქსირდა (lbr, ldr), ხოლო დანარჩენი ათი - როგორც ეტიმონის, ასევე დერივატის დონეზე (ltr, mbr, mpr, ndr, ngr, nsp, nst, ntr, spl, str). აღნიშნული კომპლექსების წარმოქმნა უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა r-ს ეპენტოზით ან მეტათოზით.

კონსონანტური კომპლექსები შეიძლება წარმოიქმნას არა მხოლოდ ესპანური ენის, არამედ იმ ენის დონეზეც, რომელიც შუამავალ ენას წარმოადგენს ეტიმონსა და დერივატს შორის. ასეთ ენების სახით, ყველაზე ხშირად შეგვხვდა ფრანგული და არაბული.

მასალის კვლევის დროს, ერთი და იგივე კონსონანტური კომპლექსი თითქმის არსად არ შეგვხვედრია სამივე პოზიციაში. გამონაკლისის სახით გვაქვს sm და st კომპლექსები, რომლებიც გვხვდება როგორც თავკიდურ და ბოლოკიდურ, ასევე სიტყვის შუა პოზიციაში. სიტყვის ეტიმოლოგიის განურჩევლად, ისინი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, არ ვარირებენ.

ვრცელი არც ისეთი კომპლექსების ჩამონათვალია, რომლებიც ორ (თავკიდურ და შუა ან შუა და ბოლოკიდურ) პოზიციაში გვხვდება. განხილული ბინარული და პოლიკონსონანტური თანხმოვანთჯგუფების უმრავლესობას ახასიათებს სიტყვის შუა პოზიცია. მათი სიტყვაში მდებარეობა კი, გარკვეულ წილად, მოქმედებს კომპლექსების ვარირება-მდგრადობაზე, რადგან იდენტურმა თანხმოვანთჯგუფებმა შეიძლება თავში ვარირება განიცადონ და შუაში – არა ან პირიქით. კომპლექსის მდგრადობა-ვარირებაზე მოქმედებდა ისიც, თუ რამდენად ჰარმონიულ კომბინაციას ქმნიდა ესა თუ ის თანხმოვანი მეზობელ კონსონანტთან და რამდენამ მარტივად წარმოსათქმელი იყო ესა თუ ის კონკრეტული სიტყვა პირენეის ნახევარკუნძულის მოსახლეობისათვის.

კონსონანტური კომპლექსების კონსტანტურობა-ვარიაციულობას განაპირობებს კიდევ ორი ფაქტორი: ა) თუ რომელი ენიდან შემოდის ამა თუ იმ კონკრეტული კომპლექსის შემცველი სიტყვა ესპანურში და ბ) როგორი ლინგვისტური მდგომარეობაა (ანუ რომელი ენებია გავრცელებული) იმ პერიოდის ესპანეთში, როცა ხდება რომელიმე სიტყვის დამკვიდრება.

ამრიგად, ორელებმენტიანი კონსონანტური კომპლექსების უმრავლესობა განიცდის ვარირებას სიტყვაში პოზიციის განურჩევლად, სამელებმენტიანები (ძირითადად სიტყვის შუაში) უფრო სტაბილურობისაკენ არიან მიდრეკილნი, ოთხ და ხუთელებმენტიანები (რომლებიც ასევე სიტყვის შუაში გვხვდება) კი – ძირითადად კონსტანტურები არიან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც უფრო მეტ კონსონანტს შეიცავს ჯგუფი ან რაც უფრო იშვიათია, მით უფრო სტაბილურია იგი.

ლიტერატურა:

1. ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1999
2. ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1956
3. ახვლედიანი ც., სტაბილურობა და ვარიაცია რომანულ თანხმოვანთჯგუფებში, მედეა, თბილისი, 2009
4. ახვლედიანი ც., დიაქრონიული ფონოტაქტიკა და რომანული კონსონანტიზმის პრობლემები, თბილისი, 2008
5. ახვლედიანი ც., კობეშავიძე მ., ესპანური ენის ისტორია, თბილისი, 2009
6. ახვლედიანი ც., კობეშავიძე მ., ესპანური ენის ფონეტიკა, თბილისი, 2011
7. ჯაში ქ., რომანული ისტორიული ენათმეცნიერება, თბილისი, 2010
8., 1966
9., 1952
10., 1949
11., 1977
12., 1960
13., 1953
14., 1960
15. Alarcos Llorach E., Gramática de la lengua española, Espasa Calpe –Real Academia Española, Madrid, 1994
16. Alarcos Llorach E., El español, lengua milenaria (y otros escritos castellanos), Ámbito, Valladolid, 1982
17. Alarcos Llorach E., Fonología Española, Gredos, Madrid, 1971
18. Alarcos Llorach E., De nuevo sobre los cambios fonéticos del siglo XVI, 1988
19. Alonso A., Cronología de la igualación C-Z en español (conclusión), Hispanic review, Vol.19, No.2 (Apr.1951)
20. Alonso D., Resultados de -LJ-, -KL-, -GL-, Gredos, Madrid, 1972
21. Alonso D., B = V en la Península Hispánica, Gredos, Madrid, 1972
22. Ariza M., Fricatización, sonorización, degeminación, RSEL, 1990
23. Ariza M., Manual de fonología histórica del español, Editorial Síntesis, Madrid, 1989
24. Ariza M., Sobre fonética histórica del español, Arco, Madrid, 1994
25. Ariza M., Sobre las palatales sonoras en español antiguo, Madrid, 1983

26. Baldinger K. La formación de los dominios lingüísticos en la Península Ibérica, Gredos, Madrid, 1971
27. Bassols de Climent M., Fonética Latina, C.S.I.C., Madrid, 1967
28. Bendala Galán M., Tartessos, iberos y celtas, Madrid, 2000
29. Calvo Poyato J. Felipe V- el primer Borbón, Barcelona,1992
30. Cano Aguilar R., El español a través de los tiempos, Arco, Madrid, 1988
31. Carr R., Historia de España, Madrid, 2001
32. Collins R. La España visigoda (409-711), Barcelona,2005
33. Contini G., Sobre la desaparición de la correlación de sonoridad en castellano, Nueva revista de filología hispánica, No.2, (Apr.-Jun.,1951)
34. Coromines J., Breve diccionario etimológico de la lengua española, Madrid, 2008
35. Coromines J., Pascual J., Diccionario crítico etimológico castellano e hispánico, Gredos, Madrid, 1987-1991
36. Corral J.L., Una historia de España, Edhasa, Barcelona, 2008
37. Coseriu E., Sincronía, diacronía e historia, Nueva revista de filología hispánica,Año 12, No.3/4, (Jul.-Dec.,1958)
38. Crystal D., A first dictionary of linguistics and phonetics, London: André Deutsch,1980
39. Crystal D., Diccionario de lingüística y fonética, Ocradro, Barcelona, 2000
40. Garatea Grau C., Del manual de gramática histórica española a los orígenes del español la elaboración de una teoría del cambio lingüístico, Nueva revista de filología hispánica, T. 53, No.2, 2005
41. García de Diego V., Diccionario etimológico español e hispánico, Madrid, 1955
42. García de Diego V., Gramática histórica española, Madrid, 1970
43. Gil Fernandez J., Panorama de la fonología española, Arco, Madrid, 2000
44. Gil Fernández J., Los sonidos del lenguaje, Editorial Síntesis, Madrid, 1990
45. Gili Gaya S., Elementos de fonética general, Editorial Gredos, Madrid,1988
46. Hardcastle W., Laver, J., The handbook of the phonetic sciences, Blackwell, Oxford,1999
47. Herrera E., La asimiliación de las nasales en español, Nueva revista de filología hispánica, No.1, 2002
48. Herrero J., Glosario de fonética histórica, Curso académico 2004-2005
49. Hualde J.I., The sounds of Spanish, Cambridge, Cambridge University Press, 2005
50. Jackson G. Introducción a la España Medieval, Madrid, 1974

51. Jungemann F.H., La teoría del sustrato y los dialectos hispano-romances y gascones, Madrid, Gredos, 1955
52. Krüger F., Acerca de las raíces onomatopéyicas *casc-,cosc-,coc-,croc.*, Nueva revista de filología hispánica,Año 6, No.1, (Jan.-Mar.,1952)
53. Lapesa R., Historia de la lengua española, Gredos, Madrid, 1981
54. Lapesa R., De la Edad Media a nuestros días, Gredos, Madrid, 1967
55. Lapesa R., Estudios de historia lingüística española, Paraninfo, Madrid, 1985
56. Lapesa R., De nuevo sobre la apócope vocalica en castellano medieval, Nueva revista de filología hispánica, T. 24, No.1, 1975
57. Lapesa R., El español moderno y contemporáneo, estudios lingüísticos, Crítica, Barcelona, 1996
58. Lapesa R., La apócope de la vocal en castellano antiguo, intento de explicación histórica, estudios de historia lingüística española, Paraninfo, Madrid, 1985
59. Lázaro Carreter F., Las ideas lingüísticas en España durante el siglo XVIII, Crítica, Barcelona,1985
60. López García A., ¿Cómo surgió el español? Introducción a la sintaxis histórica del español antiguo, Nueva revista de filología hispánica, T. 51, No.1, 2003
61. Lleal C., La formación de las lenguas romances peninsulares, Barcanova, Barcelona, 1990.
62. Lloyd P.,"From Latin to Spanish", vol. I "Historical Phonology and Morphology of the Spanish Language ", 1987
63. Mackay A. Spain in the Middle Ages, Londres, 1977
64. Malkiel Y., En torno a la etimología y evolución de *cansar,canso,cansa(n)cio*, Nueva revista de filología hispánica, No.3, (Jul.-Sep.,1955)
65. Malmberg B., Estudios de fonética hispánica, Hispanic review,Vol.35,No.1 (Jan.1967)
66. Malmberg B. La fonética. Buenos Aires: Eudeba,1981
67. Martinet A., La economía de los cambios fonéticos. Tratado de fonología diacrónica, Gredos, Madrid, 1974
68. Martínez Celdrán E., Fonética, Editorial Teide, Barcelona,1994
69. Menéndez Pidal R., Manual de gramática histórica española, Espasa-Calpe, Madrid, 1977
70. Menéndez Pidal R.,Orígenes del español, Madrid,1964
71. Menéndez Pidal R., Textos medievales españoles, Espasa-Calpe, Madrid, 1976

72. Menéndez Pidal R., Orígenes del Español, Estado lingüístico de la Península Ibérica hasta el siglo XI, Espasa-Calpe, Madrid, 1976
73. Molina Yébenes J., Iniciación a la fonética, fonología y morfología latinas, Barcelona, 1993
74. Monteil P., Elementos de fonética y morfología del latín (traducción y actualización de Concepción Fernández Martínez), Nathan, 1992
75. Morala J.R., Resultados tras consonante de /pl/, /kʎ/ y grupos semejantes", EH, 1988
76. Navarro Tomás T., Manual de pronunciación española, Madrid, C.S.I.C., 1980
77. Navaro T., Estudios de fonología española, Nueva revista de filología hispánica, No.4,(Oct.-Dec.,-1948)
78. Núñez Astrain L., "El euskera arcaico – extensión y parentescos" , 2003
79. Quilis A., Fonética histórica y fonología diacrónica, Madrid, 2005
80. Quilis A., Tratado de fonología y fonética españolas, Gredos, Madrid, 1993
81. Quilis A., Principios de fonética y fonología españolas (5ª ed), Madrid, Arco/Libros
82. Quilis A., Fernández J., Curso de fonética y fonología españolas, Madrid, CSIC, 1996
83. Penny R., A history of the Spanish Language, 2nd ed., 1991,2002 Cambridge University Press
84. Pensado Ruiz C., El orden histórico de los procesos fonológicos, Hispanic Review, Vol.53, No.2 (Spring, 1985)
85. Pérez Pascual J.I., Pérez Pascual M.E., Gramática histórica del español, Ariel, Barcelona, 2008
86. Pericot García L., La España primitiva, Barcelona, 1950
87. Perona J., Estudios de lingüística, Edición electrónica, 2002
88. Richardson, J.S., Hispania y los romanos, Barcelona, 1998
89. Rodríguez Toro J.J., Principales cambios ocurridos en el latín vulgar: El consonantismo, Madrid, 2005
90. Sanchez de la Poza A., "Heródote y Argantonio – Un testimonio sobre la forma de poder de Tartessos", "Herodoti Historiae", vol. I, Oxford, 1927.
91. Santos Yanguas, J., Los pueblos de la España Antigua, Madrid, 2006
92. Schulten A., Tartessos (Contribución a la historia más antigua de occidente), Renacimiento, Sevilla, 2006
93. Torreblanca M., La sonoridad de las consonantes oclusivas españolas, Hispania, Vol.66, No3. (Sep.,1983)

94. Torreblanca M., El paso de /l/ a /r/ postconsonántica en español, Hispania, Vol.72,No.3, (Sep.1989)
95. Torreblanca M., La evolución de /kl-, pl-, fl-/ > /ll-/ en español, RFE, 1990
96. Torres Ortiz M., Tartessos, Madrid, 2002
97. Tovar A., Estudios de sonorización y caída de intervocálicas en Hispania, REL, 1951
98. Valpy F.E.J., Londres A.M. Etymological dictionary of the latin language, 1828
99. Vidos B. E., Manual de lingüística románica, Madrid, Aguilar,1956
100. Watt W. Historia de la España islámica, Madrid,1970
101. Wright R., Latín tardío y romance temprano, Gredos, Madrid, 1982

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

1. <http://rae.es/rae.html>
2. <http://etimologias.dechile.net/>
3. <http://books.google.es/>
4. <http://www.jstor.org/>
5. <http://burusi.wordpress.com/2009/06/05/euskara/>

დანართი

ორფლემენტური კონსონანტური კომპლექსების ცხრილი

ეტიმონის ღონეზე	ვარირება ესპანური ენის ღონეზე	წარმოქმნა ესპანური ენის ღონეზე
თავკიდური - შუა /bb/ ბოლოკიდური -	- /b/ -	
თავკიდური - შუა /bd/ ბოლოკიდური -	- /bd/ -	
თავკიდური /bl/ შუა /bl/ ბოლოკიდური -	/bl/, /l/ /lb/ -	e-ს სინკოპა + დისიმილაცია
თავკიდური /br/ შუა /br/ ბოლოკიდური -	/br/ /br/, /b/, /bor/ -	/p/-ს გამჟღ.+/r/-ს მეტ./r/-სეპ. /p/-ს გამჟღ.+ e-ს სინკ., მეტ.
თავკიდური - შუა /bs/ ბოლოკიდური -	- /bs/ -	
თავკიდური - შუა /bt/ ბოლოკიდური -	- /bt/ -	
თავკიდური /dr/ შუა /dr/ ბოლოკიდური -	/dr/, /tr/ /dr/ -	/t/-ს გამჟღ., /r/-ს მეტ. ან e-ს სინკ.+ /t/-ს გამჟღ.
თავკიდური /fl/ შუა /fl/ ბოლოკიდური -	/fl/, / /, /l/, /fr/ /fl/, /pl/ -	i-ს სინკოპა
თავკიდური /fr/	/fr/	

შუა	/fr/	/fr/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/gd/	/nd/ /ndr/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/gl/	/gl/, /l/	
შუა	/gl/	/gl/, /g/	u-ს სინკოპა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/gm/	/gm/, /m/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/gn/	/gn/	
შუა	/gn/	/gn/, /n/, / /	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/gr/	/gr/	/k/-ს გამჟღერება, /gr/ /dr/
შუა	/gr/	/gr/, /r/	/k/-ს გამჟღერება
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/kl/ (cl)	/kl/, / /	
შუა	/kl/ (cl)	/kl/, /gl/, /x/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/kr/ (cr)	/kr/, /gr/	
შუა	/kr/ (cr)	/kr/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/kt/ (ct)	/kt/	
შუა	/kt/ (ct)	/kt/, / /, /kk/, /t/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/lb/	/lb/, /lip/, /b/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/ld/	/ld/	/t/-ს გამჟღერება ან i-ს

ბოლოკიდური	-	-	სინკოპა + /t/-ს გამჟღერება
თავკიდური	-	-	
შუა	/f/	/f/	არაბ. al +/f/, /f/ lph
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/g/	/g/	/k/-ს გამჟღერება + i-ს სინკოპა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/k/	/k/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/m/	/m/	არაბ. al + /m/
ბოლოკიდური	/m/	/m/+o	
თავკიდური	-	-	
შუა	/n/	/n/, / /	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/p/	/p/, /up/ /au/ /o/, /rp/	a-ს სინკოპა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/s/	/s/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/t/	/t/, /l /, /ut/ /au/ /o/	i-ს სინკოპა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/v/	/b/	i-ს სინკოპა + ორი ფრიკატივის არევა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/mb/	/mb/, /m/, /mb/	ორი ნაზალის (/m/ /n/) არევა
ბოლოკიდური	-	-	

თავკიდური	-	-	
შუა	/mm/	/m/, /nm/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/mn/	/mn/, / /	
ბოლოკიდური	/mn/	/mbr/+e	
თავკიდური	-	-	
შუა	/mp/	/mp/, /mpr/	/m/-ს ეპენთეზა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/nb/	/mb/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/nd/	/nd/, /ndr/, / /	/t/-ს გამჟღ. ან /t/-ს გამჟღ.+ i-ს სინკ.+ნაზალების არევა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/nf/	/nf/, /n/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/ng/	/ng/, /n/, / /, /ngr/, /n /, /n /	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/nh/	/n/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/nk/	/nk/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/nn/	/n/, / /	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	

შუა	/ns/	/ns/, /s/	/ns/ /mps/
ბოლოკიდური	/ns/	/nt/+e	
თავკიდური	-	-	
შუა	/nt/	/nt/, /ntr/, /n /, /nd/	/k/-ს ამოგარდნა (/nkt/)
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/nv/	/nb/	ეპენთეზა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/pl/	/pl/, / /, / /, a+/pl/	
შუა	/pl/	/pl/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/pn/	/n/	
შუა	/pn/	/pn/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/pp/	/p/, /pr/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/pr/	/pr/, /br/	/r/-ს მეტათეზა
შუა	/pr/	/pr/, /br/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/ps/	/ps/, /s/	
შუა	/ps/	/ps/, /x/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/pt/	/pt/, /t/, --, / /, /p /, /ut/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rb/	/rb/	/b/ და /v/-ს არევა (/b/ /v/)
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rd/	/rd/, /r /	

ბოლოკიდური	/rd/	/rd/+o	
თავკიდური	-	-	
შუა	/rf/	/rf/, /rif/	/rf/ /rph/
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rg/	/rg/ ,/r/, /r /	მეტათეზა ან /k/-ს გამქვერება +/r/-ს მეტათეზა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/rh/	/r/	
შუა	/rh/	/rag/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rl/	/rl/	o-ს სინკოპა + მეტათეზა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rm/	/rm/	a-ს სინკოპა
ბოლოკიდური	/rm/	/rm/ +en ან /rm/+az	
თავკიდური	-	-	
შუა	/rn/	/rn/	i ან o-ს სინკოპა
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rp/	/rp/, /br/	დისიმილაცია
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rr/	/r/	ასიმილაცია
ბოლოკიდური	/rr/	/r/+asca	
თავკიდური	-	-	
შუა	/rs/	/rs/, /s/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rt/	/rt/, /r /, /r /, /rd/	

ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/rv/	/rb/, /br/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/sf/	/saf/	/sf/ (sph)
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	-	-	/k/-ს გამღეურება+ i-ს ან o-ს
ბოლოკიდური	-	-	სინკოპა (/sg/)
თავკიდური	/sk/	e+/sk/	
შუა	/sk/	/sk/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/sm/	e + /sm/	
შუა	/sm/	/sm/	/s/-ს ეპენტეზა
ბოლოკიდური	/sm/	/sm/+an	
თავკიდური	-	-	
შუა	-	-	i-ს სინკოპა ან /s/-ს
ბოლოკიდური	-	-	ეპენტეზა (/sn/)
თავკიდური	/sp/	e+/sp/ ან e+ /spl/	
შუა	/sp/	/sp/	/sp/ /spn/
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	-	-	
შუა	/ss/	/s/	
ბოლოკიდური	-	-	
თავკიდური	/st/	e+/st/, e+/str/	
შუა	/st/	/st/	i-ს სინკოპა ან
ბოლოკიდური	/st/	/st/ + o	დისიმილაცია+ეპენტეზა
თავკიდური	/tr/	/tr/, a + /tr/	
შუა	/tr/	/tr/, /dr/, /r/	/tr/ /dr/
ბოლოკიდური	-	-	

სამეფლემენტური კონსონანტური კომპლექსების ცხრილი

ეტიმონის დონეზე	გარირება ესპანური ენის დონეზე	წარმოქმნა ესპანური ენის დონეზე
თავკიდური - შუა -	- -	/lbr/ (r-ს მეტათეზა)
თავკიდური - შუა -	- -	/ldr/
თავკიდური - შუა /ltr/	- /ltr/	/ltr/ (u-ს სინკოპა +არაბული არტიკლი al)
თავკიდური - შუა /mbl/	- /mbl/	
თავკიდური - შუა /mbr/	- /mbr/	/mbr/ (b-ს ეპენთეზა ან დისიმილაცია)
თავკიდური - შუა /mpl/	- /mpl/, /n /	
თავკიდური - შუა /mpr/	- /mpr/	/mpr/ (a-ს სინკოპა)
თავკიდური - შუა /msp/	- /nsp/	
თავკიდური - შუა /ndf/	- /nf/	
თავკიდური - შუა /ndr/	- /ndr/	/ndr/ (r-ს ეპენთეზა)
თავკიდური - შუა /nfl/	- /n /	
თავკიდური - შუა /nfr/	- /nfr/	
თავკიდური - შუა /ngl/	- /ngl/, /n /, / /	
თავკიდური -	-	

შუა	/ngr/	/ngr/	/ngr/ (დისიმილაცია)
თავკიდური	-	-	
შუა	/nkl/	/nkl/, /n /	
თავკიდური	-	-	
შუა	/nkr/	/nkr/	
თავკიდური	-	-	
შუა	/nkt/	/nt/, /n /	
თავკიდური	-	-	
შუა	/nsp/	/nsp/	/nsp/ /msp/
თავკიდური	-	-	
შუა	/nst/	/nst/, /st/	/nst/ /mst/
თავკიდური	-	-	
შუა	/ntr/	/ntr/	(r-ს მეტათეზა)
თავკიდური	-	-	
შუა	/rdl/	/rl/	
თავკიდური	-	-	
შუა	/rkt/	/rt/	
თავკიდური	-	-	
შუა	/rpr/	/rpr/	
თავკიდური	-	-	
შუა	/rsp/	/rsp/	
თავკიდური	-	-	
შუა	/sgr/	/sgr/	
თავკიდური	/skl/	e+/skl/	
შუა	/skl/	/skl/	
თავკიდური	/skr/	e+/skr/	
შუა	/skr/	/skr/	
თავკიდური	/spl/	e+/spl/	
შუა	-	-	/spl/ (l-ს მეტათეზა)
თავკიდური	/stl/	e+/sk/	
შუა	-	-	

თავკიდური	/str/	e+/str/	r-ს მეტათეზა ან ეპენთეზა
შუა	/str/	/str/	

ოთხეულემენტური კონსონანტური კომპლექსების ცხრილი

ეტიმონის ღონეზე	ვარირება ესპანური ენის ღონეზე	წარმოქმნა ესპანური ენის ღონეზე
შუა /bskr/	/bskr/	
შუა /bstr/	/bstr/	/s/-ს ეპენთეზა
შუა /dskr/	/dskr/	
შუა /dstr/	/dstr/	
შუა /mskr/	/nskr/	
შუა /ngst/	/ngst/	
შუა /nsfl/	/nsfl/	
შუა /nsfr/	/nsfr/	
შუა /nsgr/	/nsgr/	
შუა /nskr/	/nskr/	
შუა /nstr/	/nstr/, /str/	
შუა /rskr/	/rskr/	

ხუთეულემენტური კონსონანტური კომპლექსების ცხრილი

ეტიმონის ღონეზე	ვარირება ესპანური ენის ღონეზე	წარმოქმნა ესპანური ენის ღონეზე
შუა /mskrt/	/nskr/	
შუა /ngstr/	/ngstr/	